კვირის პალიტრა

მზე

N25 (315) 22/VI-28/VI.2006. ფასი 60 თ.

1168
2006





ქორწინება სიყვარულის გარეშე

რა აღმოაჩინეს ერთმანეთში ზაზა ფაჩულიამ და ია კინწარიშვილმა

როგორ გაათხოვეს გოგონა, რომელიც სიმაღლეში მეტრი და 20 სანტიმეტრი იყო

ლევან უჩანეიშვილმა ... რობერტ დე ნირომ ერთმანეთ... კინომსახიობთა თეატრში გაიცნ...

რკინაზე მაგარი ქართული „ფერარი“ პლასტმასისგან შექმნეს

თქვენი დაბალანსებული ცხოვრება

ბალანსი მაგთიში...
ბალანსი ცხოვრებაში...

ცვლილება თქვენს სასარგებლოდ

ხართ მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტი?
ამიერიდან

- თუ ანგარიშზე გაქვთ თანხა, თქვენი ნომერი აქტიური იქნება ბოლო გადახდიდან მთელი 1 წლის განმავლობაში, ანუ შეძლებთ დარეკვას, შეტყობინების გაგზავნას, და ა. შ.
- თუ ანგარიშზე ამოგეწურებათ თანხა, გინარჩუნდებათ გარანტირებული შემომავალი ზარი ბოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში.
- შემომავალი ზარების გათიშვის შემდეგ 1 წლით გინარჩუნდებათ ნომერი.
- თქვენი ადგილობრივი ზარები აღირიცხება და იანგარიშება 1 წამის სიზუსტით.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...ერთად თქვენს სამყაროსთან

დამატებითი წუთები

დამატებითი სიამოვნება...

მიიღეთ საჩუქარი მთელი ზაფხულის განმავლობაში. მონო-ბარათის ყოველი გააქტიურებისას

გააააქტიურეთ მონო-ბარათი და საჩუქრად მიიღეთ წუთები მაგთის ქსელის შიდა ზარებისათვის, ანუ მაგთი - მაგთი და მაგთი - ბალი მიმართულებით.

გააქტიურებული მონო-ბარათი	საჩუქარი
10 - ლარიანი	**3** წუთი
15 - ლარიანი	**5** წუთი
30 - ლარიანი	**12** წუთი
60 - ლარიანი	**30** წუთი

- ნაჩუქარი წუთების გამოყენება შეგიძლიათ მონო-ბარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში.
- აქცია ვრცელდება მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებზე.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...ერთად თქვენს სამყაროსთან

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲑᲠᲐ
№25 (315)
22 — 28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ“ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲐ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ
...ᲛᲐᲨ, ᲕᲘᲜ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲒᲘᲕᲘ?.. 6
ᲨᲝᲣ
ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ „ᲧᲔᲝᲑᲐᲠᲔᲚ“ ᲙᲝᲢᲘᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲣᲜᲐᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ? 9
ᲗᲘᲜᲔᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲭᲠᲐ ᲠᲔᲞᲔᲠᲛᲐ ᲫᲕᲐᲚᲛᲐ ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ?.. 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• ᲧᲐᲩᲐᲚᲗᲐ ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲘ — ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲓᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ 13
• ᲨᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ 15
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘ — ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲘᲓᲝ ᲒᲐᲖᲐ ᲨᲐᲩᲣᲚᲘᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲐ ᲙᲘᲬᲛᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ 16
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲛᲔᲢᲘᲩᲐᲠᲐ“ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲥᲗᲐ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ ᲐᲜᲣ — „ᲘᲡ“ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲐ ᲔᲜᲐ — ᲒᲠᲫᲔᲚᲘ 18
ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ
„ᲠᲣᲮᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲘ“ — ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲜᲘ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔᲨᲘ ᲔᲠᲔᲕᲐᲗ 23
ᲗᲔᲛᲐ
ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ 25
ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ
ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲐᲚᲑᲝᲛᲘᲓᲐᲜ 29
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 30
ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ
ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔᲑᲘ — ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲑᲣᲨᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 30
ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ
ᲜᲐᲜᲙᲐ ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲔᲡ 32
ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲪᲮᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ... (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 33
ᲢᲐᲘᲛ-ᲐᲣᲢᲘ 36
ᲠᲝᲛᲐᲜᲘ
ᲖᲐᲖᲐ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ. ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 38
ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ 43
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲜᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘ „ᲑᲘᲩᲝᲙᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ 45

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ

„1991 ᲬᲔᲚᲡ, ᲣᲬᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ, ᲡᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲙᲔᲢᲘᲚᲘᲐ. ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲕᲘᲪᲧᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲡᲘᲜᲓᲘᲡᲝᲐ ᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲔᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲐ. ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲑᲠᲣᲜᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲬᲐᲒᲕᲐᲠᲗᲕᲐ, ᲒᲐᲐᲥᲘᲠᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲯᲘᲑᲔᲡ ᲘᲡᲥᲔᲚᲔᲑᲡ... ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲗᲔᲚᲔᲗᲘᲪ ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲠᲩᲘᲗ ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ“...

25

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲭᲠᲐ ᲠᲔᲞᲔᲠᲛᲐ ᲫᲕᲐᲚᲛᲐ ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ?..

— ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲪᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ? — ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲘ, „ᲑᲐᲙᲔᲑᲡ“ „ᲒᲐᲮᲔᲕᲓᲐ“ ᲮᲝᲚᲛᲔ.

11



ᲡᲐᲜᲐᲛ ᲪᲮᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ...

„ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲔᲗ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲘᲩᲜᲓᲐᲗ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ?

�პᲐᲡᲣᲮᲘ: ᲐᲠ ᲕᲣᲐᲠᲧᲝᲤ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲡ ᲐᲠ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲝᲓᲘ.

33

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ..

„ᲛᲔ ᲕᲘᲪᲧᲝᲓᲘ — ᲯᲝᲑᲡ ᲒᲕᲘᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲨᲔᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲝᲗ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲬᲠᲘᲜᲓᲔᲗ“.

16

ტაძარი

ღვთისმშობლის – „შენ ხარ ვენახის“ ხატი და მისი ძალითა და მადლით აღსრულებული სასწაულები 46

თეთრი ლაქები

ვარაუდები, ვერსიები და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები ივანე მაჩაბლის გაუჩინარების გამო 48

მუნდიალი 50

კონსტრუქტორი

„ვიკო“ – რკინაზე მაგარი პლასტმასის „ქართული“ „ფერარი“ 52

ვარსკვლავი

რატომ უფრთხიან მამაკაცები ჯესიკა ალბას? 54

გომონდი 56

ოთხფეხა მეგობარი

ექვსი თვის წინ დაკარგული ფარა ნაგაზებმა გადაარჩინეს 57

ავტო 59

გესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 60

შოუბიზნესი 64

სცენის მიღმა

მსახიობის მუღამი, მსუბუქი ფლირტი და „ქვა-ქალები“ 65

ასპარეზი

გივი ნოდია – ალოგიკური გოლების დიდოსტატი 66

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი

კვირის (22-28 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი

როგორი დამოკიდებულება გაქვთ სექსისადმი? 70

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქუჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-50-03 email: gza@kvirispalitra.com

ჩუბინიძეები – ამერიკაში, გუში – საქართველოში

ჰერცოგისა და კავარადოსის პარტიების წარმატებით შესრულებას, მონრეალის მუსიკალურ ფესტივალზე გამარჯვება მოჰყვა, რამაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

30

რატომ უფრთხიან მამაკაცები ჯესიკა ალბას?

„მორცხვ არსებას“ მსახიობობის სურვილი საკმაოდ ადრე – 5 წლის ასაკში გაუჩნდა. ან კი რომელი ბავშვი არ ოცნებობს მსახიობობაზე...

54

ექვსი თვის წინ დაკარგული ფარა ნაგაზებმა გადაარჩინეს

საგანგებოდ გამოყვანილი საბრძოლო ჯიშის ძაღლები კი, ჩხუბის დროს, წესებს არ ცნობენ. მათი ჩხუბი სასტიკ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას ჰგავს.

57

ვეღური ნაბღის ხეივანი

თეონა გაიქცა და კარი გამოაღო. ზღურბლთან მისი მამა, ნიკა იდგა, რომელსაც თეონა მხოლოდ ფოტოებზე ენახა... იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ...

სიჩუმე ისევ კაცმა დაარღვია:

– შენ რა გქვია? – ჰკითხა მან გოგონას.

– თეონა, – უპასუხა გოგონამ და ტუჩი მოიკვნიტა.

– მე მამა ვარ შენი, ნიკა... – დამნაშავესავით ჩაილაპარაკა კაცმა.

თეონა ერთ წამს გაჩუმდა, მერე კი მთელი ხმით იყვირა:

– მა-მაა! მამა დაბრუნდა-ა!!!

38

ჩვენი „პრეზიდენტი" დიმიტრია ობოლაძე

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატიც ქართველების გარეშე მიმდინარეობს (არ დაგვპატიჟეს და ხომ არ შევეტენებოდით!), საქართველო დღეს მხოლოდ ფეხბურთით ცხოვრობს, ხალხის სულიერი საზრდო ფეხბურთია, მარჩენალი — ტოტალიზატორი. ამიტომ სულ აღარ აინტერესებს, რა ხდება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რომ არა მსოფლიო ჩემპიონატი, ჩვენი ოპოზიცია ისეთ ლუკმას გაუშვებდა ხელიდან, როგორიც მკურნალობის გაძვირებაა? მარტო ლეიბორისტთა ლიდერმა გამართა ერთი პრესკონფერენცია და ამით მიჩუმდა ყველაფერი. არადა, ასეთ შანსს მართლაც რომ იშვიათად იძლევა ჩვენი ხელისუფლება. ალბათ, მათაც გაითვალისწინეს ფეხბურთზე გადატანილი ყურადღება და ექიმთან სამკურნალოდ ვიზიტის ფასები ერთიორად გაზარდეს. მოკლედ, თითის ტკივილით რომ მიხვიდე ექიმთან, ისეთ ფასს დაგიხეთქებს, რომ გულიც გაგიხდება სამკურნალო და ნევროზიც მოსარჩენი. ასე რომ, „ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: მკურნალობა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის"...



სამაგიეროდ, პენსიონერებს დაუდგათ „კარგი დრო". მთავრობამ გაამარტივა აქამდე არსებული პირობები და ბანკში მისულ პენსიონერს კომუნალური გადასახადების გადახდაც იქვე შეუძლია. ამას ჰქვია ხალხზე ზრუნვა: ერთ „ფორთოჩკაში" აიღებ პენსიას, მეორეში დატოვებ და წახვალ სახლში შემდეგი პენსიის აღებამდე ვალმოხდილი და ჯიბეცარიელი.

სად არის ამ დროს ოპოზიცია, ფეხბურთისთვის სცალია?! მანამდე იმაზეც ხომ კარგად ყვიროდნენ, ჯერ არჩევნების თარიღი არ დანიშნულა და თბილისის მერმა უკვე საარჩევნო კამპანია დაიწყოო. რა მერე?! დაიწყო ფეხბურთი და ჩაჩუმდნენ. გინდა კამპანია დაარქვი და გინდა — „ჯარში გაცილება", აკეთებს ის კაცი ამასობაში საქმეს. სანამ თქვენი მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდება, მერმა მართლა რომ გააწალკოტოს თბილისი, „ხომ დავიღუპეთ" და ისაა! მერე რაღა დროსი იქნება ყვირილი და პროტესტი?!

ისე, კარგი იქნება, თუ საარჩევნო შტაბებს სახელს შევუცვლით და ფან-კლუბებს დავარქმევთ. გაიხსნება მერობის კანდიდატების — ნათელაშვილის ფან-კლუბი, დავითაშვილის ფან-კლუბი და ა.შ. ხომ ხედავთ, რომ არჩევნებზე კაციშვილი არ დადის და ფან-კლუბები სავსეა ყველა ასაკის ადამიანებით. დარბიან დროშებით, მაისურებით, პლაკატებით და რას არ აკეთებენ. ასეთი მხარდაჭერა არჩევნებს რომ ჰქონდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

პრეზიდენტი ნატოში შესვლაზე წვალობს, ხალხი კოტ-დ'ივუარს უჭერს მხარს — ესაა ქვეყანა?! ვინ უსმენს პრეზიდენტს? ჩვენი „პრეზიდენტი" ახლა დიმიტრია ობოლაძე. მის ერთ დაძახებაზე — „ქუდზე კაცი და მანდილზე ქალი" გამოდის ამა თუ იმ ქვეყნის მხარდასაჭერად. ღამეს ათენებენ იტალიის და ესპანეთის ისეთი ფანები, რუკა რომ ათხოვო ერთი კვირით, ვერ იპოვიან, სადაა იტალია და ესპანეთი. სამაგიეროდ, გულზე მჯიღის ცემით გაყვირიან, ჩვენ მაგრები ვართ და ოქროს თასი ჩვენიაო... ოქროს თასი კი არა, იმ ერთი ბოთლი ლუდის ნისია ვერ გაგისტუმრებია ჯიხურში, მაგ თამაშის ყურებისას რომ დაცალე. რა გეფანატება, ქვეყანა გენგრევა თავზე!..

თუმცა რატომ, კარგია: ჯერ გულშემატკივრობა ვისწავლოთ და მერე იქნებ, ფეხბურთის სწავლაშიც დაგვადგეს საშველი...

P.S. *ფეხბურთის ორი „ფანის" დიალოგი:*

— ვის „ბალელშჩიკობ"?

— ხომ ხედავ, ყვითელი „მაიკა" რომ მაცვია, „იასნია" — ესპანეთს.

— მეც ესპანეთის ფანი ვარ. უეჭველი ჩემპიონები ვხდებით.

— აბა რა, სადაა ევროპელების მოსაგები ფეხბურთი?..

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროვოკატორი

„ტელეკომპანიის სანაცვლოდ, გარკვეულ თანხასაც მთავაზობდნენ...“

— სახელისუფლებო პარტიის ყოფილ წევრს, ოპოზიციის წარმომადგენლები გიცავდნენ. რატომ განაწყენდა თქვენზე უმრავლესობა და კონკრეტულად ვისთან გქონდათ დაპირისპირება?

ბადრი ნანეტაშვილი, *პარლამენტის ყოფილი წევრი:*

— ამ დღეების განმავლობაში ბევრი დეპუტატი მეუბნებოდა, რომ სულითა და გულით მხარს მიჭერდა, მაგრამ ღიად ამას ვერ გამოხატავდა. ეს რომ გაეკეთებინათ, ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, ამიტომ მშვენივრად მესმის მათი. ვერავინ დამიმტკიცებს, რომ პარლამენტში მისვლისთანავე, სამეწარმეო საქმიანობას არ ჩამოვშორდი. იმ დღიდან, რაც დეპუტატის მანდატი ავიღე, ტელეკომპანია „თრიალეთის“ მმართველობა ჩემს ძმას გადავაბარე. გიგა ბოკერიამ პირდაპირ განმიცხადა — „თრიალეთის“ მიერ მომზადებული გადაცემები არ მომწონსო. ოქრუაშვილის დავალებით კი, ამ ტელეკომპანიის სანაცვლოდ, გარკვეულ თანხასაც მთავაზობდნენ. ჩემ მიერ შექმნილი კომპანიის ხელში ჩაგდება სურთ. ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება და ალბათ, ამიტომაც გააქტიურდნენ. თუ პოზიციებს არ დავთმობდი, ნადირაძე, ბოკერია და კირკიტაძე მემუქებოდნენ. ჩემთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა, სრულიად უკანონო გადაწყვეტილებაა, ამას პარლამენტართა დიდი ნაწილიც კარგად აცნობიერებს, მაგრამ ხათუნა გოგორიშვილის სიტყვას ვინ გადაეღობება?! ჩემ მიმართ განხორციელდა პოლიტიკური დევნა. ვთქვათ, ნანეტაშვილის სამეწარმეო საქმიანობის გამო ეჭვები გაუჩნდათ და თუკი საქმეები ბიზნესისა და დეპუტატობის შეუთავსებლობას ეხება, რატომ სხვა პარლამენტარების საქმეებს არ სწავლობენ?! ხომ ყველამ კარგად ვიცით, ვინ უთავსებს ბიზნესს და დეპუტატობას ერთმანეთს! პარლამენტის მხრიდან ასეთი ქმედებები უბრალოდ, სამარცხვინოა. ■

„....რაიმე ახალ ნორმას არ ვიგონებთ“

— თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ დაგეგმილი კონკურსები საკადრო წმენდას, თანამშრომელთა შემცირებასა და უნივერსიტეტში ლომაიას კადრების მოყვანას ისახავს მიზნად. როგორია თქვენი პასუხი ამ ბრალდებებზე?

გია ხუბუა, *უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი:*

— ამ კონკურსის ძირითადი იდეა, გამჭვირვალე და სამართლიანი გზით ღირსეული პროფესურის შერჩევაა, რომელიც სწავლის პროცესსა და სამეცნიერო კვლევებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად წარმართავს. სახელმწიფო უნივერსიტეტში არც ლომაიას კადრები მოვლენ და არც ხუბუასი — ყველა ადგილი ისევ უნივერსიტეტის კადრებით შეივსება. მე ამის გარანტიას ვიძლევი. ჩემი ოპონენტები რატომღაც ფიქრობენ, რომ დღეს ამ სასწავლებელში დასაქმებული თანამშრომლების აკადემიურ თანამდებობებზე ავტომატურად გადაყვანა უნდა მოხდეს. კანონის ნორმის, ასეთი ინტერპრეტირება არასწორია. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა თავად განსაზღვრავს გადაყვანის წესს. ჩვენ ამ მხრივ რაიმე ახალ ნორმას არ ვიგონებთ, ეს უნივერსიტეტის თანამშრომელთა შერჩევისა და აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის აპრობირებული წესია. დღეს, უნივერსიტეტში 6 ფაკულტეტია; 2 ფაკულტეტზე, ჯერ კიდევ რუსუდან ლორთქიფანიძის დროს, კონკურსი უკვე ჩატარდა, ამ კონკურსის შედეგები ძალაში დარჩება. რაც შეეხება დეკანთა არჩევის საკითხს — ის ფაკულტეტების საბჭოების ჩამოყალიბების შემდეგ გადაწყდება და ეს პროცესიც ღია კონკურსის წესით ჩატარდება. თვის ბოლომდე, ჩამოყალიბდება აგრეთვე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომელიც უკვე უნივერსიტეტის რექტორს აირჩევს. ■

„ხელისუფლება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისგან საფრთხე არ ელოდება...“

— 10 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადა ეწურება. თქვენი ინფორმაციით, ვის კანდიდატურას განიხილავენ ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე?

დავით უსუფაშვილი, *რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე:*

— როდესაც კონსტიტუციაში ცვლილება მოხდა და მოსამართლეთა ასაკი 35-დან 30 წლამდე შემცირდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს ნოვაცია ნიკა გვარამიასთვის შემოიღეს, რომელსაც მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნავდნენ. თუმცა, გვარების დასახელება მაინც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. შესაძლებელია, ვინმე ახალი მოიყვანონ, რომელიც აკმაყოფილებს ხელისუფლების ცნობილ „პარამეტრებს“: ხელისუფლება დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს, რომ ამ თანამდებობაზე მყოფი პირისგან პოლიტიკური საფრთხე არ ელოდება. ხელისუფლების მთავარი კრიტერიუმი, მორჩილებაა. ახალი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისთვის უპირველესი საზრუნავი, ხელისუფლების ნების აღსრულება უნდა იყოს, ამის შემდეგ — კონსტიტუციის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჩემი აზრით, მოსამართლეთა ასაკიც ამის გამო შეამცირეს: რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი, მით მეტი შანსია იმისა, რომ შეთავაზებული თანამდებობით მოიხიბლოს და სკამის შესანარჩუნებლად, რაღაც ჯგუფს დაემორჩილოს. ვისურვებ, ჩემს პესიმისტურ პროგნოზში შევცდე და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ, მიუკერძოებელი და გამოცდილი იურისტი ვიხილო. თუმცა, ფაქტია, რომ საქართველოში საკადრო გადაწყვეტილებების მიღება სწორედ იმ ნიშნით ხდება, რომელზეც წელან მოგახსენეთ. ■

„რეფერენდუმი ვის უნდა ჩაუტარონ – რუს ჯარისკაცებს?..“

— რუსეთის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილს აფხაზეთში რეფერენდუმის ჩატარებას ურჩევს. რას ფიქრობთ იმ ანალოგიაზე, რომელიც ამით პუტინმა ჩეჩნეთსა და აფხაზეთს შორის გააკეთა?

ხიზრი ალდამოვი, *ჩეჩნეთის დიასპორის წარმომადგენელი:*

— პუტინის მხრიდან, ჩეჩნეთში ჩატარებულ რეფერენდუმზე ლაპარაკი — ცინიკოსობაა. როცა იქ რეფერენდუმი ჩატარდა, ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქვეყნიდან იყო გახიზნული და ასეა დღესაც. მსგავსი სიტუაციაა აფხაზეთშიც: ამ ტერიტორიიდან 300 ათასი დევნილია წამოსული. პუტინისეული რეფერენდუმი ვის უნდა ჩაუტარონ — რუს ჯარისკაცებს თუ სეპარატისტების პატარა ჯგუფს?!. ჩემი აზრით, აფხაზეთისა და ჩეჩნეთის ერთ სიბრტყეზე განხილვაც არ შეიძლება, ცალკეული ფაქტორების გამო. გარდა ამისა, როცა სახელმწიფოს პირველი პირი, რაღაც მოდელს გთავაზობს, ეს მოდელი აპრობირებული და წარმატებული უნდა იყოს. ჩეჩნეთის მაგალითი იდეალურ ვარიანტად ნამდვილად არ გამოდგება, რადგან ამ ტერიტორიაზე პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. შესაძლებელია, ამ რჩევით, რუსეთი საქართველოს მახეში გაბმას ცდილობს, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევას გულისხმობს. ■

„ბორჯომი 2014“ – ოლიმპიადის მასპინძლობის როგორი შანსი გვაქვს

— რამდენიმე დღეში გადაწყდება, მისცემენ თუ არა საქართველოს, ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის შანსს. როგორია თქვენი პროგნოზი?

ვაჟა შუგლაძე, *ოლიმპიური თამაშების საგანაცხადო კომიტეტის მენეჯერი:*

— საქართველოს გარდა, კანდიდატობაზე პრეტენზია 6 სახელმწიფოს აქვს. ბორჯომ-ბაკურიანს ებრძვიან: ავსტრიაში — ზალცბურგი, ესპანეთში — ხაკა, რუსეთში — სოჭი, ბულგარეთში — სოფია, სამხრეთ კორეაში — პიონჩა და ყაზახეთში — ალმა-ათა... მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პროექტი — „ბორჯომი 2014“, ყველა შემთხვევაში საქართველოს განვითარებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება გამარჯვების შანსს — ჩვენი პირველი პლუსი ის არის, რომ საქართველოში ოლიმპიადის ჩატარების შემთხვევაში, მსოფლიოში გაფართოვდება ოლიმპიზმისა და ზამთრის საერთაშორისო სპორტული ცენტრების შექმნის გეოგრაფია. ამ ფაქტორს ოლიმპიური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ძალზე ცოტაა ზამთრის კურორტი, ისეთი პირობებით, როგორიც ბორჯომის რაიონშია. ამას ყველა უცხოელი ექსპერტი აღნიშნავს. ჩვენი პროექტის ნაკლი კი ის არის, რომ საგანაცხადო პროცესში ყველაზე მცირე ბიუჯეტი გვაქვს. ჩვენი ხარჯები 2 მლნ-ის ფარგლებშია — მაშინ, როცა ალმა-ათის პროექტში 20 მლნ-ია ჩადებული, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ქვეყნებზე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს იმასაც, თუ რამდენად აქტიურობს ხელისუფლება პროექტის წინ წასაწევად. ნაზარბაევმა განაცხადა — ალმა-ათის მხარდაჭერის შემთხვევაში, სახელმწიფო ამ პროექტში მილიარდობით დოლარს ჩადებსო. სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ამ საკითხისთვის ვერ მოიცალა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველო კანდიდატთა ჩამონათვალში რომ მოხვდეს, ხელისუფლების მხარდაჭერაც გაათმაგდება. ■

„თუ კავკასიის „არტერიას“ რუსული გავლენისგან გაწმენდენ...“

— ბატონო რამაზ, რითი აიხსნება ამერიკელების გააქტიურება აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში: თეთრი სახლის წარმომადგენლები სოხუმს სტუმრობენ, დაიგეგმა პრეზიდენტ ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრაც?..

რამაზ სანჭარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— ჩვენ ამერიკის ასეთ გააქტიურებას დიდი ხანია, ველოდებით. სტრატეგიული პარტნიორი წლების განმავლობაში გვპირდებოდა, რომ კავკასიას დაეხმარებოდა კონფლიქტების მოგვარებაში, მაგრამ დღემდე საეჭვო იყო, რომ ის რუსეთისთვის მტკივნეულ წერტილებზე ზემოქმედებას მოახერხებდა. როდესაც აშშ-ის ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება, რომ ჩაერეოდა ამ პროცესებში, მოსკოვის საპასუხო რეაქცია ასეთი იყო: ამერიკა შორსაა, რუსეთი — ახლოსო.. მათ უკვე დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია — ის, რომ უბრძოლველად არ აპირებენ კავკასიის დათმობას. დღესდღეობით, თავად ამერიკას ძალზე ბევრი პრობლემა აქვს: დაუმთავრებელი ომი ერაყში, ავღანეთი... როგორც ჩანს, ამ ფონზე, რესპუბლიკელები ცდილობენ, რაღაც პოზიტიური მაინც ჩაიწერონ მომავალი არჩევნებისთვის. თუ ისინი კავკასიის „არტერიას“ რუსული გავლენისაგან საბოლოოდ გაწმენდენ და კონფლიქტების მოგვარებასაც შეძლებენ, ეს ბუშის ადმინისტრაციისთვის დიდი მიღწევა იქნება. 2 წლის წინ, ვარდების რევოლუცია აქტუალური იყო, მაგრამ ახლა აშშ-ს, ჩვენს რეგიონში კიდევ უფრო მომგებიან პოზიციებზე გასვლა მოუწევს. ეს არის ამერიკელთა მცდელობა, მიაღწიონ წარმატებას კავკასიაში გამავალ სატრანზიტო ხაზზე. შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის გამოცოცხლების პარალელურად, ათმაგად გააქტიურდა რუსეთიც. ამ ეტაპზე, რამდენად რეალურია ამერიკელთა ჩანაფიქრის განხორციელება, — ძნელი სათქმელია. ■

მოამზადა
ხათუნა მაღრაძემ

...ეხუ, ვინ დაჯაჩავ ბივი?..

რუსუდან ლებანიძე

სანამ საქართველოს ხელისუფლება პარტიზანივით „დუმს“, ჩვენი ექსპერტები და პოლიტოლოგები კი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორის შეცვლის მიზეზებზე თავგამოდებით „მკითხაობენ“, ამერიკულ პრესაში ჩნდება პუბლიკაციები, რომლებსაც, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ამ საკითხშიც შეაქვს მცირეოდენი სიცხადე. თუმცა, ერთ-ერთი ასეთი პუბლიკაციის თქვენთვის გაცნობამდე, ამ ცოტა ხნის წინ რუსულ პრესაში „გამკრთალ“ რეპლიკასაც გაგაცნობთ: „უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე, საქართველო საგრძნობლად მიუახლოვდა სანუკვარ დამოუკიდებლობას... მაგრამ მან ისე მკვეთრად და ცალსახად გაწყვიტა ურთიერთობა რუსეთთან, გამოაძევა რუსი მშვიდობისმყოფლები და გზა გაუხსნა ამერიკელ დამკვირვებლებს, რომ ვადამდე ბევრად უფრო ადრე „გაამართლა“ მასზე დამყარებული „ყველა იმედი“. ამიტომაც, მის მიმართ ინტერესიც ისევე მალე დაიკარგა, როგორც იოლად ხელმისაწვდომი ქალისადმი... თუმცა, ამერიკა საქართველოს ბოლომდე მაინც არ უშვებს, ნატოში შესვლის პერსპექტივით აბრუებს და თითზე იხვევს...“

ახლა კი, ამერიკულ პუბლიკაციას დავუბრუნდეთ.

პუტინის წინაშე ქედმოხრილნი

(The Washington Post, აშშ)

ვლადიმირ პუტინმა კიდევ ერთი თვე უნდა მოიცადოს, სანამ სანქტ-პეტერბურგის „დიდი რვიანის“ სამიტზე, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი დემოკრატიული ლიდერების მასპინძლის სანუკვარ როლს შეასრულებს. მაგრამ, როგორც ჩანს, თავის ძირითად მიზანს — რუსეთის ავტოკრატიული საშინაო და მეზობლების მიმართ იმპერიალისტური დაშინების საგარეო პოლიტიკაზე „დიდი რვიანის“ სერიოზული რეაქციის თავიდან აცილებას — პრაქტიკულად უკვე მიაღწია.

ორიოდე თვის წინ, დასავლელი ჩინოვნიკები კონფიდენციალურად დებდნენ პირობას, პუტინს სამიტის ვარსკვლავად ქცევის საშუალებას არაფრით მივცემთ, რადგან ის სხვა წამყვანი ქვეყნების პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების ტოლი და სწორი არ არისო. ბუშის ადმინისტრაციის დაჟინებული მოთხოვნით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და დღეს უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების — უკრაინის, საქართველოსა და მოლდავეთის საქმეებში რუსეთის ჩარევის საკითხი სამიტამდე დაგეგმილი წინასწარი შეხვედრების პროგრამაში ჩართეს. ამერიკელმა დიპლომატებმა კი, ნატოს პირდაპირ მოსთხოვეს — ამ გზაფხულზე ალიანსში საქართველოსა და უკრაინის გასაწევრებლად, პირველი ნაბიჯები გადაედგა.

მაისში ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ პუტინი ბელორუსიასა და უზბეკეთში დიქტატურების მხარდაჭერის, შანტაჟის მიზნით, ენერგომატარებლების გამოყენებისა და რუსეთში დამოუკიდებელი ოპოზიციის შევიწროებისთვის მკაცრად გააკრიტიკა, პრეზიდენტმა ბუშმა კი, სანქტ-პეტერბურგამდე კიევში შევლა და რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილი უკრაინის პროდასავლელი პოლიტიკოსების მხარდაჭერა გადაწყვიტა.

მაგრამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში, პუტინის მიმართ დასავლეთის წინააღმდეგობამ საგრძნობლად იკლო. ახლახან, ნატოს წევრი ქვეყნების მინისტრების შეხვედრაზე, საფრანგეთმა და მთელმა რიგმა სხვა ქვეყნებმაც საქართველოსთან „დიალოგის გაღრმავებისა“ და ალიანსში უკრაინის შესვლის „მოქმედების გეგმის“ ამერიკული პროექტები უარყვეს. ამას ვერც იმ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ მანამდე, ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის აქტიური მხარდაჭერით გამართულმა დემონსტრაციებმა ნატო აიძულა, იქიდან ამერიკელი ფეხოსნები გამოეყვანა. შემდეგ, თერთმა სახლმა უკრაინაში ბუშის ვიზიტის გადადების თაობაზეც გამოაცხადა, რაც იმით ახსნა, რომ „უკრაინის პროდასავლურ პარტიებს ახალი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად შეთანხმების უნარი არ შესწევთ“.

ამასობაში, ჩეინის გამოსვლას ნეგატიური რეაქცია, მოსკოვის გარდა, დასავლეთ ევროპაშიც მოჰყვა, სადაც ის პროვოკაციულობისთვის აშკარად გააკრიტიკეს. რაც შეეხება რუსეთის ნეოიმპერიალიზმს: ბუშის ადმინისტრაციის ჩინოვნიკები აცხადებენ — მომავალ კვირაში დაგეგმილი, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დღის წესრიგში, საქართველოსა და მოლდავეთის საკითხის ჩასმას უწინდებურად ვცდილობთ, მაგრამ წარმატების იმედი არ გვაქვსო. „ჩვენ ჩიხში მოვექეცით — აცხადებს გარდამავალი დემოკრატიების პროექტის ხელმძღვანელი, კონსერვატორი ბრიუს ჯექსონი, — რუსეთი უფრო აგრესიულად და აზრიანად თამაშობს და გვიგებს კიდეც“.

პუტინის უძლიერეს ნაბიჯად, ირანის ბირთვული პროგრამის გაყინვასთან დაკავშირებული, დასავლეთის მცდელობების მხარდაჭერა იქცა. ამ მხარდაჭერის სანაცვლოდ კი, გაეროს უშიშროების საბჭოს იმ რეზოლუციის მიღების გადავადებას მიაღწია, რომელიც აღნიშნული პროგრამის შეწყვეტის მოთხოვნას ითვალისწინებდა. მან ასევე შეძლო, ირანის საწინააღმდეგოდ სანქციების საკითხში რუსეთსა და დასავლეთს შორის მოსალოდნელი განხეთქილების თავიდან აცილება. სანამ მოსკოვი თავის ყველაზე მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ ინიციატივებს ახორციელებს, ბუშის ადმინისტრაცია ჩეინის მიერ ხაზგასმული საკითხების წამოწევასაც კი ველარ ბედავს. თუმცა, ჩინოვნიკები მაინც ჯიუტად ირწმუნებიან — ჩვენ ეს საკითხები არ დაგვვიწყებიაო.

პუტინის შეუპოვრობამ წარმოშვა მიდგომა, რომელსაც ამერიკელი ჩინოვნიკი ერთი სიტყვით — „დაშოშმინება“ — განსაზღვრავს. მაღალი თანამდებობის ევროპელმა მოხელემ კი, ეს ლოგიკა შემდეგნაირად ახსნა: „უახლოეს მომავალში, ევროპული ქვეყნების ეკონომიკა კვლავ რუსეთის ენერგომატარებლებზე იქნება დამოკიდებული. ეს ენერგომატარებელები მიუწვდომელი აღმოჩნდება, თუ უახლოეს წლებში, რუსეთი უზარმაზარ ინვესტიციებს არ განახორციელებს და თავის ნავთობისა და გაზის გასაღების ბაზრად, ჩინეთს, ისევ ევროპას არ ამჯობინებს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოსკოვის მძლავრ ცენტრს ისე დავუჭიროთ მხარი, რომ აუცილებელი ინვესტიციებიც ჩაიდოს და ენერგომატარებლების მიწოდებაც ჩვენთვის კვლავ ღია დარჩეს...“

ევროპელების ასეთი სისუსტის ფონზე, ჩანს, ამერიკელი ჩინოვნიკებიც შეეგუვნენ იმ აზრს, რომ მოახლოებულ სამიტზე პუტინი აღორძინების გზაზე შემდგარი სუპერსახელმწიფოს მმართველის როლს მოირგებს. ქართველები და მოლდაველები კი, მხოლოდ შორიდან თუ შეხედავენ, როგორ გულმოდგინედ შესვამენ დასავლელი ლიდერები, პუტინის კარგად ყოფნის სადღეგრძელოს. თანაც, მისი ხელისუფლების მიერ ქართული და მოლდავური ღვინოების აკრძალვასა და ამ ქვეყნების ტერიტორიებზე სეპარატიზმის მხარდაჭერაზე სიტყვსაც კი არ დაძრავენ... რაც შეეხება რუს დემოკრატებს — თუ გაუმართლათ, მოსკოვში საშუალო რანგის ამერიკელ ჩინოვნიკებთან შეხვედრით დაკმაყოფილდებიან.

სანამ დიდი და პატარა ქვეყნების დიდი და პატარა პოლიტიკური ლიდერები ლამის, მსოფლიო პანაცეად შერაცხული, „დიდი რვიანის“ შეხვედრის მოლოდინში იმყოფებიან, რიგითი ადამიანები ერთმანეთთან დასაბრუნებე-

ვლადიმირ პუტინმა კიდევ ერთი თვე უნდა მოიცადოს, სანამ სანქტ-პეტერბურგის „დიდი რვიანის“ სამიტზე, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი დემოკრატიული ლიდერების მასპინძლის სანუკვარ როლს შეასრულებს

ლი გზებისა და ჩატეხილი თუ უკვე ბოლომდე ჩამწვარი ხიდების, საკუთარი ძალით აღდგენას ცდილობენ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მცდელობას წარმოადგენს მოსკოველი ჟურნალისტის — ელენა იამპოლსკაიას სტატია, რომელსაც მართალია, შემოკლებით, მაგრამ დიდი სიამოვნებით გთავაზობთ...

გივი, რომელიც ერთად დავკარგეთ...

(„Èçâåòèÿ“, რუსეთი)

თბილისში ახლა ცხელა. ეს მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა და არა პოლიტიკური მეტაფორა: შუადღისთვის, თერმომეტრი 35 გრადუსს „ურტყამს“, ნასადილევს კი, ფეხქვეშ ასფალტი დნება. თუმცა, „ნასადილევს“ უკვე ნამდვილად მეტაფორაა. იმიტომ, რომ თბილისელები სადილად მხოლოდ მას შემდეგლა სხდებიან, რაც მზე მთაწმინდას მიეფარება. რესტორნები გვიან ღამემდე ისეა გადაძეძგილი, რომ მათ მისადგომებთან ჩამწკრივებულ ძვირად ღირებულ უცხოურ ავტომანქანებს შორის, წვალებითღა თუ „შეეკვეხები“. ქალაქი ლამაზად ქეიფობს, ლამაზად მღერის, ერთი სიტყვით, დროს ატარებს...

ერთადერთი, რასაც თბილისელები დღემდე ვერ იტანენ, სანთლების შუქზე ვახშმობაა, იმიტომ, რომ უშუქობა და სანთლები ყელში აქვთ ამოსული. მართალია, დღევანდელ თბილისში შუქი პრატიკულად აღარ

ქრება, მაგრამ მის პაწაწინა, დაბომბილივით აყრილ-დაყრილ ქუჩებში ღამღამობით მაინც ისეთი უკუნი სიბნელეა, რომ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს. სამაგიეროდ, ცენტრია გაჩახჩახებულ-„გაშადრევნებული“. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხომ თბილისში 46 (სხვა მონაცემებით კი, სულაც 48) შადრევანი აშენდა.

ისე, „ზემოდან“, წამოსული „მადლის“ მცირედი ნაწილი გარეუბნებსაც მოეცხო. მრავალსართულიანი სახლების პირველი რიგები, რომლებიც ქალაქში ჩამობრძანებულ ბატონებს თვალში ხვდებათ, უცნაურ ფერებად — მუქი სტაფილოსფრით დაწყებული და განმგმირავი ლურჯით დამთავრებული — შეღებეს. მათ შემხედვარეს, ფილმ „მიმინოს“ პალიტრამომარჯვებული სულგრძელი მღებავი მახსენდება: „უფროსო, იქნებ, ეს კოლორი აჯობებდა?“ — თავმდაბლად რომ კითხულობს...

თბილისი კონტრასტებისა ქალაქია... საოცარია, მაგრამ აქაც არიან მეცენატები, რომელთა წყალობითაც ამ, ყველაფრისდა მიუხედავად, მაინც „გადახუნებულ“ ქალაქში ნამდვილი კეთილდღეობის ოაზისებიც კი ჩნდება. სწორედ ასეთი ოაზისია მრავალწლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ გახსნილი, ლეგენდარული რუსთაველის თეატრიც. მას ახლა სასცენო ტექნიკის ბოლო მიღწევების მიხედვით აღჭურვილი სამი — 800, 300 და 200-ადგილიანი დარბაზი, მოოქრული ჭაღები, ხელით მოხატული ჭერი, სუდეიკინის რესტავრირებული ფრესკები, 35 საგრიმიორო (თავ-თავიანთი საშხაპეებით) და მსახიობებისთვის განკუთვნილი სატრენაჟორო დარბაზი აქვს... მოსკოვში ხომ მსგავსსაც კი ვერაფერს ნახავთ...

არ მინდა, ჩვენი მეგობრობის გარდაცვალების მოწმე გავხდე. ჩვენ ერთად უნდა ვიპოვოთ გივი, რომელიც ერთადვე დავკარგეთ...

ქართველები ირწმუნებიან — ის, რომ რუსეთში უხარისხო ღვინის გარკვეულ პროცენტს ვყიდდით, მარტო ჩვენი ბრალი როდიაო. მართლაც და, თუ ასეთი ღვინო საქართველოდან შევიდა, რუსეთში ხომ ვინმეს უნდა მიეღო და განებაჟებინა?! თუმცა, „გვწამლავდა“ — ცოტა გადამეტული ნათქვამია. ძალიან მინდა იმ ადამიანის ნახვა, ვინც რუსული „სამოგონის“ ქვეყანაში, ქართული ღვინისგან თუნდაც, უქეიფოდ შეიქნა. რაც შეეხება პესტიციდებს — ამ მხრივ, ასაღლვებელი საერთოდ არაფერია: საქართველოში პესტიციდები ძალზე ძვირია და გლეხებს მათზე ხელი არ მიუწვდებათ... პირადად მე, ძალიან მიყვარს ქართული ღვინო და ამიტომაც, გულწრფელად მიკვირს, რატომ უნდა ვყიდულობდე ვთქვათ, „საფერავს“ დახლს ქვემოდან. ეს ხომ მხოლოდ მამცირებს, გამყიდველს კი ძალიან ანერვიულებს. თუმცა ამჯერად, გამიმართლა და თბილისიდან ხელცარიელი არ წამოვსულვარ. იქ ნაყიდი ღვინო ცოტა ხანს ნამდვილად მეყოფა. მერე კი, ალბათ ემბარგოსაც გააუქმებენ...

ოდესღაც, საქართველო და რუსეთი რა თქმა უნდა, — ანგარებით, მაგრამ მაინც, არც მთლად უსიყვარულოდ „დაქორწინდნენ“. ერთად გატარებული 200 წელი ხომ 4 „ოქროს ქორწილია“!.. ამ ხნის მანძილზე, წყენაც ბევრი დაგროვდა და ალბათ, ერთმანეთისგანაც ძალიან დავიღალეთ. საქართველოს განქორწინება სურს და შემდგომში, ამერიკასთან ცხოვრებაზე ოცნებობს. ამერიკა ძალიან ახალგაზრდაა — სულ რაღაც 200(!) წლის... ჯიგიტი თავისუფლების ქანდაკებას გულს, ხელს და ხმალს უწვდის. მაგრამ არ ესმის, რომ ამერიკელის შეგნებაში საქართველო, ვთქვათ, ეთიოპიისგან არაფრით განსხვავდება. შეიძლება, ვიღაცამ ბნელეთის მოციქულ ჯაშუშად მომნათლოს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ რუსებმა ვიცით, რას წარმოადგენს საქართველო, ამერიკელებმა კი — არა. ჩვენ ის გვიყვარს, ამერიკელებისთვის კი — სულერთია... რუსებს, ქართველებთან ერთად, ჰყავთ: ტოვსტონოგოვი, გაბრიაძე, კიკაბიძე... აბა, ყველა როგორ ჩამოვთვალო?!.

თუმცა, რუსული სიყვარული ცოტა ზედმეტად „მტკიცეა“ — ხელიდან ვერაფრით დაუსხლტები, გულში ჩაკრულს, მოგგუდავს... ჩვენ ძალიან გვწყინს, როცა ქართველს რუსულად პასუხის გაცემა აღარ შეუძლია, მაგრამ თავად, „გამარჯობისა“ და „ვენაცვალეს“ მეტი, სხვა ქართული სიტყვაც ვერ გვისწავლია, ხოლო დიალოგზე რომ მიდგება საქმე, ამ დროს, საერთოდაც, სერიოზული პრობლემები გვიჩნდება!.. დღევანდელმა ქართველმა ახალგაზრდებმა რუსული პრაქტიკულად არ იციან. ისინი, ფიქრითაც კი, ამერიკულად ფიქრობენ, ამერიკულ კოლეჯებში სწავლობენ, ხოლო მათგან საუკეთესონი შემდეგ, ჰარვარდში მიდიან და — მშვიდობით, დედა საქართველოვ!..

ქართველებს ფასდაუდებელი სიმდიდრე — მზე, მთები, ზღვა (თანაც — არა მხოლოდ აფხაზეთში), კარგი ღვინო აქვთ; დედასპურის შემნახავი ქალები, ლამაზი, ნალოლიავები ბავშვები ჰყავთ... აქვთ ულამაზესი მუსიკა, მსოფლიოში საუკეთესო სამზარეულო, ყველაზე არომატული სანელებლები, ყველაზე ცეცხლოვანი ცეკვები, პატრიარქალური (დღემდე!) ოჯახები და... ახალგამომცხვარ პურზე უფრო მხურვალე მამაკაცები ჰყავთ!.. მათ აქვთ ქვეყანა, რომელიც ზემოდან დაუდევრად დანაოჭებულ ფაფუკ ზურმუხტის ხალიჩას მოგაგონებს, აქვთ მტკვარი და არაგვი და მათ შესართავთან აღმართული, უძველესი მონასტერი...

მე აუცილებლად უნდა შევუნარჩუნო ეს ყველაფერი საქართველოში მცხოვრებ ჩემს მეგობრებს და საკუთარ თავსაც. მე არ მინდა, ჩვენი მეგობრობის გარდაცვალების მოწმე გავხდე. ჩვენ ერთად უნდა ვიპოვოთ გივი, რომელიც ერთადვე დავკარგეთ... აუცილებლად ერთად უნდა გავკეთოთ რაღაც, სანამ გვიანი არ არის... სანამ ურემი საბოლოოდ არ გადაბრუნებულა... ■

სესხება-გასესხება

შპს „ევრიკა+“

სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.

გაქვთ თანხა დაგვირეკეთ,
არ გაქვთ – მით უფრო დაგვირეკეთ.
ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!

მის: მარჯანიშვილის 21, მე-4 სართ.
(მაკდონალდსის მხარეს)
☎ 95-23-66; 899-44-64-60 ნინო
899-44-64-61 გიორგი

პრობლემა ნარკომანია – გამოხატე შენი დამოკიდებულება ნახატის, პლაკატის, ფოტოს, მოთხრობის, ესკიზის, სხარტი გამონათქვამის, ლექსის საშუალებით და დროულად მოგვაწოდე.

10 რჩეულს პატრიარქის საერთაშორისო ფონდი „ეტალონის" სტუდიაში, ტელეკომპანია „იმედში" მოიწვევს. მათ შორის გამარჯვებულს და მის მასწავლებელს ჯი ერთწლიანი ყოველთვიური სტიპენდია დაენიშნება.

შეებრძოლე პრობლემას და მოიპოვე ყველაზე მადლიანი სტიპენდია.

პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ VIII, IX, X და XI კლასის მოსწავლეებს.



თქვენი შემოქმედება უნდა მოგვაწოდოთ
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდში
მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №21,
25 ივნისის 15 საათამდე

ტელ: 98-49-76 ან 93-14-13

თამუნა და კოტიკო

დაახლოებით ორი კვირაა, რაც „ჯეობარს“ ახალი წევრი, კოტე თოლორაია შეემატა. როგორც პროექტის პროდიუსერმა, გიორგი ხაბურზანიამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა — „კოტემ ყველა ტური წარმატებით გაიარა და სხვა ადამიანებთან ერთად, სარეზერვო ჯგუფში იმყოფებოდა. ეს ჯგუფი კი, იმიტომ შეიქმნა, რომ ვის როდის მოუნდება პროექტის დატოვება, კაცმა არ იცის. შესაძლოა, მოთამაშე წითელი ბარათის მფლობელიც გახდეს და მას, ეს ჯგუფი პროექტის ხელმძღვანელობამ დაატოვებინოს“. გიორგიმ ჩვენთან საუბრისას ისიც აღნიშნა, რომ კოტეს მოგების ისეთივე შანსი აქვს, როგორიც თამაშის სხვა დანარჩენ მონაწილეებს...

ვიდრე კოტე პროექტში შევიდოდა, ის ბარის ხშირი სტუმარი იყო და ყველამ იცოდა, რომ მას და თამუნა ქობულაშვილს ერთმანეთი უყვარდათ. როცა კოტე სრულუფლებიანი მოთამაშე გახდა, მათ თავიანთი გრძნობები არც დაუფარავთ. მათი გაცნობისა და სიყვარულის დეტალებზე, მეგობრები და მომავალში მეჯვარეები — სოსო გოგინაშვილი და გვანცა გიორგოგიანი გვესაუბრებიან.

აქვს თუ არა მომავალი „ჯეობაროელ“ კოტიკოსა და თამუნას სიყვარულს?..

ნათია ქივიძე

სოსო გოგინაშვილი:

— დაახლოებით 5-6 წელია, რაც მე და კოტე ვმეგობრობთ. ჩვენ რაღაც ფირმაც კი გვქონდა გახსნილი. ახლა ერთობლივი ბიზნესი აღარ გვაქვს, მაგრამ ისევ ახლო მეგობრები ვართ. ერთმანეთისგან დამალული არაფერი გვაქვს.

— ერთმანეთის პირად ცხოვრებაში თუ ერევით?

— რა თქმა უნდა და მერე, როცა რამე გვიჭირს, ერთმანეთს ვამხნევებთ, ოპტიმიზმს ვმატებთ.

— ერთმანეთს რჩევებს თუ აძლევთ ხოლმე?

— აბა, რა, მაგრამ კოტიკო ჩემს რჩევებს ხანდახან არ ითვალისწინებს... თუმცა, შესაძლოა, არც მე მივიღო მისი რჩევა.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ერთმანეთს შეყვარებული დაუწუნეთ?

— კი, ასეთი შემთხვევა ყოფილა და ვფიქრობ, რომ ამის უფლება ორივეს გვაქვს.

— შენ ისიც გეცოდინება, კოტიკომ და თამუნამ ერთმანეთი როგორ გაიცნეს.

— ერთმანეთი „ჯეობარში“ შესვლამდე, ოთხი თვით ადრე გაიცნეს — კლუბში, სადაც კოტე ბარმენად მუშაობდა. თამუნა იქ, ჩვეულებრივი კლიენტი იყო. ცნობილი ფაქტია, რომ კლიენტებს ბარმენებთან პირად საკითხებზე საუბარი უყვართ, თამუნას და კოტეს შემთხვევაშიც ასე მოხდა. რამდენიმე ასეთი შეხვედრის შემდეგ, მიხვდნენ, რომ ერთმანეთს კარგად გაუგეს — კოტეს მისთვის სიყვარული არ აუხსნია, არც თამუნას უსაუბრია თავის გრძნობებზე, მაგრამ მიხვდნენ, რომ ერთმანეთი მოსწონდათ და ისე დაახლოვდნენ, რომ...

— „ჯეობარში“ საბუთების შეტანა ერთად გადაწყვიტეს?

— არა. კოტემ საბუთები რომ შეიტანა, თამუნამ ეს იცოდა, მაგრამ კოტემ არ იცოდა, თუ თამაშს თამუნაც აპირებდა. ერთ დღეს, კოტემ დაურეკა და უთხრა — შენთან საქმე მაქვს, აუცილებლად უნდა განახოო. რა თქმა უნდა, შეხვდნენ. საუბრის შემდეგ, თამუნამ ჰკითხა — კასტინგზე რას შვრებიო? კოტემ უპასუხა: უკვე მეოთხე ტურში გავედიო. თამუნამ კი, უთხრა: მეც მეოთხე ტურში ვარ და შესაძლოა, იქ ერთად ვიცხოვროთო. კოტეს ეგონა, რომ თამუნა ხუმრობდა, მაგრამ მერე გაარკვია, რომ მართლა ასე იყო. თავიდან, ცოტა „დაიგრუზა“, მოგვიანებით კი, გაცნობიერა, რომ თუ ბარში ერთად შევიდოდნენ, ეს ძალზე საინტერესო იქნებოდა და ამის გამო, მათ პრობლემები არ შეჰქმნიათ. ორივესთვის გასაკვირი ის იყო, რომ პროექტში თამუნა მოხვდა, კოტე კი, არა.

— ალბათ, ამის გამო, კოტე ცუდ ხასიათზე დადგა, არა?

— პირიქით, თამუნას გულშემატკივრობდა, ყოველდღე ბარში მიდიოდა და მას რჩევებს აძლევდა, მაგრამ ერთხელ, ჟორჟიკამ თამუნას უთხრა: სიყვარული და პირადი ცხოვრება ცოტა ხნით დაივიწყე, თორემ, კოტეს გავაშავებთ და ბარში ვეღარ შემოვაო. ამიტომ კოტემ დისტანცია დაიცვა და თამუნას იშვიათად ელაპარაკებოდა.

— ახლა ასე „გადაფსკვნილები“ რომ არიან, ყვითელი ბარათი არ ემუქრებათ?

— არა, რადგან ეს მათი პირადი ცხოვრებაა. ახლა, უკვე, ორივე მოთამაშეა.

— რა თქმა უნდა, ახლა კოტეს გულშემატკივარი ხარ. რა მოგწონს მის თამაშში და რა — არა?

გაგრძელება 68-ე გვერდზე



რეპერი ძვალი, თინეიჯერობას უაზრობის ხანად მიიჩნევს და ამიტომაც, ამ პერიოდის გარეპვა არასდროს მონდომებია. „ასე ვფიქრობ და სხვებისგან განსხვავებით, სისულელეებს არ ვრეპავ“, — მითხრა მან. აჩიკო, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები მის ნაბიჯებს აკონტროლებდნენ და ერთხელ, შვილის ძებნაში დისკოკლუბშიც კი „გაიჩითნენ“, საკმაოდ თამამი და როგორც თვითონ ამბობს, ქარივით თავისუფალი თინეიჯერი ყოფილა...

დაღვრილი სისხლი, მისაბაძი კაცი, გიჟი დარაჯი ქალი და „ახეული ბაკები“

რატომ დაჭრა რეპერმა ძვალმა ძმაკაცები?..

ლიკა ქაჯაია

— თინეიჯერობა ჩემთვის ბავშვურ სისულელეებთან ასოცირდება.

— სისულელეში რას გულისხმობ?

— თინეიჯერი მომავალზე არ ფიქრობს, არანაირი პრობლემა არ აწუხებს. ამ პონტში, მეც გადარჩენილი ვარ — ჩვენს დროს, მობილური ტელეფონი არ იყო, შეყვარებული არ მყავდა და ა.შ. მოკლედ, „ოტ ი დო“ თავისუფალი ვიყავი.

— ამ ასაკში რისი კომპლექსი გქონდა?

— საერთოდ, ვისთან ერთადაც „ვდვიჟენიობდი“ (ათასი წრე შევიცვალე, ათასი მეგობარი მყავდა), იმათში, ყველაზე თავისუფალი მე ვიყავი. როგორც დიდი ლექს-სენი იტყოდა — ხო აზრზე ხარ, რა მისაბაძი კაცი ვიყავი? *(იცინის).*

— ლექს-სენ დიდი კაცია?

— ცოტა აკლია და დიდი გახდება. ყოველ შემთხვევაში, თინეიჯერი აღარ არის, თუმცა, ამ ასაკის შესაფერის სიმღერებს მღერის. სნუპიც ხომ ბაზრობდა — როცა თინეიჯერი ვიყავიო და რაღაცებს.

— და შენ რატომ არ მღერი ამ თემაზე?

— თინეიჯერობა სულელურად გავატარე — ასე მივიჩნევ და ვიღაცებისგან განსხვავებით, უაზრობებს არ ვმღერი.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— ძალიან მაგარი მოსწავლე ვიყავი.

— ახლა არ მითხრა, ფრიადებზე ვსწავლობდიო...

— რატომაც არა?! მეშვიდე კლასამდე სულ ხუთები მყავდა, მერე კომპიუტერი გამოიგონეს, რაღაცები „გაიჩითა“ და სკოლაში მისვლის ნაცვლად, კომპიუტერულ ცენტრს ვსტუმრობდი. 3 თვე სკოლას ვაცდენდი და ჩემებმა, ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, მასწავლებლები გაცდენას ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ ბოლოს, დამრიგებელს ჩემი უპასუხისმგებლობა ყელში ამოუვიდა და დედაჩემს ყველაფერი ჩაუკაკლა. იმ დღეს, კარგად „მიმბეთქეს“. ამდენი გაცდენის შემდეგ, სკოლაში რომ მივედი, მოულოდნელად, მასწავლებელმა, ჩემთვის გაუგებარ ენაზე — ჩინურად დაიწყო ლაპარაკი.

ვცეკვავ, ჭკუაზე არ ვარ და არ „გამეჩითნენ“?! — კინაღამ გავგიჟდი...

— რას გულისხმობ?

— ადრე გაკვეთილს რომ გვიხსნიდა, წინასწარ ვხვდებოდი — რის შემდეგ რა უნდა ეთქვა. ხომ იცი, ერთად დაბერებული ცოლ-ქმარი რომ არიან, ერთმანეთის თვალებში რომ კითხულობენ ყველაფერს? — ზუსტად ისე ვიყავი. გაცდენების მერე კი, მისი ვერაფერი გავიგე.

— მგონი პირქით მოხდა და შენ დაიწყე ჩინურად ლაპარაკი, არა?

— არა, აშკარად ისეთი რაღაცები ახსნა, რომ მერეც ვერ ვისწავლე. „ზატო“, კომპიუტერს ვთამაშობდი ძალიან მაგრად.

— დღესაც თამაშობ ხოლმე?

— აღარ. ახლა კომპიუტერთან რომ ვჯდები, თამაშები არც მახსენდება.

— ალბათ, მასწავლებლებს ხშირად აბრაზებდი, არა?

— ინგლისურის მასწავლებელი გვყავდა და იცი, როგორი ქალი იყო? — გაკვეთილი თუ არ იცოდი, „ბაკებს“ „გახევდა“ ხოლმე.

— მერე „ბაკები“ ვერ გაიპარსეთ?

— ისეთი ქალი იყო, რომ სხვაგან რამეს მაინც გიპოვიდა და მოგწიწკნიდა, მაგისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენდა. ამ ქალის მაგრა მეშინოდა — გაკვეთილი თუ არ ვიცოდი, შიშით სკოლაში არ მივდიოდი, მაგრამ მერე... „პალაჟენია“ მოვიყვანე, „ბაკებზე“ ხელს ვეღარ მკიდებდა... ახლა გამახსენდა, სკოლაში ერთი დარაჯი, გიჟი ქალი გვყავდა. ყველას ჯოხს ურტყამდა ხოლმე.

— შენც უცემიხარ?

— მე არა. ვიღაცას მივუგდებდით ხოლმე და იმას „წიხლავდა“.

— მშობლები რამეში გზლუდავდნენ?

— რა ვიცი, აბა? ისე, თავიდან ყველას რაღაცაში ზღუდავენ. 13 წლის რომ ვიყავი, ღამის კლუბებში დავდიოდი, აზრზე ხარ? თან ყველგან მცნობდნენ. აბა, ისე ამ ასაკის ბავშვს ვინ შემიშვებდა? სახლში „იმენნა“ ღამის 4 საათზე მივდიოდი, მშობლები პანიკაში იყვნენ, მეძებდნენ, მაგრამ ამას, ნელ-ნელა შეეჩვივნენ — მიხვდნენ, რომ ცუდს არაფერს ვაკეთებდი. სხვათა შორის, ერთხელ, დისკოკლუბში მოვიდნენ — ვცეკვავ, ჭკუაზე არ ვარ და არ „გამეჩითნენ“?! — კინაღამ გავგიჟდი.

— სიგარეტს მოწევა რა ასაკში დაიწყე?

— სიგარეტი მეზიზღებოდა. ერთხელ, ზაფხულში, უბანში ვიყავი, ჩემი ძმაკაცი მოვიდა და მითხრა — ახლა ნარიყალაზე ვიყავი და იქ, ქვებში, ერთი „პაჩკა“ სიგარეტი დავმალეო. სიგარეტს არც ერთი არ ვეწეოდით, მაგრამ რატომღაც, მთელი „სასტავი“, დაახლოებით 8 კაცი, წავედით და სიგარეტს ქვებში დავუწყეთ ძებნა. ერთმანეთს „ნაფაზის“ დარტყმას ვასწავლიდით, დავბოლდით...

— მშობლებმა როდის გაიგეს, სიგარეტს რომ ეწეოდი?

— სპორტის სასახლეში მქონდა კონცერტი. ვდგავარ და ვნერვიულობ, თან, ვუქიშინებ, ჭკუაზე არა ვარ და უცებ, მესმის — „ყოჩაღ, აჩიკო, ყოჩაღ!“ დედაჩემი შემრჩა ხელში...

— თინეიჯერი აჩიკო ვისი ფანი იყო?

— მახსოვს, ბებიაჩემს ფული მოვპარე და სნუპ დოგის „მაიკა“ ვიყიდე, მისი პლაკატებიც მქონდა. ისე, ქართველებიც მევასებოდნენ — თავიდან, ჯგუფი „სახე“ მომწონდა, მერე ინტრო „გაიჩითა“... დღეს, ლექს-სენი მევასება.

— რეპ, რატომღაც ყოველთვის ქუჩასთან ასოცირდება...

— და ქუჩას ციხის კარებთან მიჰყავხარ. მე ახლაც ქუჩის ბიჭი ვარ.

— და რა მოგიტანა ქუჩამ?

— ბევრი რამ, პირველ რიგში, ძმაკაცობა, მეგობრის გვერდში დგომა და კაცობა მასწავლა. ისე, თუ თავიდანვე კაცად არ დაიბადე, ქუჩა კი არა, ვერაფერი გიშველის... ჩვენ დედიკოს ბიჭებს ვიცავთ (ვისგან, არ გეტყვი), რადგან სუპერმენები ვართ.

— ქალის გულისთვის თუ გიჩხუბია?

— მიჩხუბია არა, მეტი დარდი არ მაქვს. ისე, რაღაც სხვა მიზეზების გამო, ბევრჯერ მიჩხუბია.

— დანასაც კარგად ატრიალებ. ვინმე ხომ არ დაგიჭრია?

— როგორ არა, ძმაკაცებს ვჭრიდი ხოლმე. ერთხელ, ჩემი მეგობარი ისე მიდიოდა, დუნდულებს ათამაშებდა და „ვთხარე“. კაცი ლამის გაგიჟდა, 3 დღე ვერ დადიოდა. ერთხელ კიდევ, ჩემს სახლში ერთი „როჟა“ სერიოზულად დავჭერი. 4 დღე იწვა, ვერ დგებოდა. იმდენი სისხლი დაღვარა, რომ ბოლოს, გულიც კი აერია.

— ასე რატომ გაიმეტე?

— ვსვამდით და ჭიდაობა დამიწყო. მე კიდევ, არ მევასება, როცა ვიღაც მეჭიდავება. თან, თუ ჩემზე დიდია და მერევა, ამაზე ვგიჟდები და... მაშინაც გავმწარდი, დანა გავუქანე, დავჭერი, მერე კი, აფთიაქში გავვარდი — ჰემატოგენი თუ რაღაც ვუყიდე... შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცხოვრება პოლიციაში მაქვს გატარებული.

— ბავშვობიდან რა გამოგყვა?

— „შრამები“.

— ალკოჰოლი პირველად როდის მიიღე?

— თუ ადამიანს მოსაწევი და სასმელი უსწორდება, უნდა დალიოს, აბა, რა უნდა ქნას? მაგრამ მე, ახლაც ვერ ვსვამ.

— მართლა?

— ეჰ, მე თუ არ ვსვამ, სხვა ვინ დალევს? ვსვამ კიდეც, ვიჩხირავ, ვკაიფობ და ა.შ.

— და ამას, ხმამაღლა აღიარებ?

— აბა, რა გითხრა? თუ სიმართლე გინდა, წამალს არასდროს გავკარებივარ. სპორტსმენი ვარ.

— რა განსხვავებაა თქვენი თაობის და დღევანდელ თინეიჯერებს შორის?

— ესენი უფრო თავისუფლები არიან, ამათ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. ჩვენ, ფაეტონებით, ერთი საათი „ვუბირჟავებდით“ ქალს, რომ მას რამე გამოსჩენოდა, მაგრამ სულ ტყუილად. ახლა კი... ადრე, „ვირუსი“ ქალები იყვნენ, ახლა „გრიპები“ არიან.

— და რომელი სჯობია — „გრიპ“ თუ „ვირუსი“?

— ორივე ერთი ოხერია. ისე, ქალი საუკუნეა არ მინახავს *(იცინის)* და ჩვენში რომ დარჩეს, ყველაფერს თავისუფალი ქალი სჯობია, მაგრამ რად გინდა? — ქალს რომ ვუყურებ, მრცხვენია.

— ქართველ რეპერებს ვის შეადარებდი?

— მაგალითად, ლექს-სენი მსახიობ უილ სმიტს ჰგავს, რომელიც რაღაცეებს რეპავს. ნამდვილი რეპერები, განგსტერები და ვიღაცები რომ „ბაზრობენ“, ამბობენ: რა სმიტივით რეპავო. ე.ი. შენ ნამდვილი რეპერი არ ხარო, მაგრამ ამით, სმიტს კი არ შეურაცხყოფენ... ის უბრალოდ კარგი „როჟა“ მსახიობია, რომელსაც ბევრი ფული აქვს და რეპი ევასება, წერს სიმღერებს, მაგრამ ლექს-სენისგან განსხვავებით, კარგს... ესეც არ არის რეპერი, ჩვენსავით არ ცხოვრობს და ამას თვითონაც აღიარებს.

— და თქვენ როგორ ცხოვრობთ?

— იცი რა? აქ, როგორც რეპერი, ვერ იცხოვრებ. ჩემი კარგი ბიჭობა მაშინ გამოჩნდება, როცა აქედან წავალ.

— საქართველოდან წასვლას აპირებ?

— მალე, მოსკოვში მივდივარ. იქ, საჩემო სიტუაციაა. საქართველოში მაგარი რეპერი ვერ იქნები. განა იმიტომ, რომ „ტეხავს“, „პროსტო“ ფიზიკურად ვერ იქნები, ამის პონტი არ არის. ჩვენთან ბირჟაობები, „ტუსოვკები“, ერთი რეპკლუბიც კი არ არის.

— რეპკლუბის გახსნაში ხელს რა გიშლით?

— ყველა ქართველი რეპერი მართლა მაგარი კი არ არის. ზოგი მათგანი, სუფთა „ბომჟია“, გვერდით რომ დაგიდგებიან, სუნი ასდით. მიდი და ახლა მაგათთან ერთად კლუბი გააკეთე. აქ ისეთი „როჟები“ მომრავლდნენ, რომლებიც საღამოს ლოგინიდან გადმოვარდნენ, თავი რაღაცას დაარტყეს და რეპერი ვარო — ყვირილი დაიწყეს... ის, რომ არის, რა ჰქვია, პრესას გამწარებული რომ აძლევს ინტერვიუს და გაიძახის — კაბუ რეპერი არ არისო, შავი პრინცი ვინ არისო და რაღაცებს რომ „ბაზრობს“, ჰო, სალჯი თუ ვიღაც, ვინ არის? თვითონ მსმენელიც, დაბალი დონისაა — საქართველოში, რეპი მაქსიმუმ ას კაცს ესმის, დანარჩენი რეპს იმიტომ უსმენს, რომ მუსიკის ეს მიმდინარეობა პოპულარულია. „მაგარი მკიდია“ საქართველოს მსმენელი და პოპულარობა, მაგრამ მაინც...

— ეი. შენ ფანები რეპის გაგებაში არ არიან? ამით, მათ შეურაცხყოფას ხომ არ აყენებ?

— ჩემს ფანებს ვენაცვალე. მათ არანაირად არ შეურაცხყოფ. უბრალოდ, პოპულარობა არ მაინტერესებს.

— როგორ ფიქრობ — კარგი „როჟა“ ხარ?

— დედას ვფიცავარ, მაგარი ვარ — საქართველოს ჩემნაირი შვილი ჯერ არ ჰყოლია.

— როგორ ფიქრობ — რითი განსხვავდებიან ქართველი და უცხოელი თინეიჯერები ერთმანეთისგან?

— ყველაფრით. ვიზუალურობით, ჩაცმულობით, ჭამის კულტურით. ისინი სხვანაირად სუნთქავენ. საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით, აქ ქვის ხანაა. ჩვენები გონზე არ არიან.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— ტელევიზორს არ უყურონ და რადიოს არ მოუსმინონ. ტელევიზორში კლიპის დატრიალების მრცხვენია, რადგან იქ ისეთი ვიღაცების სიმღერებს ვუსმენ, რომ ცუდად ვხდები. ერთი კილო ტროტილი რომ მქონდეს, ყველას ავაფეთქებდი... სხვა, მეტი ვის რა უნდა ვურჩიო? იყვნენ ისეთები, როგორებიც ჩვენ გაგვიხარდება.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

„ავერსი“ კიდევ ბევრ საინტერესო პროექტს შესთავაზებს საზოგადოებას

ზაზა სოფრომაძე, *სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელი:*

— ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი საქართველოში და ის 900 ათასზე მეტ პენსიონერს მოიცავს. ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის შესაბამისად, რომელიც კომპანია „ავერსსა“ და ჩვენს ფონდს შორის გაფორმდა, ვიღებთ ვალდებულებას, რომ ყოველთვიურად მივაწოდოთ მათ უახლესი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ყველა პენსიონერის შესახებ. თავის მხრივ, „ავერსი“ იღებს ვალდებულებას, ფასდაკლებით მოემსახუროს უკლებლივ ყველა პენსიონერს. მიმაჩნია, რომ კერძო კომპანიის მხრიდან ზრუნვა საზოგადოების დაუცველ ფენებზე უაღრესად კეთილშობილური ნაბიჯია და სახელმწიფოს გვერდში დგომას ნიშნავს.

პაატა კურტანიძე, *კომპანია „ავერსის“ გენერალური დირექტორი:*

— პირველ რიგში, სამადლობელი მხოლოდ სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდისთვის გვაქვს სათქმელი, რადგან ტექნიკური თვალსაზრისით, ამ პროექტის განხორციელება მათი მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ჩვენ არ დაგვიმზადებია სპეციალური საიდენტიფიკაციო ბარათები პენსიონერებისთვის, ფასდაკლებით სარგებლობისთვის; სავსებით საკმარისია, რომ „ავერსის“ ნებისმიერ აფთიაქში მათ საპენსიო მოწმობა წარადგინონ. თავის მხრივ, პენსიონერების მონაცემები გადამოწმდება ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში და აქვე დაფიქსირდება, ვინ, როდის და რა ღირებულების მედიკამენტები შეიძინა. ვფიქრობ, რომ 10%-იანი ფასდაკლება თვეში 50 ლარის ღირებულების მედიკამენტებზე, გარკვეული შეღავათი იქნება პენსიონერთათვის. გარდა ამისა, ანალოგიური შეღავათებით ისარგებლებენ ისეთი პატივსაცემი პროფესიის ადამიანები, როგორებიც ექიმი და პედაგოგი გახლავთ. სამომავლოდ ვფიქრობთ, რომ ანალოგიური შეღავათები სხვა კატეგორიისა და პროფესიის ადამიანებზეც გავრცელდეს. „ავერსი“ არაერთი საინტერესო წამოწყების ინიციატორი გახლავთ და კიდევ ბევრ საინტერესო პროექტს შესთავაზებს ქართველ საზოგადოებას.

ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ ახალი სოციალური პროექტის ინიციატივით გამოდის და გარკვეული კატეგორიის ადამიანებს მედიკამენტების შეძენისას 10%-იან ფასდაკლებას სთავაზობს. მემორანდუმის თანახმად, რომელიც „ავერსსა“ და სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს შორის შედგა, 900 ათასი პენსიონერი უკვე 20 ივნისიდან, „ავერსის“ სააფთიაქო ქსელში თვეში 50 ლარის ღირებულების ყველა სახის მედიკამენტს 10%-იანი ფასდაკლებით მიიღებს. პენსიონერების გარდა, ახალი სოციალური პროექტით ექიმები და პედაგოგებიც ისარგებლებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ „ავერსის“ ეს საქველმოქმედო აქცია, საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს. ფასდაკლებით სარგებლობისთვის კი, პენსიონერმა „ავერსის“ აფთიაქში უნდა წარადგინოს საპენსიო მოწმობა, ექიმს პირადობის მოწმობის ჩვენება მოუწევს, ხოლო პედაგოგს, პირადობის მოწმობასთან ერთად, სამუშაო ადგილიდან ცნობის წარდგენაც.

ზამთხმაურება

გიო, *24 წლის:*

„თაკო, შაჰ-აბასივით ბიჭს დაიწუნებდი? არა, მე არც ქერა ვარ და არც „მენახშირე“, დავიჯერო — გამომეხმაურები? ისე, შენზე გავიგე, შეყვარებული ცხოვრებაში არ ჰყოლიაო, მართალია? თუ გინდა, ცოლად მე მოგიყვან“.

მარი, *14 წლის:*

„თაკო, ძალიან მომეწონა შენი აზრი დღევანდელ თინეიჯერებზე. მეც, დაახლოებით შენსავით ვფიქრობ. არც მე ვარ მთლად თავისუფალი — ჩემი ძმა მავიწროებს. გკოცნი“.

გიჟი, *23 წლის:*

„თაკო, შენს გემოვნებას მთლიანად ვაკმაყოფილებ, მაგრამ ხასიათი მაქვს მურტალი. თუ გინდა, ვიმეგობროთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს“...

უცნობი, *25 წლის:*

„თაკო, გულით მინდა შენი გაცნობა, შენს გემოვნებას მთლიანად ვაკმაყოფილებ. გამომეხმაურები?“

> მეც მიმათხოვრია და თან, ჯიბეში 26 ლარი მქონია. „პროსტო“, მუღამზე ვიყავით და მაგრა ვიკაიფეთ.

კისა, *15 წლის:*

„ახლანდელი თინეიჯერები უფრო მაგრები ვართ, ვიდრე ჩვენი წინამორბედები იყვნენ. აბა, რა გეგონათ?..

ძალები, *16 წლის:*

„ისეთი არაფერი მინახავს, რაც ჩვენს უბანში ხდება. ძალიან დეგენერატი უბნელი ბიჭები გვყავს, უკვე თავი მოგვაბეზრეს — ბეგო, ჩლეკა და კვაზი, მორჩით ჩვენს წვალებას“.

მარი, *14 წლის:*

„პრივეტ“! უკაცრავად, გვიან რომ გაწუხებთ, მაგრამ ახლა წავიკითხე თქვენი ინტერვიუ თინეიჯერებთან და მაინტერესებს — ამით რისი თქმა გსურთ? საქართველოში თინეიჯერობას სხვა უპირატესობას ანიჭებენ. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ თინეიჯერობა მხოლოდ ასაკის განმსაზღვრელია და ის, 18 წელს მიღწეულ მოზარდს ნიშნავს. ასე რომ, ძალიანაც ნუ გათამამდებით და ჩვენზე ზედმეტებს ნუ ლაპარაკობთ“.

სოფია, *17 წლის:*

„ქუჩაში დგომა სულაც არ არის გასატეხი. თუ ერთ დღეს შუა რუსთაველზე ნასვამი და სიგარეტით ხელში დავატასავებ, მეორე დღეს, შეიძლება, თეატრში ან რაღაც ეგეთ „ზავედენიაში“ გავიჩითო. მშობლებისთვის ფულის გამორთმევას მუღამი არ აქვს. საერთოდ, სასიამოვნო და სასარგებლო უნდა შეუთავსო ერთმანეთს და ყველაფერი რიგზე იქნება. რაც შეეხება მშობლებს, დედაჩემი ჰიპობდა, მამა როკერობდა, ასე რომ, ვცხოვრობ ისე, როგორც მინდა. არ მაინტერესებს — რას იტყვის სხვა, იმიტომ, რომ იმ სხვასაც კი, ძალიან უნდა, თავისუფლად „გაავჯაზოს“, მაგრამ თავისნაირებისა აზრი გზას უღობავს. ასე რომ, გაუმარჯოს ცხოვრებას, რომელიც ისეთია, როგორიც გინდა“.

> ახლა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე მაშინ. უკვე, 2 წელია, არ მინახავს და მასთან შეხვედრის მეშინია

> თუ ერთ დღეს შუა რუსთაველზე ნასვამი და სიგარეტით ხელში დავატასავებ, მეორე დღეს, შეიძლება, თეატრში ან რაღაც ეგეთ „ზავედენიაში“ გავიჩითო

თაკო, *17 წლის:*

„თინეიჯერების სხვადასხვა კატეგორია არსებობს. ვერ ვიტან ისეთ თინეიჯერებს, რომლებისგანაც ინტერვიუ აიღეთ. იმისთანა უვარგისი როგორ უნდა იყო, რომ ადამიანს ფულს სთხოვ და მერე, ლუდით ლოცავ. ის, რასაც „სვეტსკი“ თინეიჯერები დღეს ხმამაღლა ამბობენ, სამარცხვინოა, გული მტკივა და წარმომიდგენია — რა მოუვა უფროსი თაობის ადამიანს“.

> არც მე ვარ მთლად თავისუფალი – ჩემი ძმა მავიწროებს.

ბუზი, *17 წლის:*

„პრივეტ“, ლიკა... კარგი, რა, 13-14 წლის გოგო სიგარეტს რომ ეწევა, ის ვის უნდა მოეწონოს? ეჰ, რა თაობა მოდის“.

ტუზი, *21 წლის:*

„გაუმარჯოს. როგორ ხართ, სიხარულებო? მომავალ ხუთშაბათს, ჩემი თავის ნახვას ვისურვებდი საქართველოში, მაგრამ... მოგიკითხავთ შორეული საბერძნეთიდან“.

> ვხვდები, რომ ჩემი შურთ, ცდილობენ ძმაკაცებს დამაშორონ.

ნიცა, *18 წლის:*

„წინა ნომრის გამოხმაურებები წავიკითხე და მაგრა გამიტყდა — ამდენი კომპლექსიანი რომ არსებობს. მეც მიმათხოვრია და თან, ჯიბეში 26 ლარი მქონია. „პროსტო“, მუღამზე ვიყავით და მაგრა ვიკაიფეთ. საერთოდ, თინეიჯერი ცხოვრებაში ერთხელ ხარ და ბოლომდე უნდა გაერთო. გართობაში, სიგარეტის და პლანის მოწევას არ ვგულისხმობ. აი, მათხოვრობა კი, სულ სხვაა. „იტოგში“, ვისაც ჩვენი საქციელი არ მოსწონს, ცივი წყალი დალიოს“.

> ის, რასაც „სვეტსკი“ თინეიჯერები დღეს ხმამაღლა ამბობენ, სამარცხვინოა

> თაკო, შაჰ-აბასივით ბიჭს დაიწუნებდი?

უცნობი, *16 წლის:*

„ისნელო სოსო ღამბაშიძევ, ჭკუას ვკარგავ — შენი გაცნობა მაგრად მინდა! მეც 87-ე საშუალო სკოლაში დავდიოდი და იქიდან გიცნობ. ამ მესიჯს თუ წაიკითხავ, გამომეხმაურე“...

ნატა, *16 წლის:*

„გამარჯობა. მინდა ჩემი ამბავი გაგიმხილოთ — უმეტესწილად, ბიჭებთან ვმეგობრობ და მხოლოდ ერთი დაქალი მყავს. სულ სპორტულ სტილში ვიცვამ, არ ვიპრანჭები, ვერ ვიტან მაღალქუსლიან ფეხსაცმელს და ქვედაბოლოებს... გოგოები ცდილობენ, დამცინონ. თუმცა, ვხვდები, რომ ჩემი შურთ კიდეც, რადგან ბიჭები სულ ჩემ გვერდით არიან. გოგოებმა კი, ხან ვისი შეყვარებულობა დამაბრალეს, ხან ვისი. ამით ცდილობენ ძმაკაცებს დამაშორონ. რა ვქნა? მირჩიე რამე, თორემ, ეს სიტუაცია გადამრევს. ნუთუ, სტილი უნდა შევიცვალო?“

— არა მგონია, რომ გოგონები, მხოლოდ შენი სტილის შეცვლით დაკმაყოფილდნენ. შეეცადე, მათთან საერთო ენა გამონახო, მაგრამ თუ ისევ იჭორავებენ, მაშინ შეეშვი — ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ... შენი ძმაკაცები კი, თუ რა თქმა უნდა, ისინი ნამდვილი მეგობრები არიან, ჭორებს არ აჰყვებიან და თქვენს ურთიერთობას საფრთხე არ დაემუქრება.

ნათი, *20 წლის:*

„გამარჯობათ. თქვენი დახმარება მჭირდება. მიყვარს ადამიანი, რომელზეც 4 წლით უფროსი ვარ. ერთმანეთი 2 წლის წინ შეგვიყვარდა. ერთი თვე ვხვდებოდით და მერე, მშობლებმა ერთმანეთს დაგვაშორეს (ახლა ამას ნანობენ, რადგან მას შემდეგ, არავინ მომწონებია). არ ვიცი, რა ვქნა, მე ხომ ახლა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე მაშინ. უკვე, 2 წელია, არ მინახავს და მასთან შეხვედრის მეშინია. თქვენს რჩევას მოუთმენლად ველი“.

— თუ გიყვარს და იცი, რომ მასაც ისევ უყვარხარ, მაშინ ნურაფრის გეშინია, შენი ბედნიერებისთვის ბოლომდე იბრძოლე. იცოდე, ქორწილი არ გამოგვაპარო... ■

ყაჩაღთა ოთხეული — ბოროტმოქმედები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები აღმოჩნდნენ

სასამართლოს წინაშე 4-კაციანი ყაჩაღური ჯგუფი წარდგა: 21 წლის თემურ ციცქიშვილი, 21 წლის იასონ ჯოხაძე, 20 წლის ნოდარ ჯავახაძე და 21 წლის კობა ქობალია. ოთხივე მათგანს პროკურატურამ მძიმე დანაშაულებში დასდო ბრალი. საბრალდებო დასკვნა ყაჩაღური თავდასხმის ათამდე ეპიზოდს მოიცავდა, ფიქსირდებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტებიც...

პოლიციის სამმართველოში ზედიზედ შედიოდა დაზარალებულთა განცხადებები უცნობ ბოროტმოქმედთა მიერ მათი დაყაჩაღების თაობაზე. დანაშაულები ძირითადად, საღამოს საათებში ან გვიან ღამით ხდებოდა. ფაქტებს შორის ხანგრძლივი ინტერვალი არ ყოფილა. პროკურატურის მასალებში დაფიქსირებული ყველა დანაშაული ერთსა და იმავე პერიოდშია ჩადენილი.

მომხდარ ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები დიდი ხნის მანძილზე გაუხსნელი არ დარჩენილა. ეჭვმიტანილთა ვინაობის გამოაშკარავებისთანავე, ცნობილი გახდა, რომ ადრე, რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში არც ერთი მათგანი შემჩნეული არ ყოფილა.

სახტად დარჩნენ დაზარალებულებიც და სამართალდამცველებიც, როცა გაირკვა, რომ ეჭვმიტანილები საკმაოდ კარგი ოჯახიშვილები იყვნენ, ცხოვრობდნენ თბილისში, ინტელიგენტურ ოჯახებში, მატერიალურ გაჭირვებას არც ერთი არ განიცდიდა. ამასთანავე, ოთხივე ეჭვმიტანილი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი აღმოჩნდა...

ჯავახაძე და ციცქიშვილი მეზობლები და ბავშვობის მეგობრები იყვნენ. მომავალი პროფესიაც ერთად აირჩიეს და ერთსა და იმავე ინსტიტუტში ჩაბარება გადაწყვიტეს. სწორედ იქ გაიცნეს ქობალია და ჯოხაძე. საერთო ინტერესებმა ახალგაზრდები მალე დააახლოვა:

„თემური და ნოდარი სანიმუშო მეგობრები იყვნენ. ერთმანეთთან ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ძალიან თავაზიანები და ზრდილობიანები იყვნენ, ამას ყველა აღნიშნავდა და ჩვენც — მშობლებიც ძალიან ვამაყობდით. კობა და იასონიც არაერთხელ მოსულან ჩვენთან ოჯახში. ვიცოდი, რომ სტუდენტობის პერიოდში ბიჭები ძალზე დაახლოვდნენ. საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ახალი მეგობრებიც საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ ჩემზე“, — აღნიშნავს თემურ ციცქიშვილის დედა — **მარგო ციცქიშვილი**. ის პროფესიით პედაგოგია. ამბობს, რომ ვაჟიშვილის აღზრდას ყოველთვის დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდებოდა და ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ ოდესმე მისი შვილი მსგავს საქმეში გაერეოდა.

მარგო ციცქიშვილი:

„ჯავახაძეები ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. შეძლებულები იყვნენ. ერთი ასაკის შვილები გვყავდა, სკოლაში ერთად, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ და ამან, ბუნებრივია, ოჯახებითაც დაგვაახლოვა. ბიჭები, სკოლიდან მოყოლებული, კარგად სწავლობდნენ. თემური თითქმის არ გადიოდა თავისი ოთახიდან, იჯდა და წიგნს კითხულობდა, ხან — ხატავდა... შემდეგ, ნოდარს მშობლებმა კომპიუტერი უყიდეს. მაშინ ძალიან ცოტას თუ ჰქონდა ამის საშუალება. თემური კომპიუტერით ძალიან დაინტერესდა, ამის გამო, საათობით იჯდა ხოლმე ნოდართან. არც ნოდარს, არც ჩემს შვილს უბნის, „ქუჩური გაგების“ ბიჭებთან ურთიერთობა არ ჰქონიათ. პირიქით, ყოველთვის დასცინოდნენ და აკრიტიკებდნენ ასეთ ხალხს, არასდროს ესმოდათ კრიმინალების და „შავი სამყაროს“ კანონების...“

მაგრამ საბრალდებო დასკვნაში აღწერილი ფაქტები სრულიად საპირისპიროს მოწმობს და ციცქიშვილსა და მის მეგობრებს რადიკალურად განსხვავებულ პიროვნებებად წარმოგვიდგენს. სამართალდამცველები არ ეწინააღმდეგებიან მშობლებისა თუ ახლობლების მიერ მიცემულ დახასიათებებს, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ფაქტებიდან გამომდინარე, ამ ახალგაზრდებში უზრუნველმა ცხოვრებამ სრული მეტამორფოზა მოახდინა. საბრალდებო დასკვნაში ხაზგასმითაა აღნიშნული რამდენიმე მოწმის ჩვენება, რომლებიც ციცქიშვილის, ჯავახაძის, ჯოხაძისა და ქობალიას ცხოვრებას სულ სხვა კუთხიდან გვიჩვენებს. ჩვენებების მიხედვით, ახალგაზრდები თითქმის ყოველღამე სტუმრობდნენ კლუბებს, სამორინეებს, მოიხმარდნენ ნარკოტიკებს... გართობა მათ ჩვევაში გადაეზარდათ. ბიჭები შინ გამთენიისას, გაბრუებულები ბრუნდებოდნენ. საღამოს ყველაფერი თავიდან იწყებოდა...

გასართობად ჯავახაძეს ფული უკვე აღარ ჰყოფნიდა. სამორინეებში წაგებული თანხები და კლუბებში დახარჯული ვალები კი დასაფარავი იყო. ამის გამო, ჯავახაძემ და ქობალიამ საკუთარი ავტომანქანებიც გაყიდეს და ერთხანს, ამით დააღწიეს პრობლემებს თავი. მაგრამ — მხოლოდ დროებით. მალე, სოლიდური თანხა ისევ დასჭირდათ. მაშინ გაახსენდათ ერთ-ერთ კლუბში გაცნობილი ახალგაზრდა ბიზნესმენი...

კახა გამრეკელი მათ სრულიად შემთხვევით გაიცნეს. კლუბში ყოფნისას, ის მეზობელ მაგიდასთან იჯდა. იმავე მაგიდასთან ისხდნენ ჯავახაძის ბიძაშვილის ორი კლასელიც, რომლებმაც ნოდარი მაშინვე იცნეს და მიესალმნენ. გააცნეს გამრეკელიც. ნოდარმაც მათ თავისი მეგობრები გააცნო. საუბრისას გაირკვა, რომ ახალგაზრდა ბიზნესმენი ალკოჰოლური სასმლით ვაჭრობდა და საკუთარი მაღაზიების ქსელიც ჰქონდა თბილისში. ხელგაშლილმა გამრეკელმა ახალგაცნობილებს სუფრაზე ძვირად ღირებული სასმელი — „ვისკი“, შემდეგ — „ტეკილა“ გაუგზავნა. მოგვიანებით, მან, თავის თანმხლებ პირებთან ერთად, ჯავახაძისა და მისი მეგობრების სუფრაზე გადაინაცვლა. რამდენიმე ხანში, ჯავახაძის ბიძაშვილის კლასელებმა კლუბი დატოვეს, შეზარხოშებული გამრეკელი კი, ახალგაცნობილებთან ერთად დარჩა. ბოლოს, ისე ძლიერ დათვრა, რომ მისი მანქანის საჭესთან ციცქიშვილი დაჯდა და სახლამდე მიიყვანა...

როგორც საქმის მასალებში წერია, დაყაჩაღების იდეა პირველად, ქობალიამ გამოთქვა. მეგობრებს აუხსნა, რომ ეს, შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი იყო. წინადადება ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა.

ციცქიშვილის ჩვენებიდან (ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას):

„...სანამ კობა (ქობალია) რამეს იტყოდა, მანამდე ვფიქრობდით, გამრეკელისთვის ფული სესხის სახით ხომ არ გვეთხოვა? ამაზე ნოდარმა თქვა — უხერხულია, თავი ასე როგორ დავიმცირეთო?! ამის შემდეგ გაჩნდა ყაჩაღობის იდეაც...“

თავდასხმა შეიარაღებული უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიზნის მიღწევა გაუჭირდებოდათ. შეიარაღების საკითხში კი, პრობლემებმა იჩინა თავი. ჯავახაძეს შინ მამის სახელზე გაფორმებული პისტოლეტი ეგულებოდა. ჩვენებაში წერს, რომ იარაღის შინიდან წაღება არ უნდოდა და დიდხანს ორჭოფობდა, მაგრამ ბოლოს, სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული პისტოლეტის გარდა, „დებიუტანტმა“ ყაჩაღებმა გასაშლელი დანებიც შეიძინეს. ნიღბები თავად დაამზადეს და გეგმის შედგენასა და ობიექტის შესწავლასაც შეუდგნენ.

დაადგინეს გამრეკელის დღის განრიგი, კერძოდ — რა დროს გადიოდა იგი ბინიდან და როდის ბრუნდებოდა შინ. გაარკვიეს, რომ გამრეკელის პენსიონერი მამა თითქმის არ გადიოდა შინიდან, ბინაში დილიდან საღამომდე რჩებოდა აგრეთვე ძიძა, გამრეკელის მცირეწლოვან შვილთან ერთად.

დაზარალებულის, **ომარ გამრეკელის** ჩვენებიდან:

„კარზე ზარის ხმა რომ გაისმა, ჯერ კიდევ დღე იყო, არ ბნელოდა. დაახლოებით საღამოს 8 საათი იქნებოდა. ვიკითხე — ვინ არის-მეთქი? — მეზობელი ვარ, ერთი წუთით გამიღეო... ყოველთვის ვფრთხილობდი, მაგრამ მაშინ რატომღაც, საეჭო არაფერი გამივლია გონებაში. დავიჯერე, რომ კართან მართლაც, მეზობელი იდგა. გავაღე თუ არა, სახეზე შავნილაბაფარებული მაღალი მამაკაცები დავინახე. ჯერ აზრზე ვერ მოვედი. უფრო ინტერესით შევხედე იმ ნიღბიანებს, ვიდრე შიშით... ვკითხე — რაშია საქმე-მეთქი? — მაგრამ შეკითხვის დასრულება ვერ მოვასწარი, რომელიღაცამ უხეშად მკრა ხელი და ყველანი ბინაში შემოცვივდნენ. მაშინ მივხვდი, რომ უბედურება დამატყდა თავს... სამნი იყვნენ (საქმის მასალების მიხედვით, მეოთხე — ჯოხაძე — გარეთ, კორპუსთან იდგა და მეთვალყურეობდა). *სამივე, მაღალი იყო, ერთ-ერთი — შედარებით მოსული, დანარჩენები — გამხდრები. კარი თვითონ მიხურეს და მიბრძანეს, ხმა არ ამომეღო. ამ დროს, ბავშვის ოთახიდან შეშინებული ძიძა გამოვარდა. ეტყობა, ხმაურზე მიხვდა, რომ რაღაც კარგი არ ხდებოდა. ვიდრე დაიყვირებდა, ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა მას პირზე ხელი ააფარა. მასაც უბრძანეს, ხმა არ ამოეღო, თორემ, მოკლავდნენ... დანას მოვკარი თვალი, შემდეგ პისტოლეტიც დავინახე. ერთ-ერთმა გამხდარმა (საქმის მასალების მიხედვით, ქობალიამ) პისტოლეტი შუბლზე მომადო და ფული და ძვირფასეულობა მოითხოვა. რაც მქონდა, გადავეცი: 2 ათას ლარამდე ფული და ოქროულობა. სხვა არაფერი მოუთხოვიათ, მაშინვე დატოვეს ბინა...“*

„...ძალიან შეგვეშინდა. ბატონი ომარი გაფითრებული იყო, სახეზე ფერი არ ედო. ისიც ვიფიქრე, არ მოკლან ან თვითონ არ გაუსკდეს გული-მეთქი. ბიჭი, რომელმაც პირზე ხელი ამაფარა, ეტყობოდა, რომ თავადაც ნერვიულობდა. მეორე ხელში დანა ეჭირა, დავინახე, ხელი როგორ უკანკალებდა. მე მგონი, სროლას არც აპირებდნენ. წინააღმდეგობა რომ გაგვწია ან გვეყვირა, შეიძლება, გაქცეულიყვნენ კიდეც. მაგრამ მაშინ ამის თავი არ გვქონდა, ძალიან შეშინებულები ვიყავით. ყველაზე მეტად, ბავშვის ბედი მაწუხებდა. ოთახში მარტო მყავდა დატოვებული, იმ დროს ეძინა...“ — წერს ჩვენებაში ძიძა.

ბოროტმოქმედთა წასვლის შემდეგ, მან პირველ რიგში, პოლიციის ნაცვლად, „სასწრაფო“ გამოიძახა, რადგან ომარ გამრეკელი ცუდად გახდა — მას გულის შეტევა დაემართა...

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას ფეხდაფეხ მიჰყვნენ კახა გამრეკელი და მისი მეუღლე. იმ საღამოს, ცოლ-ქმარი ნათესავთან წვეულებაზე იმყოფებოდა, თუმცა, ამის შესახებ ყაჩაღებმა არაფერი იცოდნენ. მათ გამრეკელი სამსახურში ეგულებოდათ, მისი ცოლი კი — შინ.

„ვერაფრით წარმოვიდგენდი, მომხდარ ფაქტთან იმ ახალგაზრდების კავშირს. ვისზე აღარ ვიფიქრე, მაგრამ მათზე ერთხელაც არ გამივლია გულში ეჭვი. ნამდვილი შოკი იყო, იმდენად დიდი შოკი, რომ კარგა ხანს ვერ გამოვედი მდგომარეობიდან. ადამიანების შემეშინდა, უკვე აღარ ვიცოდი, ვის უნდა მივნდობოდი, ვის — არა...“ — ამბობდა სასამართლო პროცესზე, აღშფოთებული **კახა გამრეკელი**.

პირველი ყაჩაღობა წარმატებით რომ დასრულდა, როგორც ჩანს, გული მიეცათ და იმ დროიდან მოყოლებული, ეს მათ ძირითად საქმიანობად იქცა. გამოცდილებაც შეიძინეს და მორიგ ყაჩაღურ თავდასხმებს უფრო მოხდენილად ახორციელებდნენ. საქმის მასალების მიხედვით, „ობიექტის“ შერჩევის შემდეგ, რამდენიმე დღის მანძილზე, მას ფარულად დაჰყვებოდნენ, მის განრიგს სწავლობდნენ, შეიარაღებაც შეივსეს — „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტითა და კუსტარულად დამზადებული გადაჭრილი სანადირო თოფით. შეიძინეს სათანადო საბრძოლო მასალაც. საქმეში ფიგურირებს რამდენიმე დანა და მაყუჩიანი პისტოლეტიც... ყაჩაღობას ხშირ შემთხვევაში, წინ უძღოდა „ობიექტის“ გაცნობა და მასთან ხანმოკლე ურთიერთობა. დაზარალებულები აღნიშნავენ, რომ ბიჭები ადვილად შედიოდნენ მათთან კონტაქტში, ისინი მათზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, საუბრის კარგი მანერა ჰქონდათ, განათლება ეტყობოდათ, ურთიერთობისას, თავაზიანები და დინჯები იყვნენ. მათზე ეჭვის აღება აზრადაც არ მოსდიოდათ, მათთან კონტაქტი არავის აშინებდა, პირიქით, ყველანი მოხარულები იყვნენ...

გამრეკელის შემდეგ, დაზარალებული, ავტოგასამართი სადგურის მოლარე აღმოჩნდა. ბოროტმოქმედნი მას გვიან ღამით დაესხნენ თავს და მთელი დღის ნავაჭრი თანხა წაართვეს...

ამას მოჰყვა ყაჩაღური თავდასხმა, რომელიც ქობალიას ბაბუის სოფელში განახორციელეს. არჩევანი ბაბუის მეზობლად მცხოვრებ, ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახზე შეაჩერეს. ოჯახის უფროსი — გენადი ცირდავა სოფელში არსებული ავტოგასამართი სადგურის, ასევე სასურსათო მაღაზიის მფლობელი გახლდათ. ეზოში რამდენიმე სათბურიც ჰქონდა, რაც შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენდა. ამის შესახებ დაწვრილებით იცოდა ქობალიამ. ამიტომაც, გეგმის შედგენაზე ბევრი დრო და ენერგია არ დაუხარჯავთ. მოიალაპარაკეს, რომ თავდასხმა აუცილებლად გვიან ღამით უნდა განეხორციელებინათ. სოფელში ჯოხაძის ბიძაშვილის მანქანით — წითელი „ჟიგულით“ ჩავიდნენ. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, მანქანას სანომრე ნიშნები მოხსნეს და გზა ისე განაგრძეს. სახლს უკნიდან მოუარეს და ღობეზე გადაძვრნენ. ოჯახის წევრებს უკვე ეძინათ, მაგრამ ძაღლების ყეფამ და რაღაც საეჭვო ხმაურმა გენადი ცირდავა გააღვიძა. დაეჭვებულმა, თავის სანადირო თოფს წამოავლო ხელი და ეზოში გავიდა. მაშინ დაინახა კიდეც — ერთ-ერთი ბოროტმოქმედი როგორ ძვრებოდა მის ღობეზე. ის-ის იყო, იარაღიდან უნდა ესროლა, როცა ზურგის მხრიდან, მასთან მიახლოებულმა ქობალიამ მკლავში წაატანა ხელი და იარაღი გამოსტაცა. უბრძანა — ხმა არ ამოეღო, თორემ, იქვე მოკლავდა... ბოროტმოქმედებმა სახლიდან 1.500 ლარამდე ფული და ძვირფასეულობა წაიღეს...

სანამ პოლიცია ბოროტმოქმედთა კვალს დაადგებოდა, მათ კიდევ რამდენიმე ყაჩაღობის განხორციელება მოასწრეს. აქედან ორი შემთხვევა, ყაჩაღებისთვის წარუმატებლად დასრულდა, რადგან დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ, ორმხრივი სროლის შემდეგ კი, არჩიეს, ხელი აეღოთ განზრახვაზე და შემთხვევის ადგილს საჩქაროდ გასცლოდნენ.

პოლიციამ ოთხივე ერთ საღამოს, მათ საცხოვრებელ სახლებში დააკავა. როგორც ჩანს, ბოროტმოქმედნი ქალაქს შეგნებულად არ ტოვებდნენ, რათა ამით, ყურადღება კიდევ უფრო არ მიექციათ. ცეცხლსასროლი იარაღი, დანები, ნიღბები და საბრძოლო მასალა პოლიციელებმა კორპუსის სახურავზე განთავსებულ, ციცქიშვილების კუთვნილ სათავსში აღმოაჩინეს.

ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, ოთხივემ აღიარებითი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს. ჩადენილი დანაშაულები მათ დეტალურად აღწერეს. თუმცა, მოგვიანებით, ყველაფერი შეიცვალა. ბრალდებულებმა პროკურატურის მიერ წარდგენილ მუხლებში თავი დამნაშავედ არ ცნეს და კატეგორიულად უარყვეს ბრალი. სასამართლო პროცესზე განსასჯელებს თავგამოდებით იცავდნენ ადვოკატებიც. მათი თქმით, საქმის მასალებში არც ერთი რეალური მტკიცებულება არ მოიპოვებოდა განსასჯელთათვის ბრალის დასამტკიცებლად. თავად ციცქიშვილი და მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ მათ აღიარებითი ჩვენებები ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად, ძალით დააწერინეს. ადვოკატები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ გარემოებაზეც, რომ საქმეში არ იყო ამოცნობის ოქმები. მათი თქმით, არც ერთ დაზარალებულს არ შეეძლო ეთქვა, რომ სწორედ განსასჯელები დაესხნენ მათ თავს და არა სხვა ვინმე. ამბობდნენ, რომ პროკურატურა მომხდარ ყაჩაღობებზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს ვერ ხსნიდა და ბოლოს, ამ ახალგაზრდებს შეახოცეს ხელი.

სასამართლომ, მიუხედავად აღნიშნული არგუმენტებისა, განსასჯელებისა და მათი ადვოკატების პოზიცია არადამაჯერებლად მიიჩნია. მოსამართლის თქმით, პროკურატურამ ბრალის დასადასტურებლად საკმარისზე მეტი მტკიცებულება, მათ შორის — ამოღებული ნივთმტკიცებები, თითის ანაბეჭდები წარმოადგინა... ამასთან, ყველა დაზარალებულს ხანმოკლე ნაცნობობა მაინც აკავშირებდა განსასჯელებთან... შედეგად,

განსასჯელებს 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით. მათგან ყველაზე ხანმოკლე პატიმრობა ჯოხაძეს ერგო: მას, როგორც ნაკლებად აქტიურ ბოროტმოქმედს, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მსჯავრდებულთა მშობლები განაჩენს პროტესტით შეხვდნენ. *„ჩვენი შვილები ასეთ მოპყრობას, ასეთ დამცირებას და უსამართლობას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. ბრალი არაფერში მიუძღვით და სრულიად დაუმსახურებლად მოსცხეს ჩირქი მათ და ჩვენი ოჯახების რეპუტაციას. ამ ახალგაზრდების მომავალი, უკანონობამ დაღუპა და მოვითხოვთ, ამაზე პასუხი აგოს ყველამ, ვისაც კი წვლილი მიუძღვის მათ გაუბედურებაში“*, — ასეთი საჩივრით მიმართეს ზემდგომ ინსტანციებს მსჯავრდებულთა მშობლებმა და შვილების გამართლება და მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს.

მაგრამ მათმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. უზენაესმა სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ განაჩენის კანონიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა.

■

შს სამინისტრო თავის მუშაობას დადებითად აფასებს

ბოლო პერიოდში, სამართალდამცავი სტრუქტურების, განსაკუთრებით კი, შს სამინისტროს მისამართით დაგროვილი პრეტენზიების ფონზე, მინისტრი, ვანო მერაბიშვილი თავისი უწყების საქმიანობას, ოპონენტებისგან განსხვავებით, დადებითად აფასებს და მას ეფექტურს უწოდებს. ამასთან ერთად, სამინისტრომ გააკრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ბოლო წლების მანძილზე, საქართველოში მძიმე დანაშაულთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამავე ცნობის თანახმად, საგრძნობლად იკლო განზრახ მკვლელობებისა და ყაჩაღობების რაოდენობამ. სამართალდამცველები ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გამოსწორებასთან ერთად, შესამჩნევად გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებლებიც. სამინისტროს ხელმძღვანელობის თქმით, დანაშაულის რიცხვის შემცირება სწორედ სამართალდამცველთა ეფექტური მუშაობის შედეგია. შს სამინისტრომ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შედეგების ამსახველი ვრცელი ცხრილიც კი გამოაქვეყნა. ცხრილში მოცემულია 2005 წლის აგვისტო-დეკემბრისა და 2006 წლის იანვარ-მაისის მაჩვენებლები. მონაცემების მიხედვით, 2005 წელს, აღნიშნული 5 თვის განმავლობაში, განზრახ მკვლელობის 272 ფაქტი დაფიქსირდა; გაიხსნა 66 (2006 წლის 5 თვის მანძილზე, გამოვლინდა 144, გაიხსნა 80). 2005 წლის იმავე პერიოდში დაფიქსირდა 1033 ყაჩაღობის ფაქტი, გაიხსნა 260 (2006 წლის 5 თვეში გამოვლინდა 920, გაიხსნა 311).

რაც შეეხება უახლეს ცნობებს, 19 და 20 ივნისის მონაცემებით, დაკავებულია სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი 10 პირი; აქედან, ნარკოტიკული დანაშაულისთვის აყვანილია 2 პირი. თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა სწორედ ამ სახის დანაშაულისთვის დააკავეს, 1977 წელს დაბადებული დავით ტრაპაიძე. შს სამინისტროს ცნობით, დაკავებისას, მისგან 0,081 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება — ჰეროინი ამოიღეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება.

ნარკოტიკული დანაშაულისთვის დააკავეს ასევე, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, წარსულში ნასამართლევი, 1976 წელს დაბადებული პლატონ დანელია, მეტსახელად წიე. სამართალდამცველების თქმით, პირადი ჩხრეკისას, მას ნახევარი აბი სუბუტექსი აღმოუჩინეს.

ამ დღეებში დაფიქსირდა თაღლითობის ფაქტიც. თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 1955 წელს დაბადებული რევაზ ჯიქია. როგორც ამბობენ, ჯიქიამ თაღლითობის შედეგად მიითვისა მოქალაქე ომარ გაბისონიას კუთვნილი ავტომანქანა — „ოპელ-ვექტრა“, შემდეგ ის ნაწილებად დაშალა და გაყიდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს და დანაშაულის დეტალებიც დგინდება.

ამ დღეებში, ქურდობის რამდენიმე ფაქტიც მოხდა. მარტო ორი დღის მანძილზე, ამ სახის დანაშაულისთვის, 4 პირი აიყვანეს, მათ შორის — 1987 წელს დაბადებული ბაჩუკი ხოშტარია. სამართალდამცველების თქმით, ხოშტარიამ ერთ-ერთ ქალბატონს საფულე მოჰპარა.

მოქალაქე ნანა წიკლაურს ხელიდან ხელჩანთა გამოსტაცეს: ამ ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული ოთარ ქურდაძე დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული დანაშაული სავარაუდოდ, სწორედ მან ჩაიდინა. სამართალდამცველებმა მის ნამოქმედარს ძარცვის კვალიფიკაცია მიანიჭეს.

ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა იმერეთის რეგიონშიც. შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილი, 1984 წელს დაბადებული მიხეილ მჭედლიშვილი დააკავეს. მჭედლიშვილს სამართალდამცველები საცხოვრებელი ბინის გაძარცვაში ადანაშაულებენ. ჩადენილი ქურდობისთვის დააკავეს, ასევე, 1972 წელს დაბადებული გიორგი ალუღიშვილიც, მეტსახელად კარანდაშა. თუმცა, ამჯერად, საქმე არა საფულის, არამედ ავტომანქანის გატაცებას ეხება.

დაფიქსირდა ასაფეთქებელი საშუალების უკანონო ტარების ფაქტიც. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, კახეთის სამმართველოს თანაშრომლებმა, საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა-ტარების ბრალდებით, 1966 წელს დაბადებული დავით ნარიმანოვი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ნარიმანოვს პოლიციელებმა „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა აღმოუჩინეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს. ის, 20 წლის რომეო აბრალავა აღმოჩნდა. სამართალდამცველების ცნობით, დანაშაული მან რამდენიმე თანამზრახველთან ერთად ჩაიდინა. გამოძიების ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა თავდასხმა მოქალაქე ჯემალ მესხიაზე, მისი კუთვნილი ავტომანქანის წართმევის მიზნით განახორციელეს. შს სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, დაკავებისას, აბრალავას, საფანტის პისტოლეტი (მჭიდთან და ორ ვაზნასთან ერთად) და „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა (კაფსულდეტონატორით) აღმოაჩნდა.

პოლიციისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისთვის დააკავეს 1974 წელს დაბადებული კარლო სვანიძე. როცა პოლიცია მის აყვანას შეეცადა, სვანიძემ მოულოდნელად, იარაღიდან ცეცხლი გახსნა. ის პოლიციელების მისამართით ისროდა და შედეგად, დაჭრა კიდეც ერთ-ერთი მათგანი. საბოლოოდ, ოპერატიული ჯგუფის თანამშრომლებმა მისი დაკავება მაინც მოახერხეს. სვანიძისგან „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი (6 ვაზნით) და ე.წ. „ატმიჩკები“ ამოიღეს. მომხდარ ფაქტს ამჟამად, პროკურატურა იძიებს. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ცნობის თანახმად, სვანიძე ადრეც იყო ნასამართლევი. ამჯერად მას, სავარაუდოდ, პოლიციელის განზრახ მკვლელობის მცდელობაშიც დასდებენ ბრალს.

■

ლალი ფაცია

მსგავსები - კალათბურთი, ამერიკელი ქართველები, ლამაზი ქალები და ნაძლევი, რომელიც დაიდო

ზაზა ფაჩუღლიასა და ია კიწმარიშვილს შორის

ჟურნალისტი – ზაზა ფაჩულია
რესპონდენტი – ია კიწმარიშვილი

— შევიტყვე, რომ წარსულში კალათბურთელი ყოფილხართ. როდის დაიწყეთ თამაში და რამდენ ხანს გასტანა თქვენმა სპორტულმა კარიერამ?

— 10 წლის ვიყავი, როცა კალათბურთის თამაში დავიწყე. 20 წლამდე ვთამაშობდი. ვიყავი საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებების წევრი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნაკრებიც დაიშალა და მეც დავანებე კალათბურთის თამაშს თავი. ახლა იმ წლებს კარგად ვიგონებ. ჩემთვის უბედნიერესი პერიოდი იყო. სპორტის ამ სახეობას მთელი სერიოზულობითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი. მიმაჩნდა, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე იყო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ისე მოხდა, რომ საქართველოში კალათბურთის თამაშს აზრი დაეკარგა.

— სწავლას თუ ასწრებდით, კალათბურთის თამაშის პარალელურად?

— სწავლა-განათლებას საერთოდ, ბევრ დროს ვუთმობდი და დღესაც ვუთმობ, მაგრამ კალათბურთი, ხომ ვთქვი, ჩემთვის ყველაფერი იყო. სპორტის ამ სახეობაზე ფიქრით ვიღვიძებდი და ვიძინებდი. ჩემი ყოველი დღე დილის 7 საათზე იწყებოდა. რუსთავში ვცხოვრობდი, თბილისში ვარჯიშზე ჩამოვდიოდი. მერე, სწავლას ვუთმობდი დროს, მოგვიანებით, ისევ ვარჯიშს ვიწყებდი და სახლში ღამის 12 საათზე ვბრუნდებოდი.

— პროფესიით ვინ ხართ?

— გე-პე-ი, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი დავამთავრე. ახლახან ნიუ-იორკში „სფეშელ ივენთ მენეჯმენტის“ კურსი დავხურე. ეს არის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზებამოწყობა. რასაც ჩემს სამოდელო სააგენტოში ვსაქმიანობ, ამის თეორიული კურსი ნიუ-იორკში გავიარე. რეალურად, ახლა ეს არის ჩემი ძირითადი საქმიანობა.

— კალათბურთს რომ არ გაჰყევით, ამით უკმაყოფილო ხომ არ ხართ?

— ყოველთვის ოცნებად მქონდა — კალათბურთი საზღვარგარეთ მეთამაშა, რაც არ ამიხდა, რადგან წლების წინ, უცხოეთში წასვლა არცთუ ისე იოლი იყო, ისე, როგორც დღეს არის.

— ამერიკაში რომ დავბრუნდებით, ჩემს თამაშზე მოგიწვევთ. ისეთ ადგილას დაგსვამთ, სადაც თავს მოთამაშედ იგრძნობთ *(იცინიან)*...

— სიამოვნებით მოვალ.

— დღეს თქვენ, მსოფლიოში პრესტიჟული და გრანდიოზული კონკურსების — „მის მსოფლიოს“, „მის სამყაროსა“ და „მის ტურიზმ ინტერნეშენელის“ — ოფიციალური წარმომადგენელი ხართ საქართველოში. აღნიშნულ კონკურსებზე აგზავნით „მის საქართველოს“ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ გოგონებს და სერიოზულად ხართ ამ საქმეში ჩაბმული. სამოდელო ბიზნესში თავს კომფორტულად გრძნობთ?

— სხვათა შორის, თვითონაც მინდოდა მოდელობა. საქართველოში რომელ სამოდელო სააგენტოშიც მივედი და რეალურად გავეცანი იქ არსებულ სიტუაციას, დავრწმუნდი, რომ ეს სფერო განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა, ფაქტობრივად, ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ლაპარაკია ჯერ კიდევ 10 წლის წინანდელ პერიოდზე. ასე რომ, როდესაც მოდელობა ვცადე, არ მომეწონა ამ სფეროში არსებული ვითარება. მერე გადავწყვიტე, თვითონ შემექმნა სამოდელო სააგენტო, სადაც მოვიდოდნენ გოგონები და მიიღებდნენ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისთვის, რომ გახდნენ კარგი, წარმატებული მოდელები.

— კალათბურთელსა და მოდელს შორის რაიმე საერთოს მოძებნა თუ შეიძლება?

— მსგავსება არსებობს. ნებისმიერი სპორტსმენი მეტ-ნაკლებად აზარტული ადამიანია. ამასთან, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფება. როდესაც კალათბურთს ვთამაშობდი, ერთი ადამიანიც რომ გამოჩენილიყო დარბაზში, ათჯერ უკეთესად ვთამაშობდი: მაყურებელი ჩემზე გავლენას ახდენდა. თამაში თამაშისთვის არ უნდა იყოს. მაყურებელს ლამაზი კალათბურთი უნდა უჩვენო, სიამოვნება მიანიჭო. ასეთივე თვისება ახლავს თან მოდელის პროფესიასაც: მოდელი, რომელიც პოდიუმზე გამოდის, ცდილობს, მაყურებელს უჩვენოს, რაც კარგი აქვს — თავისი გარეგნობით დაწყებული, სამოსით დამთავრებული.

— ისე, რა უცნაურია, არა?.. ამერიკაში ვცხოვრობთ ორივე და პირისპირ სასაუბროდ პირველად, აქ, თბილისში შევხვდით ერთმანეთს...

— *(იცინიან)* მე ვიტყოდი — ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამის შემდეგ, შევატყობინოთ ხოლმე ერთმანეთს თბილისში წამოსვლის შესახებ და ერთად გამოვფრინდეთ *(იცინიან)*.

— მე თქვენ გეტყვით და, იოლი არ არის იქიდან აქეთ გადმოფრენა!.. „სულ რაღაც“ 3 თვითმფრინავი, 4 ავიახაზი და 5 აეროპორტის გამოცვლაა საჭირო... ნიუ-იორკიდან უფრო ადვილია. მე მაიამიდან ჩიკაგოში ჩავდივარ, მერე — ამსტერდამში, სტამბოლში და ბოლოს, როგორღაც, ჩამოვაღწევ ხოლმე თბილისამდე... როგორ შეეჩვიეთ ნიუ-იორკს?

— ნიუ-იორკში ცხოვრების საოცარი რიტმია, ყველა სადღაც გარბი-გამორბის,

მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: ორივე კალათბურთელია, ერთი — ყოფილი და მეორე — მოქმედი; ორივე ამჟამად, ამერიკაში ცხოვრობს და პერიოდულად ჩამოდის სამშობლოში. და კიდევ ერთი საერთო თვისების დასახელებაც შეიძლება: მათ ლამაზი ქალებიც უყვართ. ერთს — იმის გამო, რომ სამოდელო სააგენტოს შეფია, მეორეს — უბრალოდ, იმის გამო, რომ ახალგაზრდა, პოპულარული, პერსპექტიული, წარმოსადეგი მამაკაცია.

დაემთხვა, რომ ია კიწმარიშვილი ნიუ-იორკიდან თბილისში ზუსტად იმ დროს ჩამოვიდა, როცა აქ ატლანტიდან NBA-ს საკალათბურთო ლიგის გუნდის — „ატლანტა ჰოქსის“ წევრი ზაზა ფაჩულია იმყოფებოდა. ერთმანეთის პირისპირ პირველად, რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ შეხვდნენ.

დაკავებულია. პირველი ის არის, როდესაც ახალი ჩასული ხარ, შენს ადგილს ვერ პოულობ, მაგრამ რა წუთსაც ამ ბარიერს გადალახავ (რომ ახალი ჩასული ხარ), მაშინვე პოულობ ადგილს. გიჩნდება შენი წრე, საყვარელი რესტორნები, თავშეყრის ადგილები. ერთობი, დადიხარ დისკოთეკაზე და ნელ-ნელა ეგუები იქაურობას. ყოველ შემთხვევაში, ჩემს შემთხვევაში ასე იყო. ნიუ-იორკში ჩემი და ცხოვრობს, თავის ოჯახთან ერთად, ამიტომ იქ ადრეც ვყოფილვარ. პრინციპში, ქალაქთან შეგუების პროცესი იოლად გადავლახე. ნიუ-იორკში ბევრი ქართველი ნაცნობი, მეგობარი მყავს. სწავლა რომ დავიწყე იქ, სულ სხვა საახლობლო წრე გამომიჩნდა. ჩემთვის საინტერესო თემა და სფეროც მოვძებნე: თეატრებში, მუზეუმებში სიარული, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად გართობა. ასე რომ, მოსაწყენად დრო არ მრჩება. ხანდახან, საქართველოდან შენთან ჩამოსული მეგობრების გართობას მიჰყოფ ხელს. წარმოიდგინე, რომ კალათბურთის სათამაშოდაც დავდივართ..

— აქ კონკურსის მოსაწყობად რომ ჩამოხვედით, ამისთვის როგორ მოიცალეთ?

— საერთოდ, აქ ჩემს სამოდელო სააგენტოს ინტერნეტის, ტელეფონის მეშვეობით ვხელმძღვანელობ. იქიდან ვაკონტროლებ და ვეწევი ჩემს საქმიანობას. წელიწადში ერთხელ ვატარებ კონკურსს — „მის საქართველო“ და ამიტომაც ჩამოვდივარ თბილისში. წელს, 15 ივლისს გვაქვს კონკურსი, რომელსაც ბათუმის თეატრში ჩავატარებთ და ამის შემდეგ, ნიუ-იორკში დავბრუნდები.

— ვფიქრობ, რომ იქ ყოფნა აქ მუშაობას უფრო გიადვილებთ. ნიუ-იორკში ალბათ, უამრავი იდეა გიჩნდებათ. ამისთვის შესანიშნავი პირობებია. ალბათ ცდილობთ, იქ ნანახი თქვენს სააგენტოში გადმოიტანოთ, დანერგოთ, არა?

— გეთანხმები. ნიუ-იორკი დიდი შესაძლებლობების მქონე ქალაქია, ხოლო ამერიკა — კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობის მქონე ქვეყანა. იქ კარგად ჩანს სიახლე, იდეებიც ადვილად მოგდის, მუშაობის სურვილიც გიჩნდება. ნიუ-იორკში იდეების განხორციელება იოლია. ჩვენში ეს ბევრად რთულია, რადგან შესაბამისი რესურსი (რაც შენს იდეას სჭირდება), აქ რთულად მოიპოვება. ამასთან, ფინანსური საკითხები იქ გაცილებით იოლად გვარდება, ვიდრე ჩვენში.

— რას იტყვით წლევანდელ კონკურსზე, რომელსაც ერთ თვეში ჩაატარებთ?

— ძალიან ვწუხვარ, რომ ადრე მიდიხარ, თორემ, ჟიურის შემადგენლობაში მოგიწვევდი. ეს მომავალი წლისთვის გადავდოთ...

ჟურნალისტი – ია კიწმარიშვილი
რესპონდენტი – ზაზა ფაჩულია

— ზაზა, რამდენი წელია, რაც უცხოეთში ხარ?

— 14 წლის ვიყავი, როდესაც პირველად, თურქეთში წავედი. მას მერე უკვე 10 წელი გავიდა. აქედან, მეოთხე წელია, რაც ამერიკაში ვცხოვრობ.

— თვითონ გაგიჩნდა სურვილი, საზღვარგარეთ წასულიყავი და იქ გეთამაშა თუ შემოთავაზება მიიღე?

— ბავშვობიდან ვთამაშობდი კალათბურთს. ვსწავლობდი დემირელის სახელობის თურქულ კოლეჯში. კარგ განათლებას ვიღებდი და შესაბამისად, ურიგო მოსწავლე არ ვიყავი. კოლეჯის დახმარებით წავედი კალათბურთის სათამაშოდ თურქეთში. საქართველოდან NBA-ში რომ მოვხვედრილიყავი, ამის შანსი საერთოდ არ მქონდა. თურქებმა დიდი როლი ითამაშეს იმაში, რომ NBA-ში მოვხვდი.

— ახლი შენ მომიყევი, როგორ ჩაიარა ამერიკაში შენი ადაპტაციის პერიოდმა? რა მოგწონს და რა არ მოგწონს იქ?

— თავიდან, პირველად საზღვარგარეთ თურქეთში მოვხვდი. თურქეთი საქართველოსთან ახლოს არის და ხშირად მიწევდა ამ ორ ქვეყანას შორის მოძრაობა. სტამბოლში ცხოვრება არ გამჭირვებია. სხვათა შორის, ამერიკასაც შევეჩვიე. თქვენი არ იყოს, როცა ადამიანს საქმე გაქვს, რაღაცაში ჩართული ხარ, ფიქრის დროც აღარ გრჩება. დღესდღეობით, არანაირი პრობლემა აღარ მაქვს. მეადვილება იქაურ ხალხთან ურთიერთობა, ქვეყანაში ცხოვრება. დეპრესიული პერიოდი უცხოეთში ცხოვრებისას, არასდროს მქონია.

— საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში თუ გიწევს თამაში?

— კი, ჩამოვდივარ ხოლმე ნაკრების თამაშებზე, რომ დავეხმარო გუნდს. საქართველოს ნაკრებში თამაში იმას ნიშნავს, რომ უცხოეთში მიღებული გამოცდილება შენს ქვეყანასა და ხალხს მოახმარო.

— ადრე კალათბურთი საქართველოში უფრო პოპულარული სპორტის სახეობა იყო. ხომ არ გაქვს დაგეგმილი რაიმე ისეთი, რაც საქართველოში ამ სპორტის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს?

— როცა თქვენ თამაშობდით კალათბურთს, იმ წლების შემდეგ, სპორტის ეს სახეობა თანდათან უკან-უკან წავიდა. დღეს, უმეტესი ნაწილი ქართველი კალათბურთელებისა საზღვარგარეთ თამაშობს. აქ არანაირი პირობა არ არსებობს და მათ ვერავინ ეტყვის — საზღვარგარეთ არ ითამაშოთო. ძველი, ლამაზი კალათბურთი ჩაკვდა...

— სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდები თუ ამერიკაში დარჩები?

— მაქვს სურვილი, საქართველოში ვიცხოვრო, ჩემს ქვეყანას გამოვადგე ჩემი გამოცდილებით. თუმცა, კარიერის დამთავრებამდე, ჯერ კიდევ ბევრი დროა — დაახლოებით 10-12 წელი. ვითამაშებ მანამ, სანამ „გავქაჩავ“. არც ისე მინდა, მოხდეს — ხალხს აღარ აინტერესებდე, ვერ თამაშობდე და მაინც მოედანზე იყო. იმ დროს უნდა შეწყვიტო თამაში, როცა გთხოვენ — კიდევ ერთი წელი დარჩიო. ხალხს კარგად უნდა დაამახსოვრდე. როგორც დაწყებას აქვს მნიშვნელობა, ისე — დასრულებასაც.

— შენი საკუთარი საკალათბურთო სკოლის გახსნას ხომ არ აპირებ?

— მგონი, თქვენ ჩემს გულში ჩაიხედეთ: ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ რაღაცნაირად დავეხმარო ახალ თაობას, ბავშვებს. სხვათა შორის, ვაწარმოებ მოლაპარაკებებს ხელისუფლებასთან, ალბათ, რაღაცაზე შევთანხმდებით, ვნახოთ...

— მეც შემოგიერთდები და ერთობლივი ძალებით, იქნებ, რაღაც გამოგვივიდეს.

— ძალა ერთობაშია!..

— ესე იგი, გაირკვა, რომ ქართული კალათბურთის ასაღორძინებლად, ერთად რაღაც გეგმებიც გაგვიჩნდა... — ამერიკაში კონკრეტულად, სად ცხოვრობ?

— სეზონის განმავლობაში — ატლანტაში, იქ, სადაც ვთამაშობ. წელს, ისე მოხდა, რომ ბოლო თამაში ატლანტაში 9 აპრილს მქონდა. 20 აპრილს უკვე მაიამიში ვიმყოფებოდი. ზაფხულობით, მაიამიში ვცხოვრობ. მაიამი ახალგაზრდული ქალაქია, ძალიან ლამაზი, სადაც ბევრი რაღაცის გაკეთება შეიძლება. ეს არის ქალაქი, სადაც 24 საათის განმავლობაში სიცოცხლე დუღს, არაფერი იკეტება. რიტმი არ ეცემა. ოკეანის პირასაა, ისეთი ჰავა და ცხოვრების სტილია, რომელიც ძალიან მომწონს. სხვათა შორის, პირველი გუნდი, სადაც ვთამაშობდი, სწორედ მაიამის გუნდი გახლდათ. ამ ქალაქში შესაბამისად, ბევრ ადამიანსაც ვიცნობ და მეადვილება კიდეც ცხოვრება. ატლანტა შავკანიანების სიმრავლით გამოირჩევა: მოსახლეობის 70%-ს შავკანიანები შეადგენენ. თუმცა, მე მათთან ურთიერთობისას, არანაირი პრობლემა არ მაქვს. ჩემს

ახლანდელ გუნდში — „ატლანტა ჰოუქს-შიც“ ბევრი შავკანიანია. მათთან ვმეგობრობ, კარგი დამოკიდებულება მაქვს.

— რომელ სამზარეულოს ანიჭებ უპირატესობას?

— გაგიმართლათ, რომ ნიუ-იორკში ქართული რესტორანი გაქვთ. მაიამიში არ არის. ქართული სამზარეულო ყველას მირჩევნია, მაგრამ ეს ჩემს ხასიათსა თუ გუნება-განწყობილებაზეც არ არის დამოკიდებული. უცხოურიდან კი, ძირითადად, იტალიური კერძები მიზიდავს.

— მეგრელ კაცს, ამერიკაში ღომი თუ გიჭამია?

— მეგრელი ვარ და რაზეა ლაპარაკი *(იცინის)*?!. დედაჩემი ატლანტაში, სეზონის განმავლობაში, ჩემთან ერთად არის ხოლმე, მერე აქეთ მოდის და მე მაიამიში მარტო ვრჩები.

— დედისერთა ხარ?

— სამწუხაროდ.

— მშობლებზე „დამოკიდებული“ შვილი ხარ თუ „დამოუკიდებელი“?

— მარტო მე და დედა ვართ. ამიტომ, დედაჩემია ჩემთვის დაც, ძმაც, მამაც და ყველაფერი. ახლო ურთიერთობა გვაქვს. ერთად რომ გვნახოთ, ვერც იფიქრებთ, რომ დედა-შვილი ვართ. გამუდმებით ვცდილობ, ის კარგად გამოიყურებოდეს. სხვათა შორის, დედაჩემიც კალათბურთს თამაშობდა.

— დაოჯახებას არ აპირებ?

— რა თქმა უნდა, ვაპირებ.

— როგორია შენთვის ქალის იდეალი?

— ჩემი შესაფერისი უნდა იყოს...

— როგორც ვიცი, კალათბურთელებს უმეტესად, დაბალი ცოლები ჰყავთ. ასეთი აზრიც ტრიალებს — თითქოს, მაღალ ბიჭებს დაბალი გოგონები მოსწონთ.

— ასე ადრე იყო... ჩემ გვერდით დაბალი გოგო ვერ წარმომიდგენია, ამით შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ... ერთი თანაგუნდელი ჩემზე მაღალია — 2 მეტრი და 16 სანტიმეტრი, ცოლი კი, მეტრ-ნახევარი ჰყავს. პირველად მათ ერთად თვალი რომ შევავლე, ვთქვი — შანსი არ არის, რომ ასეთი „პატარა“ ცოლი მოვიყვანო-მეთქი...

— მაგრამ „არასოდეს თქვა არასოდეს“, — ხომ გაგიგონია?..

— დავნაძლევდეთ — მეტრსა და სამოცდათხუთმეტზე ნაკლები სიმაღლის, ჩემი ცოლი არ იქნება, თუ არა და ძალით „გავზრდი“ *(იცინის)* — იოგაზე ვატარებ...

— გარდა სიმაღლისა, რით უნდა გამოირჩეოდეს გოგო, რომ მოგეწონოს?

— 14 წლიდან, საზღვარგარეთ ვარ. შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიო შემოვიარე. არაერთ ქვეყანაში ვარ ნამყოფი... ჩემთვის მთავარია, რომ ჩემს მომავალ მეუღლესთან ურთიერთობა მსიამოვნებდეს. პირველად, ქალს გარეგნობით ვაფასებ და მერე მისმა სულიერმა სამყარომ უნდა დამაინტერესოს. თუ ქალი საინტერესო არ არის, მასთან ლაპარაკიც არ მინდა...

— როგორ გგონია — ქართველი იქნება შენი მომავალი ცოლი?

— ტრადიციებს არ მინდა ვუღალატო, სურვილი მაქვს, რომ ქართველი იყოს...

— რამდენი შვილი გინდა, რომ გყავდეს?

— მე დედისერთა ვარ... გპირდებით, რომ ერთზე მეტი აუცილებლად მეყოლება.

— ახლა, ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, რა გეგმები გაქვს?

— NBA-ში უამრავ რაღაცას ვსწავლობ. რომ დავბრუნდები, ბიზნესის სფეროში უნდა გავიარო კონსულტაციები. ეს ორგანიზაცია ხელს გიწყობს ყოველმხრივ განვითარებასა და განათლებაში: თვითონ არის დაინტერესებული, რომ მის მოთამაშეებს ხელი შეუწყოს, დაეხმაროს, თუ საჭიროა, დამატებით განათლებაში ფულიც გადაუხადოს. მისი მესვეურები მიიჩნევენ, რომ რაც უფრო ჭკვიანი და განათლებული ხარ, ეს მით უფრო გიწყობს ხელს კალათბურთის კარგად თამაშში. ასევე მოსწონთ ის, რომ მათი მოთამაშე დაკავებულია, კალათბურთის პარალელურად, სხვა საქმესაც აკეთებს. მე „ადიდასი“ მაცმევს. მათ მიაჩნიათ, რომ ეს უდიდესი რამ არის, რადგან მე მარტო კალათბურთიდან კი არ მიცნობენ... ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ ჰოლივუდში ფილმში გადამიღონ, რაც NBA-ს ხელმძღვანელებს ძალიან ახარებთ.

— მთავარ როლში გადაგიღებენ?

— მე და ანჯელინა ჯოლის *(იცინის)*...

— წარმატებებს გისურვებ.

— გმადლობ.

■

მეტრსა და სამოცდათხუთმეტზე ნაკლები სიმაღლის, ჩემი ცოლი არ იქნება, თუ არა და ძალით „გავზრდი“

„სხვათა სარიგებელთ გამგებელი, გლეხურად“ — ასე განმარტავს სულხან-საბა სიტყვას „მეტიჩარა“. რადგან ეს სიტყვა XVI-XVII საუკუნეებში შედგენილ ლექსიკონშია შესული, ეს იმას ნიშნავს, რომ მეტიჩრობა „არახალია“ და ის ძველთაგანვე ახასიათებდა ადამიანებს. მეტიჩარა არ ნიშნავს ბოროტს. ის ხშირად, სხვის საქმეში ცხვირს იმის გამო ყოფს, რომ იმ სხვას სიკეთე მოუტანოს, მაგრამ პირიქით გამოსდის. არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო — ესეც ძველების ნათქვამია და ალბათ, ისევეა გასათვალისწინებელი, როგორც მათ მიერ ნათქვამი სხვა სიბრძნეებიც. მეტიჩრების მოქმედების სფერო ალბათ, უამთა ცვლის მიხედვით იცვლება. თანამედროვე მეტიჩრები თანამედროვე ტექნოლოგიებს (მობილურ ტელეფონს, ინტერნეტს და ა.შ.) იყენებენ, სხვის საქმეში ცხვირის ჩასაყოფად. ჩვენი პირველი რესპონდენტიც დაუფლებია ტექნიკის მიღწევებს და დაქალის საქმეც გაუფუჭებია.

მარი ჯაფარიძე

ჯეთილი მეტიჩარა

„გამარჯობა, „გზავ“, მე ნინი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის ვარ, ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე და სხვის საქმეში გამუდმებით ვყოფ ცხვირს... ბავშვობის მეგობარი მყავს, ირმა. ბოლო ერთი წელია, ძალიან კარგ ბიჭზეა შეყვარებული. მთელი გულითა და სულით ვგულშემატკივრობდი და ძალიან მინდოდა, რომ დაქორწინებულიყვნენ. ამიტომ ძალ-ღონეს არ ვიშურებდი საიმისოდ, რომ შესაფერის დროს, როდესაც ისინი ერთად იყვნენ, რამენაირად ჩამეგონებინა მამუკასთვის, რომ ირმა კარგი გოგოა და მასზე უკეთეს „ვარიანტს“ ვერ იპოვიდა ოჯახის შესაქმნელად. ირმა სულ მსაყვედურობდა ამის გამო, მე კი მიმაჩნდა, რომ ასეთ საკითხებში ის ვერ ერკვეოდა და ჩემი ჩარევის გარეშე, ვერაფერს მოახერხებდა. ერთ მშვენიერ დღეს, მამუკას დავუმესიჯე, რომ სხვა თაყვანისმცემელი ირმას მოტაცებას აპირებდა. რა თქმა უნდა, წმინდა წყლის ტყუილი იყო. ვიფიქრე, რომ ამით მათ ქორწინებას დავაჩქარებდი. ვიგონებდი ათასგვარ სისულელეს და მამუკას, მესიჯს მესიჯზე ვუგზავნიდი. ამან უარყოფითი შედეგი გამოიღო, მამუკა საერთოდ დაიკარგა და ირმას აღარ ეკონტაქტებოდა. ირმა ძალიან განიცდიდა, ტიროდა და მოთქვამდა ამის გამო, მე კი ვდუმდი და არ ვეუბნებოდი, რომ მამუკასთვის ამდენი ტყუილი მქონდა ნათქვამი. მიკვირდა, რომ მამუკას სულაც არ

„მეტიჩარა“ ცხოველები და მუქთა ხიზილალა ანუ „ის“ მოკლე და ენა – გრძელი

ედარდებოდა, ირმას მოიტაცებდნენ თუ არა და იმ დასკვნამდე მივდიოდი, რომ მას ირმა არ უყვარდა. ამ აზრით თავი ირმასაც გამოვუჭედე. ბოლოს და ბოლოს, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და ყველაფერი გაირკვა. მამუკას უფიქრია, რომ ეს იყო ირმას მიერ მოგონილი ხრიკი, მის შესაბმელად — დაძალებული კი არაფერი მინდაო, — უთქვამს. ირმამ ვერ დაარწმუნა, რომ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ირმა არ გამებუტა, რადგან იცის — მე კეთილი გულით გავაკეთე ეს ყველაფერი, მაგრამ მაგრად კი მისაყვედურა. ძლივს გადავიტანეთ ეს ამბავი, ერთად მივტიროდით დაკარგულ სიყვარულს, მაგრამ ეს რას გვიშველიდა?! ახლა კი ვისწავლე ჭკუა და აღარასოდეს ჩავყოფ სხვის საქმეში ცხვირს, მაგრამ რაღა დროს?!. ისე, იქნებ, მართლა არ უყვარდა მამუკას ირმა და ეს მხოლოდ საბაბი იყო? ვინ იცის...“

ჩემი „დამაგრძელებელი“

„უკვე დიდი ხანია, ერთი შინაბერა თანამშრომელი გვყავს. ჟანა ჰქვია, 40 წლისაა და არასოდეს ყოფილა გათხოვილი. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე აქვს, მაგრამ ძალიან არასექსუალურია. ალბათ ამის გამოა, რომ არც ერთი კაცი ჯერ „ისე არ დამთვრალა“, რომ მასთან თუნდაც, ერთი ღამე გაეტარებინა... ლაპარაკი, იცოცხლე, უყვარს, ენას არ აჩერებს და ესმის თუ არა ის თემა, რომელზეც სხვები საუბრობენ, მაინც ჩაეჩრება ხოლმე. ჟანა და მისი გაუთხოვრობა მუდმივად ხუმრობის საგანია. ის კი ცხოვრობს ასე, მამაკაცის ალერსის გარეშე და მხოლოდ ხანდახან თუ ამოიოხრებს და წაიწუწუნებს თავისი ხვედრის გამო... ჩვენი ჟანა დიდი ხანია, ოცნებობდა, რომ სამსახურში საკუთარი კომპიუტერი ჰქონოდა. ამას წინათ, ახალი ტექნიკა შევიძინეთ და ერთი მოძველებული კომპიუტერი ჟანასაც ერგო. ჩვენმა „ტეხნიკმა“ უცებ გამოუძებნა დამაგრძელებელი „შნური“, კომპიუტერი ჩაურთო და ჟანაც მიუჯდა. ყველანი ვფიქრობდით, რომ მალე მოსწყინდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, თავის კომპიუტერს შვილივით უვლიდა და ახლოსაც არავის აკარებდა. სამსახურში სიწყნარემ დაისადგურა, ჟანა აღარ ლაპარაკობდა იმდენს, რამდენსაც წინათ, მაგრამ თუ ვინმე რამეს ჰყვებოდა, ერთ-ორ სიტყვას მაინც ჩააკვეხებდა ხოლმე. ერთ დღეს, ძველი თანამშრომელი გვეწვია სტუმრად. ამ მიზეზით, პატარა ა-ლა-ფურშეტი მოვაწყვეთ. ათას რამეზე ვილაპარაკეთ და რა თქმა უნდა, როგორც ხდება ხოლმე, ანეკდოტებიც მოვყევით. ჩვენმა სტუმარმა ერთი ანეკდოტი მოგვაწოდა: „მიხო და ზაქრო ვენახში მუშაობდნენ. ამ დროს, ზევიდან უცხოპლანეტელი დაეშვა. ზაქრო, შენ წადი, პატრულს დაუძახე, მე კი ამაი ვუყარაულებო... — თქვა მიხომ. ზაქრო წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ, მოვიდა ზაქრო და მოიყვანა პატრული. ხედავენ, მიხო ზის და სიცილისგან ბუირდება, უცხოპლანეტელი კი ტირილით თავს იკლავს. რა უქენი, მიხო, უცხოპლანეტელს აწყენინე? ახლავე დაგიჭერთო, — დაემუქრა პატრული. მიხო კი თავს იმართლებს — კაცო, ვისხედით აქა და წყნარად ვლაპარაკობდით, მკითხა, ვენახს როგორ თოხნითო და მეც ვაჩვენე, როგორც ვთოხნით, ამან კი ამოიღო კომპიუტერი და იმით გათოხნა; მერე მე ვკითხე, ბავშვებს როგორ „აკეთებთ“-მეთქი და ისიც კომპიუტერზე გააკეთა, მე კიდევ, ვაჩვენე, ჩვენ როგორ „ვაკეთებთ“ ბალღებსა, ახლა კიდევ ზის და ტირის, მეხვეწება, რომ ჩემი „კომპიუტერი“ თავისაში გავუცვალო, აბა, როგორ შევუსრულო თხოვნაო?“ ამ ანეკდოტზე ბევრი ვიცინეთ, მაგრამ ჯერ სული არ გვქონდა მობრუნებული, რომ მეტიჩარა ჟანამ უეცრად „დაახეთქა“ — მეც მაქვს ჩემი კომპიუტერი, ჩემსას დამაგრძელებელიც აქვსო... ყველანი მაგიდის ქვეშ ვეყარეთ, იმდენი ვიცინეთ. ახლა სიტყვა „დამაგრძელებლის“ გაგონებაზე, ხარხარს ვიწყებთ. ჟანა კი, აქამდე ვერ მიმხვდარა, რატომ გვეცინება“.

მომდევნო რესპონდენტის ნაამბობმა ერთი „წვერიანი“ ანეკდოტი გამახსენა:

ახალგაზრდა ქალბატონი შედის ექიმის კაბინეტში და კითხულობს — გავიხადო? — კი, გაიხადეთ, — პასუხობს ექიმი. შემდეგ, აათვალ-ჩაათვალიერებს, გასინჯავს და ეუბნება — იცით, თქვენ ექიმთან რომ მიხვიდეთ, ის გირჩევნიათო... — კი, მაგრამ აბა, თქვენ ვინ ხართ? — კითხულობს გაოგნებული ქალი. — მე „მალიარი“ ვარ, „ვკრასკამ“, გენაცვალე, „ვკრასკამ“!..

„აბა, ჩაიხადე!“

„90-იან წლებში, როდესაც ცხოვრება აირია და სამსახურში ხელფასს აღარ გვიხდიდნენ, იძულებული გავხდი, რაიმე ხელობაზე მემუშავა და ოჯახი ისე მერჩინა. მე და ჩემმა მეგობრებმა შევქმენით სარემონტო ჯგუფი და გადავწყვიტეთ, კერძო ობიექტებზე გვემუშავა. რაიონული პროკურატურის შენობის რემონტი შემოგვთავაზეს. უარს როგორ ვიტყოდით?! პროკურატურა განთავსებული იყო საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე. ისეთი „ბარდაკი“ იყო, რომ თანამშრომლები ერთმანეთსაც კი ვერ ცნობდნენ. ძირითადად, ახალგაზრდები მუშაობდნენ. სათითაოდ გვითმობდნენ ოთახებს, რომ რემონტი გაგვეკეთებინა და პროკურატურის მუშაობა არ შეფერხებულიყო. ოთახიდან ავეჯიც კი არ გაჰქონდათ ხოლმე... გამოსაძიებელ საქმეებსაც კი იქ ტოვებდნენ. არავინ გვიშლიდა ხელს მუშაობაში, ღიღინ-ღიღინით ვაკეთებდით ჩვენს საქმეს, მაგრამ მყუდროებას მხოლოდ ის „გარეშე“ ადამიანები გვირღვევდნენ, ვინც პროკურატურაში საქმეზე მოდიოდნენ. პირველიდან სამ საათამდე შენობაში არავინ რჩებოდა, ყველანი შესვენებაზე მიდიოდნენ ხოლმე. ჩვენც, ტანისამოსს გამოვიცვლიდით, რომ პროდუქტის მოსატანად მაღაზიაში წავსულიყავით ან იქვე კაფეში გვესადილა. ერთხელ, სწორედ ასეთ დროს, როდესაც უკვე ოთახიდან გავდიოდით, კარი გაიღო და ასე, 35 წლის ქალი შემოვარდა ყვირილით — ბოლოს და ბოლოს, ვინმე მიშველის? მომაშორებთ, თუ არა ამ მხეცს?! ჩვენმა ბრიგადირმა დააწყნარა ქალი, დივანზე დასვა და მოაყოლა, რა პრობლემა ჰქონდა. თურმე, ქმარი

ლოთობდა, მერე ცოლს სცემდა, ფულს ართმევდა, ბავშვებს აწიოკებდა... ახლა კი მოკვლით მემუქრებაო, — თქვა ქალმა და ატირდა. ჩვენი ბრიგადირი როლში შეიჭრა, დასვა „დაზარალებული“ და განცხადება დააწერინა. ამ დროს, სადარბაზოში მთვრალი მამაკაცის ხმა გაისმა: — სად ხარ, შე ბოზო, მიჩივი, არა? უნდა დამიჭირონ, არა? შენც ეგ არ გინდა? მოგკლავ, შენი!.. — და ა.შ. ცოტა ხანში კი, კარში მისი სიფათიც გამოჩნდა. ცოლი რომ დაინახა, აყვირდა — აბა, ადექი, შე ბოზო, და წამოეთრიე სახლში, თორემ, გაჩვენებ, ჩივილი როგორ უნდაო!.. ჩვენი ბრიგადირი ცოლ-ქმარს შორის ჩადგა და კაცი დაამშვიდა, დასვა, ქალი შინ გაისტუმრა და ქმარს მიუბრუნდა — ეს კაცური საქციელი არ არის, როგორ შეიძლება, ქალს რომ ემუქრები და სცემ?! — კაცმა თვალები დაჭყიტა. — შენ მე ვერ დამიჭერ, არა გაქვს ამის უფლებაო, — ამოილულლუღა. — მართალია, ვერ დაგიჭერთ, მაგრამ გადამჭრელ ზომებს კი მივიღებთო, — უთხრა ბრიგადირმა და უბრძანა, რომ შარვალი ჩაეხადა. კაცმა იღრიალა, მაგრამ ჩვენ წამოვეშველეთ, მაგიდაზე გადავაწვინეთ, ბრიგადირმა კი ქამარი მოიხსნა და უკანალზე მისცხო. თან ეუბნებოდა — მოქალაქე (გვარი არ მახსოვს), თქვენ ისჯებით ქალისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამოო!.. ქმარი, რა თქმა უნდა, არ გაჩუმებულა. მთელი ხმით გაჰყვიროდა — რა უფლებით? თავი დამანებეთ, თქვენი დედა!.. ბრიგადირმა კარგად რომ „იმუშავა“, თავი დაანება, ხალათის საყელოში ჩაბღუჯა და ეუბნება — თუ ცოლის ცემას თავს არ დაანებებ, იცოდე, რომ ყოველდღე მოგიყვან აქ და ასე გაგროზგავო... სწორედ ამ დროს, პროკურატურის თანამშრომელი შემოვიდა და იკითხა — რა ხდება? — კაცმა კი უცებ ჩაიხადა შარვალი, აჭრელებული უკანალი უჩვენა და ეუბნება — აი, რა მიქნეს თქვენმა თანამშრომლებმაო! ლამის გადაირია გამომძიებელი. დიდი სკანდალი ატყდა და ჩვენ ისე გამოგვყარეს იქიდან, რომ ფულიც არ გადაგვიხადეს. აი, ასეთი არამკითხე მოამბე ბრიგადირი გვყავდა. მის გამო, გვარიანი თანხაც დავკარგეთ, მაგრამ მაინც არ ვნანობდით, რადგან ერთი კარგი საქმე მაინც გავაკეთეთ“.

ზღვის კომბოსტო

„ადრე, კომუნისტების დროს, თევზის მაღაზიის დირექტორი ვიყავი. ერთხელ, 20 ყუთი დაკონსერვებული ზღვის კომბოსტო მივიღეთ, სულ 600 ცალი. ვის რაში სჭირდებოდა?! ასეთი საქონელი თვეობით იდო ხოლმე დახლზე, მერე ვადა გასდიოდა, ჩამოვწერდით და ვყრიდით, მაგრამ სახელმწიფომ შემოიტანა და რა უფლებით არ მიიღებდი?! მივიღეთ, ვიტრინაში დავდეთ და არც გვქონდა იმედი, რომ გავყიდდით. 1-2 კვირის შემდეგ, ახალგაზრდა კაცი შემოვიდა და 2 ცალი ზღვის კომბოსტო შეიძინა. თითო, 20 კაპიკი ღირდა. საღამო ხანი იყო. 1-2 საათის შემდეგ, ის კაცი ისევ მოვიდა და მოითხოვა, რომ რაც მაღაზიაში ზღვის კომბოსტო გვქონდა, ყველა მიგვეყიდა. ძალიან გაგვიკვირდა — როგორ უნდა გიყვარდეს კაცს ზღვის კომბოსტო ისე, რომ 600 ცალი იყიდო?! არ დაგავიწყდეთ, რომ „გაგანია“ კომუნისტების დროა და ადამიანებს ყველაფერში ზღვარი ჰქონდათ დაწესებული. ეს ახლაა ასეთი წესი, რომ კლიენტი ყოველთვის მართალია, მაშინ ასეთი რამ ხომ წარმოუდგენელი იყო. ადამიანი მთელი თვის ხელფასით ზღვის კომბოსტოს ყიდულობდეს, როგორ შეიძლებოდა?! ჰოდა, ჩვენც უარი ვუთხარით. ის კი არ გვეშვებოდა და მოითხოვდა, რომ აუცილებლად მიგვეყიდა მისთვის მთელი პარტია... მოკლედ, დიდი გაწევგამოწევის შემდეგ, უარი ვუთხარით და მაღაზიიდან მივაბრძანეთ. ამასობაში, მაღაზიის დაკეტვის დროც დადგა და მე ერთი ცალი ზღვის კომბოსტო გავაყოლე ხელს, რომ გამესინჯა და გამეგო, რა იყო ასეთი, კაცი გაგიჟებული რომ მოვარდა... შინ მისულმა, კონსერვი გავხსენი და რას ვხედავ? ყუთი შავი ხიზილალით არის სავსე! გადავირიე. მეორე დღეს, მაღაზიაში კიდევ ერთი ყუთი გავხსენი და იქაც ხიზილალა აღმოჩნდა. მაშინვე ჩავრიე შესაბამისი ორგანოები, რომლებმაც ყველა „ზღვის კომბოსტო“ აქტით ჩაიბარეს. როგორ აღმოჩნდა ხიზილალა მაღაზიაში, არავინ იცოდა. იმას კი მივხვდი, რომ ეს იყო კონტრაბანდული საქონელი, ზღვის კომბოსტოს იარლიყით „შენიღბული“. იმ კაცს კი, რომ არ ემეტჩრა და მთელი პარტიის წასაღებად არ მოსულიყო, ვერაფერს გავიგებდით. მოსულიყო ის დალოცვილი ყოველდღე და 2-3 ცალი შეეძინა. მე შენ გეტყვი და ვინმე შეეცილებოდა?! მაგრამ მეტჩარა რომ იქნები ადამიანი, ასე მოგივა“.

„ის“ მოკლე და ენა – გრძელი

„ერთი მეგობარი მყავს, თამაზი, რომელიც მართლა არამკითხე მოამბეა. საკმაოდ კარგი გარეგნობა აქვს, ეს თვითონაც მოეხსენება და თავში აქვს ავარდნილი. არის მისი საქმე თუ არა, ყველა ქალს რაღაცას ეუბნება. განსაკუთრებით, ოფიციანტები და გამყიდველები ჰყავს მიზანში ამოღებული და სისხლს უშრობს. რესტორანში რომ შევალთ და ოფიციანტი ჩვენს მაგიდასთან მოვა, ჰკითხავს — გოგონი, თქვენ ალბათ სული გაქვთ ლამაზი, ხომ? — რატომ? — ისმის ამ დროს ლოგიკური კითხვა. — თუ ადამიანს გარეგნობა არ უვარგა, მას სული ექნება ლამაზიო... — იტყვის და ისე გაიღრიჭება, რომ მისთვის სიფათის გასწორება მოგინდება. ვინ ჰკითხავს მას, ლამაზია ადამიანი თუ არა?! ღმერთმა როგორიც გააჩინა, ისეთია და რა ქნას?! ყველა მასავით ლამაზი ხომ ვერ იქნება! ყოველთვის აპატიებდნენ ამ სიტყვებს, აბა, მეტი რა გზა ჰქონდათ, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ, ასეთი შემთხვევა მოხდა: რესტორანში შევედით. თამაზმა, ჩვეულებისამებრ, ოფიციანტს მიმართა — გოგონი, სამაგიეროდ, სული გექნება ლამაზი, ხომ? — რატომ გგონიათ ასე? — ჰკითხა ოფიციანტმა. — როცა ასეთი საშინელი გარეგნობა გაქვს, შინაგანი სამყარო აუცილებლად ლამაზი გექნებაო... — უთხრა გაზეპირებული ფრაზა. გოგონამ ზიზღით შეხედა და უთხრა — შენ კი ალბათ, „ის“ გექნება მოკლე, რადგან ენა ასეთი გრძელი გაქვსო!.. მე სიცილისგან ძირს ვეგდე, თამაზი კი, გამშრალი იჯდა და ხმას ვერ იღებდა. დანახარჯის გადახდის დროს კი, ოფიციანტს 20 ლარი აჩუქა...“

ჯიუტი მეტიჩარა

„ბანკში ვმუშაობ. კომპიუტერი ჩემთვის ახალი ხილი არ არის და ძალზე კარგად ვფლობ ტექნიკის ამ სასწაულს. ამას წინათ კი, ვერაფერი ვერ გავუგე. დაახლოებით 40 გვერდი უნდა ამომებეჭდა პრინტერზე, მაგრამ გვერდები დანომრილი არ უნდა ყოფილიყო. მე კი ვერაფრით მოვახერხე: ყველა გვერდის დასაწყისში ნომერი ეწერა, თანაც — არეულად. ბევრი ვიწვალე და მეტიჩარა რომ ვარ, არც ერთი თანამშრომელი არ მივაკარე ჩემს კომპიუტერს. მეუბნებოდნენ, მოგეხმარებითო, მაგრამ — არა და არა-მეთქი, ავტყდი და არავის ვუსმენდი. რას ჰქვია, რჩევებს მაძლევენ, მე მათზე დიდი ხანია, კომპიუტერზე ვმუშაობ და როგორ მაჯობებენ-მეთქი?! ერთი სიტყვით, ქანცი გამძვრა და ვერაფერიც ვერ მოვუხერხე დავალებას. ავდექი და ხელოსანთან დავრეკე, რაც, რა თქმა უნდა, ზედმეტ ხარჯთანაა დაკავშირებული. ის ცდილობ-

და, ტელეფონით აეხსნა, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა. მერე, იძულებული გახდა, მოსულიყო. სიმართლე რომ გითხრათ, იმანაც ბევრი იწვალა და მოთმინების ფიალა რომ აევსო, ლამის კომპიუტერი დალეწა. კარგა ხნის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ თურმე, ფურცლები, რომლებზეც ტექსტის ამობეჭდვას ვცდილობდი, წინასწარ ყოფილა დანომრილი. ბევრი ვიცინეთ, მაგრამ როცა ერთ-ერთმა თანამშრომელმა მითხრა — მე ამის თქმას ვცდილობდი, მაგრამ არ მომისმინეო, — სულ გადავირიე. ამის შემდეგ, აუცილებლად გავითვალისწინებ სხვის აზრს და ასე აღარ მოვიქცევი...“

მკითხველების მესიჯებიდან შევიტყვე, რომ თურმე, მეტიჩარა მარტო ადამიანები კი არა, ცხოველებიც არსებობენ. ახლა კი, სამი ამბავი: „მეტიჩარა“ თუთიყუშზე, ძაღლსა და კატაზე.

რა სჯობია ხორციან ღვეზელს?

„თქვენს რუბრიკაში რამდენჯერმე დაიბეჭდა საინტერესო ამბები ძაღლების შესახებ. მეც მაქვს ერთი საინტერესო ამბავი და იმედია, არც მე გამაწბილებთ. ამას წინათ, ასეთ სურათს შევესწარი: შენობის კუთხიდან უზარმაზარი როტვეილერი გამოვარდა და იქვე, საკონდიტროსთან „დაატორმუზა“, უკანა თათებზე დადგა და სარკმელში შეიხედა. გამყიდველს შეეშინდა და ძაღლს ხაჭაპური გაუწოდა. ძაღლმა პირი არ დააკარა. ამასობაში, იმავე კუთხიდან ახალგაზრდა მამაკაცი გამოვარდა, ხელში საყელური ეჭირა და ყვიროდა — გაჩერდი, ჯეი, გაჩერდი, შე ნაძირალავ!.. გამყიდველმა ძაღლს კარტოფილიანი ღვეზელი შესთავაზა, მაგრამ იმაზეც უარი მიიღო. შემდეგ, ხორციანი ღვეზელი მიაწოდა. ძაღლმა პირი დაავლო და გაიქცა. ამასობაში მისმა პატრონმაც მოირბინა, ჯიბეში ხურდა მოძებნა, რამდენი უნდა გადავიხადო? — იკითხა, ღვეზლის ფული გადაიხადა და ისევ ლანძღვა-გინებით გაეკიდა ძაღლს. აი, ასეთი „მეტიჩარა“ ძაღლი იყო და ვიდრე ხორციანი ღვეზელი არ დაითრია, არ მოისვენა. პატრონი კი, როგორც ჩანს, მიჩვეული იყო მის ასეთ საქციელს და ფულიც წინასწარ ჰქონდა მომზადებული“.

„მოძალადე“

„უკვე 5 წელია, თუთიყუში მყავს. კაკადუა და კარგად ლაპარაკობს. გარდა იმისა, რომ იცის, „ბორკა დურაკ“, სალანძღავი სიტყვებიც არ ეშლება. ის ოთახში თავისუფლად დაფრინავს და გალიაში მხოლოდ დასაძინებლად შედის. ჩემს ბორკას ძალიან უყვარს ტკბილეული, შოკოლადზე ხომ საერთოდ ჭკუა ეკეტება. თუ ვინმეს ხელში კანფეტი აქვს და ქაღალდის შრიალის ხმა ესმის, მასთან მიფრინდება და ჰკითხავს — შოკოლადს ჭამ, შე იდიოტო (რა თქმა უნდა, მე ვასწავლე)?.. ამის შემდეგ, აუცილებლად იღებს ხოლმე ტკბილეულს და ძალიან უხარია. ამას წინათ, ჩემი 2 მეგობარი მეწვია. კარგა ხანს ვილაპარაკეთ, შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ტუალეტში შევიდა. ოთახში სიწყნარე იყო, ამიტომ, კარგად ისმოდა, რა ხდებოდა ტუალეტში. კარგა ხნის შემდეგ, იქიდან ტუალეტის ქაღალდის მოხევისა და შრიალის ხმა გამოვიდა. ეს არც ბორკას დარჩენია შეუმჩნეველი, ტუალეტის კართან მივიდა, სახელურზე ჩამოჯდა და დაიძახა — შოკოლადს ჭამ, შე იდიოტო?.. აი, ასეთი არამკითხე მოამბეა ჩემი თუთიყუში“.

„შმონია“!

„გამარჯობა. პირველად გწერთ და იმედია, არა — უკანასკნელად. მთელი 10 წელი მაქვს ციხეში გატარებული. ერთხელ პატარა კნუტი „გავჩითე“ და ვალეტი დავარქვი. მაგარი ტიპი იყო, ყველას ძალიან უყვარდა და პატივსაც სცემდნენ. საუკეთესოდ ვკვებავდით და ცივ ნიავს არ ვაკარებდით. წლების განმავლობაში იყო ჩვენთან და ლამის ჩვენი „პრივიჩკებიც“ კი შეითვისა. როცა „შმონი“ იყო, პატიმრებს კედელთან დაგვაყენებდნენ, ხელებს კედელზე მიგვადებინებდნენ და ასეთ პოზაში გვჩხრეკდნენ. ვალეტი ჩვენი რიგის ბოლოში დადგებოდა, წინა თათებს კედელზე მიაბჯენდა და ვიდრე „შმონი“ არ დამთავრდებოდა, ასე იდგა. ამის დამნახავი, ყველა სიცილით კვდებოდა ხოლმე... „მეტიჩარა“ კატა თან წამოვიყვანე, როცა წამოვედი. ყველას უკვირდა — ჯერ არ გვინახავს, რომ პატიმარს აქედან კატა წაეყვანოსო. ასეთი კატის დატოვება იქნებოდა?!.“

„ვის მხარეზე ხარ?“

„ჩემი მეტიჩარა მეზობლის ამბავი უნდა მოგიყვეთ. საკმაოდ ასაკოვანი ქალია და თინეიჯერივით იცვამს. ყველას საქმეში ცხვირს ყოფს და თანაც, მაგარი ჭორიკანაც გახლავთ. მის გარეშე უბანში არაფერი ხდება. შარშან გაზაფხულზე, შუაღამის 3 საათზე, ჩვენი შენობის უკან მდებარე სუპერმარკეტს ძარცვავდნენ. ვიღაცამ პატრულს დაურეკა და ატყდა ერთი ამბავი. საპარტულო პოლიციის მანქანები მოვიდნენ, მაღაზიას ალყა შემოარტყეს და მძარცველებს ეძახდნენ, რომ ხელები მაღლა აეწიათ და გარეთ გამოსულიყვნენ. შემდეგ, გამაფრთხილებელი გასროლაც გააკეთეს. მთელი უბანი ფეხზე იდგა, მაგრამ ძირს ჩასვლას ვინ გაბედავდა?! ყველანი ფანჯრებიდან ვიყურებოდით. პოლიციელების სროლას მძარცველებმაც სროლით უპასუხეს და ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოწვა. ამ დროს გაისმა იმ ჩვენი მეტიჩარა მეზობლის ხმა: „რა ამბავია, კაცო? დროზე დახოცეთ, ბიჭებო და გვაცალეთ ძილი!“ ყველანი გავშრით. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი, სიჩუმეში პოლიციის თანამშრომლის ხმა გაისმა — „ვის ეუბნებით მაგას, ქალბატონო?“ მიკვირს, სიცილისგან ფანჯრებიდან რომ არ გადმოვცვივდით. მეტიჩარამ კი ხმა ჩაიგდო და ფანჯარაში გაუჩინარდა. ღვთის მადლით, არც დაჭრილა ვინმე და არც დაღუპულა, ისე აიყვანეს მძარცველები, მაგრამ ჩვენს მეზობელს კი შეეშინდა და იმის შემდეგ, პოლიციის დანახვისას, ალბათ ქვეშ ისველებდა“.

ჩაწყობილი ჩათვლა

„სტუდენტობის დროინდელ ამბავს გავიხსენებ. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ერთი ძალიან მკაცრი ლექტორი გვყავდა (გვარს არ დავასახელებ, რადგან ახლაც იქ მუშაობს). მისი საგნის ჩაბარება ყველას უჭირდა. ჩვენმა მეტიჩარა ჯგუფელმა შემოგვთავაზა, რომ ლექტორი მოგვესყიდა. მაშინ ფულს ხელს ვინ მოჰკიდებდა?! გადავწყვიტეთ, არაყი გვეყიდა და მიგვერთმია. ვიყიდეთ 4 ბოთლი საუკეთესო არაყი, მაგრამ ვინ გაბედავდა მისთვის მიტანას?! ბევრი ვიფიქრეთ, როგორ მოვქცეულიყავით და ისევ იმ მეტიჩარამ მოგვაწოდა აზრი: ავდგეთ და მაგიდაზე გრაფინი რომ უდგას, იმაში ჩავუსხათ, წყალს რომ და-

ლევს და არაყი აღმოჩნდება, მიხვდება, რომ ჩვენი გაკეთებულია და ნიშნებსაც დაგვიწერსო. ასეც მოვიქეცით. შუა გამოცდაა და ლექტორმა წყალი დაისხა. მოსვა და გაშეშდა. ხმა არ ამოუღია, ისე დატოვა აუდიტორია. ჩვენ შევშინდით, ის მეტიჩარა ლამის მოკვალით. ვიფიქრეთ, რომ ახლა დეკანს მოიყვანდა და ერთ ამბავს ატეხდა. ამიტომ, მის მოსვლამდე, სასწრაფოდ გადავლვარეთ არაყი, გრაფინი გამოვრეცხეთ, რომ სუნი არ ჰქონოდა და შიგ წყალი ჩავასხით. ის კი 15 წუთის შემდეგ დაბრუნდა, თან ცელოფანის პარკით ხაჭაპური მოიტანა. დაჯდა თავის ადგილზე, დაისხა „არაყი“ და გადაკრა. პირისკენ წაღებული, ხაჭაპურიანი ხელი გაუშეშდა. გადმოგვხედა და გვითხრა — ახლა წადით, ხოლო რაც ამ გრაფინში ესხა, ის საღამოს სახლში მომიტანეთ და ჩათვლის წიგნაკებიც მოაყოლეთო. ასე მივიღეთ ჩათვლა მის საგანში“.

მეტსახელად – „მეტიჩარა“

„სამედიცინო ინსტიტუტის ბოლო კურსის სტუდენტი ვარ. თან პრაქტიკას გავდივარ რეანიმაციის განყოფილებაში. ჩემი მომავალი საქმე ძალიან მაინტერესებს და ყველაფერში ცხვირს ვყოფ, რომ კარგად ავითვისო. ამის გამო, მეტსახელიც კი შემარქვეს — „მეტიჩარა“, მაგრამ სულ არ მანაღვლებს, რადგან მთავარია, ჩემგან საუკეთესო ექიმი დადგეს, თანაც ამ სახელს სიყვარულით მეძახიან და არ მწყინს. როგორ გასაოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რეანიმაციული პაციენტებისთვის ხშირად გვჭირდება პრეზერვატივი. რა თქმა უნდა, სქესობრივი აქტის ჩასატარებლად — არა; არსებობს სპეციალური მანიპულაციები, რომლებიც მისი საშუალებით ტარდება. კვირადღე იყო. უეცრად, პრეზერვატივი დაგვჭირდა, მაგრამ განყოფილებაში არ აღმოგვაჩნდა. იქვე, საავადმყოფოსთან აფთიაქების მეტი რა არის?! ჰოდა, როგორც მეტიჩარამ, ჩემს თავზე ავიღე მისი მოტანა. ერთ-ერთმა ექთანმა კი მთხოვა, ბარემ ვალერიანის წვეთები წამომეღო მისთვის. აფთიაქში რამდენიმე ადამიანი დამხვდა, მათ შორის, ერთი საკმაოდ ასაკოვანი, უფრო სწორად, მოხუცი ქალბატონიც გახლდათ. ურიგოდ მივიჭერი დახლთან, ფული დავდე და ვთქვი: — 5 ცალი პრეზერვატივი და ერთი შუშა ვალერიანის წვეთები მომეცით-მეთქი. მოხუცმა ქალბატონმა შემათვალიერა და ხმამაღლა მითხრა — ნერვიულობ, შვილო?.. ნუ გეშინია, თუ კარგი კაცია, სანერვიულო რა გაქვსო?!. მე გავწითლდი, ხალხი კი სიცილით მოკვდა. აი, ასეთი რამ დამემართა ჩემი მეტიჩრობის გამო. რა მინდოდა? წასულიყო სხვა, ხომ ამცდებოდა სირცხვილი! პატივისცემით, თქვენი უერთგულესი მკითხველი, ნინუცა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

„დამნაშავე მე ვარ“...

„მარი, იცი, როგორ მიყვარს „გზავნილები“? ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი. რაც შეეხება თემას, გეტყვით: იცით, არამკითხე მოამბე როდის ვარ?.. თუ ახლომახლო ფეხბურთზეა ლაპარაკი, თუნდაც, უცხო ადამიანები იყვნენ, მათ საუბარში მაინც ჩავერთვები ხოლმე. თან ყველას ვედავები და ვეჩხუბები. ვინ მეკითხება?! მაგრამ რა ვქნა? ფეხბურთზე ვგიჟდები და ინგლისის გუნდზე ვაბოდებ. აბა, ინგლისის ფანებო, გავერთიანდეთ და ბრაზილია „გავაფარჩაკოთ“! გკოცნით, ინგლისის თავგამოდებული ფანი, თაკო. ინგლისი! ინგლისი! ინგლისი!“

„ეჰ, ერთმა მეტიჩარამ მე და ლაშა სამუდამოდ დაგვაშორა. ახლა კი, ბედნიერად გრძნობს თავს. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ სიყვარულს დაცვა სჭირდება, რომ არ დაიკარგოს და ჭორებს ისევე არ შეეწიროს, როგორც ჩემი. არა, მაინც, რა დავაშავე?! ალბათ გამბედაობა არ მეყო, რომ ყველასთვის საკადრისი ადგილი მიმეჩინა... რუსო“.

„ლაშა ქ-ვა, შენნაირი ავანტიურისტი მეორე არ არსებობს. ხელმეორედ რატომ ამირიე დალაგებული ცხოვრება? მერე კი ისევ გაქრი... ქუთაისი“.

„ნეტავ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ... ერთი წლის წინ, მეც მეტიჩარასავით მოვიქეცი. სიზმარში ვნახე, რომ ჩემს ახლობელ ბიჭს ჩემი მეზობელი გოგონა მოეწონა და დაქორწინდნენ კიდეც. ეს სიზმარი ორივეს მოვუყევი და მოგვიანებით, ერთმანეთიც გავაცანი. ბიჭმა ჩემი სიზმარი სხვანაირად ახსნა და მაშინვე წამჩურჩულა — არ იცი, სიზმრები პირიქით რომ სრულდებაო?.. თითქოს ყველაფერი სიზმრის მიხედვით მიდიოდა, ეს მორცხვი გოგო მთელი ღამე ყელში ჰკოცნიდა ახალგამომცხვარ საქმროს, მერე ბიჭი აკითხავდა და ერთმანეთს ჩემს სახლში ხვდებოდნენ. ძალიან რომანტიკული საღამოები იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, ამან ჩემთვის აუტანელი ხასიათი მიიღო. თავს ზედმეტად და დამნაშავედაც კი ვგრძნობდი, რადგან ყოველი მორიგი პაემნისა თუ ორმხრივი თვალების ჟუჟუნის შემდეგ, გოგონა მე მსაყვედურობდა — უთხარი, თავი დამანებოსო. ვეტყოდი, მაგრამ... ცოტა ხნის შემდეგ კი, ჩემმა მეტიჩრობამ ნაყოფი გამოიღო და თანაც, როგორი!.. მოკლედ, მე და იმ ბიჭს ერთმანეთი გვიყვარს და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ის არსებობს. გკოცნით, პატარა პრანჭიკელა“.

„ერთი მეტიჩარა კლასელი მყავს, რომელიც სკოლის საუკეთესო ბიჭს უყვარს. ის დებილი კი თავს იფასებს, მე კი, არამკითხე მოამბე ვარ, რადგან ბექას ვეხმარები, თათიამ კი არაფერი იცის. მის ადგილზე, ბექას არ დავკარგავდი, მაგრამ მეტიჩრებს რას გაუგებ?!“

„ჩემი მეტიჩარა ძმა სერიალს არ მაყურებინებს. მეზიზღება ფეხბურთი. გუგა, მიფრთხილდი! ნინი“.

„მე რომ მეტიჩარა არ ვიყო, ახლა დაგიმესიჯებდი?! ნამდვილი გიჟი ვარ. პეტო“.

„მეტიჩარა?.. მეტიჩარა არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემი დამრიგებელია დიდი მეტიჩარა. გამიგონია, მოსწავლის პირად საქმეში ცხვირის ჩაყოფა?! არა, გამაგიჟებს ეს ხალხი. ქალი ახლა იმაზე ნერვიულობს, რომ კარგი მეგობრები მყავდეს... ყველაფერი იმის ბრალია, რომ თვითონ, ლენჩი შვილები ჰყავს“.

„ალბათ, სწორედ ჩემი მეტიჩრობის ბრალია, მეგობარი რომ დავკარგე და ახლა ძალიან განვიცდი. თუმცა, ისე გამამწარა, რომ თავს ვერ ვძლიე, ვიმეტიჩრე და გამოვუცხადე, რომ ერთმანეთს დავშორდითმეთქი. უკვე 2 კვირაა, არ გამოჩენილა. ვანუკა, მე არა ვარ დამნაშავე! ანუკა“.

„ჩემი დაქალი ერთ ბიჭს ხვდებოდა და ის ტუტუცი ყურებამდე შეუყვარდა. თავს იბრმავებდა და იყრუებდა, არ უნდოდა, დაენახა, რომ მისი სახლის წინ ის ბიჭი სხვა გოგოსაც ხვდებოდა. ერთი ჩვეულებრივი დონჟუანია, ჩვეულებრივი გარეგნობის. დაბალია და ტარაკანასავით შავი. ჩემი დაქალი კი, მასზე მაინც ჭკუას კარგავდა. მთელი დღეები ვუჩიჩინებდი — მოეშვი მაგ ბიჭს-მეთქი, — მას კი თითქოს, ეშმაკი შეუჩნდა, არაფრის გაგონება არ უნდოდა, ოჯახის წევრებიც კი მოიმდურა. ლამის დაქალი გადავიმტერე და რომ მივხვდი, არაფერი გამოვიდოდა, მორალის კითხვას თავი დავანებე. თითქოს ამას ელოდაო, იმ ბიჭმა უმიზეზოდ მიატოვა. ჩემი მეგობარი კი, ახლაც მას ელის“.

„ახლა ისე ცუდად ვარ, რომ შეიძლება, გავგიჟდე. შეყვარებულს დავშორდი და ლამისაა, ჭკუიდან გადავიდე. თორნიკე მართლა მეტიჩარა ადამიანია, სიყვარულს მეფიცებოდა, ცოლობას მთხოვდა, მაგრამ დედამისმა რაღაც უთხრა ჩემზე და მაშინვე დამშორდა. თორნიკე, ვერ გიტან!“

„მე მყავს ერთი მეტიჩარა თანაკლასელი. ისეთი მეტიჩარაა, რომ მთელ კლასს გვაღიზიანებს. თუ რამეს ეტყვი, ისეთი ტონით გიპასუხებს, რომ თავი უკანასკნელი მათხოვარი გეგონება. იმედი მაქვს, მის ასეთ საქციელს ერთ დღეს, ბოლო მოეღება. მარი, თუ არ გამოსწორდები, იცოდე, ცუდად გექნება საქმე. კიკი“.

„ძალიან მრცხვენია ჩემი საქციელის. ჩემი დაქალის, ანის საქმეში მართლაც, მეტიჩარასავით ჩავყავი ცხვირი. ანის შეყვარებულმა მთხოვა, რომ მასთან შემერიგებინა. მეც თავი გამოვიდე და რასაც ანი მასზე მეუბნებოდა, ყველაფერს ვუყვებოდი, ვეუბნებოდი, როგორ ტიროდა ანი მასთან ჩხუბის შემდეგ, მაგრამ ცუდის გაკეთება ნამდვილად არ მინდოდა. ბოლოს და ბოლოს, არაფერი იმალება და ჩემმა დაქალმა ყველაფერი გაიგო. ძალიან ეწყინა და მეჩხუბა. ანი, მაპატიე, შენთვის ცუდი არ მინდოდა, უბრალოდ, მეტიჩარა ბავშვი ვარ!.. ითი“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ამაოდ გაღებული მსხვერპლი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

დადგა დრო, როდესაც ისტორიამ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის ხსენება დღეს უკვე არავის ეკრძალება, თუმცა, გასულ საუკუნეში, მას ტაბუ ედო. დღეს ეროვნულ გმირად აღიარებული ამ კაცის ნეშტი უკვე ქართულ მიწაში განისვენებს და საზოგადოებამაც მისი ხსოვნის წინაშე ქედი მოიხარა...

სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე საუბრით დავიწყე ინტერვიუ მარინა ბერიძესთან. ქალბატონი მარინას სახელი და გვარი ფართო საზოგადოებისთვის მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც ის საპროდიუსერო კომპანია „არტ-იმედის“ მთავარი პროდიუსერი გახდა, თუმცა, პროფესიონალ პიანისტს, მუსიკალური წრეები და ძველი თბილისელები მანამდეც კარგად იცნობდნენ. ის დედის მხრიდან, ჩოლოყაშვილების გვარის შთამომავალია და ქაქუცას სისხლიც უდუღს ძარღვებში, რითიც ძალზე ამაყობს... კიდევ იმითიც ამაყობს, რომ ბევრი, გარეგნულად ნანი ბრეგვაძეს ამსგავსებს...

„ჩემი პაპიდანაა“

- ქალი, ჩოქელიჩ ნანი ბრეგვაძეში ეჩევათ

„ჩემს ძარღვებში ჩოლოყაშვილების სისხლი დგას“

ლალი ფაცია

— გასული საუკუნის 40-იან წლებში, თბილისში სამი ლამაზი ქალბატონი დადიოდა: ნიცა, ციცნა და ლიზა ჩოლოყაშვილები. ისინი რომ გამოჩნდებოდნენ, „გოლოვინსკი“ ჩერდებოდაო, — ამბობდნენ... ნიცა ჩოლოყაშვილი დედაჩემი გახლდათ, ციცნა — ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილი. ისინი ერთმანეთის ბიძაშვილები იყვნენ, მაგრამ დებივით ერთად იზრდებოდნენ. პატარა ვიყავი და მახსოვს, რომ ჩვენთან ოჯახში ქაქუცაზე ლაპარაკი აკრძალული იყო. ქალბატონმა ციცნამ წარსულის გახსენება მოხუცებულობაში დაიწყო და სიკვდილის წინ, ჟურნალისტს ინტერვიუც კი მისცა. მოჰყვა — როგორ დაიჭირეს ქაქუცა, რატომ იდევნებოდა ის, დაასახელა ის ადამიანები, რომლებიც მის წამებაში მონაწილეობდნენ... იცით, რა მიკვირს?.. ჩვენები კომუნისტებისგან რეპრესირებულები იყვნენ — ისინი კახეთიდან (ახმეტა) გამორეკეს, მაგრამ მათში კომუნისტების მიმართ იოტისოდენა სიძულვილი არ შეინიშნებოდა — ე.ი. ცხოვრებამ ისინი ვერ გააბოროტა, თავდიშვილურ დიდსულოვნებას არ კარგავდნენ. ბებიაჩემი ოჯახებში დადიოდა და ხალხს ემსახურებოდა — კერძები დაჰქონდა, რუსულს ასწავლიდა... მათთვის შრომა სათაკილო არ იყო. ამ ადამიანებისგან ბევრის სწავლა შეიძლებოდა. რაც შეეხება ციცნას, ქაქუცას ქალიშვილს — ის უაღრესად ინტელიგენტური, ბრძენი, თბილი ქალბატონი იყო, მაგრამ ცოტა მკაცრი, ასკეტური. ყველას მისი რიდი გვქონდა.

— ქაქუცას სურათი თუ ჰქონდათ სახლში?

— მხოლოდ ნახატი პორტრეტი და ისიც, დამალული ჰქონდათ. საბედნიეროდ, დღეს უკვე ბევრია მისი სურათი, რომელიც საჯაროდ, ეროვნული მოძრაობის დროს, მიტინგებზე გამოჩნდა, მაგრამ დედაჩემს მაშინაც ეშინოდა; არ სჯეროდა, თუ მისი რეაბილიტაცია შესაძლებელი იყო... ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი წუთები მაშინ დადგა, როდესაც გასული წლის 21 ნოემბერს, საქართველოში ქაქუცას ნეშტი გადმოასვენეს. კულტურის სამინისტრომ ამ ცერემონიალისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება მთხოვა. საინტერესო ის იყო, რომ მათ არც კი იცოდნენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ჩემი ნათესაური კავშირის შესახებ... სამუშაო რთული იყო, რამდენიმე მასობრივი სცენა უნდა გაგვემართა, სადაც უამრავი დეტალი იყო გასათვალისწინებელი. ყველაფერს სიხარულით ვაკეთებდი. გურის — ქაქუცას შვილთაშვილს ვუთხარი კიდეც — მის უკვდავყოფაში მეც ერთი აგური დავდე-მეთქი... ასე მეგონა, დედა, ბებია და ჩემი წინაპრები შორიდან მაკვირდებოდნენ და მლოცავდნენ...

— დედის მხრიდან ჩოლოყაშვილი ხართ, თავად — ბერიძე ბრძანდებით. როგორც ვიცი, არც ეს გვარია „მთლად უბრალო“...

— დიახ. ბაბუაჩემის ძმა — მეცნიერი ვუკოლ ბერიძე გახლდათ. ამიტომაც, მემკვიდრეობით მერგო ანალიტიკური გონება, პრინციპული და შემტევი ადამიანიც გახლავართ: როცა ვიცი, რომ მართალი ვარ, პოზიციებს არ ვთმობ. ამ დროს, ჩემში ჩოლოყაშვილების გენი იღვიძებს...

— მოდი, საუბრის თემა შევცვალოთ. ბევრი ადამიანი გარეგნობით ცნობილ ქალბატონს, ნანი ბრეგვაძეს გამსგავსებთ. ისიც ვიცი, რომ თქვენ და ქალბატონი ნანი მეგობრები ხართ...

— ჩემთვის ნანის ფენომენი ბევრს ნიშნავს. ამ შემთხვევაში, მასზე, როგორც პიროვნებაზე მოგახსენებთ: უაღრესად მიმტევებელი, მოკრძალებული ადამიანია. ცდილობს, ყველას მოეფეროს და

მარინა ბერიძის მეგობარი ქალბატონები

არავინ გაანაწყენოს... ნანი გარეგნობითაც ძალიან მომწონს. ასევე მომწონს მისი ჩაცმულობის სტილი, ვარცხნილობა, საუბრის მანერა. შეიძლება, მისგან ბევრი რამ მაქვს გადაღებული და ეტყობა, ამიტომაც ვერევით ხოლმე ერთმანეთში. სხვათა შორის, თავად მასაც უთქვამს — შენ რომ გიყურებ, თავი შედარებით ახალგაზრდა მგონიაო... ერთხელ, თემურ ჭყონიასთან ვიყავით,

შეიძლება, მისგან ბევრი რამ მაქვს გადაღებული და ეტყობა, ამიტომაც ვერევით ხოლმე ერთმანეთში

სადაც ანდრეი კონჩალოვსკი და თეატრის მსახიობები იყვნენ მიწვეულები. ბატონი მიხეილ საკაშვილიც მოვიდა. რუსები რომ შეზარხოშდნენ, ცეკვა-სიმღერა გაჩაღდა. ჩემთან ერთი მსახიობი მოვიდა, მუხლებზე დაეცა და მითხრა: ბედნიერი ვარ, აქ რომ გნახეთ. **Вы великая Нани. Я перед вами стою на коленях.** გავგიჟდი. თემურ ჭყონიამ იხუმრა: მარინა ნანის „პადრუგაა“, ოღონდ, მასზე ახალგაზრდაო... ის კაცი არ იჯერებდა, რომ ნანი არ ვიყავი. ბატონი თემური მომიბრუნდა და მითხრა: ადექი ახლა და იმღერე, ამ კაცმა რომ მოისვენოსო *(იცინის)*... ასეთი კურიოზები არაერთხელ გადამხდენია თავს. სხვათა შორის, ამ ამბებს ნანი რომ იგებს, ძალიან უხარია... ზაფხულობით ერთად ვისვენებთ ხოლმე. მის ოჯახთან, მიქელაძეებთან (დედამისი მიქელაძე გახლდათ) დედაჩემიც მეგობრობდა. ბიცოლაჩემი — ნატალია ფალავანდიშვილი, მათი ნათესავი იყო. ასე რომ, ჩვენ შორის გარკვეული წრე წლების წინ შეიკრა.

— მახსოვს, ნანი ბრეგვაძის ვარსკვლავის საზეიმო გახსნის ცერემონიაშიც აქტიურად იყავით ჩაბმული...

— ნანის კონცერტისა და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიის ორგანიზატორი დათო ოქიტაშვილი იყო. ის პირველად რომ ვნახე, ნანის ვკითხე: ვინ არის-მეთქი? მიპასუხა: პირობას გაძლევ, ამ ადამიანს რომ გაიცნობ, გაგიჟდებიო. ეს სიტყვები ბევრს ნიშნავდა... ამგვარად, დათო ოქიტაშვილი ნანის მეშვეობით გავიცანი, დავახლოვდით და მან მეტსახელად რატომღაც, „რუხი კარდინალი“ შემარქვა. ჩვენ შორის შემოქმედებითი კავშირი დამყარდა. ამ ახალგაზრდა კაცმა შეძლო, თავი მოება და შესანიშნავად გასძღოლოდა ნანის კონცერტისა და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. ამასთან, მასში დავინახე ნანიზე შეყვარებული ადამიანი... ცოტა ხანში, ქალაქის კულტურის სამსახურთან არსებული, კულტურის გადარჩენის ფონდი (ნანიც ჩვენთან ერთად იყო) შევქმენით და ბევრი სასარგებლო საქმე გავაკეთეთ.

— ქალბატონო მარინა, მაინც რა გრძნობაა, როდესაც ქუჩაში გაჩერებენ და ნანი ბრეგვაძეს გადარებენ?

— რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოა და თუ ჩვენ შორის მართლაც არის რაიმე მსგავსება, ამით მხოლოდ ვამაყობ...

— ოჯახშიც (როგორც მეუღლე, დედა და ბებია) ისეთივე აქტიური და ენერგიული ხართ, როგორიც თქვენს საქმიანობაში?

— ბებია ალბათ — ნაკლებად. საერთოდ, მიმაჩნია, რომ შვილი მაინც დედამ უნდა გაზარდოს. ვცდილობ, ოჯახის წევრები ჩემი აქტიურობით არ შევაწუხო. შვილს თავისუფლებას ვაძლევ, მის ცხოვრებაში არ ვერევი. მიმაჩნია, რომ მეუღლეში გამიმართლა, რადგან ზურიკო საოცრად რბილი ადამიანია — ყოველთვის მამშვიდებს, სტიმულს მაძლევს. ის, ყველა სიკეთესთან ერთად, მოსიყვარულე და მზრუნველი მამაა.

— თქვენი მეუღლე — ზურაბ ლალიაშვილი — ანსამბლ „ივერიაში“ მოღვაწეობდა. ალბათ, ამ ანსამბლის წევრებზე ბევრი რამ გაქვთ გასახსენებელი, არა?

— „ივერიის“ წევრებმა ბევრი რამ მასწავლეს. წლების განმავლობაში, კლასიკურ მუსიკაში ვმოღვაწეობდი — მოქმედი პიანისტი, კონცერტმაისტერი ვიყავი. ამიტომ ჩემთვის ცოტა ძნელი იყო, შევგუებოდი მათ რეპერტუარს, მაგრამ... „ივერიას“ გასტროლებზე დავყვებოდი. მეგობრული და მონოლითური ჯგუფი იყო... როდესაც საპროდიუსერო კომპანია „არტ-იმედში“ მივდიოდი სამუშაოდ, მეგობრებმა მითხრეს — იცი, წინ რამდენი უსიამოვნება გელოდებაო?!. მანამდე, კონფლიქტი არც ერთ მომღერალთან არ მქონია. შემეძლო, ისეთი შესანიშნავი მომღერლებისთვის, როგორებიც არიან: თემურ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი და ა.შ. ნამღერი შემესწორებინა და ისინი ამისთვის მადლობას მიხდიდნენ. ამიტომაც, „არტ-იმედში“ მისვლის შემდეგ ჩავთვალე, რომ მომღერლებისთვის შენიშვნის მიცემის უფლება მქონდა. თურმე, შევცდი — როგორ შეიძლება, შოუბიზნესის წარმომადგენელს რაღაც უთხრა, ურჩიო?!. „ივერიელები“ მუდმივად სწავლობდნენ და ამას არ თაკილობდნენ. სოსო პავლიაშვილი „იურმალაზე“ რომ მიდიოდა, 6 თვე ვამეცადინებდი. ახლა, ქართულ ესტრადაზე სრული ქაოსია — ვის რა უნდა, რას აკეთებს — გაუგებარია...

— თქვენს ბიოგრაფიაში „არტ-იმედში“ მუშაობას რას დაარქმევდით? არის თუ არა ეს, ნათელი წერტილი?

— ნათელი წერტილი კი არა, ის ჩემ მიერ დაშვებული, ყველაზე დიდი შეცდომაა, მაგრამ ცდუნებას ვერ ვძლიე. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ის არის, რომ ჩვენ ირგვლივ დაუფასებლობის, უმადურობის სინდრომია გამეფებული. სანამ ეს იქნება, ძნელია ცხოვრება... მოსკოვში საკუთარი თვალით მაქვს ნანახი — როგორ უჩოქებდა ნანის უზარმაზარი დარბაზი, ხალხი ტიროდა... არ შეიძლება, საქართველოში ნანის არ ჰქონდეს შექმნილი, შესაფერისი სამუშაო პირობები და მუდმივად მოსკოვში მოღვაწეობდეს... საოცრად გულგატეხილია იმაზე, რაც ახლა ქართულ ესტრადაში ხდება. სულ მეუბნება — მარინა, იქნებ, ერთად შევძლოთ, რაღაცნაირად მოვახერხოთ, რომ ჩემი გამოცდილება ახალგაზრდებს გადავცე, გავუზიაროო. ცუდია, რომ მისი მდიდარი გამოცდილება იკარგება. მინახავს — როგორ დახმარებია მომღერლებს სტუდიაში, როდესაც ისინი სიმღერას წერდნენ. მას ერთი პატარა მითითებითა თუ მინიშნებით შეუძლია, სიმღერას სულ სხვა ლაზათი მიანიჭოს. ის პროფესიონალი და მაღალი რანგის მომღერალია. ■

მეუღლესა და შვილიშვილთან ერთად

ქორწინება და ოჯახი

ცრურწმენები, რიტუალები და ოვთავეყურთხეული ჩვენებლობა

ოჯახი რომ ქვეყნის ბურჯია, თითოეულ ჩვენგანს კარგად მოეხსენება. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ძალზე გახშირდა ახალშექმნილი ოჯახის დანგრევა. რა თქმა უნდა, ამის მიზეზს ვერავინ გაიგებს, თუმცა, ისიც ვიცით, რომ როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდება, უთანხმოების მიზეზი ორივე მათგანშია. მამაკაცისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქალის მიზანი რომ პირველ რიგში, ოჯახის შექმნა და შვილების გაჩენაა, ამას წყალი არ გაუვა, თუმცა, გამონაკლისებს ყველგან შეხვდებით...

ნათია ქივიძე

ჩვენი მშობლების თაობაში ჯვრისწერა „მოდაში“ არ იყო და ქორწინების „კურთხევა“ და კანონიერ ცოლ-ქმრად წყვილის გამოცხადება მმაჩის (იშიფრება, როგორც „მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩანერა“) ბიუროებში ხდებოდა. მოგვიანებით, თბილისელებს ქორწინების სახლიც გაგვიხსნეს, რათა ადამიანის ცხოვრებაში ეს დაუვიწყარი დღე, განსხვავებული რიტუალით მაინც დამახსოვრებოდათ ახალშეუღლებულებს. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართველებს რწმენა გაგვიმყარდა და ახლა, ქორწილი ქორწილად არ ითვლება, თუ სამოქალაქო ქორწინების შემდეგ (ან მანამდე), წყვილი საკურთხეველთან არ მივა...

ნანა შუკაკიძე *ის ადამიანია, რომლის უშუალო მონაწილეობითაც ათეულობით წყვილი შეუღლებულა: ჯერ სანაპიროზე მდებარე, ქორწინების სახლს ედგა სათავეში, შემდგომ კი, კონკის მახლობლად გახსნილი ქორწინების სახლის დირექტორად დაინიშნა. აქედან გამომდინარე, უამრავი შემთხვევა, რიტუალი თუ „მინიტრადიცია“ აქვს გასახსენებელი.*

— თბილისში პირველი ქორწინების სახლი 1964 წლის აგვისტოში გაიხსნა. საერთოდ, ქორწინება მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში, მმაჩის განყოფილებაში ხდებოდა, მაგრამ ამავე განყოფილებაში კიდევ უამრავი სამოქალაქო აქტი ტარდებოდა და იმისათვის, რომ ქორწინება საზეიმო, განსხვავებული და ახალგაზრდებისთვის დასამახსოვრებელი ყოფილიყო, მაშინდელმა ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ დღეს უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე პატარა ქორწინების სახლი მოეწყო. ამ სახლის პირველი დირექტორი, ქალბატონი ჯულიეტა ბოლქვაძე გახლდათ, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენ გვერდით აღარაა. პირველი მექორწინეები, რამდენიმე ახალგაზრდა გახლდათ — მაგალითად, ლამარა გაგუა და ვილი ალავიძე; ორივე მათგანი, რაიკომის მდივნები იყვნენ. პირველი მექორწინეები იყვნენ აგრეთვე, გურგენიძეები; მათთან წლების განმავლობაში ვმეგობრობდი. ყველა ჩვენს ღონისძიებას ესწრებოდნენ. როცა ჩემი თაობა მოვიდა — ანუ 1972 წელს, გადავწყვიტეთ, რომ ქორწინებას ცოტა შემოქმედებითად მივდგომოდით და „ახალდაქორწინებულთა კლუბი“ ჩამოვაყალიბეთ, სადაც თვეში ერთხელ, სამეცნიერო კონფერენცია, თაობათა შეხვედრები და საახალწლო მეჯლისი იმართებოდა. თვეში ორჯერ, აუცილებლად ტარდებოდა შეხვედრები იმ სპეციალისტებთან, რომელთა კონსულტაციები ახალგაზრდა ცოლ-ქმრისთვის აუცილებლად მიმაჩნია. ესენი არიან: იურისტი, სოციოლოგი, სექსოლოგი, გინეკოლოგი, პედიატრი, კულინარი, ეკონომისტი და ა.შ. მაშინდელი კანონის თანახმად, დაქორწინების მსურველებს განცხადება ქორწინებამდე ერთი თვით ადრე უნდა შემოეტანათ. ვინც ამას გააკეთებდა, ის წყვილი, როგორც წესი, დაქორწინებამდე ამ სფეროს ყველა წარმომადგენელს თუ არა, რამდენიმეს მაინც აუცილებლად ხვდებოდა და ყველა საკითხზე მისთვის საჭირო ინფორმაციას იღებდა. მახსოვს, მშობლები მოდიოდნენ და მადლობას გვიხდიდნენ, რადგან აქ ჩნდებოდა კითხვები, რომლებზეც ვერც ოჯახში და ვერც სკოლაში გახსნილად ვერ ილაპარაკებდი, ახალგაზრდებისთვის კი ამ საკითხებში გარკვევა მართლაც, აუცილებელია. სხვათა შორის, ჩვენს კლუბში ბატონი ნიკუშა წერეთელიც *(მიხეილ სააკაშვილის ბაბუა. — ავტ.)* ხშირად კითხულობდა ლექციას. კარგად მახსოვს, ყველა შეხვედრას ანა კალანდაძის ლექსით იწყებდა: „ღამეს ალუბლის ტოტზე გაათევ, თუ ვინმე გიყვარს, თუ ვინმეს ეტრფი“... და კიდევ: „ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს, ანგელოზნი გაგვიშლიან სუფრას“... ამ თემაზე ერთხელ კონფერენციაც კი ჩავატარეთ... მაშინ ოჯახის შექმნა სახელმწიფოებრივ დონემდე იყო აყვანილი. ქორწინებას აუცილებლად დეპუტატებიც ესწრებოდნენ... ყოველთვის იმაზე ვფიქრობდით, თუ როგორ ჩაგვეტარებინა თითოეული საქორწინო რიტუალი. გვყავდა გუნდი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცოცხლად ასრულებდა სიმღერებს; გვყავდა „მოპატიჟე“ ჭარმაგი კაცი, რომელიც ჩოხაში გამოწყობილი, ნეფე-პატარძალსა და მაყრიონს იწვევდა დარბაზში. სამნაირი მუსიკალური კატალოგი გვქონდა: კლასიკური მუსიკა, ქართული და უცხოური, რადგან მაშინ, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებიც ხშირად აწერდნენ ჩვენთან ხელს. მინისტრთა საბჭოში, რიტუალების შემმუშავებელი რესპუბლიკური კომისია არსებობდა. ჩვენ რომ რაიმე მუსიკას ამოვარჩევდით ქორწინებისთვის, მერე კომისიის წინაშე წარვადგენდით და ის ამტკიცებდა. მისალოცი ტექსტიც კი იქ უნდა წარგვედგინა... პატარძალს მზითვსაც ვატანდით, ეს იყო წიგნები: „ოჯახის მატიანე“, „ბავშვის მატიანე“, სადაც უნდა ჩაეწერათ: როდის ამოუვიდა ბავშვს პირველი კბილი, როდის გადადგა პირველი ნაბიჯი და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, პატარძალს აუცილებლად ვატანდით „ვეფხისტყაოსანს“. ეს ძველი ქართული ტრადიციაა, რომელიც პატარძლის გონიერებასა და წიგნიერებას უკავშირდება. სხვათა შორის, ადრე ქალს მზითვში ჭადრაკსაც ატანდნენ — იმის ნიშნად, რომ ის ჭკვიანი იყო. ჩვენ ჭადრაკი ნამდვილად არავისთვის გაგვიტანებია... როცა ხელის მოწერის ცერემონია სრულდებოდა, ნეფე-პატარძალს, ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდები ხმლების ქვეშ ატარებდნენ და, რა თქმა უნდა, მღეროდნენ — „ვისია, ვისია ქალი ლამაზი“. მერე, ფაეტონით მიდიოდნენ... მაგალითად, ასეთი საქორწინო რიტუალი ჩავატარეთ ლევან თედიაშვილის ხელმოწერის დროს.... გვქონდა კიდევ ერთი, ასევე საუცხოო ტრადიცია: ქორწინების წინ, ნეფე-პატარძალი მიდიოდა და ხეს რგავდა; ამ ხეზე მაგრდებოდა სპილენძის ფირფიტა, რომელზეც ეწერა, თუ ვინ დარგო იგი. მერე ოჯახური წყვილები მივიდოდნენ იქ თავიანთი შვილებით და აჩვენებდნენ. დღეს, ახალდაქორწინებულთა ხეივნები, ხოშარაულის ქუჩაზე, თბილისის ზღვაზე და თელეთშია, სადაც ჩვენი ფილიალი იყო განთავსებული. მოკლედ, ქორწინებისთვის მთელი სცენარი გვქონდა შედგენილი. როცა წლები გავიდა, აქ მოეწყო დიდი ღონისძიება, რომლის დროსაც, იმ მექორწინეებს, რომლებიც აქ რეგისტრაციაში პირველები გატარდნენ, საჩუქრად ბინის გასაღები და აკვანი გადასცეს.

— **როგორც ჩემთვის ცნობილია, თავდაპირველად, ამ ტერიტორიაზეც ფილიალი გაიხსნა.**

— მართალია. ეს ჩვენი ფილიალი იყო. უზნაძის ქუჩაზე არსებული სახლი მექორწინეთა რაოდენობას ვერ აუდიოდა, ამიტომ, მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ეს პატარა შენობაც მოეცა ჩვენთვის. ეს მაშინ მუზეუმივით იყო, რადგან აქ მხოლოდ

შრომის გმირებს ან წარჩინებულ ახალგაზრდებს ვაქორწინებდით. ამას მაინც ვუფრთხილდებოდით, რადგან საუკუნის ტოლი შენობაა და ბევრ ხალხს არ ვუშვებდით. ასევე გაიხსნა ფილიალი თელეთში, სადაც უზარმაზარი დარბაზები გვქონდა. შემდეგ, რიტუალების სასახლეც აშენდა.

— ახლა რატომ მოიშალა ყველა ეს ტრადიცია?

— 1991 წელს, უზნაძის ქუჩაზე მდებარე შენობა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას გადაეცა და ახლა, სულ გამოკეტილია. ხმამაღლა ვიტყვი, რომ უსინდისოა ის პიროვნება, ვინც ეს შენობა ახალგაზრდებს წაართვა. ორჯერ დაგვიბრუნეს, მაგრამ ბოლოს, მაინც წაგვართვა, გააქირავა და ჯიბეს ისქელებს... არეულობის დროს, თელეთიც დაიკარგა და დავრჩით ამ პატარა შენობაში. პირველ სართულზე მმაჩის განყოფილება შემოგვისახლეს და ჩვენ მხოლოდ მეორე სართული გვქონდა. ეს შენობა დანგრევის პირას იყო მისული და ფაქტობრივად, თავიდან ავაშენეთ. ყველა დაგვეხმარა და მხარში ამოგვიდგა. მერე, მმაჩის განყოფილებაც გადავიდა და ეს შენობა მთლიანად ჩვენ დაგვითმეს. ახლა მერიას აღარ ვექვემდებარებით, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაექვემდებარებაში ვიმყოფებით და მისი მესვეურები ცდილობენ, დაგვეხმარონ. რაც შეეხება ღონისძიებებს — ჯერჯერობით, ვერაფერს ვაკეთებთ. თუმცა, მიმდინარე წლის თებერვლიდან, ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც, საზეიმო რეგისტრაცია ფასიანი გახდა — 120 ლარი ღირს; ამ თანხას ემატება სახელმწიფო ბაჟი — 9 ლარი. ვფიქრობ, რომ ეს საკმაოდ დიდი თანხაა და საზეიმო რეგისტრაციას რაღაც უნდა დავურთოთ. ჯერ არ გადაგვიწყვეტია — ეს, სუვენირი იქნება, ყვავილები თუ სხვა რამ... ძალზე ბევრი მექორწინე გვყავს და გამორიცხულია, როცა დღეში 50 წყვილი აწერს ხელს, თითოეულისთვის განსაკუთრებული ზეიმის მოწყობა მოახერხო. ამასთანავე, არა გვაქვს იმხელა ფართი, რომ გასაქანი მივცეთ ფანტაზიას... ოჯახი ძალიან სათუთი ორგანიზმია, რომელსაც დიდი მოფრთხილება ესაჭიროება. სახელმწიფოს მხრიდანაც მიხედვასაც საჭიროებს, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს. პირიქით: ამას წინათ, აქ ერთი გოგონა იყო მოსული და გვითხრა — ის 120 ლარი ბიუჯეტში რადგან შედის, ე.ი. ახალგაზრდა ოჯახსაც რაღაც წვლილი შეაქვს სახელმწიფოს მშენებლობაშიო... მე ასე არ ვფიქრობ, რადგან თვით ახალშექმნილ ოჯახს სჭირდება დახმარება. მახსოვს, 80-იან წლებში ოქრო როცა გაძვირდა, ახალგაზრდებს, კომპენსაციის სახით, 200 მანეთს ვაძლევდით, რომ საქორწინო რგოლი ყველას ეყიდა. ალბათ, ახლაც დადგება საკითხი, რომ ახალ ოჯახს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

პროფესორი ნიკა წერეთელი — მიხეილ საკაშვილის ბაბუა

— იქნებ, გაიხსენოთ რამდენიმე ცნობილი ადამიანი, ვინც თქვენ დაგიქორწინებიათ...

— გამიჭირდება ყველას გახსენება, შესაძლოა, ვინმე გამომრჩეს, მაგრამ ვეცდები, ჩამოვთვალო: ნონა გაფრინდაშვილი, ძმები მაჩაიძეები, ალექსანდრე ჩივაძე, ლევან თედიაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი, კოტე მახარაძე და სოფიკო ჭიაურელი; კარლო კალაძე 80 წლის იყო, როცა დავაქორწინეთ; ვახტანგ ბარათაშვილი, რომელიც შორეული ნაოსნობის კაპიტანი გახლდათ, ისიც უკვე ასაკოვანი დავაქორწინეთ. ზურაბ ჟვანიამ და ნინო ქადაგიძემ ჩვენთან მოაწერეს ხელი. ვანო ზოდელავაც ჩვენთან დაოჯახდა და ახლა, მისი შვილიც დავაქორწინოთ.

— როგორც ვიცი, თქვენთან ვერცხლისა და ოქროს ქორწინებებსაც აღნიშნავდნენ.

— მართალია. მოდიოდნენ ასაკოვანი ადამიანები, თავიანთი შვილებითა და შვილიშვილებით და საზეიმო ცერემონიას ვუწყობდით. ეს ძალზე დასამახსოვრებელი იყო. თაობათა შეხვედრებსაც ვატარებდით. ახალგაზრდები ვერცხლისა და ოქროს მექორწინეებს ხვდებოდნენ და ისინი ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. ეს ძალიან კარგია. თუმცა, მე რომ გითხრათ — მეუღლესთან ასე და ასე უნდა მოიქცეთ-მეთქი, — შესაძლოა, ეს თქვენთვის გამოსადეგი არ აღმოჩნდეს: ოჯახური ცხოვრების რეცეპტი ხომ არ არსებობს, ეს ყველაფერი საკუთარი აღღოთი და ინტუიციით უნდა გააკეთო, ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა შეიძინო. როცა ვიღაც საკუთარ ამბავს გაგიზიარებს, შენ თავად მიხვდები, მის მაგალითზე დაყრდნობით, თუ როგორ უნდა მოიქცე. ამ მხრივ, თაობათა ეს შეხვედრები ძალზე ბევრ რაღაცას აძლევდა ახალგაზრდებს... ბავშვები რომ წაკამათდებოდნენ, მაშინვე ჩვენთან მორბოდნენ, რადგან ეგონათ, რომ განქორწინებასაც ჩვენ ვაფორმებდით და გვთხოვდნენ — ვიჩხუბეთ და განგვაქორწინეთო. დავსვამდით ორივეს, წყნარად და მშვიდად დაველაპარაკებოდით, დავარიგებდით და აქედან ხელიხელჩაკიდებულები, შერიგებულები მიდიოდნენ — უამრავი ასეთი შემთხვევა გვქონია. ახლა კი, სასამართლოც აღარ აძლევს მოფიქრების ვადას. ასე როგორ შეიძლება?! ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო, — ხომ გაგიგონიათ. ყველა უნდა ეცადოს, რომ ოჯახები არ დაინგრეს და ახალგაზრდებს ყველანაირად შევუწყოთ ხელი მყარი ოჯახების შექმნაში.

რაგი სამყურაშვილისა და ეკა ტოგონიძის ქორწილი

სხვათა შორის, გასულ კვირას, კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი შეიქმნა: ჟურნალისტმა ეკა ტოგონიძემ და პარლამენტარმა რატი სამყურაშვილმა, რამდენიმეწლიანი ურთიერთობის შემდეგ გადაწყვიტეს, შეუღლებულიყვნენ და როგორც საეკლესიო, ასევე სამოქალაქო წესით დაქორწინდნენ. ჯვარი წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაიწერეს. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს, „სამებაში“ 15-ზე მეტი ნეფე-პატარძალი იყო, ეკა და რატი ისე გამორჩეულად გამოიყურებოდნენ, რომ ყველას ყურადღება მიიპყრეს. თემას ცოტათი გადავუხვევ და აღვნიშნავ, რომ რატის მეჯვარე, ცნობილი ფეხბურთელი, კახა კალაძე იყო და სიძეზე არანაკლები ყურადღების ცენტრში მოექცა; ჯვრისწერის ცერემონიის დროს, ხალხმა ყველაზე მეტი სურათი მას გადაუღო.

როგორც წეღან აღვნიშნეთ, დღეს, პრაქტიკულად ყველა მექორწინე ჯვარს იწერს. ამ ამაღლებული რიტუალის შესახებ სასაუბროდ, წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის მოძღვარს, ***მამა ზურაბს (მჭედლიშვილს)*** *მივმართე. პირველი კითხვა — ოჯახის შექმნისას ჯვრისწერის მნიშვნელობას ეხებოდა.*

— იმ ადამიანებისთვის, ვინც შეგნებით მორწმუნეები არიან და მისი მცნებებით ცხოვრობენ, ჯვრისწერა აუცილებელია. ეს საეკლესიო დადგენილებაა. ჯვრისწერა, ღვთის წინაშე ადამიანების ოფიციალურად წარდგენა და ღვთისგან მათი დალოცვაა. ჯვარდაწერილი ოჯახი ღვთივკურთხეულია. ეს ადამ და ევადან მოდის. ღმერთმა ადამს ევა მისცა, ე.ი. ეს თავიდანვე გადაწყვეტილი იყო. მისთვის ცხრა ქალი კი არ მიუცია, არამედ — ერთი მისცა და უთხრა: განამრავლეთ და განახორციელეთო. ჯვრისწერის შემდეგ, ოჯახი თავისთავად, უფრო მყარია. ჯვრისწერა მხოლოდ ღვთივკურთხევა კი არა, პასუხისმგებლობაცაა. ცოლი ქმარს უნდა დაემორჩილოს, მაგრამ ქმარი ცოლზე უნდა ზრუნავდეს. დამორჩილება მონობას კი არ ნიშნავს — ეს, ურთიერთგაგებაა. ოდითგანვე ასეა, რომ კაცი უპირატესია. აბა, ქალს ხომ არ მოჰყავს კაცი ცოლად?!

— რა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ ვიდრე ქალი და კაცი ერთად ცხოვრებას დაიწყებენ, მანამდე, ჯვარი დაიწერონ, მაგრამ ხშირ-

ია შემთხვევა, როცა ადამიანები ასე არ იქცევიან...

— ადრე, რთული პერიოდი იყო, ხალხს ეკლესიაში შესვლას უკრძალავდნენ და წყვილს ჯვრის დაწერის ეშინოდა. ეს გასაგებია და ვინც მაშინ ვერ დაიწერა ჯვარი, მათ ახლა ვწერთ. მაგრამ ახლა ოჯახი რომ იქმნება, აუცილებელია, რომ ჯერ ჯვარი დაიწეროს და მერე დაიწყოს ერთად ცხოვრება. ახლა ხომ ამის ყველანაირი საშუალება არსებობს. როცა ადამიანი ღმერთისგან წყალობას ითხოვს, თვითონაც უნდა უსმენდეს მას. თუ მშობელს არ უჯერებ, მერე არც მისგან უნდა მოითხოვო დადებითი მოპყრობა... უფალი ადამიანის მიმართ ყოველთვის დადებითად არის განწყობილი, მაგრამ არაკანონიერი ცხოვრება — უფლის მცნებების დარღვევაა. ქრისტიანულ ცნობიერებაში ტრადიციად არის დამკვიდრებული — როცა კაცს ცოლი მოჰყავს ან ქალი თხოვდება, ჩამოყალიბებული უნდა იყოს და ზუსტად იცოდეს, რა უნდა. თუ მათი ურთიერთობა მხოლოდ ხორციელ ვნებებს ეფუძნება და გარკვეული ხნით ცხოვრების შემდეგ, ან შექმნიან ოჯახს, ან — არა, ამას ბევრი გაუკულმართებული რამ მოსდევს. მაგალითად, ამას წინათ, ტელევიზიით უჩვენეს, რომ კაცი ქალს, შვილს ედავებოდა: თუ ფულს გადამიხდი, დაგიბრუნებო. ხორციელი ვნებების შედეგად, ყველა ადამიანი ზუსტად ასეთ შედეგს მიიღებს. ეს რომ ასე არ მოხდეს და ოჯახში სიმშვიდე იყოს, გარემო არ უნდა დაიბინძურონ. გაუკულმართებული ცხოვრება რომ არ ჰქონდეთ, ურთიერთობა ღმერთის ნაკურთხი უნდა იყოს. როცა წყვილი საკურთხეველთან დგას, ამბობს: უფალო, მოვედი შენ წინაშე და ვიღებ კურთხევას შენგან, რომ თანაზიარყოფაში ვიყო ამ ადამიანთან, რომელთან ერთადაც, ოჯახის შექმნა გადავწყვიტე... ასე რომ, ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს და ვიდრე ერთად ცხოვრებას დაიწყებენ, მათი ურთიერთობა ღმერთმა უნდა აკურთხოს.

— მაგრამ არის შემთხვევები, როცა ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეყრება. როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯვრის აყრა საკმაოდ რთული პროცესია...

— ჯვრის აყრის პროცესი რთული იმიტომ არის, რომ მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს ცოლ-ქმრის ერთობა. როცა ადამიანები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ ურთიერთის პატრონნი უნდა იყვნენ და ქრისტიანული ცხოვრებით უნდა იცხოვრონ. შეურაცხყოფა, ღალატისა და მსგავსი რაღაცების დაშვება ქორწინებაში არ შეიძლება, რადგან ეს უკვე არაქრისტიანული ცნობიერებაა. როცა ადამიანი ოჯახს არღვევს, ეკლესია მაქსიმალურად ცდილობს, შეინარჩუნოს მათი ოჯახი. მოგეხსენებათ, ცოლ-ქმარი წვრილმან რაღაცებზეც კი კამათობს. როცა ოჯახს მოძღვარი ჰყავს, ცოლ-ქმრის ურთიერთობა გაცილებით მყარია. ეს კი, არა მხოლოდ ოჯახის, არამედ ერისა და ეკლესიის სიმყარესაც ნიშნავს. თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ უკვე, ეპისკოპოსი მიიღებს გადაწყვეტილებას, აჰყაროს თუ არა ჯვარი ცოლ-ქმარს. მაგრამ ყველა წყვილი უნდა შეეცადოს, რომ ერთმანეთს გაუგოს და საქმე აქამდე არ მივიდეს. ■

XXI საუკუნის ქართველი „ხანუმა“, სვანი ქალბატონები და 4600 გასაბედნიერებელი ადამიანი

ვისაც „ბედი კარზე არ მიაკითხავს“ ცხოვრების მეგზურის მოძებნას სხვადასხვა ხერხით ცდილობს. ერთ-ერთი, ჩვენში შედარებით ახალი — თანამედროვე „ხანუმების“ მეშვეობით გულის სწორის პოვნაა. უკვე 4 წელია, რაც თბილისში გაცნობისა და დაოჯახების კლუბი არსებობს. კლუბში თავმოყრილი დიდი კარტოთეკა ცხადყოფს, რომ შინაბერობა ათასობით ადამიანს აშფოთებს. როგორც ამ კლუბის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, დათო ხიზანიშვილი ამბობს, მისი უშუალო ძალისხმევით, საქართველოში ასობით წყვილმა იქორწინა. მაგრამ თანამედროვე „ხანუმა“ რეკორდის მოხსნას მომავალში აპირებს და ირწმუნება, რომ თუ სახელმწიფოს მხარდაჭერა ექნება, წელიწადში 4600 ადამიანს დააოჯახებს.

როგორია მაჭანკლობის ინსტიტუტი XXI საუკუნეში და როგორ ირჩევენ სასურველ პარტნიორს გაცნობისა და დაოჯახების ცენტრში?

ემა ტუხიაშვილი

დათო ხიზანიშვილი:

— გაცნობისა და დაოჯახების კლუბები, ცენტრები ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს და წარმატებით ართმევენ თავს დასახულ მიზანს. რამდენიმე წლის წინ, თბილისში გაზეთი „სიყვარულის სამყარო“ გამოდიოდა, რომელიც მთლიანად მკითხველების წერილებზე იყო აგებული. სწორედ ამ წერილების შინაარსმა მიბიძგა იმისკენ, რომ დამეფუძნებინა გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან დაკონტაქტებაში დავეხმარებოდი. გამიჭირდება იმ ადამიანთა ზუსტი რაოდენობის დასახელება, ვინც ამ წლების განმავლობაში დასახმარებლად მოგვმართა, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ დღეს ჩვენს კლუბში ათასამდე ადამიანია გაწევრებული.

— გამოდის, რომ ცხოვრების მეგზურის საპოვნელად, თქვენი კლუბის წევრობა აუცილებელი პირობაა?..

— რა თქმა უნდა. როდესაც ჩვენთან მოდის ადამიანი, რომელიც სასურველ პარტნიორს ეძებს, პირველ რიგში, საკუთარ ფოტოსურათთან ერთად, თავის მონაცემებს ტოვებს და ავსებს ანკეტას, სადაც მიუთითებს, თუ როგორი მამაკაცის (ქალის) გაცნობა სურს. ამ ანკეტის შევსებით, ის კლუბის წევრი ხდება და მისი მონაცემები საერთო საინფორმაციო ბაზაში თავსდება. შემდეგ, ამ კონკრეტულ მოთხოვნებზე დაყრდნობით, ჩვენს კარტოთეკაში ვეძებთ შესაფერისი მონაცემების მქონე პარტნიორს და თუ ასეთი აღმოჩნდება, მათ ერთმანეთს ვახვედრებთ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული მონაცემების მქონე ადამიანი ჩვენი კლუბის წევრებს შორის არ აღმოჩნდა, მის გამოჩენას ველოდებით.

— რა თანხის გაღება უხდება თითოეულ წევრს სასურველი პარტნიორის მოსაძებნად?

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მომსახურება უფასოა. კლუბის წევრი მხოლოდ თვეში ერთხელ იხდის 2 ლარსა და 50 თეთრს, საწევროს სახით, რაც წელიწადში 30 ლარსაც არ აღემატება.

— უმეტესად, რა ასაკის ადამიანები აკითხავენ გაცნობისა და დაოჯახების ცენტრს?

— თავდაპირველად გეტყვით, რომ თუ წლების წინ, ჩვენს კლუბს მეტწილად, ქალბატონები აკითხავდნენ, ბოლო დროს, მამაკაცები ჭარბობენ. დაოჯახების მსურველი მამაკაცების ასაკი 35-37 წლიდან იწყება, ხოლო ქალბატონები უფრო ადრეულ ასაკში — 28-30 წლიდან გვაკითხავენ. მაგრამ კლუბის წევრებს შორის, რამდენიმე გაცილებით ახალგაზრდა ადამიანიცაა — მაგალითად, 20-21 წლის გოგონებიც ეძებენ ჩვენთან საბედოს. ასევე გვყავს საკმაოდ ასაკოვანი წევრებიც: მაგალითად, ორიოდე კვირის წინ, ოჯახის შექმნაში დავეხმარეთ 67 წლის მამაკაცს და 57 წლის ქალბატონს. წყვილმა ოფიციალურად მოაწერა ხელი, ქორწილში მეც დამპატიჟა, მაგრამ მოუცლელობის გამო, ვერ წავედი... გაცნობისა და დაოჯახების ცენტრში ხშირად გვაკითხავენ 70 წელს გადაცილებული ადამიანები: ისინი ეძებენ სულიერ მეგობარს, ვისთან ერთადაც, მშვიდად გაატარებენ ცხოვრების დარჩენილ ნაწილს. ხშირად ისეც ხდება, რომ

საკმაოდ ასაკოვანი მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით ეძებს ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც მას შვილებს გაუჩენს. მაგრამ თუ ამ მამაკაცთან კავშირის დამყარებას ქალისთვის მატერიალური ინტერესი (ბინა, ფული, მანქანა) არ ახლავს, რთულია, ასეთ ნაბიჯზე დაითანხმო... მახსოვს, მოსკოვიდან 70 წელს გადაცილებული ჩვენი თანამემამულე დაგვიკავშირდა და გვთხოვა, დაგვეკავშირებინა ახალგაზრდა ქართველ ქალთან, რომელიც მას შვილებს აჩუქებდა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ამის მსურველი არავინ აღმოჩნდა.

— თუ მოდიან თქვენთან ის ადამიანები, ვისაც პარტნიორთან არაოფიციალური ურთიერთობების დამყარება სურს?

— მანამ, სანამ ადამიანს ჩვენი კლუბის წევრის სტატუსს მივანიჭებდე, ვესაუბრები და ამ გასაუბრებისას, მეტ-ნაკლებად იკვეთება მისი ზრახვები. არიან ისეთებიც, ვინც პირდაპირ გეუბნება, რომ სურს, ამ კლუბის დახმარებით, საყვარელი გაიჩინოს და მეც დელიკატურად ვუხსნი, რომ ჩვენს სერვისში მსგავსი მომსახურება გათვალისწინებული არ არის. ისეთი შემთხვევებიც მქონია, როდესაც ანონიმურად რეკავდნენ არატრადიციული ორიენტაციის მამაკაცები და გვთხოვდნენ, მათთვის შესაფერისი პარტნიორის გაცნობაში დავხმარებოდით. ცოტა ხნის წინ კი, კლუბში მოგვაკითხა სოლიდური გარეგნობის შუახნის ქალბატონმა, რომელსაც ქმარიც ჰყავს, შვილებიც და „სამეგობროდ“, ქალბატონის გაცნობის სურვილი გამოთქვა... ასეთი თამამი და პირდაპირი სტუმრების გარდა, კლუბში ძალზე მორცხვი ადამიანებიც გვსტუმრობენ ხოლმე. მაგალითად, კლუბის წევრებს შორის, გვყავს 47 წლის მამაკაცი, რომელიც გაცნობისა და დაოჯახების ცენტრში დედამ მოიყვანა და შესაფერისი პარტნიორის შესარჩევად დანიშნულ პაემნებზეც ის დაჰყვება ხოლმე. ხშირია შემთხვევა, როდესაც დასაოჯახებელი ადამიანების ნაცვლად და მათგან მალულად, კლუბში მონაცემები მათ ახლობელს მოაქვს — უმეტესად, დეიდები და მამიდები აქტიურობენ ხოლმე. რამდენიმე თვის წინ, ჩვენი კლუბის დახმარებით, ისე შეიქმნა ოჯახი, დღემდე, არც ქალმა და არც მამაკაცმა არ იციან, მათი შეუღლება, გაცნობისა და დაოჯახების ცენტრის მეშვეობით რომ მოხდა.

გაცნობისა და დაოჯახების ცენტრში ხშირად გვაკითხავენ 70 წელს გადაცილებული ადამიანები

— საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან თუ გაკითხავენ ოჯახის შექმნის მსურველები?

— მესტიის რაიონის სოფელ ხაიშიდანაც კი გვყავს კლუბის წევრი 2 ქალბატონი. სხვათა შორის, მათ სარეგისტრაციო ბარათებში მითითებულია, რომ ოჯახის შექმნის მიზნით, გაიცნობდნენ არასვან მამაკაცებს... საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლების გარდა, კლუბში უცხო ქვეყნების მოქალაქეებიც გვყავს გაწევრებული. რამდენიმე თვის წინ, მოგვაკითხეს საქართველოში სტუმრად მყოფმა გერმანელმა მამაკაცებმა და საკუთარი მონაცემები დაგვიტოვეს. როგორც გვითხრეს, დიდი სურვილი აქვთ, რომ ოჯახის შექმნის მიზნით, გავაცნოთ ქართველი მანდილოსნები; ერთ-ერთ მათგანს მითითებული აქვს, რომ სურს, გაიცნოს 30-დან 40 წლამდე ასაკის ქალი, რომლის სიმაღლეც 168-172 სმ, ხოლო წონა — 60-65 კგ იქნება და იქვე აღნიშნავს, რომ სასურველია, მანდილოსანი პროფესიით პედაგოგი ან მედიკოსი იყოს. გერმანიის მოქალაქე სარეგისტრაციო ბარათში მიუთითებს, რომ ოჯახს ბავშვიან ქალთან ერთადაც შექმნიდა, ოღონდ, სასურველია, რომ ბავშვის ასაკი 5 წელს არ აღემატებოდეს.

— უცხოელებისგან განსხვავებით, ქართველი მამაკაცები ალბათ, მაინც, ტრადიციის ერთგულნი რჩებიან და უპირატესობას გაუთხოვარ ქალებს ანიჭებენ...

— თავდაპირველად, კლუბის ყველა წევრი მამაკაცი წერს, რომ ოჯახს შექმნიდა ისეთ ქალთან, რომელიც მანამდე ქორწინებაში არ ყოფილა. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ქალწულს გულისხმობს... ქალბატონები კი, სარეგისტრაციო ბარათის პირველად შევსებისას აღნიშნავენ, რომ ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილი მამაკაცის გაცნობა სურთ, მაგრამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც მათი მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატურა არ ჩნდება, სარეგისტრაციო ბარათში დამატებითი მოთხოვნები შეაქვთ. მაგალითად, ქალი თანახმაა, დროებით უმუშევარი მამაკაცის გაცნობაზე, მამაკაცი კი აღნიშნავს, რომ დასაშვებია, ქალი ერთხელ უკვე ქორწინებაში ნამყოფი იყოს.

— ეი. მრავალშვილიან დედებს გათხოვების შანსი თითქმის არა აქვთ?..

— ძნელია, დაითანხმო მამაკაცი, 2-3 შვილის დედა შეირთოს ცოლად. გაცილებით იოლია, გაათხოვო ქალი, რომელსაც მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს. მაგრამ ეს სულაც არ უკარგავს იმედს მრავალშვილიან დედებს და ჩვენი კლუბის კარტოთეკაში მართლაც, შეგიძლიათ ნახოთ 3, 4-შვილიანი დედების სარეგისტრაციო ბარათები. კლუბის წევრებს შორის, გვყავს ასევე მრავალშვილიანი მამები; ზოგიერთი მათგანი ქვრივია, ზოგი კი — განქორწინებული.

— როგორც გავიგე, დაოჯახებული წყვილები ხშირად, ქორწილში გეპატიჟებიან. მაგრამ ალბათ, არიან ისეთებიც, ვისაც თქვენი ძალისხმევის მიუხედავად, ურთიერთობა არ აეწყოთ და პრეტენზიებით ისევ თქვენთან მოდიან...

— ასეთი ამბებიც ხდება. ქალი და მამაკაცი ჩვენი დახმარებით, ერთმანეთს გაიცნობენ, პირობას მისცემენ, რომ შექმნიან ოჯახს და შემდეგ, რომელიმე მათგანი სიტყვას გატეხს. შემდეგ მოდიან საყვედურებით, არჩევენ ახალ კანდიდატურას და ყველაფერი თავიდან იწყება. ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი გამახსენდა. რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთი რაიონიდან გვესტუმრა ქალბატონი, რომელსაც მისთვის შესაფერისი მამაკაცის გაცნობა სურდა. კანდიდატურა მალევე გამოჩნდა და წყვილი ერთმანეთს კაფეში შეხვდა. მამაკაცი პოეზიის დიდი მოტრფიალე, თავადაც რამდენიმე ლექსის ავტორი აღმოჩნდა; სუფრასთან მანდილოსანს ლექსებს უკითხავდა. ქალი კი, იმით იყო უკმაყოფილო, რომ კავალერი სხვა თემებზე ლაპარაკს არც აპირებდა... ამასობაში, მთელი საღამო მიილია, ქალს სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, რაც პოეტს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მამაკაცი მიხვდა, რომ ქალი მისი ნიჭის მიმართ გულგრილი იყო, განრისხებულმა სუფრიდან სალათით სავსე თეფშს წამოავლო ხელი და ახალგაცნობილ ქალბატონს ესროლა. ქალმა მოხერხებულად აიცდინა თეფში, რომელიც მეზობელ მაგიდასთან მჯდომს მოხვდა. ატყდა ერთი აურზაური. ძლივს დავაშოშმინე, კლუბის დახმარებით გაცნობილი წყვილი...

— როგორც ვიცი, მომავალში, გაცნობისა და დაოჯახების ცენტრის გაფართოებას აპირებთ და შედგენილი გაქვთ პროგრამა, რომლითაც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის დაინტერესებაც გსურთ...

— რაც შეეხება მასშტაბებს — გვინდა, დავამყაროთ ურთიერთობა ევროპული ქვეყნების ანალოგიურ კლუბებთან, ვინაიდან ბევრია იმის მსურველი, რომ დაოჯახების მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქე გაიცნოს. გარდა ამისა, მაქვს ჩამოყალიბებული პროგრამა, რომლითაც, სახელმწიფოს ხელშეწყობის შემთხვევაში, წელიწადში სულ მცირე, 4600 ადამიანს დავაოჯახებთ, რითიც მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტაში. ამ პროექტის ერთ-ერთი ეგზემპლარი სახელმწიფო კანცელარიაშიც მაქვს წარდგენილი. მსურდა, ბატონი პრეზიდენტისთვის გამეზიარებინა ჩემი გეგმები, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილს პირადად ვიცნობ, მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე...

■

ფოტოგრაფის ალბომიდან

ბევრმა არ იცის, რომ გამოჩენილი ამერიკელი მსახიობი რობერტ დე ნირო თბილისს 1987 წლის ივლისში ეწვია. კინომსახიობის თეატრ-სტუდიაში, მას სპექტაკლი – „წუთისოფელი ასეა“ უჩვენეს, რომელმაც ვარსკვლავზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დე ნირო, აგრეთვე, მცხეთას ესტუმრა, მოინახულა ჯვრის მონასტერი და დაათვალიერა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუზეუმი.

იური მეხითოვი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. რობერტ კენედის 11 შვილი ჰყავდა.
2. თოფხანა და არსენალი სინონიმებია.
3. ადამიანის თავი საშუალოდ 3,6 კილოგრამს იწონის.
4. 1-ელ ივნისს მერილინ მონროს 80 წელი შეუსრულდებოდა.
5. ეკატერინე 34 წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთს.
6. ფორდის პირველი სერიული მანქანა 355 დოლარი ღირდა.

7. დასტამბო ნესვის ჯიშია. მეორენაირად მას პუმპულას ეძახიან.
8. ქალები მამაკაცებზე ორჯერ უფრო ხშირად ახამხამებენ თვალებს.
9. შეიხი ნასრალუ ლიბანის ერთ-ერთი პოლიტიკური მოძრაობის ლიდერია.
10. მიხეილ სააკაშვილი არგენტინის საფეხბურთო ნაკრებს გულშემატკივრობს.
11. ინგლისის მეფეთაგან რიჩარდ III იყო უკანასკნელი, ვინც ბრძოლის ველზე დაიღუპა.
12. „ჟენშინა კაკ პივა, სნაჩალა პენიტსა ა პატომ ჟაჟდუ უტალიაეტ," — ამბობენ რუსები.
13. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებს არც ერთი მსოფლიო ჩემპიონატი არ გამოუტოვებია.
14. სანამ მომღერლის კარიერას გაიკეთებდა, ელვის პრესლი სატვირთო მანქანის მძღოლი იყო.
15. ყველა წარმოების ავტომატ „კალაშნიკოვს", ამავე სისტემის ნებისმიერი წარმოების მჭიდი ერგება.
16. „შოუბიზნესის ყველაზე პატიოსანი წარმომადგენელი", — ასე მოიხსენიებენ კომპოზიტორ რაიმონდ პაულსს.
17. ირლანდიის მფარველი წმინდა პატრიკი ეროვნებით ინგლისელი იყო. ირლანდიელებს არ უყვართ ამის შეხსენება.
18. „როდესაც კაცობრიობას ცოდვები მოეკითხება, მას შეუძლია მიგელ სერვანტესის „დონ კიხოტი" წარადგინოს თავის გასამართლებლად", — ამბობდა თეოდორ დოსტოევსკი.
19. ძველ რომში პარიკმახერები მიმდინარე მოვლენების შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულ ადამიანებად მიიჩნეოდნენ. არსებობდა ასეთი გამოთქმაც: „მნიბუს ნოტუმ ტონსორიბუს" — „ცნობილია ყველა პარიკმახერისათვის".
20. მწერალ ბობორიკინის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლის დროს, ერთმანეთში აერიათ მეოთხე და მეხუთე მოქმედებები. კაციშვილს არაფერი შეუნიშნავს.
21. „ტოლკო ნაში მუჟიკი ნაპივშის ვოდკი ნა პლიაჟე ვ სოროკაგრადუსნუიუ ჟარუ, მოგუტ პეტ, „ოი, მაროზ, მაროზ, ნე მა-

ჩუბინიძეები — ამერიკაში, ბუში — საქართველოში

სამშობლოს ვერ დავტოვებ, მომკლავს ნოსტალგია

ბელა ბუში, საქართველოში, ბუშის გვარის მატარებელი ერთადერთი ქალბატონია. იგი, ჩვენს ქვეყანაში იმიგრანტთა მესამე თაობას წარმოადგენს. მისი წინაპრები, ავსტრიიდან უკრაინაში გადასულან საცხოვრებლად, ხოლო უკრაინაში ჩამოვარდნილი შიმშილობის გამო, ეს ქვეყანაც დაუტოვებიათ და ჯერ სომხეთში, შემდეგ კი, საქართველოში ჩამოსულან. თუ როგორ წარიმართა უცხო ქვეყანაში მათი ცხოვრება, ამას ქალბატონი ბელა მოგვითხრობს.

თამუნა კვინიკაძე

— პირველად საქართველოში, მამაჩემის მამა — სტეფან ბუში ჩამოვიდა. იგი ინჟინერი გახლდათ, მატარებლის დეპოში მსახურობდა. საქართველოში ჩამოსვლამდე, მისი ოჯახი სომხეთში ცხოვრობდა. მამა თბილისში, 1923 წელს დაიბადა. ჰყავდა ძმა პეტია, რომელმაც ცოლად სომეხი ქალბატონი გენია შეირთო და ერევანში დასახლდა. მათ ორი შვილი შეეძინათ — სვეტა მოგვიანებით არხანგელსკში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო ვოვა ერევანში დარჩა. ჩემი მშობლები, მასთან სტუმრად ხშირად ჩადიოდნენ და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. პეტია პროფესიით ვეტერინარი გახლდათ.

— თქვენს მშობლებზე რას გვეტყვით?

— მამა სამხედრო პირი იყო. დედაჩემი წარმოშობით პოლონეთიდან გახლდათ, გვარად მიშევსკაია. ის ძალიან მდიდარ ოჯახში გაიზარდა. 1 ძმა ჰყავდა, უკრაინაში ცხოვრობდნენ. დიდი შიმშილი იყო. დედაჩემის მამა, წითელი არმიის ჯარისკაცებს დაუხვრეტიათ. დედა მაშინ 13 წლის ყოფილა. შიმშილობის პერიოდი და სიმწარე კარგად ახსოვდა. მიყვებოდა — თუ რა საშინელებები ხდებოდა. ადამიანები დახოცილთა გვამებს მარილს აყრიდნენ და ჭამდნენ. მე და დედას თავი რომ გადაგვერჩინა, ყოველდღე ტყეში დავდიოდით, მინიდან ვალერიანის ძირებს ვთხრიდით და იმით ვიკვებებოდითო. მერე ბებიას დედაჩემისთვის უკანასკნელი 3 მანეთი მიუცია და უთქვამს: როგორმე ოდესამდე ჩადი და სხვა ქვეყანაში გაემგზავრე, თორემ, აქ შიმშილით მოკვდებიო. დედას 100 კილომეტრი ფეხით გაუვლია, ოდესამდე ჩასულა, იქიდან კი, გემით ბათუმში ჩამოსულა. უცხო ქვეყანაში მყოფს წასასვლელი არსად ჰქონდა. სანაპიროზე მდგარს ტირილი დაუწყია. მოგვიანებით, ატირებული გოგონა, გამვლელებს — ცოლ-ქმარს შეუმჩნევია. მისთვის ყველაფერი გამოუკითხავთ, უნუგეშებიათ და თავისთან, ქობულეთში წაუყვანიათ.

— ვინ იყო ის ცოლ-ქმარი?

— ის ჟვანია-ქავთარაძეების ოჯახი ყოფილა. თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, იმ სახლის პირველ სართულზე ჰქონიათ ბინა, სადაც ბერია ცხოვრობდა. ოჯახის უფროსი თანამდებობის პირი ყოფილა. ორი შვილი ჰყოლიათ, დედა კი, მესამე შვილად მიუღიათ. განათლება მიუციათ. თურმე, ბავშვები ხშირად ზუგდიდში დაჰყავდათ და დედას იქ მეგრულიც უსწავლია. სხვათა შორის, გამართულად ლაპარაკობდა. სამწუხაროდ, გულისხმიერი ცოლ-ქმარი ლავრენტი ბერიას დაუხვრეტია. ამის შემდეგ, დედას ექიმ შაქარაშვილთან მოსამსახურედ დაუწყია მუშაობა. იქ აღებული ფული შეუგროვებია და ბოტანიკურ ბაღში, პატარა ოთახი უყიდია. იმ დროს, ბოტანიკურ ბაღში ის სამხედრო ნაწილი იდგა, რომელშიც მამაჩემი მსახურობდა. დედა ლამაზი გოგონა ყოფილა, მამას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, ერთმანთი გაუცნიათ და მალე დაქორწინებულან კიდეც. მამას სხვადასხვა ქვეყანაში უხდებოდა მივლინებით წასვლა. ოჯახი ყოველთვის თან დაჰყავდა, მეც სამხედრო წესებით გავიზარდე. სამწუხაროდ, მამა ადრეულ ასაკში გარდამეცვალა. ახალქალაქში ყოფნის დროს, ფეხის თითში ინფექცია შეეჭრა, მოიწამლა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. დედა 10 წლის წინ გარდაიცვალა... ორივენი ვაკის სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი.

რეგო ჩუბინიძე (მარჯვნივ) ნიუ-იორკში ქართული ეკლესიის წინ

— სამშობლოში დაბრუნების სურვილი არ ჰქონიათ?

— არა, რას ამბობთ, მათი სამშობლო საქართველო იყო.

— ბებიათქვენს რა ბედი ეწია უკრაინაში?

— მართალია, ბებიამ შვილის გადარჩენა შეძლო, მაგრამ თვითონ შიმშილით გარდაიცვალა. დედაჩემის ძმა ანდრია, როგორღაც უკრაინიდან დედაზე ადრე წამოსულა და ოზურგეთში მოხვედრილა. წლების შემდეგ, უკრაინაში გადარჩენილ პოლონელ

ბელა მშობლებთან ერთად

ნათესავებს დაჰკავშირებია და თავისი დის ამბავი უკითხავს. მათ უთქვამთ: ტანია „ტიფლისში წავიდაო“. დაკარგულმა და-ძმამ, ერთმანეთი თბილისში იპოვა. დღეს, ანდრიას შვილები ბათუმში ცხოვრობენ.

— მამის მხრიდან, ავსტრიაში ან ამერიკაში თუ გყავთ ნათესავები?

— არ ვიცი. მე არავისთან მაქვს ურთიერთობა. ჩემი ბიძაშვილი, ვოვა ბუში ერევანში ცხოვრობს, მასთან დაკავშირება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ უშედეგოდ.

— თქვენს ოჯახზე რას გვეტყოდით?

— ჩემი მეუღლე რეზო ჩუბინიძე გახლდათ. იგი, სპორტულ სკოლაში მუშაობის დროს გავიცანი. ერთმანეთი მოგვწონდა, მაგრამ ვფიქრობდი — რადგან ქართველი არ ვარ, შესაძლოა, მისი ოჯახისთვის სასურველი რძალი არ ვიყო-მეთქი. ერთ დღეს, რეზო დედაჩემთან მოვიდა და უთხრა: ბელა მიყვარსო... მერე, ხელი მოვაწერეთ და პატარა ქორწილიც გადავიხადეთ. ქორწილში რეზოს რამდენიმე ნათესავი არ მოვიდა — მისი არჩევანით განაწყენდნენ, მაგრამ შემდეგ, როცა გამიცნეს და დამიახლოვდნენ, ყველას შევუყვარდი. ჩვენ ორი ქალიშვილი გვყავს — ნათელა და ტატა ჩუბინიძეები. ტატა ნიუ-იორკში ცხოვრობს, მუსიკოსია და იქ, წარმატებული კარიერა აქვს. ნათელა უნივერსიტეტში სწავლობდა. იქ გაიცნო ირანელი მანუჩარ ხაკიმი და ცოლად გაჰყვა. მანუჩარი მუსლიმანია, მაგრამ ნათელამ, მაინც მასზე შეაჩერა არჩევანი. ჰყავთ ერთი შვილი — ომარიკო, რომელიც ქრისტიანულად მოვნათლეთ. ამჟამად, მათი ოჯახიც ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ ხშირად უწევთ სხვადასხვა ქვეყანაში გადაადგილება, რადგან ჩემი სიძე დიპლომატია. ნათელას ყველაზე მეტად ირანში ყოფნა უმძიმს. იქ 2 წელი ცხოვრობდა და ქუჩაში ჩადრით დადიოდა. იქ, ავტობუსში, ქალები და კაცები სხვადასხვა მხარეს სხდებიან. თავისებური კანონები აქვთ. რეზო 8 წელია, რაც ნიუ-იორკში ცხოვრობს, იქაური მოქალაქეობა მიიღო.

— უცნაურია, ჩუბინიძეები ამერიკაში, ბუში — საქართველოში. თქვენ არ გსურთ წასვლა?

— მე პატრიოტი ვარ, მიყვარს ჩემი ქვეყანა. აქედან რომ წავიდე, ნოსტალგია მომკლავს — სხვა ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებ. ძალიან მიყვარს ჩემი ქართველი მეგობრები. ზოგიერთი, ბავშვობიდან მომყვება. სხვათა შორის, რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და ელენე თევდორაძე ჩემი კლასელი იყო.

— როგორი მოსწავლე იყო ელენე და ახლა თუ მეგობრობთ?

— ელენე კარგად სწავლობდა, მაგრამ არ მეგონა, ამდენს თუ მიაღწევდა. სამწუხაროდ, ახლა აღარ მაქვს მასთან ურთიერთობა?

— თქვენი ქმარ-შვილი ჩამოსვლას არ აპირებს?

— განა არ უნდათ საქართველოში ცხოვრება, მაგრამ აქ რა გააკეთონ? იქ მყოფი ქართველები ხშირად იკრიბებიან, ტირიან, საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ. ამერიკა სავსეა ქართველი გოგონებით. იქ მცხოვრებ ქართველებზე რას არ ვიგებ ხოლმე.

— რას იგებთ?

— აქედან წასულთა დიდ ნაწილს, დალხენილი ცხოვრება ნამდვილად არა აქვს. მინდა, ამერიკაში ორი თვით წავიდე და იქიდან ჩამოსვლის შემდეგ, შეგხვდებით და შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ.

— ინგლისურად ლაპარაკობთ?

— ინგლისური ძალიან ცუდად ვიცი. ერთი პერიოდი მინდოდა, რომ მესწავლა, მაგრამ გადავიფიქრე. საქართველოში უნდა მოვკვდე და ინგლისური რაში მჭირდება?..

— ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს, თუ მოგეცათ მასთან შეხვედრის შესაძლებლობა?

— ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, ტელევიზიით გადასცეს ჩემზე სიუჟეტი. იმ დღის მერე, პოპულარული გავხდი — ქუჩაში ხალხი მცნობდა. ბუშის ვიზიტის დღეს, საკუთარი სახელი და გვარი დიდი ასოებით ამოვქარგე, გულზე მივიმაგრე და თავისუფლების მოედანზე ასე მივედი. ყველა მესალმებოდა, მიღიმოდა. ამერიკელებმა რომ დამინახეს, ყვირილი დაიწყეს: „აი ლავი იუ, ბელა ბუშ“. მაგრამ დაცვის თანამშრომელმა ლოჟაში არ შემიშვა. რა უნდა მექნა, ჩხუბს ხომ არ დავიწყებდი? ლესელიძის ქუჩით სანაპიროზე ჩამოვედი და სახლში წამოვედი.



— გულდაწყვეტილი?

— რა თქმა უნდა, ბუშის ნახვა ძალიან მინდოდა.

— რომ გენახათ, რას ეტყოდით?

— ვეტყოდი, რომ საქართველოსნაირ ქვეყანას ვერსად ნახავს, რომ აქ ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

როზ მენია...“ — მხრეს იჩეჩს მიხაილ ზადორნოვი.

22. ეკლესია დაჟინებით უარყოფდა გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ ნაპოლეონი ანტიქრისტე იყო. წმინდა მამათა მტკიცებით, ბონაპარტი ანტიქრისტე რომ ყოფილიყო, მას უნდა გაემარჯვა და 1000 წლის განმავლობაში ემართა ქვეყნიერება, როგორც ეს სახარებაშია ნაწინასწარმეტყველები.

23. როგორც ცნობილია, თომას მალთუსმა ჭარბი მოსახლეობის გამო დედამიწაზე სიცოცხლის განადგურება იწინასწარმეტყველა. თავად მალთუსს 3 შვილი ჰყავდა. ქალიშვილი პატარაობისას გარდაეცვალა. მისი ვაჟები დაქორწინებულები იყვნენ, მაგრამ არც ერთს შთამომავლობა არ დარჩენია. ბედის საშინელი ირონიით, მალთუსის მიერ ნაწინასწარმეტყველებ დემოგრაფიულ აფეთქებაში მისმა გენმა მონაწილეობა ვეღარ მიიღო.

24. პრუსია-საფრანგეთის ომის დროს ფრანგებმა გააუქმეს საველე სამზარეულო. ჯარის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ გურმანი და ბუნებით ინდივიდუალისტი ფრანგი ჯარისკაცი, რომელიც თავად იყო მსოფლიოში საუკეთესო მზარეული, არ შეჭამდა იმას, რასაც მისი თანამებრძოლი მიირთმევდა. ამის გამო ყველა ჯარისკაცი თვითონ იმზადებდა საჭმელს, რის შედეგადაც საფრანგეთის არმია პრუსიელებზე რამდენიმე საათით მეტს ანდომებდა დანაყრებას. საკამათო საკითხია, თუ რა როლი ითამაშა ამ ფაქტორმა ომის მსვლელობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ომში საფრანგეთმა ელზასი და ლოტარინგია დაკარგა.

25. 1944 წელს ბალტიისპირეთის ფრონტის ჯარებმა, ივანე ბაგრამიანის მთავარსარდლობით, გაარღვიეს გერმანელთა ფრონტი და პირველად მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში ბალტიის ზღვის სანაპიროზე გავიდნენ. გამარჯვებულმა სარდალმა ბალტიის ზღვის წყლით აავსო ბოთლი და სტალინს გაუგზავნა, მაგრამ სანამ კურიერი მოსკოვში მიფრინავდა, გერმანელებმა კონტრშეტევა განახორციელეს და ბაგრამიანის ჯარებს უკან დაახევინეს. სტალინის კაბინეტში შესულმა კურიერმა, რომელმაც მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა, ბელადს ამანათი გადასცა და უთხრა: „ამხანაგო სტალინ, გენერალმა ბაგრამიანმა ბალტიის ზღვის წყალი გამოგიგზავნათ“. სტალინმა მოკლედ მიუგო: „ძალიან კარგი! ახლა კი უკან წაიღეთ ამანათი და ბაგრამიანს გადაეცით, — ეს წყალი იქ გადაღვაროს, სადაც ეგ ბოთლი აავსო“.

სითბოსა და ზაფხულის მოყვარულ ნანკა კალატოზიშვილს მთაში დასვენებას, ზღვაზე ყოფნა ურჩევნია. ის ვერ იტანს არაკომფორტულ გარემოს, ზედმეტ სიწყნარეს. იდეალურად ისვენებს ღამის კლუბებსა და დისკოთეკაზე ყოფნისას.

ნანკა კალატოზიშვილი იტალიელმა მამაკაცებმა მოხიბლეს

„ისეთები არიან, მათ ტუუილიც დაეჯერებათ...“

ეკა მინდაძე

— ნანკა, ამ ზაფხულს, დასასვენებლად სად მიდიხარ?

— წინასწარ არ ვიცი, ისე, თვის ბოლოს, თეატრთან ერთად, ბათუმში მიწევს წასვლა. თეატრალური სარდაფი მაყურებელს იქ, ორი სპექტაკლით — „თაგვი“ და „ოსკარი“ წარუდგება.

— ბავშვობაში სად ისვენებდი ხოლმე?

— კიკეთში, ბაბუშერასა და ბიჭვინთაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც აფხაზეთი დავკარგეთ, გეზი აჭარისკენ, კერძოდ კი, ბათუმისა და ქობულეთისკენ ავიღე.

— ოდესმე, საკურორტო რომანი ხომ არ გქონია?

— ამგვარი რამ არასოდეს შემმთხვევია. არადა, საკურორტო რომანი განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ალბათ, დასვენების დროს, ფლირტაობა კარგია, მაგრამ... ხომ გითხარი, ძირითადად, მეგობრებთან ერთად ვისვენებ ხოლმე და დროს ჯიგრულად ვატარებ *(იცინის).*

— ბავშვობაში, ყველაზე მეტად, რომელი თამაში გიყვარდა?

— „7 ქვა“, „წრეში ბურთი“ და „ორდროშობანა“.

— სოფელი თუ გაქვს სადმე?

— ჩემს წინა 7 თაობას, სოფელი არ ჰქონია. ამიტომაც, ძნელი გახდა იმის გაგება — თუ რომელი კუთხის შვილები ვართ.

— ცურვა იცი?

— ვერ ვიტყვი, რომ მაგრად ვცურავ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ ჩავძირულვარ *(იცინის).*

— ვინ გასწავლა?

— ერთ ზაფხულს, ბაბუშერაში ვისვენებდი. იმ ოჯახს, სადაც ჩვენ დავბინავდით, ძაღლი — ლადა ჰყავდა. სწორედ, მისგან ვისწავლე ცურვა... თბილისში რომ დავბრუნდი, დედამ ცურვაზე შემიყვანა. მასწავლებელმა რომ ნახა, როგორ ვცურავდი, გაოცდა. მაგრამ როცა ავუხსენი — ცურვა ძაღლისგან ვისწავლე-მეთქი — დამშვიდდა.

— შარშან სად ისვენებდი?

— ქობულეთში.

— დასასვენებლად, მშობლების გარეშე, პირველად რა ასაკში წახვედი?

— ზაფხულობით, მე და დედა, ყოველთვის ერთად მივდიოდით ზღვაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, არასოდეს ვყოფილვარ შეზღუდული. ის თავის მეგობრებთან ერთად იყო ხოლმე, მე კი, ჩემს თანატოლებთან ვერთობოდი.

— მეგობრებთან ერთად, ლაშქრობებზე თუ დადიხარ?

— არა და არც არასოდეს წავალ, რადგან მიჭირს არაკომფორტულ გარემოსთან შეგუება. არ შემიძლია დავისვენო იქ, სადაც შხაპი არ არის. ერთი დღე, შეიძლება გავძლო, მაგრამ 2 კვირა? — ამას ვერ შევძლებ.

— ყველაზე მეტად, საქართველოს რომელი კუთხის ნახვის სურვილი გაქვს?

— თითქმის ყველა კუთხის ნახვა მაინტერესებს, მაგრამ სამწუხაროდ, აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოსა და იმერეთის გარდა, ნამყოფი არსად ვარ. იმედი მაქვს, მომავალში იმ მხარის დათვალიერებას შევძლებ, სადაც ჯერ არ ვყოფილვარ.

— საზღვარგარეთ, სად ხარ ნამყოფი?

— 2 კვირით იტალიაში, კერძოდ, რომში ვიყავი.

— იქ, ყველაზე მეტად რა მოგეწონა?

— იტალიელი მამაკაცები. ისინი საოცრად მომხიბვლელები არიან. მათი მთავარი ღირსებაა ის, რომ იციან — როგორ აგრძნობინონ მანდილოსანს თავი ნამდვილ ქალად. შეიძლება, ზოგიერთი მათგანი იტყუება, მაგრამ ამას ისე ლამაზად აკეთებენ, რომ მათი ტყუილიც ძალიან მიმზიდველია. ქალისთვის, ლამაზი სიტყვები და კომპლიმენტები არ ენანებათ.

— ქართველი მამაკაცები ქალს პატივს არ სცემენ?

— ქართველი მამაკაცების უმეტესობას, თავის დაფასება უყვარს, ამიტომ...

— ზაფხულში, რომელ საჭმელს ანიჭებ უპირატესობას?

— ძალიან მიყვარს კიტრის და პომიდვრის სალათა, ასევე, ნაყინი — შემიძლია დღეში 9 ნაყინი შევჭამო.

— ნაყინი რომ ასუქებს?

— ვიცი, მაგრამ დღის განმავლობაში იმდენს ვმოძრაობ, რომ არა მგონია, რაიმემ გამასუქოს. ერთხელ, დიეტაზე „დავჯექი“ და მთელი ღამე შოკოლადი და ნაყინი მესიზმრებოდა. 2 დღე ძლივს გავძელი, მესამე დღეს კი, ცუდად გავხდი.

— აზარტული თუ ხარ?

— ძალიან აზარტული ვარ და ნარდის თამაში მიყვარს.

— ოდესმე, ნაძლევზე თუ გითამაშია?

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ამას წინათ, ბესო ბარათაშვილთან და ნოდარ დოღონაძესთან (ვანსკი) საუზმე, სადილი და ვახშამი წავაგე. „თავანი“ მათ ბათუმში უნდა ჩავაბარო *(იცინის).* ■

ქართველი მამაკაცების უმეტესობას, თავის დაფასება უყვარს, ამიტომ...

sanam cocxlebi varT...

1956

მანანა იაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24.

დაჭრილ გურამ დოჩანაშვილს საავადმყოფოში უშიშროების მეთვალყურე ჰყავდა მიჩენილი. დაკითხვა სცადეს, მაგრამ გურამი ყველაფერს უარყოფდა და იმდენად ცუდად იყო, ექიმებმა დაკითხვის გაგრძელება შეუძლებლად მიიჩნიეს, მაგრამ საავადმყოფოდან როგორც კი გამოწერეს, კა-გე-ბემ მაშინვე აიყვანა.

დაკითხვაზე იგი კვლავ თავის სიტყვაზე იდგა და კა-გე-ბემ მასთან დასაპირისპირებლად, მეგობრების გამოყენება სცადა. ორი დღე-ღამე, სიცხიანი ავადმყოფი საკანში ჰყავდათ, მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუუარესდა და — ხელში არ შემოგვაკვდესო, — სასამართლომდე, შინაპატიმრობაში, სახლში გაუშვეს. ბატონი გურამ დოჩანაშვილი ამბობს, რომ გოგელია ყოველმხრივ ბინძური კაცი იყო: „ზეთი ჩამოსდიოდა, ზინკლიანი სახე ჰქონდა, სულ ცდილობდა რაღაც საზიზღრობებს, მაგრამ არ გასდიოდა და უფრო გიჟდებოდა“.

დღეს ძნელი მისახვედრია, კიდევ რა უნდა გაეგოთ გამომძიებლებს, როდესაც ყმაწვილები ერთმანეთს „ეჯიბრებოდნენ“ ჩვენებებში — არა, მე გავაკეთე პროკლამაცია, არა — მეო... მაგრამ რეპრესიული მანქანა ისევ ძველებურად ბრუნავდა და საქმეში ზრდასრული პიროვნების კვალს უშედეგოდ ეძებდა.

ზვიად გამსახურდიამ მაინც მოახერხა სუკის მოტყუება. სანამ გურამ სხირტლაძეს დაიჭერდნენ, ჩვენება მისცა — საბჭდი მანქანა ნაწილ-ნაწილ დავშალე და მტკვარში გადავუძახეო. სუკის თავმჯდომარის, ალექსი ინაურის ბრძანებით, მყვინთავები მტკვარში რამდენიმე დღე უშედეგოდ ეძებდნენ საბჭდი მანქანის ნაწილებს, ბოლოს, იძულებულნი გახდნენ, უფროსისთვის მოეხსენებინათ — ღრმა მორევის გამო ვერაფერი აღმოვაჩინეთო...

29 დეკემბერს, ზვიად გამსახურდიამ პირველი, ოფიციალური ჩვენება მისცა სუკის სამძებრო განყოფილების უფროსს, კაპიტან ჟორა გეგელიას. ამ ოქმის ტექსტი 1996 წელს, მოსკოვში რუსულად გამოცემულ, ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიულ ნაშრომში არის ჩართული.

აზრობრივი, სტილისტური და ფაქტობრივი ლაფსუსების გამო, დოკუმენტი საეჭვოდ მიმაჩნია, მაგრამ გამსახურდიას ახლობლების რედაქციითაა გამოცემული და ამიტომ სრულად მოვიყვან:

„კითხვა: დაწვრილებით გვიამბეთ, როდის და რა ვითარებაში გაგიჩნდათ ანტისაბჭოური აზრები?

პასუხი: არ ვუარყოფ, რომ ზოგიერთ საკითხში კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობის კურსს არ ვეთანხმებოდი. ეს გრძნობა გამიჩნდა 1956 წლის 9 მარტისა და უნგრეთში მომხდარი მოვლენების შემდეგ. სახელდობრ, რამ გამოიწვია ჩემი უთანხმოება? აღმაშფოთა, რომ ქალაქ თბილისში გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. მინდა განვაცხადო, რომ მე ემოქმედებდი არა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ სამხედროების პარპაშის წინააღმდეგ. ვგულისხმობ იმ პირებს, ვინც თბილისში, კავშირგაბმულობის შენობის წინ თავმოყრილი ხალხისთვის სროლის ბრძანება გასცა. არ ვიცი, ვინ გასცა ბრძანება, მაგრამ ის პირები სამხედრო დამნაშავეებად მიმაჩნია.

უნგრეთის მოვლენებიც შეცდომად მივიჩნიე. უსამართლოდ მიმაჩნდა, რომ საბჭოთა მთავრობამ მასებზე ძალა იხმარა. ამ მოვლენებმა გადამადგმევინეს ნაბიჯი და გადავწყვიტე, თბილისში ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელება.

კითხვა: გადაწყვიტეთ მარტო გემოქმედათ?

პასუხი: არა, მარტო მოქმედება არ გადამიწყვეტია.

კითხვა: და რა მოიმოქმედეთ?

პასუხი: ჩემს ამხანაგებს, რომელთა დასახელებაზე უარს ვამბობ, განვუცხადე, რომ აღშფოთებული ვარ ამა წლის 9 მარტის მოვლენებით. განვუცხადე, რომ აუცილებელია ჯგუფი შევადგინოთ და ერთობლივად შევუდგეთ ქალაქში პროკლამაციების გავრცელებას მოწოდებით, ვიმოქმედოთ სამხედრო სარდლობის წინააღმდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოსაყოფად.

კითხვა: რა მიზეზით ამბობთ უარს იმ პირების დასახელებაზე, ვისაც გაანდეთ თქვენი გაზრახვა?

პასუხი: ამ პირების დასახელება არ შემიძლია და მიზეზსაც ვერ მოგახსენებთ.

კითხვა: სად და რა ვითარებაში მოხდა პირველად თქვენი ჯგუფის შედგენა?

პასუხი: ეს იყო ამა წლის ზაფხულში, დაახლოებით ივნისის თვეში, ადგილი არ მახსოვს.

კითხვა: გვიამბეთ მათ მრწამსზე.

პასუხი: მრწამსით სრული თანამოაზრენი

სასამართლო სხდომის დაწყებამდე ფარულად გადაღებული ფოტო
I რიგში: ვოვა სიხარულიძე, ტოლიკო მიქაძე, გურამ სხირტლაძე, თემურ ცერცვაძე
II რიგში: თამაზ გუნჯუა, მერაბ კოსტავა, ჯონდო მეგრეველი, ზვიად გამსახურდია

ვიყავით. მთლიანად და სავსებით ეთანხმებოდნენ ჩემს მოსაზრებას ამა წლის 9 მარტის მოვლენებზე.

კითხვა: ერთადერთხელ გამოთქვით მოსაზრება ჯგუფის შედგენის აუცილებლობის შესახებ?

პასუხი: პირველივე წინადადების შემდეგ, მხარი დამიჭირეს. რასაკვირველია, შეხვედრების დროს მათ ვესაუბრებოდი და მხოლოდ შემდეგ გავბედე მეთქვა ჩემი განზრახვა, როდესაც მივხვდი, რომ ისინი სავსებით მეთანხმებოდნენ“.

დაკითხვა დაიწყო 15 საათსა და 45 წუთზე და დამთავრდა 18 საათზე.

...დაძველებული სახლების გარდა, იმ დროის თბილისისაგან აღარაფერი დარჩა. ახლა ძნელად დასაჯერებელია, როგორ შეიძლება, ქალაქის, როგორც ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმის, ერთ „დიდ ოჯახად“ აღქმა

თბილისში ახალგაზრდების დაჭერამ და მოსალოდნელმა სასამართლომ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მათ შესახებ გადმოსცეს რადიო „თავისუფლებამ“ და რადიო „ამერიკის ხმამ“. საბჭოთა პროპაგანდა, საგაზეთო სტატიებით და ჭორების გავრცელებით, უსუსურად ცდილობდა, მე-9, მე-10-კლასელი ყმაწვილების, ხალხის მტრებად და ხულიგნებად წარმოჩენას. საზოგადოება უკვე თითქმის ღიად გაემიჯნა ოფიციოზის პოზიციას. სხვა დრო მოდიოდა...

სასამართლო პროცესი სამ დღეს მიმდინარეობდა (1957 წლის 3-5 აპრილი) და ძველი წესისამებრ, დახურული იყო. მაგრამ სასამართლოს ასასვლელთან, რუსთაველიდან დღევანდელი ზუბალაშვილების ქუჩამდე, იმ დღეებში „რატომღაც“, ინტენსიურად დასეირნობდნენ თბილისელი გოგო-ბიჭები. მჟავანაძის მეორე მდივანი, კოვანოვი (მაშინდელი „შეფისნაცვალი“) მოსკოვში გაფრინდა და პირადად მოახსენა ხრუშჩოვს არსებული მდგომარეობა.

მოსამართლე, პროკურორი, ბადრაგი და პატიმრები დილის 11 საათიდან საღამომდე ელოდნენ მოსკოვის დირექტივას. ნიკიტა ხრუშჩოვმა ბრძანა, პირობითი სასჯელი აკმარეთ — ეგღა გვაკლია, ბავშვებისაც გვეშინოდესო! — და მოსამართლემაც ოთხი, სამი და ორი წლით პატიმრობა „ჩამოურიგა“ მათ, პირობით სასჯელად.

ამბობენ, ამ გადაწყვეტილებაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ირაკლი აბაშიძის მოსკოვში ვიზიტმა და მჟავანაძისადმი კონსტანტინე გამსახურდიას მიერ გაგზავნილმა წერილმა იმოქმედაო.

...გასამართლებული ახალგაზრდებიდან ცხრავეს მძიმე და საპატიო ჯვარი არგუნა უზენაესმა. მათგან პირველი, ტოლიკო მიქაძე წავიდა ამ ქვეყნიდან; შემდეგ — მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ვოვა სიხარულიძე, ჯონდო მეტრეველი, თამაზ გუნჯუა... გარდაცვლილებიც და ცოცხლებიც ნიჭიერი და გამორჩეული ერისკაცები არიან, თუმცა, ზოგი — მეტად, ზოგიც — ნაკლებად ცნობილი და დაფასებული...

სასამართლოს შემდეგ, ხრუშჩოვის მითითებით, საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად, მალე გაუქმდა სისხლის სამართლის 58-ე სტატია („ანტისაბჭოური აგიტაცია-პროპაგანდა“), რომლითაც ახალგაზრდები იყვნენ გასამართლებულნი. დაიწყო ხრუშჩოვისეული „ოტტეპელი“ (გალღობის პერიოდი) და დისიდენტებს უკვე სხვა, კრიმინალური სტატიებით იჭერდნენ ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ამწესებდნენ...

ყმაწვილკაცობის ტრადიციული პრობლემები

...დაძველებული სახლების გარდა, იმ დროის თბილისისაგან აღარაფერი დარჩა. ახლა ძნელად დასაჯერებელია, როგორ შეიძლება, ქალაქის, როგორც ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმის, ერთ „დიდ ოჯახად“ აღქმა, რომელზეც 50-იანი წლების თაობა მიყვება:

„იმ თბილისის ნოსტალგია მაქვს. 25 წელია, ევროპაში ვცხოვრობ, მაგრამ ასეთი განათლების, დახვეწილი გემოვნების საზოგადოება იშვიათად მინახავს, — მიამბობს ფილოსოფოსი **ჯანრი კაშია**. — *მაშინ ახალგაზრდებს ოპერის ფული სად გვქონდა? კონსერვატორიაში დავდიოდით. კონცერტების შემდეგ გარჩევებისათვის რომ მოგესმინათ, რაღა „მუსიკოლოგიის“ სწავლა იყო საჭირო?! არაჩვეულებრივი კულტურული სივრცე ჩვენ ცოდნის წყურვილს გვილვივებდა და ვფიქრობ, რომ ჩემმა თაობამ მაღალი დონის ევროპული განათლება მიიღო.*

რაღაცნაირად, მნიშვნელოვანი ხალხი დადიოდა ქალაქში. დინჯი და ღირსეული სვლითა და საუბრით ჩაივლიდნენ ქუჩას. სალამიც დინჯი და ურთიერთპატივისცემის გამომხატველი ჰქონდათ... ახლა, დავრბივართ და ვცდილობთ, ახალგაზრდულად გამოვიყურებოდეთ. იქ კი, შალვა ნუცუბიძე მძიმედ ჩაივლიდა რუსთაველს. 45 წლის იყო მაშინ. გალაკტიონი მოდიოდა და შენ გრძნობდი სიამაყეს, რომ ამხელა კაცი გესალმებოდა... ამავე დროს, ჩვენ ყველასთან დავდიოდით, ყველა პოეტსა და მეცნიერს ვიცნობდით, ვმეგობრობდით. ურთიერთობები ხალასი და უშუალო იყო. სულ რაღაც ხდებოდა — საღამოები, კონცერტები, ამბები.... ცოცხალ, „ტალღოვან“ გარემოში ვცხოვრობდით.

ეს ხდებოდა იმის „ქვევით“, რასაც კომუნისტური მმართველობა ერქვა, ეს „მეორე სივრცე“ იყო. ან იქით იყავი, ან — აქეთ. თუ არ შეაწუხებდი, არ გეხებოდნენ და არც არაფერში გჭირდებოდნენ. ისე, იყო კუს სინდრომი (შენიღბული რეაქცია. — ავტ.), ადაპტაციის დიდი უნარი გვქონდა და ვიცოდით, ვისთან რა გველაპარაკა. კომუნისტურ წყობას ისე ვუყურებდით, რასაც ძვრას ვერ უზამ და ამიტომ, უნდა გადახარშო... 9 მარტის მიტინგები თეატრალიზებულ წარმოდგენას ჰგავდა და ხელისუფლების ამგვარ რეაქციას არ ველოდით. თავისთავად, ცხედრის საფლავიდან ამოღება და დაწვა — საკრალური, შეურაცხმყოფელი აქტი იყო, რაც ხალხმა ქვეშეცნეულად იგრძნო... მაშინ ახალი ამბები ელვისუსწრაფესად ვრცელდებოდა. ვიცოდით უნგრეთის ტრაგედიის შესახებაც. მე აქტიურად არ ვყოფილვარ ჩაბმული ზვიადის ჯგუფში, თუმცა ვოვა სიხარულიძესთან ვძმაკაცობდი და ზვიადიც ჩემი კლასელი იყო. მათი სასამართლო დახურული იყო, მაგრამ ქალაქმა ყველაფერი იცოდა“.

მაშინდელ თბილისს თავისი რჩეულებიც ჰყავდა და უძღები შვილებიც, რომლებიც არანაკლებ უყვარდა. სასამართლოს შემდეგ, ჩვენი მეამბოხე ახალგაზრდები საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ამასობაში, ზაფხულიც მოვიდა, მათ სკოლა დაამთავრეს და უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძეს სწავლა.

1951 წლის თებერვალი, დგანან: მარცხნიდან მეორე — ჯონდო მეტრეველი, შუამი — გურამ დოჩანაშვილი

იმ ამბების გახსენებისას, ჩემს ჭაღარა რესპონდენტებს თვალებში

ყმაწვილური სიანცე უკრთით, სადღაც ქრება განვლილი წლების სიმძიმე და ცოცხლდება ის სამყარო, სადაც აწოწილი, გამხდარი და ხუჭუჭა შიმშილა — გურამ დოჩანაშვილი მუსიკითა და ლექსებით ცდილობს თავისი დულსინეას გულის დაპყრობას; მეგობრების მოსალხენად, ზვიადი მამის გადანახულ „მანავის მწვანეს“ იპარავს; გოგონები გამომწვევად ცხვირს უბზუებენ ბიჭებს, ხოლო ვოვა სიხარულიძე მათ გასაბრაზებლად, ათასნაირ ხრიკს იგონებს...

ამბავი პირველი – ქალის სალამი

უნივერსიტეტში გურამ დოჩანაშვილის მომავალი მეუღლე, ნათელა სეფაშვილი ამოიჩემეს, რომელიც გურამმა ჰემინგუეის ტომებით დატვირთული დაინახა უნივერსიტეტის ბაღში და გადაწყვიტა, ცოლად შეერთო. მაშინ, გასაცნობად, ვინმე ახლობელს უნდა წარედგინე, ეს კი, პირველ კურსზე ვერ ხერხდებოდა. ყურადღების მისაქცევად, ბიჭებს ისღა დარჩენოდათ, გოგონებისათვის „აერიათ“.

ქალბატონი **ნათელა** მიყვება:

„ვიცნობდი, ვინც იყვნენ, მაგრამ არ ვესალმებოდი. უნივერსიტეტის შესასვლელთან სკამზე ისხდნენ ხოლმე და „მირევდნენ“. ვოვა დაიწყებდა ჩემი გვარის გაბმულად სისინს: „სსსსსეფაშვილი!“ საზიზღარ დღეში მაგდებდნენ. გერმანულზე ვსწავლობდი და შილერის სალამო გავმართეთ. მე ყანა დ'არკი ვიყავი, ზაზა კორსანტია — ლიონელი. ყველა რეპეტიციას დაბარებულებივით ესწრებოდნენ, დასხდებოდნენ უკანა რიგში და იწყებდნენ ხორხოცსა და რეპლიკებს. განსაკუთრებით ზაზას ხვდებოდა, მგონი, სცემეს კიდეც, მაგრამ დღემდე არ ამხელენ. სპექტაკლის დროს, მე მუყაოს ხმალი შემხვდა, ზაზას კი — რკინის. ჩემი რეპლიკის შემდეგ — „მოემზადე ბრძოლისათვის!“ — დავიწყეთ ხმალაობა და ჩემი ხმალი გადატყდა. აბა, იქ უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა... მაინც არ ვესალმებოდი. მერე ბაკურიანში ქეთინო რამიშვილმა და ვოვა სიხარულიძემ გაგვაცნეს ერთმანეთი. ნაცნობობა თბილისშიც გაგრძელდა. თავისი ნაწერები მაჩვენა და უნივერსიტეტის ბაღში შეხვედრა დავთქვით. ჩვეულებრივი პაემანი მეგონა და, რაღა თქმა უნდა, დავაგვიანე. თურმე, კონცერტია და გურამმა უნდა დაუკრას. დრო გადავიდა, გურამი კი არ შედის დარბაზში, მე მელოდება... დირიჟორი, სულხან ნასიძე იყო. გადაირია კაცი. მაგრამ სანამ არ მივედი, გურამი დასაკრავად ვერ შეიყვანა...“

გურამ დოჩანაშვილი ხუმრობს: *„მე და ჯონდო მეტრეველის გარდა, ყველანი წარმოსადეგი ბიჭები იყვნენ და ქალებსაც ისინი მოსწონდათ. ჰოდა, ჯონდოს გულს ვუკეთებდი: არა უშავს, ჯონდო, ამათ კი ჩამოვრჩებით, მაგრამ შეგნებულ ქალებს ჩვენ უფრო მოვწონვართ-მეთქი“.*

ამბავი მეორე – გოგიასა და რუსისა

ერთი ხანობა, 9 მარტის შემდეგ, მოდაში რუსების ცემა შემოვიდა. სადაც მოიხ-

პირველკლასელი „დისიდენტები“: ზედა რიგში – ზვიად გამსახურდია, ქვედა რიგში მეექვსე – მერაბ კოსტავა

ელთებდნენ, აუხირდებოდნენ ვინმეს და მიდიოდა ცემა-ტყეპა. გადაეკიდა ბიჭებს მათზე უმცროსი გოგი ხოშტარია — რუსი მაცემინეთო. გურამმა რკინისკუნთება, კარგ მოჩხუბარ დოდო რცხილაძესთან „გადაამისამართა“ — ეგ კარგად გასწავლისო. ცოტა ხნის შემდეგ, კარგად დამოძღვრილი გოგი, უფროს მეგობრებთან ერთად, ქუჩას მიუყვება და გამოჩნდა რუსი კაცი. აბა, მიდიო! — ჩაულაპარაკა მწვრთნელმა შეგირდს. გამოცდის სერიოზულობით აღელვებულმა გოგიმ მუშტები მომუჭა და ჯიქურ მიადგა უცხო გამვლელს. შემდეგ ასეთი სცენა გათამაშდა:

— სიგარეტი მომეცი! — თვალები დაუბრიალა გოგიმ რუსს.

— ინებეთ, მთელი ყუთი თქვენი იყოს, — გაუწოდა სიგარეტის კოლოფი კაცმა.

პასუხით შეწუხებულმა გოგიმ დახედა სეირის მაყურებელ მეგობრებს — ახლა რაღა ვქნაო? რეაქცია ხომ რუსის უარზე იყო გათვლილი. სიტუაციას ისევ ვიქტორ რცხილაძემ „მიხედა“ და რუსს აუშარდა:

— კოლოფს რომ აძლევ, ვინ არის შენი მათხოვარი?!

შემდეგ კი, სცენარი ჩვეულებისამებრ წარიმართა...

ამბავი მესამე – შეყვარებული მილიციელისა და ქალისა

ცოტა ხნის შემდეგ, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა სიხარულიძე და ჯონდო მეტრეველი მაღაზიის გატეხის მცდელობისთვის დააკავეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს, რადგან საქმე უსუსურად იყო შეთითხნილი.

ჭორიკანა თბილისში მოარული ხმებით, ეს ამბავი ცოტა სხვაგვარად მოხდა: ერთ საღამოს, ოდნავ შეზარხოშებულ ბიჭებს ქეიფის გაგრძელება მოუნდათ და ზემელზე, გასტრონომში შევიდნენ. იქ კი — იქნებ, ნისიად კიდევ ზედმეტი ბოთლი დავტყუოთო, — გამყიდველ ქალს არშიყობა დაუწყეს. სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ბოლოს, ერთმა (რომელმა — ამაზე ისტორია დუმს) ვეღარ მოზომა და ქალს გავაზე ხელი მოუსვა (ზოგი ამბობს — უჩქმიტაო). კეკლუცმა ქალბატონმა ასეთი ფამილაროობა ზედმეტად ჩათვალა და ერთი ვაი-უშველებელი ატეხა.

როგორც ამბობენ, ქალმა თავისი გულის მურაზი მილიციელი ბიჭებზე ადრე დაინახა და კივილიც იმიტომ ატეხაო. შეყვარებულმა მილიციელმა კოლეგები მოიხმარა და ჩვენი გალანტური რაინდები განყოფილებაში მიაბრძანეს. ამბობენ, კეკლუცმა და მოხერხებულმა ქალბატონმა ამ ამბიდან კარგი სარგებელი ნახაო...

ქალაქი აქოთქოთდა, სტუმრად შეკრებილ თბილისელებს საჩხრეკ-საქილიკო გაუჩნდათ. ზოგიერთი, დიასახლისების გულის მოსაგებად, ისეთი ახალი დეტალებით ამდიდრებდა ამ ამბავს, რომ სიმართლესა და ტყუილს ვეღარ გაარჩევდით ერთმანეთისგან. ქალბატონები კისკისებდნენ, უფრო ხანში შესულები ვიშვიშებდნენ და იღიმებოდნენ — ეს რა ახალგაზრდობა მოდისო?! — თან დააყოლებდნენ — მამამისიც მექალთანე იყოო, — და თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდათ... მაშინდელი მხიარული თბილისი ახალ ამბებს თავისებურად, ხალისიანად აგემოვნებდა.

ეს ამბავი რა გასახსენებელია, მაგრამ ათეული წლის შემდეგ, მილიციასთან თუ სუკელებთან ერთ-ერთი კონფლიქტის დროს, გოგონებს წამოგვაძახეს — დისიდენტობა საქართველოში ქალის ტრ... ჩქმეტით დაიწყოო!.. მაშინ ძალიან გვემწარა, მაგრამ მერე მივხვდი — უშიშროების ჭორების განყოფილება მხოლოდ ჭაბუა ამირეჯიბის ფანტაზიის ნაყოფი როდი იყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

***P.S.** მანანა იაშვილის წერილების ციკლი ჩვენი წარსულის იმ მხარეს ეხება, რომელიც ბევრ ადამიანში გამოხმაურების სურვილს აღძრავს. ავტორი და რედაქცია იმასაც ვარაუდობენ, რომ აღწერილი მოვლენების ზოგიერთ მონაწილესა თუ მომსწრეს საკუთარი ვერსიები ექნებათ. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ: აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, ფაქტებითა და არგუმენტებით გაჯერებული შეხედულება მხოლოდ საერთო სურათის სრულყოფას შეუწყობს ხელს.*

ჟურნალის საჭარჭირო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ვინ დაასრულა ვახტანგ გორგასლის მიერ დაწყებული თბილისის მშენებლობა?
2. ჰიტლერის მიერ გამოცემული კანონით, ახალგაზრდა ქალიშვილებს უარი არ უნდა ეთქვათ ჯანმრთელი და ძლიერი აღნაგობის მქონე ვაჟებთან სქესობრივ კონტაქტზე. რას ეძახდნენ ამ გზით დაბადებულ ბავშვებს?
3. სად ასაფლავებენ მაიას ტომის ინდიელები უბრალო ადამიანებს?
4. ამით მხოლოდ მამაკაცები ავადდებიან. ამ ავადმყოფობით იტანჯებოდა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის ერთადერთი ვაჟიშვილი, ალექსეი.
5. ერთ წვეულებაზე მყოფ კაცს, რომელსაც მარჯვნივ აკაკი წერეთელი ეჯდა, ხოლო მარცხნივ ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბევრს ლაყბობდა, უნდოდა ეთქვა, მარჯვნივ ბულბული მიზის და მარცხნივ კაჭკაჭიო. დრო რომ იხელთა, იკითხა, ბულბულსა და კაჭკაჭს შორის რა მანძილიაო? რა უპასუხა აკაკიმ?
6. ეს ქალაქი ერეკლე II-ს ხარკის სახით, ყოველწლიურად, 3.000 თუმანს უხდიდა.
7. მოჰიკანები პირწმინდად იპარსავდნენ თავებს. იტოვებდნენ მხოლოდ პატარა ქოჩორს. რისთვის?
8. ვინ არის შპრეხშტალმაისტერი?
9. დაასახელეთ ქართველი პოეტი, რომელმაც ვიქტორ ასტაფიევის მიერ, 1984 წელს გამოქვეყნებულ სტატიას — „Ловля пескарей в Грузии“, რომელშიც მიწასთან იყო გასწორებული საქართველო და ქართველები, ლექსით უპასუხა. ეს ლექსი ასე მთავრდებოდა: „რას გიშველის შეგონება, დარიგება, ლაპარაკი, ქართველების გალანძღვისთვის შენ მ...ნ დედის ტ...ი!“
10. დასასრულეთ ბემეს სიტყვები: „თემიდას ცალ ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს...“
11. რა არის მუსკატი?
12. რა ენაზე წერდა ლექსებს რასულ გამზათოვი?
13. პასიკია ჯაფარიძეს, რაჭაში სტუმარმასპინძლობით ჰქონდა სახელი განთქმული. მას ერთადერთი ინდაური ჰყავდა, რომელსაც სტუმრების მოსვლისთანავე სტაცებდა ხელს, დაადებინებდა კუნძზე თავს და ცულს მოუღერებდა. — ქვე, შენი ჭირიმე, რა კარგია, რომ მოხვედით, დაგიკლავთ ახლა ამ ინდაურსო. სტუმარი, ცხადია, იუარებდა: — არა, პასიკია, ნასადილევი ვართ, ნუ შეწუხდები. — კარგი, ქვე შენი ჭირიმე, მეორედ რომ მოხვალ, მაშინ დაგიკლავთ, — ცულს დაუშვებდა პასიკია. ამბობენ, დროთა განმავლობაში, ინდაურს პირობითი რეფლექსი გამოუმუშავდაო. დასახელეთ ეს პირობითი რეფლექსი.

ანეკდოტები

* * *

— სოკო გნებავთ?

— არა, მე მხოლოდ მოგროვება მიყვარს.

— შემიძლია, იატაკზე მიმოვფანტო.

* * *

არგონავტები მოდიან კოლხეთში.

შავ ზღვაში შემოხვდათ გაბრაზებული ციკლოპი. ციკლოპმა დაავლო ხელი ხომალდს, მაღლა ასწია და დაიღრიალა:

— რამე მითხარით ისეთი, რომ გავმხიარულდე, თორემ სულ დაგილეწავთ ამ თქვენს ხომალდს!

ჭიჭიკიამ რაღაც ჩაუჩურჩულა ყურში. ციკლოპმა უცებ ხარხარი ატეხა და არგონავტები გაუშვა.

უკანა გზაზე, ისევ შეხვდათ ციკლოპი და კიდევ იცინის. გააჩერა არგონავტები და უთხრა:

— რაღაც ისეთი მითხარით, რომ ცოტა დავნაღვლიანდე, თორემ, სიცილისგან ვკვდები!

ჭიჭიკიამ გვერდზე გაიყვანა და ციკლოპმა ცოტა ხანში დაღვრემილი სახით გაუშვა არგონავტები.

გაოცებულმა არგონავტებმა ჭიჭიკიას ჰკითხეს — ან გავლისას რა უთხარი, ან გამოვლისასო? ჭიჭიკიამ მათ უპასუხა:

— გავლისას ვუთხარი — შენზე დიდი პენისი მაქვს-მეთქი და ამაზე იცინა.

— გამოვლისას?

— გამოვლისას — ვაჩვენე.

* * *

ბავშვი ახალი წლის ღამეს იღვიძებს და ხედავს — თოვლის ბაბუა დგას.

— თოვლის ბაბუა, შენ მართლა არსებობ?

— ეეე, რადგან დამინახე, ცოცხალს ვეღარ დაგტოვებ!

* * *

ჭიჭიკია პარტკომში დაიბარეს და ჰკითხეს: კომპარტიის უკანასკნელ სხდომაზე რატომ არ იყავიო?

— რომ მცოდნოდა, უკანასკნელი იყო, რავა არ მევიდოდი?!

* * *

— ზურიკელა, ბიჭო, გაიგე, ილარიონა გაგიჟებულა?

— რატომ, ილიკო, რა მოუვიდა?

— რატო და მოხადა ქვევრს თავი და „კიდევ სცადეთო“ — ზედ ეწერა! გაგიჟდებოდა, აბა რა მოუვიდოდა?!

* * *

ერთი დაქალი ეუბნება მეორეს:

— შენ რა, ეწევი?! როდიდან?

— მას მერე, რაც ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა და საფერფლეში „ბიჩოკი“ იპოვა.

* * *

ნაცარქექიას რემიქსი:

მოუჭერს დევი ქვას ხელს და სულ მტვრად აქცევს.

მოუჭერს ნაცარქექია და ...

— მოიცა, მოიცა, ეგრე სად არის, ძმაო! — აყვირდა დევი.

— ჰა, რა არი?!

— რა და აგერ ჰოლანდიური ყველი მაქვს და ამას გაადინე წვენი, თუ მაგარი ხარ.

* * *

ქმარი ცოლს:

— ნანული, ხომ გეუბნებოდი — ქალები ძალიან ბევრს ტლიკინებენ-მეთქი, ნახე, რა წერია გაზეთში: ქალი დღეში საშუალოდ 22 ათას სიტყვას წარმოთქვამს, კაცი კი, მხოლოდ 11 ათასს.

— ეს იმიტომ, რომ ქალებს ყველაფრის გამეორება უხდებათ.

— რა თქვი?!



* * *

— მიხო, შენი ღორი რატომ დარბის პროთეზით?
— ხალადეცი მინდოდა და მთელ ღორს ხომ არ დავკლავდი?

* * *

ცისფერი გამოფენაზე:
— ოოო, რა ფერებია!
— თქვენ იმპრესიონისტი ხართ?
— არა, მე ჰომოსექსუალისტი ვარ, მაგრამ მაინც მაგარი ფერებია.

* * *

— მისის ჯონსონ, გვიამბეთ — რატომ დაირღვა თქვენი ქორწინება?
— სიკვდილის გამო.
— ვისი?

* * *

— ბიჭო, რაფერ ამბობთ გურულები ერთ დღეში ამდენ სისულელეს?
— სხვისი არ ვიცი, ძამა და პირადად მე, უთენია ვდგები.

* * *

ჭიჭიკია და ბიჭიკია ბირჟაზე დგანან.
— ნახე, რა ქალი მოდის!
— ეეე, შენ მაგი გახდილი უნდა ნახო!
— შენ რა იცი?!
— ჩემი ცოლია.

* * *

— ე, ბიჭო, ჭიჭიკია, გოუკეთე შენს ცოლს პრივატიზაცია, თორე, იხმარა მთელმა ქუთაისმა.

* * *

„გეპეის“ სტუდენტის ფიქრები:
— ახლა ცოლს დავურეკავ და ვეტყვი, რომ ბიჭებთან ვარ. ბიჭებს ვეტყვი, რომ საყვარელთან ვარ, საყვარელს ვეტყვი, რომ ცოლთან ვარ. მერე კი, დავჯდები და ვხაზავ და ვხაზავ!

* * *

ტელეფონის ზარია:
— ალო, გისმენთ!
— გაუმარჯოს! როგორა ხარ?!
— გმადლობ, კარგად.
— უკაცრავად, ეტყობა, სხვაგან მოვხვდი.

* * *

სვანმა „მერსედესი“ იყიდა და

ყველა გამვლელს ეჯახება.
— რას აკეთებ, გადაირიე! — უყვირის გამვლელი.
— აბა, კაპოტზე სამიზნე ტყუილად ხომ არ უყენია!

ჯორნალის სანპირჭილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. თბილისის მშენებლობა ვახტანგ გორგასლის მემკვიდრემ, დაჩი I-მა დაასრულა.
2. ამ გზით დაბადებული ბავშვები, კანონიერად ითვლებოდნენ და მათ „ფიურერისთვის მიძღვნილ საჩუქარს“ ეძახდნენ.
3. უბრალო ადამიანებს, მაიას ტომის ინდიელები საკუთარ სახლში, იატაკის ქვეშ მარხავდნენ.
4. ჰემოფილიით (სისხლის შეუდედებლობით), მხოლოდ მამაკაცები ავადდებიან.
5. „დიდი არაფერი, შუაში ერთი ბაიყუში ზისო,“ — უპასუხა აკაკიმ.
6. ერევანი.
7. ეს იყო ე.წ. სასკალპე ქოჩორი.
8. ცირკში პროგრამის წამყვანს, შპრეხშტალმაისტერი ჰქვია.
9. ჯანსუღ ჩარკვიანი.
10. „თემიდას ცალ ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ.“
11. არომატული ყურძნისგან დამზადებულ ღვინოს, მუსკატს ეძახიან.
12. რასულ გამზათოვი ლექსებს ხუნძურ ენაზე წერდა.
13. ამბობდნენ (პასიკია ჯაფარიძის რამდენიმე ენაკვიმატ თანასოფლელს თუ დავუჯერებთ), ინდაური სტუმრების დანახვისთანავე, გარბოდა და კუნძზე დებდა თავსო.

ჩვენი ფოტოალბომი

უკომენტაროდ

veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24

ზაზა ვაჩნაძე

საამშობლოსთან თითქმის 15-წლიანი განშორების შემდეგ, ახალგაზრდა არქიტექტორი ნიკა ბერიძე თბილისში ბრუნდება და თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს მაშინ წამოადგება თავზე, როცა მისი ბებიის — ელისოს 85 წლისთავს აღნიშნავენ. 2 ძმის, დის, დედ-მამისა და ბებიის გარდა, ნიკას, მისი 13 წლის ქალიშვილთან პირველი შეხვედრა ელის. ემიგრანტ კაცს საქართველოში ძალზე შეცვლილი ვითარება ხვდება. დედ-მამიშვილების ურთიერთობებიც, რომლებიც არც მანამდე იყო იდეალური, კიდევ უფრო გართულებულა...

საიუბილეო სუფრა არც ისე ურიგო გამოვიდა. გაშლილი კი იყო, მაგრამ სუფრასთან ჯერ არავინ იჯდა. თეონა ფანჯარასთან მიმდგარიყო და გარეთ მოწყენილი იმზირებოდა. ვერიკო, ელისო და სოლომონი სამზარეულოში ტრიალებდნენ.

— ელისო, გამოდი, რა, ერთი წუთით! — სთხოვა ანიმ ბებიას.

— მე? — რატომღაც გაუკვირდა ელისოს.

— ჰო, ჰო, ბებო, გამოდი!

ელისომ, რომელსაც ფილთაქვა ეჭირა და ნიგოზს ნაყავდა, საქმე მიატოვა და სამზარეულოდან გამოვიდა.

— რა არის, საიდუმლო უნდა გამიმხილო? — ჰკითხა მან შვილიშვილს.

— შენ რა, ამ კაბაში აპირებ საიუბილეო სკამზე წამოსკუპებას?

— რა არ მოგწონს ამ კაბის? არ მიხდება? — ყელი სასაცილოდ მოიღერა ელისომ.

— გიხდება?! კარგი, რა, ბებო, როდემდე უნდა გეცვას, ქალო, ეს ადამის დროინდელი კაბა, არ გამაგიჟო! წამოდი! წამოდი!

ანიმ საძინებლისკენ გასწია. ელისოც გაჰყვა. საძინებელში, საწოლზე, ლამაზად შეფუთული ყუთი იდო.

ელისოს მაგრად ესიამოვნა.

— კაბაა? ვოცნებობდი ახალ კაბაზე. უნდა გავხსნა?

— გახსენი, — უთხრა ანიმ.

ელისომ ყუთი გახსნა და იქიდან მდიდრული, თავისი ასაკისთვის შესაფერისი კაბა ამოიღო.

— ღმერთო ჩემო, რა ამბავია, რა მიეცით? — აკივლდა ელისო. — არა, გენაცვალე, მე ამ კაბას ვერ ჩავიცვამ, ახლავე უკან წაიღე! ასეთი ძვირფასი?! თქვენ რა, საკუბოვედ გინდათ გამომაწყოთ?!

— რაა? კაი, ახლა, მორჩი, ელისო! სად უნდა წავიღო, გაგიჟდი?! ისე კარგად ჩაიცვამ, როგორც დაგიბარებია, — ხელი აუქნია ანიმ.

— არადა, რა ხანია, მართლაც, ნორმალური კაბა არ მღირსებია... — ჩაილაპარაკა ელისომ და ქსოვილს ხელი გადაუსვა. — ქიშმირივით არის.

— ჰო, კრეპჟორჟეტია, — გაეცინა ანის. — ჰოდა, ჩაიცვამ. და აღარ დაიწუწუნო! მოკლედ, მოემზადე. ეს პომადა წაისვი, ეს „ვეერიც“ დაიჭირე!

— პომადა? ხომ მთლად ფუფალას დავემსგავსე! — გადაიხარხარა კმაყოფილმა ელისომ. — იქნებ, ხელოვნური წამწამებიც გავიკეთო? ეს „ვეერი“ რაღა აუცილებელია, რა, ხანუმა ვარ?

— კაი, როგორც გინდა, მე გავედი, — თქვა ანიმ და მიტრიალდა.

— არ შემათვალიერებ? — გაუკვირდა ელისოს.

— არა. პირდაპირ „პოდიუმზე“ მინდა გიხილო. მომისმინე! ოც წუთში მზად იყავი, მე რომ პიანინოსთან დავჯდები და შენ ტუშის აკორდების ხმას გაიგონებ, კარს გააღებ და ყელმოღერებული შემობრძანდები, კარგი?

— და ხანუმას ვითამაშებ: „კნიაზ, არ მოგცონვარ? სილ ვუ პლე, მადამ“... ჰო? — გაეცინა ელისოს.

— აბა, შენ იცი! — თქვა ანიმ, ბებიას კარი მიუხურა და ახლა სამზარეულოში მყოფებს მიმართა: — წავედით! ყველანი სუფრასთან!

— მერე, ბიჭები?.. — იკითხა ვერიკომ.

— აჰ, ვაუბატონები? შემოგვიერთდებიან. რა მოხდა? არც არაფერი! ნუ გეშინია, აი, ნახავთ, არც ერთი არ გამოაკლდება, — დაამშვიდა ანიმ.

— წავიდეთ, მაშინ, დავსხდეთ! — თქვა ვერიკომ. — აბა, ადექი, სოლომონ! და ელისო?..

— ელისო?.. უნდა გამოიპრანჭოს და მორთულ-მოკაზმული შემობრძანდეს, — თქვა ანიმ.

— ოჰო, მორთულ-მოკაზმული?! სიურპრიზს გვიმზადებს რამეს? — გაეღიმა ვერიკოს.

— დიახ, ბატონო, — უპასუხა ანიმ.

ვერიკომ სოლომონი სუფრის თავში დასვა, ქალები კი მეორე ბოლოში განმარტოვდნენ.

— რა ხდება ამ ჩემს სახლში, მე არ უნდა ვიცოდე? — გამოაცხადა სოლომონმა.

— ელისო ოთხმოცდახუთი წლის გახდა. იუბილეს ვუხდით, — გამოუცხადა ვერიკომ.

— ოთხმოცდახუთის? ვინ ელისო?.. მერე, ჩვენ რა შუაში ვართ? — მაგრად გაიკვირვა სოლომონმა.

— როგორ, შენი სიდედრის სახელიც დაგავიწყდა, ბიჭო?! — შეიცხადა ვერიკომ.

— სიდედრი?.. — შუბლი შეკრა სოლომონმა. — რომელი სიდედრი, შენ რომ გამომიწერე მოსკოვიდან?

— ერთ სიტყვასაც იტყვი გადაკრულად დედაჩემზე და ისეთ სილას გაგაწნავ, შენი მოწონებული!.. — გამწარდა ვერიკო.

— გადაკრულების დიდოსტატი თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო, და მე მაბრალებთ გადაკრულების თქმას? იმხელა ენა გაქვს, რომ შემოატარო, სამჯერ მაინც შემოსწვდება ამ სახლს... — გაიცინა თავის ნათქვამზე სოლომონმა.

— შენ, ბიჭო, შაყირობ თუ ამ ყველაფერს მართლა ამბობ? — ვერ დაიჯერა ვერიკომ სოლომონის ლაპარაკი. — აბა, მე ვინ ვარ?

— ვინ ხარ და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორე, — უაზროდ გაიკრიჭა სოლომონი. — ცისანა არა

ხარ, ჩემი მეზობელი, იაშას გოგო?

— მე მგონი, დაგვცინის... — თქვა ვერიკომ და ქალებისკენ გაიხედა.

— კარგი, დედა, დაანებე, რა, თავი, რაც უნდა, ის იფიქროს, — სთხოვა პიანინოსთან მიმჯდარმა ანიმ დედას, კისერი სუფრისკენ მიაბრუნა და სიტყვით გამოსასვლელად მოემზადა.

— ბატონებო და ქალბატონებო, — წამოიწყო მან საზეიმოდ. — ამქვეყნად ყველაზე საყვარელი და ყველაზე უტკბილესი ბებიის, ელისო სალაძის საიუბილეო, რიგით ოთხმოცდამეხუთე დაბადების დღისადმი მიძღვნილ ნადიმს გახსნილად ვაცხადებ.

ყველამ ტაში დასცხო. ანიმ წამით სკამი გაისწორა, ხელები ასწია და ტუშის აკორდები მთელი ძალით ააჟღერა. კარი გაიღო და მისაღებში მარაოთი ხელში, ყელმოღერებული, მორთულ-მოკაზმული ელისო შემობრძანდა.

— ვაიი, რა ლამაზიაა! — აღმოხდა ყველას ერთხმად.

ელისო ოთახის ცენტრისკენ წამოვიდა, თან, ტოპმოდელივით ფეხებს ერთმანეთზე აჯვარედინებდა... ანი საცეკვაო მელოდიაზე გადავიდა. „სამაიას“ აკორდები აიღო. ელისო შუა ოთახში შედგა და ადგილზე აცეკვდა, თან, ხელები, „სამაიას“ მსგავსად, „ჩაპრანჭა“... მალე მას ვერიკო ამოუდგა მხარში, მერე თეონაც შეუერთდა და ნამდვილი „სამაია“ გამოუვიდათ... უხაროდათ. მაგრამ რა უხაროდათ, ალბათ, როგორც ქართველების ოთხმოცდაათმა პროცენტმა, მათაც არ იცოდნენ...

ცეკვა ჩამთავრდა და მილოცვები დაიწყო. კოცნიდა ელისო ქალებს და ბიჭებზე დარდობდა, რომლებიც, როგორც ყოველთვის, დღესაც აგვიანებდნენ.

ირაკლიმ თაიგულით ხელში სადარბაზოს კიბე აიარა და კართან შედგა. ტანისამოსზე დაიხედა. თაიგულიანი ხელი წინ გაიშვირა და ზარი დარეკა. კარი თეონამ გაუღო. შიგნიდან სუფრის ხმაური გამოვიდა. ირაკლის დანახვაზე, თეონას სახე გაებადრა და ყვავილებს წაეპოტინა.

— გმადლობ, დიდი მადლობა!

— გასწიე ხელი იქით და გამატარე... კაი, თეონა, მორჩი მაიმუნობას, შენ ამნაირ თაიგულს, ბებიაჩემისხელა რომ გახდები, მაშინ მოგართმევ, — ირაკლიმ სცადა, ჩამოეცილებინა თეონა გზიდან.

— დავუძახო ბებიას?

— არა, გმადლობ, მე თვითონ ვეახლები, — და გაჯგიმულმა, მისაღებში შეაბიჯა.

ირაკლის დანახვაზე, სუფრა გამოცოცხლდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — გამოაცხადა ვერიკომ.

— დაიწყეს კაცებმა მოსვლა, როგორც იქნა, დაიწყეს! — თქვა ანიმ.

— კაცი არ გიზით აქ? აბა, მაშ, ეს ვინ არის?! — ვაჟკაცურად დაჰკრა მამას მხარზე ხელი ირაკლიმ და ელისოსკენ გაემართა. ელისო წამოდგა, თაიგული ჩამოართვა.

— მადლობა, ჩემო კარგო, დიდი მადლობა!

— ბებიაჩემო, აი ამ ჰოლანდიური ვარდებივით ლამაზი და მშვენიერი ყოფილიყავი კიდევ ორმოცდაათ წელიწადს.

— რა ამბავია, შვილო?! ათი წელი მაცოცხლა კიდევ, მეტი არ მინდა. ნიკას დაბრუნებამდე მაცოცხლა, თუნდაც...

— ნიკას დაბრუნებამდე? აბა, გიცოცხლია კიდევ ორი საუკუნე მაინც, მაშ!.. — ცინიკურად გამოაცხადა ირაკლიმ.

— ირაკლი, თეონას თანდასწრებით ასეთი რამ აღარ თქვა, თუ ღმერთი გწამს! ნიკა აუცილებლად დაბრუნდება და ძალიან მალეც, აი, ნახავ თუ არა! — საშინლად ეწყინა ვერიკოს.

— ვიცი, ახლა სიზმრების მოყოლა უნდა დაიწყო, დედაჩემო! კი, ბატონო, ელოდეთ, ელოდეთ!.. შემივსეთ ერთი, სასმისი, რომელი ხართ, თამადა? — მოჰკიდა დოქს ხელი ირაკლიმ და თავად დაისხა ღვინო.

— მარტო რატომ მობრძანდი? რეზის არ შეხმიანებიხარ? — შეეკითხა ვერიკო.

— ხომ იცი, რომ არა მაქვს, არა, ვერიკო, რეზის თავი? — ავარდა რატომღაც ირაკლი. — რატომ გიყვარს დაძალება?! რეზი და რეზი. მაცალე, რა, დავლიო ერთი ჭიქა და შევირგო. სულ რეზი და რეზი მესმის ამ ოჯახში...

— ხმას ერთი ტონით დაუწიე! — კატეგორიულად თქვა ვერიკომ.

— არ დავლიო? — „წაუიაზვა“ იმწამსვე ირაკლიმ.

— კი, შვილო, დალიე, ოღონდ, ზომა უნდა იცოდეთ! — უთხრა ელისომ.

— ჰო, ავრწყავ და ას გრამზე მეტს არ დავლევ, — გადაირია ირაკლი. — კარგი, რა, ელისო, ჯერ ერთი ჭიქაც არ დამიცლია და უკვე არ დათვრეო, მეჩხუბები!

— როგორ ტკბილად გითხარი, შვილო. ჩხუბია, „შენი ჭირიმე“ და „შენ გენაცვალე“?!.

— არა, რა! ერთი, ორი, სამი, ოთხი ქალი ერთად? მტრისას! — ჩაილაპარაკა ირაკლიმ და მამის მხარეს გაიხედა, სოლომონი ხელს უქნევდა — აქეთ მოდიო. ირაკლიმ მზერა აარიდა. — გაგიმარჯოს, მოკლედ!.. — უთხრა ელისოს და ჭიქა გამოცალა.

— ვის ეზოში დაკრიფე ეგ ვარდები? მადონა ჯოხით არ გამოგიდგა? — შეეკითხა სოლომონი ირაკლის, როცა ის მის გვერდით დაჯდა. ირაკლი მამას მიაშტერდა.

— მადონა არა, მამა, კლაუდია შიფერი გამომიდგა ჯოხით.

— კლაუდია შიფერი? სახელი კი მეცნობა, მაგრამ გვარი პირველად მესმის. ალბათ, ახალი გადმოსულია, — დაასკვნა სოლომონმა.

— წესით და რიგით, შვილების სადღეგრძელო უნდა მეთქვა, მაგრამ ჯობს, რეზის დაველოდოთ, — გამოაცხადა სასმისით ხელში ფეხზე მდგომმა ვერიკომ.

— და ნიკას! ნიკა დაგავიწყდა... — ისევ „წაუიაზვა“ დედას შორიდან ირაკლიმ.

— ირაკლი, რა დაგემართა? — ცივად ჰკითხა ვერიკომ.

— ეგ სულ ასეთი ცინიკოსი იყო, დედა. რატომ იტყუებ თავს? — გადაიკისკისა ანიმ.

— შენ მაინც მაცალე! — კბილებში გამოცრა ვერიკომ და ირაკლის მიმართა.

— ნიკა კი არ დამვიწყნია. თეონასთან ერთად, მე სწორედ ნიკას სადღეგრძელო მინდა დავლიო. თეონა, რომ იცოდე, მამაშენი და-ძმებში ყველას სჯობდა. დედა არ უნდა არჩევდეს შვილებს ერთმანეთში, მაგრამ ასე იყო: ნიჭითაც, აღზრდითაც, ვაჟკაცობითაც, დიახ. ჩემი ქმარი მხოლოდ აქედან წასვლაში დაეხმარა, რექტორის მეგობარი იყო და რაღაც კულტურული გაცვლის პროგრამაში ჩართეს. ფრიადოსანი იყო, თორემ, ვინ გაუშვებდა?! ამერიკაში კი,

ყველაფერი უკვე თავისით მოიპოვა. სხვების დაუხმარებლად, მარტომ... ასე მგონია, სულში ერთი ადგილი, ის რომ აქ არ არის, დაცარიელებული მაქვს...

— ჰო, ქალის სული ღრმაა, მაგრამ შიგ სიცარიელეა... — წარმოთქვა ირაკლიმ, რაზედაც ანიმ გულიანად გადაიკისკისა.

— ელაპარაკე ახლა ამათ... — ხელი ჩაიქნია ვერიკომ.

— კარგი, გოგო, დალიე შენც, ნუ უგდებ ყურს. არ იცი ჩვენი კაცების ამბავი? — ურჩია ელისომ ვერიკოს.

— თეონა, შენ გაგიმარჯოს, მამაშენთან ერთად, ნიკასთან ერთად! დედასაც გიდღეგრძელებ... — თქვა ვერიკომ და გამწარებული დაეწაფა ღვინოს.

— თეონა, გაგიმარჯოს. მამაშენი დაბრუნებულიყოს. ჩემს ძმას გაუმარჯოს, ნიკას... — თქვა ირაკლიმ და ჭიქა გამოცალა.

— ნიკას ხსოვნისაა? — წამოდგა სოლომონი, ჭიქით ხელში.

ქალები ერთხმად ანიოკდნენ.

— ვაიმე, რა უჭირავს? წაართვი, ირაკლი, წაართვი! — აკივლდა ვერიკო.

— ვინ მისცა მაგას ჭიქა, დროზე, შვილო! — ხელები გაასავსავა ელისომ.

ირაკლიმ ჭიქა ხელიდან გამოჰგლიჯა მამას.

— რას შვრები, ბიჭო, ზედ არ გადამასხა! გაგიჟდი?! — ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, სოლომონი.

— კარგი, რა, მამა! თვალი ვეღარ უნდა მოგაცილოთ?! წამლებით გჭყიპავთ და შენ ღვინის ჭიქაში ძვრები?! — ხელით იჭერდა მამას ირაკლი.

— „ბორჯომია“, „ბორჯომი“! ის მაინც მკვდარია, რა მოხდა, „ბორჯომით“ დამელია, — სხვებსაც მიუბრუნდა სოლომონი.

— ვინ არის, ბიჭო, მკვდარი, რაებს ამბობ?! — მთლად გადაირია ვერიკო.

— ვინ და მამაჩემი, ნიკოლოზი, ცოცხალია?

ირაკლიმ უკანვე მისცა ჭიქა.

— დალიე, ღმერთმა შეგარგოს!

— აუ, არ დაგვიხეთქა გულები?! — სული ძლივს მოიბრუნა ვერიკომ.

კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონამ მიირბინა და გააღო. რეზი, როგორც ყოველთვის, ახლაც ამრეზილი შემოვიდა. მისაღების კართან მივიდა და გაჩერდა.

— რა არის, ერაყში ვართ თუ ოსმალეთში, ცალ-ცალკე რომ დამსხდარხართ? — შეაფასა მან სიტუაცია, მერე სუფრასთან მივიდა და სავსე ჭიქას მოჰკიდა ხელი. — ელისო, ჩემო ყველაზე ძვირფასო და უბერებელო ბებო, ყველაზე დიდო ვაჟკაცო, ოჯახის სიამაყევ და ბურჯო, შენ გაგიმარჯოს! — რეზი წამით ჩაფიქრდა და ჭიქას ჩააცქერდა. — ეს ქვეყანა შენისთანებმა შეინახეს... ჩვენ ვანგრევთ, შენ კი ინახავ... რაღაც მთავარს, ალბათ, აუცილებელს... ჰო, მთავარს!.. — და ხელი ჩაიქნია. — ვაჩმახებ და მიხარია, არა?! გაგიმარჯოს, ელისო, დიდხანს იცოცხლე! — არავინ აჰყვა. ყველა რატომღაც დუმდა. რეზიმ ეს იგრძნო. — მითხარით, ხალხო, გაგიმარჯოს-თქო, რა დაგემართათ?

— გაგიმარჯოს! — თქვა სოლომონმა.

რეზიმ მამას გადახედა.

— ისევ შენ, მამაჩემო... ჰოდა, ასე! — ჭიქა დაცალა და კაცებისკენ წავიდა. — მოდით, მეც კაცებთან დავჯდები... შენთან პატარა საქმე მაქვს... — გადაულაპარაკა მან ირაკლის, როცა სუფრასთან დაჯდა.

ირაკლი აიმრიზა.

— საქმე?

— ჰო, რა შეგეშინდა, ბიჭო? საქმე მაქვს-მეთქი. არ შეიძლება, ძმას ძმასთან საქმე ჰქონდეს?! კი არ უნდა გაგირჩიო...

— „რაზვალნი ვტულკები“ გამოუცვალე მანქანას? — ხელზე ხელი დაადო რეზის სოლომონმა.

— ჰო, „ვტულკებიც და ნაკანეჩნიკებიც“... — უპასუხა რეზიმ და ირაკლის მიუბრუნდა. — წამო, რა, სამზარეულოში!

ორივენი წამოდგნენ.

— სად გარბიხართ, ბიჭო? მარტოს მტოვებთ ამდენ „ვეძმასთან“?! — გადაირია სოლომონი.

— წამო, წამო! — უთხრა ძმას რეზიმ, ხელი გამოსდო და გაიყვანა.

სამზარეულოში, მათ გარდა, სხვა არავინ იყო. რეზიმ ორი ჭიქა გადმოიღო. ეპატარავა. უფრო მოზრდილები მონახა და ისინი დადგა მაგიდაზე. ირაკლი მის ქცევას შუბლშეკრული უმზერდა. რეზიმ ღვინო დაასხა.

— მოჰკიდე ჭიქას ხელი, — უთხრა მან ირაკლის.

— აჰა! — ჭიქა ხელში აიღო ირაკლიმ.

— ერთხელ კიდევ უნდა დამეხმარო! — უთხრა რეზიმ.

— მაგარი სადღეგრძელოა... — თქვა ირაკლიმ.

— თვალებში მიყურე, რა! — უთხრა რეზიმ.

— რა გინდა? — თქვა ჭიქას მიშტერებულმა ირაკლიმ.

— ისევ გადაგვაგდეს იმ ნაბოზრებმა! — უთხრა რეზიმ.

— ვინ გადაგაგდო? — გულგრილად ჰკითხა ირაკლიმ.

— ვინ და მთავრობამ. ვინ არის დღეს ყველაზე მაგარი გადამგდები?..

— მთავრობამ? როგორ? — ჰკითხა პატარა პაუზის შემდეგ ირაკლიმ.

— მართებდათ, რა, ერთის ფული, ბიუჯეტით გამოუყვეს... — ცდილობდა, რაღაც გასაღები მოეძებნა ძმისთვის...

— მერე, შენ რა შუაში ხარ? — დაცინვით იკითხა ირაკლიმ.

— შუაში ვარ, სწორედ შუაში: შუამავალი ვარ. მეგონა, ერთ-ორ „კაპიკს“ ვიშოვიდი... — აღელდა რეზი.

— შუამავალი? რა, შენ გამოაყოფინეეგ ფული? — ირონიულად შეეკითხა ირაკლი.

— მორჩი ახლა. იმ კაცს რაღაცის აშენება უნდოდა და მე ჩავუდექი შუაში. გამოყოფილი აქვს ფული, მისცემენ და მოგიტანს-მეთქი.

— რისი აშენება უნდოდა, კორპუსის?

— ჰო. ასე მეგონა, რომ „გავჭერი“ საქმე... — სახე ხელებში ჩარგო რეზიმ. — მერე, მე სიტყვა ვთქვი... ვიცოდი, რომ ასეთი ფული ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული... ვიფიქრე, გავქაჩავ-მეთქი... ათი ათასი უნდა ამეღო ჩემს წილად ამ საქმეში... შავები ჩაერივნენ... ირაკლი, ქურდთან მაქვს სიტყვა ნათქვამი, ამ ბოზებმა კი გადამაგდეს!..

— გამარკვიე, ძალიან გთხოვ, რომელ საუკუნეში ცხოვრობ, ძმაო?! რაღა დროს ეგაა, ძმაო?! ჩაიარა შენმა მატარებელმა, ჩაიარა! ვერ ხვდები, რომ ფული დღეს სხვანაირად კეთდება?! — ხმას აუწია ირაკლიმ.

— როგორ? — იკითხა დაბნეულმა რეზიმ.

— ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც შენ გგონია... — მხრები აიჩეჩა ირაკლიმ. — ესე იგი, რა გამოდის: შენ მთავრობიდან გინდა ამოიღო მაყუთი, როცა მთავრობა თვითონ არის მაყუთის პირველი ამომღები და თანაც, ქურდთან ამბობ სიტყვას... მერე მოდიხარ ჩემთან და გინდა, მეც გამსვარო?! სულელი ხომ არ გგონივარ, შენ ბიჭო!..

— ძმა მგონიხარ, ძმა!.. — წამოხტა რეზი. — მე ერთი რამე ვიცი... რომ სიტყვას ფასი აქვს ჯერ კიდევ. ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე... ჩემი წესით ვცხოვრობ... რადგან შენთან მოვედი, ესე იგი, სხვასთან ვერ მივედი. ამას ხომ უნდა ხვდებოდე, თუკი მართლა ძმა გქვია!..

— ძმა კი ვარ, მაგრამ შენ მე მილიონერი ხომ არ გგონივარ?!. — ფეხზე წამოდგა ირაკლიც.

— ირაკლი, დრონი მეფობენო, ნათქვამია... — ხელი მოუჭირა ძმას ხელზე

რეზიმ. — იცოდე, გამოვძვრები აქედანაც და ვინ იცის, ერთხელაც, ვინ ვის მიადგეს...

— იმას რატომ არ შეაწუხებ, იმას, ოკეანის გაღმა რომ გადაუდვია ფეხი ფეხზე, იმას არ ჰქვია ძმა?!. მე, რამდენჯერაც შემეძლო, გაგიმართე, არა, ხელი?.. გთხოვე ვალის დაბრუნება?.. მიპასუხე, ერთხელ მაინც დამცდა ვალზე სიტყვა?! მეწველი ძროხა გგონივარ თუ რა არის, ვერ გავიგე... — ხელებს უცნაურად იქნევდა ირაკლი.

— აქედან რა გავაგებინო იმას, ბიჭო?!. კარგი, მოვრჩეთ ამაზე. მივქარე, რომ გითხარი... მე თვითონ მოვუვლი ამ საქმეს... — მარცხენათი ხელი ეჭირა, მარჯვენის ორი თითი კი, ნელა-ნელა მიჰქონდა ირაკლის თვალებისკენ რეზის.

— ჰოდა, ასე, ძმაო... — ხელი გააშვებინა ძმას ირაკლიმ. — სანამ სიტყვას იტყოდე, ცოტათი მაინც უნდა დაფიქრდე...

— ჭკუასაც მარიგებ, შე ნაბიჭვარო?! — საყელოში სწვდა ძმას რეზი. ლამის ატაკა ორი თითი თვალებში.

— დედა! — იღრიალა მთელი ხმით ირაკლიმ.

სამზარეულოში ფერწასული ვერიკო შემოვარდა.

— ჭკუიდან გინდათ შემშალოთ?! რა გაჩხუბებთ?!. ბავშვები ხართ, თქვე უნამუსოებო?!.. — შუაში ჩაუვარდა ძმებს დედა.

— უთხარი, აბა! ჩამიშვი, დამაბოზე, მიდი! — ხელი გაუშვა ძმას რეზიმ.

— რეზი! გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ! მე არ გებრალებით, ელისო მაინც შეიბრალეთ... — შეეხვეწა ბიჭებს ვერიკო.

— ჰო, დღეს ელისოს იუბილეა... — კბილებში გამოცრა რეზიმ.

— ახლა, ორივენი წამოხვალთ და ვითომც არაფერი, ისე დასხდებით სუფრასთან... წესიერად, გესმით ჩემი? ორივენი წესიერად მოიქცევით!.. არსად გამოსაჩენები რომ არა ხართ არც ერთი!.. — ხელი მოჰკიდა და ძმების განცალკევებას ცდილობდა ვერიკო.

— რა მოუცია, ბიჭოს... — ხელი გააშვებინა დედას ირაკლიმ. — რას მთხოვს, ვერ გავიგე!...

— არ გასცე ხმა! — შეეხვეწა რეზის ვერიკო. — არ უპასუხო, გთხოვ! ასე სძულდეთ ძმებს ერთმანეთი, ამისთანა არაფერი გამიგია... წამოდი შენ ჩემთან! — ძალით შეათრია რეზი ქმრის კაბინეტში ვერიკომ და კარი ჩაკეტა. — იცოდე, ხმას არ აუწიო!.. გამაგებინე, რა გინდა, რა დაგიშავა, რას ემართლები? რატომ გვიბრიალებ თვალებს, რატომ?!

— წუწკია, „უმოტი“, ქალო, არაკაცი, ნაბიჭვარი!..

— შენ? შენ ოქრო ხარ?.. თუ ბრილიანტი?.. — არ დაუთმო ვერიკომ. — არც ერთი არ გამჩენოდით, მუცელში გამწყალებოდით ორივენი, არ მერჩია?!.

— ჩემგან რა გინდა?! — გულწრფელად გაიკვირვა რეზიმ.

— შენგან რა მინდა?! შენ არ იყავი, ბიჭო, სახლი რომ გამაყიდვინე ორთაჭალაში, მამაშენის დანაზოგი „კაპიკებით“ ნაყიდი და იმ ვიღაც აფერისტ ქალს რომ ჩაუთვალე უკანასკნელ შაურამდე?! მე ვიყავი?! ხმა არ ამოგეღება, არავისთან ამ ოჯახში!..

— ჰო, გადაუსვი თავზე ხელი, გადაუსვი. აი, მე მითქვამს და, ჩვენ სამში... — ეს ციფრი მუდამ ამწარებდა ვერიკოს.

— ოთხში!.. — გაუსწორა ვერიკომ.

— კაი, რა, დედა, ნიკა აქ ჩამომსვლელი აღარ არის! დაემშვიდობე, მორჩა, წავიდა, გაფრინდა, ფაფუ!.. — ხელები მოიფშვნიტა რეზიმ.

— რას მეუბნები, რეზი? შენ გინდა, რომ გულიდანაც მოვიგლიჯო?! ის, ერთი თქვენ, სამივეს, ერთად აღებულს, იქიდანაც გადაგწონით, იმ სიშორიდან... ჰო, ჰო, რას მიყურებ, ასე არ არის? — ვერიკოს აქილევსის ქუსლი იყო, ამერიკაში გადახვეწილი შვილი.

— დარწმუნებული ხარ?.. არა ხარ ღირსი, რომ ჩვენც, სამივემ მოვხიოთ და სამუდამოდ გადავიხვეწოთ?! როგორ გგონია — ნიკა ჩამოგიბრძანდება აქ და ის მოგხედავთ? — სახეში მიაშტერდა დედას დაცინვით რეზი.

— თქვენს კმაყოფაზე ვყოფილვართ ერთი დღე მაინც? — მაგრად ეწყინა ვერიკოს. — შვილები მუდამ გაგლეჯგაფლეთაზე არიან. მარტო იმას ფიქრობენ, რა გაიტანონ სახლიდან. რა, ასე არ არის?! აი, თუნდაც, შენ, არ დაანიავე, რაც მოგეცით?!

— ეფოფრები, არა, ამ ლაჩარს?!. — ძველ თემას მიუბრუნდა რეზი. — ხელი მოვკიდე და — „დედაა!“ — ღრიალებს ქალივით... სწორედ ეგ მოგიხარშავს ყველაზე მწარე ბალბას. ჰო, ჰო, აი, ნახავ თუ არა!

— არა, არა, თქვენი გამოსწორება არ იქნება, — ხელი ჩაიქნია ვერიკომ. — წამოხვალ ახლა, დაეგდები ჩემ გვერდით და ფეხს არ მოიცვლი, იცოდე! მუნჯივით იჯდები, მუნჯივით!

თაზომ, რომელიც ელისოს, „აგენტ ნოლ-ნოლ სემს“ ეძახდა, რესტორან „ძველი სამიკიტნოდან“ დამკვრელები „დაითრია“ და თავისიანებს დაადგა. მან კინტოების სამოსელში გამოწყობილი მუსიკოსები ჰოლში გააჩერა და კარს მიაყურადა. ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თაზომ დამკვრელები ჰოლში დატოვა და თავად, ბინაში შევიდა. ყველამ მისკენ გაიხედა.

— გამოჩნდა, როგორც იქნა, მშვიდობის მაძიებელი! — არ დატოვა უკომენტაროდ მისი მოსვლა ანიმ, მისმა მეუღლემ.

— რა ხდება, ხალხო, აქ? ელისო ბებია ლამის მთელი საუკუნე ელოდა ამ დღეს და თქვენ კიდევ, ყურებჩამოყრილები სხედხართ?! — დასჭექა თაზომ. — აბა, მოემზადეთ! მე ისეთი საჩუქარი მოგართვით!.. „სახეზე გატყობთ კმაყოფილობაას“, ვიწყებთ ძალიან მაგარ, დაშხოშიან „გან-ყო-ფილო-ბაას“! სეზამ, გაიღე!.. არ გაიღო? დამიგდეთ ყური! ყველანი ერთად სამამდე თუ დავითვლით, მაშინ გაიღება. აბა, დავიწყეთ! ერთი... — და ყველანი, რაკიღა შეჩვეული იყვნენ თაზოს მაიმუნობებს, მართლაც აჰყვნენ: — ოო-რი!.. სამი!!

კარი გაიღო და მისაღებში, დუდუკისა და დოლის თანხლებით, კინტოები შემოლაგდნენ...

გაჩაღდა ქართულ-ხალხური „დავლური“ და „შალახო-მალახო“; იყო ერთი გადაწვევ-გადმოწვევა, „მარიაჟობა“ და გაპრანჭვები, — მოკლედ, ქართული სუფრისთვის დამახასიათებელი რამერუმეები...

და სწორედ იმ დროს, მაგარი ტაშფანდური რომ მიდიოდა, კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონა გაიქცა და კარი გამოაღო. ზღურბლთან მისი მამა, ნიკა იდგა, რომელსაც თეონა მხოლოდ ფოტოებზე ენახა... იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ...

სიჩუმე ისევ კაცმა დაარღვია:

— შენ რა გქვია? — ჰკითხა მან გოგონას.

— თეონა, — უპასუხა გოგონამ და ტუჩი მოიკვნიტა.

— მე მამა ვარ შენი, ნიკა... — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა კაცმა.

თეონა ერთ წამს გაჩუმდა, მერე კი მთელი ხმით იყვირა:

— მა-მაა! მამა დაბრუნდა-ა!!!

ყველანი გამოეფინნენ. ქალების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თავები დაიხოცეს ტირილით...

ნიკას ძალიან ადრე გაეღვიძა. გაიზმორა და ისევ თვალების დახუჭვა დააპირა, მაგრამ უეცრად გადაბრუნდა და გაკვირვებულმა ოთახს მოავლო თვალი... წამოჯდა. ცხადია, ეცნო ყველაფერი, მაგრამ კარგა ხანს მაინც ვერ მოვიდა აზრზე, თუ სად იყო... უცბად მიხვდა, თვალები დახუჭა და უკან გადავარდა. ისევ გაახილა და ჭერს მიაშტერდა.

გარედან ახლობლების ხმა შემოდიოდა. ეს, თაზო და ანი კამათობდნენ.

— მე შენ გაკონტროლებ?.. არ გაკონტროლებ, არა?! — ყვიროდა თაზო. — სადაც ხოში გაქვს, იქ დადიხარ, არა?!

— ახლა — ჰოო, ახლა ყველაფერი არ მათქმევინო, იცოდე! — იმუქრებოდა ანი.

— რა, ნათესაობას დამახვევ თავზე? — ირონიულად ეკითხებოდა თაზო. — კარგი, რა!

— აი, რა იყო თუნდაც, გუშინდელი შენი „გამოსვლა“! — წაუსისინა ანიმ. — ელისოს იმ კინტოების დანახვაზე, თვალები იცი, სად აუვიდა?

— რა-ა? ეგ არ იყო, რუსის „სალდათივით“ რომ ბუქნავდა?! მე ვიყავი?! — გაიკვირვა თაზომ.

— მაშ, რა ექნა? ქალს კინაღამ მკლავი მოაგლიჯე, საცეკვაოდ რომ გაგყავდა და მაგანაც გაშალა ხელები!.. სირცხვილით სად შევმძვრალიყავი, არ ვიცოდი... — დააყოლა ანიმ.

— იცი, რას გეტყვი, ანი?.. მე კაცი ვარ და ისეთი ვარ, როგორიც ვარ, სხვანაირი ვერ გავხდები! ვის გინდა, რომ დავემსგავსო, ვერ გავიგე! აი, მითხარი, ვინ გინდა, რომ ვიყო?

— ვინ და სერიოზული, ნორმალური ადამიანი მინდა, მყავდეს გვერდით. არ შემიძლია ამ დამთხვეულობების ატანა, როგორც შენ იქცევი, არა! — გამწარებული გაიძახოდა ანი.

ეს ხმები გარედან შემოდიოდა. ნიკა თან ამ ხმებს უსმენდა, თან ოთახში ბოლთას სცემდა... მას თავის ოთახში ეძინა, სადაც ყველაფერი ხელუხლებლად, ზუსტად ისე იყო დატოვებული, როგორც მის წასვლამდე...

ნიკა წიგნების კარადასთან მივიდა. მისი სქელტანიანი ალბომები არქიტექტურასა და მხატვრობაზე ისევ ისე ეწყო... ბოტიჩელი გადმოიღო და გადაშალა. წიგნმა შეიყოლია. ნახატებმა თითქოს ბავშვობაში დააბრუნა, სკოლის წლებში... გარედან კი ისევ ანისა და თაზოს ჩხუბის ხმა შემოიჭრა.

— მაშინ გაჰყოლოდი ვინმე „გალსტუკიან პეპელას“, ვინმე ჩანჩურა პროფესორს, ორ ბატს რომ ვერ მიაბარებს კაცი! — ყვიროდა თაზო. — მე რას მომყვებოდი, რა დაგიშავე?!

— შე-ენ? შენ, ორს კი არა, ერთ ბატსაც ვერ მოგაბარებს კაცი!!! — პასუხობდა ანი.

— მე-ე? მე მარტოს, ერთს, ცხრა სავალუტო პუნქტი მაბარია და იმას

ვუვლი!.. თან, ყველანი, ბატები კი არა, ვინც ჩემთან მუშაობენ, მგლები არიან, ნამდვილი მგლები!.. — არ ცხრებოდა თაზო. — თუ ერთი თვალი მოარიდე, ისე აგაფცქვნიან ათასებს და ისე გადაგაგდებენ, როგორც ჩურჩხელის ძაფს... ბატი... ბატი მამაშენია...

— რა? აი, შენ, აი!..

— ვაიმე, დედა! — აბღავლდა თაზო. — ნელა, გოგო, უხ, შენი!..

გარედან უკვე ფეხების ტყაპატყუპი, სირბილის და ქოშინის ხმა შემოვიდა... მალე ნიკას ოთახის კარი შემოგლიჯა ანიმ და შემოვარდა. უკან თაზო მოსდევდა...

— მიშველეთ! — მთელი ხმით კიოდა ანი.

ნიკა, წიგნით ხელში, კარისკენ მიბრუნდა. ანი მის ზურგს ამოეფარა.

— მიშველე, ნიკა! არ შემოუშვა, გეხვეწები!

თაზო მუშტშეკრული შემოვარდა, მაგრამ ნიკას გაკვირვებული თვალებისა და შეჭმუხნილი შუბლის დანახვაზე შეცბა და გაშეშდა.

— გიჟია, დაცენტრილი... — დაიწყო თავის მართლება თაზომ. — ჩემი გადაკეთება უნდა! ხომ ვერ გადავკეთდები? რაცა ვარ, ესა ვარ, არა?! ნახე, რა მაგრად მიჩქმიტა!.. — წელს ზემოთ გაშიშვლებულმა თაზომ ნიკას მკლავი დაანახვა. — ნახე, მთელი ხორცი ამომაგლიჯა. ისეთი მწარე ჩქმეტა იცის... სულ დალილავებული ვარ ამის ხელში. ხან თვალზე მაქვს „ფანარი“, ხან, რა ვიცი, კიდევ სად არა...

ძმის ზურგს ამოფარებულმა ანიმ თავი გამოყო და თაზოს ენა გამოუყო. თაზომ ხელი ჩაიქნია და გავიდა.

— შენ კიდევ, ჩაიცვი, რას დამდგარხარ აქ შიშველი?!. — აკოცა ძმას ანიმ.

— ვინ იწვა ამ ოთახში? — ჰკითხა დას ნიკამ.

— აქ?.. რეზი, სანამ ჩაესიძებოდა... ვერიკო სულ იმას ამბობდა — იქნებ, ნიკას წყალი გადაესხასო... — მაგრამ, შენც არ მომიკვდე: არა შეჯდა მწყერი ხესაო, ხომ იცი... მერე კი, თეონა იძინებდა ხოლმე, როცა ჩვენთან რჩებოდა... ისე, აქ ხელი არაფრისთვის გვიხლია. ყველაფერი ისევ ისე აწყვია და ამ კომოდშიც შენი ნივთები ისევე ალაგია, როგორც შენს წასვლამდე იყო...

— ჰო, ვხედავ, — თქვა ნიკამ.

— შენი თხილამურები, ჩოგნები... აი, შენი ფოტოები. ყველაფერი ისევ ისეა, ხელუხლებელი... შენ წარმოიდგინე, რეზის შენი კონსპექტებით ინგლისურის სწავლაც კი უნდოდა. სულ აქედან გაქცევაზე უჭირავს თვალი...

— ვიცი, ერთი სამჯერ მაინც გამომაგზავნინა ვიზა... ავაწრიალებდი იქაურობას — სად არის შენი რეზი?.. სულ „ტუფტაზე“... არადა, იქ ასე ადვილი არ არის ვინმეს შეწუხება... — თქვა ნიკამ.

— ვიცით, ვიცით, გენაცვალე. ნუ გეშინია, ამ წლებში ისე გამოიწვრთნა ქართველობა... — თითები გაატკაცუნა ანიმ.

— კარგი, წადი, ქმარს მიხედე... — უთხრა ნიკამ.

— ქმარს?.. რა მიხედვა უნდა?! ნუ გეშინია, არაფერს დაიკლებს... ჩაიცვი და გამოდი, რა. მე მალე უნდა გავიდე, — უთხრა დამ, კიდევ ერთხელ აკოცა და ოთახიდან გავიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ღრძილები უსისხლოდ

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

კბილის ექიმთან, ყველაზე ხშირად, კბილის ტკივილის გამო მივდივართ. გაცილებით უფრო იშვიათად, სტომატოლოგს პროფილაქტიკის მიზნითაც (კბილების დათვალიერებისა და ამა თუ იმ დეფექტების დროულად გამოვლენის მიზნით) ვესტუმრებით ხოლმე. ისეთ „წვრილმანებს“ კი, როგორიცაა ღრძილებიდან სისხლის დენა, პრაქტიკულად, ყურადღების ღირსად არავინ მიიჩნევს. არადა, ეს საკმაოდ სერიოზული დაავადების — პაროდონტოზის ნიშანი გახლავთ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ პაროდონტოზი ძირითადად, იმ ადამიანებს უვითარდებათ, რომლებსაც დარღვეული აქვთ კვების რეჟიმი და ორგანიზმში ვიტამინები აკლიათ. თუმცა, ბოლო დროს გაირკვა, რომ ავიტამინოზის გარდა, ამ პათოლოგიის განვითარებას, კბილის ქვების წარმოქმნა და კბილის ამოღების შემდგომი მოვლენები (დაზიანებული კბილის ამოღების შემდეგ დარჩენილი კბილები, ღეჭვისას იძულებულნი ხდებიან, უფრო მეტი დატვირთვით იმუშაონ) უწყობს ხელს.

პაროდონტოზი პაროდონტის (კბილის ფესვის ირგვლივი ქსოვილების) ანთებითი დაავადებაა, რომელიც მის დაშლას იწვევს. ის ქსოვილების ინფიცირების, დაწყლულებისა და ანთების ფონზე ვითარდება. ამ პათოლოგიურ პროცესებს კი, ხშირად კბილების დაკარგვამდე მივყავართ. ბევრი ქრონიკული დაავადება (დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები და სხვა), ზოგიერთი წამალი და სიგარეტი, პაროდონტოზის განვითარების რისკს ზრდის.

პარდონტოზი შეიძლება ვითარდებოდეს ნელა, წლების განმავლობაში, არ იწვევდეს ტკივილსა და სხვა შესამჩნევ სიმპტომებს, მაგრამ ზოგჯერ, იგი საკმაოდ სწრაფად ვითარდება — ადამიანი გრძნობს ღრძილების წვას, ქავილსა და პულსაციას. შემდგომ, იწყება კბილის ყელის გაშიშვლება, ღრძილები შუპდება.

შორს წასულ შემთხვევებში კი, ღრძილის ჩირქოვანი ანთებაც ვითარდება და მისი კიდეებიდან ჩირქდენაც შეინიშნება. კბილები სულ უფრო მეტად ირყევა.

პაროდონტოზის სიმპტომები:

- სისხლდენა ღრძილებიდან — კბილების გაწმენდის დროს;
- მტკივნეული, შეწითლებული და შეშუპებული ღრძილები;
- ღრძილის მოცილება კბილიდან;
- ჩირქის დენა ღრძილებიდან;
- მორყეული კბილები;
- კბილების განლაგების შეცვლა, რაც ღეჭვისას შეიგრძნობა და თანკბილვის ცვლილებით გამოიხატება;
- ცუდი თანკბილვა და სუნი პირიდან.

დაავადების საწყის სტადიაზე, კარგ ეფექტს იძლევა მკურნალობის ისეთი ტრადიციული მეთოდი, როგორიცაა ფიზიოთერაპია. მწვავე მიმდინარეობისას კი, აუცილებელია ღრძილებში ანტიბაქტერიული პრეპარატების შეყვანა.

კლასიკური მედიცინის მეთოდებთან ერთად, შეგიძლიათ გამოიყენოთ ხალხური მედიცინის საშუალებებიც:

- ბამბის ან ბინტის ტამპონი სოჭის ზეთში დაასველეთ და 10-20 წუთის განმავლობაში, ღრძილზე დაიფინეთ. პაროდონტოზის დროს, დაგჭირდებათ 15-20 აპლიკაცია. კურსი უნდა გაიმეოროთ 6 თვის შემდეგაც. პაროდონტოზის მძიმე ფორმის დროს, დასაშვებია კიდევ ერთი კურსის ჩატარება.
- პირში ივლეთ პროპოლისის (10-15%-იანი) სპირტიანი ექსტრაქტი.
- 1 ჩ/კ ხახვის თესლს დაასხით 0,5 ლ ცხელი წყალი, შეფუთეთ და დადგით მთელი ღამის განმავლობაში. გადაწურეთ. გამოივლეთ პირში — სამჯერ დღეში.

კბილების გასამაგრებლად, კარგია ახალგამოწურული კარტოფილის წვენი. ამ წვენის დალევის შემდეგ, პირში აუცილებლად გამოივლეთ წყალი, რადგან წვენის ზემოქმედება კბილის მინანქარს აზიანებს.

ღრძილების გასამაგრებლად, კარგია მათ დაზელა (ყოველდღიურად) ნივრის კბილით. მკურნალობის კურსი ორკვირიანია. საჭიროების შემთხვევაში, 5 დღის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ.

პაროდონტოზის დროს, ღრძილებში უნდა შეიზილოთ თაფლისა და მარილის ნარევი (20 გრამ თაფლზე, 5-10 გრამი მარილი). ამ ორი კომპონენტის შერევის შემდეგ, საგულდაგულო მორევაა საჭირო (მარილის სრულ გახსნამდე). შემდეგ კი, ნარევის პატარა ბურთულა მოათავსეთ ქსოვილის ნაჭერში და მისი მეშვეობით, ღრძილებში შეიზილეთ.

- 2 წილი მუხის ქერქი და 1 წილი ცაცხვის ყვავილი ერთმანეთს შეურიეთ. 1 ჩ/კ მასას, 1 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით და დაბალ ცეცხლზე, 3 წუთის განმავლობაში ადუღეთ. შემდეგ, გადმოდგით, გააგრილეთ, გადაწურეთ. ღრძილებიდან სისხლდენის შემთხვევაში, პირში თბილ-თბილი ნაყენი ივლეთ.
- 1 ს/კ დაქუცმაცებულ ჭინჭრის ფოთლებს, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, მერე გადაწურეთ. მიღებული ნაყენი (0,5 ჭიქა სამჯერ დღეში, ჭამის შემდეგ), ღრძილებიდან სისხლდენის შემთხვევაში სვით.
- პაროდონტოზის სამკურნალო საკმაოდ ეფექტური საშუალებაა მზესუმზირის ზეთის პროცედურები: 15 წუთის განმავლობაში, ზეთი პირში უნდა ჩაიგუბოთ. ეს პროცედურა, დღეში ორჯერ — დილა-საღამოს, ექვსი თვის განმავლობაში ტარდება. ■

ვიმკურნალოთ დინდგელით

დინდგელა (პროპოლისი), უძველესი დროიდანაა ცნობილი, როგორც ეფექტური სამკურნალო საშუალება. მისი მეშვეობით მკურნალობენ კანის სხვადასხვა დაავადებას, ხანგრძლივად შეუხორცებელ ჭრილობებს, წყლულებს, ჰემოროის (ბუასილს), გაცივებას, ნეკრიტებს, რადიკულიტებს. პროპოლისი ანადგურებს ტუბერკულოზის, დიფტერიის, სიფილისის გამომწვევებს, პათოგენურ სოკოებს.

პროპოლისი შეგიძლიათ გამოიყენოთ კოჟრის სამკურნალოდ: მუხუდოს მარცვლისოდენა ნატურალური პროპოლისის ფირფიტა დაიდეთ კოჟრზე, შეიხვიეთ. 3 დღის შემდეგ, ნახვევი მოიხსენით და მკვდარი კოჟრის ქსოვილი მოიჭერით.

გრიპისა და ანგინის დროს, პრო-

პოლისის მცირე ზომის (დაახლოებით ლობიოს მარცვლისხელა) ნაჭერი, პირში ხანგრძლივად უნდა გაიჩეროთ და დროდადრო ერთი ადგილიდან მეორეზე ენით გადაიტანოთ. ღამით კი, შეგიძლიათ იგი ლოყის ქვეშ, დილამდე დაიდოთ. ეს მეთოდი, გაცივების სამკურნალოდაც გამოიყენება და პროფილაქტიკისთვისაც.

კბილის ტკივილისას, პროპოლისის ფირფიტა კბილის ფესვის არეში დაიდეთ.

სურდოს, ბრონქიტის, ფარინგიტის, ფილტვების ტუბერკულოზის დროს, სასარგებლოა პროპოლისის ინჰალაციები, რომელთა გასაკეთებლად საჭიროა — 60 გრამი პროპოლისი და 40 გრამი ცვილი. მათ ათავსებენ 200-300 გრამი მოცულობის მომინანქრებულ ჯამში, რომელსაც წყლით სავსე ქვაბზე დგამენ. ქვაბი უნდა დაიდგას ცეცხლზე და წყალი მივიყვანოთ ადუღებამდე. როგორც კი ჯამიდან ორთქლი დაიწყებს ამოსვლას, ცეცხლიდან უნდა გადმოვდგათ, თავზე პირსახოცი გადავიფაროთ, დავიხაროთ ჯამის ზედაპირისაკენ და 10-15 წუთის განმავლობაში, პროპოლისის ორთქლი შევისუნთქოთ. ეს პროცედურა უნდა ჩატარდეს დღეში ორჯერ — დილას და საღამოს. მკურნალობის კურსი 10-15 დღეა. ■

თუკი თქვენ გაწუხებთ...

...**ცისტიტი**, 100 გრამ ოხრახუშს, დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 1 საათის განმავლობაში და ეს ნაყენი, ყოველდღიურად (0,5 ჭიქა დღეში) მიიღეთ. 1,5-2 კვირაში, მდგომარეობა შეგიმსუბუქდებათ. ნაყენის შენახვა შეიძლება მაცივარში, არა უმეტეს 2 დღისა. უმჯობესია, ყოველი მიღებისას, ახალი ნაყენი (10 გ ოხრახუში — 0,5 ჭიქა წყალი) მომზადდეს.

...**გასტრიტი**, მომატებული მჟავიანობით, სვით ახალგამოწურული კარტოფილის წვენი — 0,5 ჭიქა, დღეში სამჯერ, ჭამის წინ. წვენის მიღების შემდეგ, სასურველია, 30 წუთი წამოწვეთ. კარტოფილის წვენი, კუჭის წვენის მჟავიანობას არეგულირებს და იგი ნორმამდე დაჰყავს.

...**ჰიპოტონია**, აიღეთ საშუალო ზომის 6 ლიმონი, კარგად გარეცხეთ, გამოაცალეთ კურკები და კანიანად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. მიღებული მასა მოათავსეთ სამლიტრიან ქილაში, დაამატეთ 1 ლიტრი ცივი, ანადუღარი წყალი (უმჯობესია გამოხდილი), ქილას სახურავი დაახურეთ და 36 საათის განმავლობაში, მაცივარში შედგით. შემდეგ, დაამატეთ 500 გრამი თხელი თაფლი, კარგად აურიეთ და კიდევ 36 საათით შედგით მაცივარში. მიღებული წამალი უნდა სვათ შემდეგნაირად — 50 გრამი, სამჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

...**ფეხის თითების სოკოვანი დაავადება**, ყოველდღიურად, ძილის წინ, ფეხები კარგად დაიბანეთ და შემდეგ, ღვინის მაგარ ძმარში ჩაყავით. ფეხზე ამოიცვით გარეცხილი და ღვინის ძმრით გაჟღენთილი წინდები.

...**ხელის ფრჩხილების** სოკო, მოადუღეთ მაგარი ყავა და მასში რამდენჯერმე ჩაყავით ხელები ისე, რომ ნალექი არ აამღვრიოთ. ასე მოიქეცით, ვიდრე ყავა არ გაცივდება. პროცედურა გაიმეორეთ ყოველდღიურად, სოკოს გაქრობამდე.

...**დერმატიტი** (კანის ანთება), დაზიანებული ადგილები დაიზილეთ ცივი რძით ან დაიდეთ მისი კომპრესი.

...**დიზენტერია**, 1 ს/კ დაქუცმაცებულ მუხის ქერქს, დაასხით 2 ჭიქა ცივი, ანადუღარი წყალი, 12 საათის განმავლობაში დადგით ბნელ ადგილას, შემდეგ კი, გადაწურეთ და მიღებული ნაყენი, ერთი დღის განმავლობაში მიიღეთ. ■

ვიტილიგო

ვიტილიგო ქრონიკული დაავადებაა, რომლის განვითარებას ხელს უწყობს ფსიქიკური ტრავმები, თირკმელზედა ჯირკვლების, ფარისებრი და სასქესო ჯირკვლების ფუნქციების დარღვევა. დაავადება იწყება კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული თეთრი ლაქების წარმოქმნით, რომლებიც შემდგომში ერთიანდება და თანდათანობით ზომაში მატულობს. ეს დაავადება მკურნალობას არ ექვემდებარება. უკვე წარმოქმნილი ლაქების მოცილება ვერ ხერხდება, მაგრამ შესაძლებელია, შევაჩეროთ მათი ზრდა, აგრეთვე, თავიდან ავიცილოთ ახალი ლაქების წარმოქმნა. ამისათვის შეგიძლიათ, ხალხური საშუალებები გამოიყენოთ:

● 2 ს/კ კრაზანას (გამხმარ ბალახს) დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 30 წთ-ის განმავლობაში, გადმოდგით ცეცხლიდან, დააყოვნეთ 10 წთ, გაწურეთ და მიიღეთ თითო ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ. მომზადებული ნაყენი შეგიძლიათ შეიზილოთ თეთრი ლაქების არეში და შემდეგ, დაისხივოთ ისინი მზის სხივებით. პროცედურის ხანგრძლივობა თანდათანობით უნდა გაზარდოთ. დასხივების პირველი სეანსი 5 წთ უნდა გაგრძელდეს, ბოლო კი — 20 წთ. მკურნალობის კურსი 20 პროცედურას შეადგენს. ლაქებზე შეგიძლიათ წაისვათ კრაზანას არა მხოლოდ ნაყენი, არამედ წვენიც, რომელიც აყვავებული მცენარისგან უნდა გამოწუროთ.

● ჭამეთ დღის განმავლობაში 0,5 კგ-მდე მარწყვი და შეიზილეთ მარწყვის წვენი დეპიგმენტირებულ უბნებზე;

● წაისვით ლაქებზე ანისულის ზეთი და დაისხივეთ კვარცის ნათურით ან მზის სხივებით. მცირე ხნის განმავლობაში, კარგ ეფექტს იძლევა ფიჭვის წიწვებისა და კატაბალახას აბაზანები. მკურნალობის კურსი 15 დღეა;

● მოამზადეთ გვირილის ყვავილების, სალბის ფოთლების, კრაზანა ბალახის, კალენდულას ყვავილების, თავშავა ბალახის, ჭინჭრის ფოთლების და ორკბილა ბალახის ნარევი. თითოეული კომპონენტი თანაბარი რაოდენობით აიღეთ და დააქუცმაცეთ. ნარევის 1 ს/კ-ს დაასხით მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური, დადგით 1 სთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, 2 თვის განმავლობაში.

● თეთრი ლაქების გაუფერულების მიზნით, რეკომენდებულია B1 და B6 ვიტამინების მიღება. ■

შვილიშვილ მაგდასთან ერთად

„ასეთი დავიბადე და რა ვქნა? თავს მაინც არავის შევაცოდებ... სილამაზე — არა, მაგრამ ღირსების გრძნობა ნამდვილად მაქვს“, — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ნანა ოჩიგავამ. მიუხედავად იმისა, რომ ის სიმაღლეში მხოლოდ 120 სმ-ია, საოცარი ენერგიულობით გამოირჩევა. „ჩემს ბილიკს არ ავაბალახებ, არ ავახავსებ, არავის ხელებში შემყურე არ ვიქნები“, — ამბობს და ყოველ დილით, მარჯანიშვილის ქუჩისკენ მიიჩქარის: წიგნებით ვაჭრობს და ამ საქმიანობით ნაშოვნი მცირე თანხით ოჯახს ეხმარება...

სიყვარულით ნაგრძოვები „ბიჩოკებში“ და ქორწინება სიყვარულის გარეშე

„ქუჩაში თითქმის ყველა თითს ჩვენკენ იშვერდა“...

თამუნა კვინიკაძე

— მამაჩემი — გიორგი ჯავრიშვილი წარმოშობით გურჯაანის რაიონიდან იყო. მას ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. დედა ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე ყოფილა, როდესაც მამას მოუტაცებია და 1933 წელს ოჯახში შეუქმნიათ. ომის დაწყებისთანავე, მამა ომში წასულა, სახლში კი, მეუღლე და 3 მცირეწლოვანი ბიჭი დაუტოვებია... ომიდან კონტუზიიანი დაბრუნებულა. მშობლებს მეოთხე შვილის გაჩენის სურვილი არ ჰქონიათ, მაგრამ დედა ფეხმძიმედ დარჩენილა. ფეხმძიმობის შესაწყვეტად, მას ათასგვარი ხერხისთვის მიუმართავს — ბალახების ნახარშები დაულევია, მაგრამ — ამაოდ. ეტყობა, ესეც ღვთის ნება იყო... დაბადებიდან 7 წლის განმავლობაში, ჩვეულებრივად ვიზრდებოდი, მაგრამ 7 წლის შემდეგ, ჩემმა კიდურებმა განვითარება შეწყვიტა. ჩემი განკურნება სხვა ორგანოების დაზიანების ხარჯზე შეიძლებოდა მომხდარიყო, ამიტომ, ჩემმა პირადმა ექიმმა — ვაჟა ლეკიშვილმა მამას ჩემს საზღვარგარეთ წაყვანაზე ხელი აღებინა. ბავშვობიდან, ინვალიდობის პენსია მეკუთვნოდა, მაგრამ მამამ ეს არ ისურვა — არ უნდოდა, რომ კიდევ უფრო მეტად დავთრგუნვილიყავი... სკოლა გურჯაანში დავამთავრე. მერე, საბუღალტრო ტექნიკუმში ვსწავლობდი, შემდეგ, სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. წლების მანძილზე, სხვადასხვა დაწესებულებაში ვმუშაობდი, სხვისი ხელის შემყურე არასოდეს ვყოფილვარ.

— ოჯახი როგორ შექმენით? ვინ იყო თქვენი მეუღლე?

— ჩემს მეუღლეს ძალიან ტრაგიკული ოჯახი ჰქონდა. მამამისი — ილიკო ოჩიგავა ბინათმმართველი გახლდათ. დიდი სამამულო ომის დროს (1941-1945 წწ.), ქვეყანაში ჰუმანიტარული დახმარებები შემოდიოდა, ილიკოს სახლში მანანის ბურღული მიუტანია. ჩემს მეუღლეს ორი უფროსი ძმა ჰყავდა. იმ მანანის ბურღულისგან ორივენი ერთ ღამეს დახოცილან. ერთი — 2 წლის იყო, მეორე — 4-ის. დედაც გარდაცვლილა... ჩემი მეუღლე მაშინ, რამდენიმე თვის იყო... მოგვიანებით, ილიკოს რუსი ქალი შეურთავს ცოლად. მასთან კიდევ ერთი გოგონა შესძენია.

— ოჯახის შექმნის დროს, რამდენი წლის იყავით?

— მე — 23-ის, ჯემალი კი — 30 წლის. მის ოჯახთან ახლოს ჩემი ნათესავი ცხოვრობდა. მასთან სტუმრად ხშირად მივდიოდი, ჯემალის ოჯახის წევრებს კი, რძლად მოვეწონე. ჩვენი დაოჯახება ისე მოხდა, რომ მე არაფერი მკითხეს — რადგან ხეიბარი ვიყავი, აუცილებლად ხეიბარს უნდა გავყოლოდი ცოლად.

ნანა ოჩიგავა, შვილთან და მეუღლესთან ერთად

— მას რა ნაკლი ჰქონდა?

— ბავშვობაში, საბარგო მანქანის ძარაზე ასვლა უცდია. მანქანა დაძრულა და „ბორტი“ სახეში მოხვედრია. მხედველობა არ დასზიანებია, მაგრამ საფეთქელთან ძვალი გაბზარვია. სათანადო ყურადღება დროულად არავის მიუქცევია და სახეს დეფორმაცია განუცდია... იძულებული ვიყავი, მას გავყოლოდი. ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან მიჭირდა. ოცნებების სამყაროში დავფრინავდი, რეალობა კი, მწარე იყო...

7 წლის ნანა ოჩიგავა

— შეყვარებული იყავით?

— ერთი ბიჭი მომწონდა. მან ამის შესახებ არაფერი იცოდა (ერთად ვმუშაობდით). სიყვარულით, მისი მოწეული სიგარეტის „ბიჩოკებსაც“ კი ვაგროვებდი... ჯემალზე რომ დავინიშნე, სამსახურიდან წამოვედი — მოზღვავებულ გრძნობებს ველარ ვუმკლავდებოდი. ქუჩაში ერთად რომ მივდიოდით, თითს ყველა ჩვენკენ იშვერდა. ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვექცეოდით, მაგრამ შევძელი და ეს ყველაფერი დავძლიე. საერთოდ, თუ უბედურად ჩათვლი თავს, ბედნიერი ვერასოდეს იქნები... ჩვენ ცალკე ბინაში ვცხოვრობდით. ჯემალი ძალიან მშრომელი ადამიანი იყო. ერთმანეთი შეგვიყვარდა. ეს სიყვარული, ცოლქმრულ სიყვარულზე მეტი იყო — ერთმანეთზე ვზრუნავდით, ვცდილობდით, ერთმანეთის ნაკლი დაგვეფარა...

— შვილის გაჩენა არ გაგიჭირდათ?

— მაიკო საკეისრო კვეთის შედეგად გაჩნდა. ის ბავშვობაში ეჭვობდა, რომ ნაშვილები იყო, მაგრამ მე მისი დაბადების, ჩემი ოპერაციის — საკეისრო კვეთის დოკუმენტები შენახული მქონდა და გადავარწმუნე.

— ოდესმე, თავი დამცირებულად თუ გიგრძნიათ?

— ბავშვობაში, მეგობრებთან ერთად ვთამაშობდი და ერთ-ერთმა გოგონამ მწარედ დამცინა. მისგან ხელნაკრავი, სახლში წამოვედი, საწოლზე, პლედის ქვეშ შევძვერი და ტირილ-ტირილში ჩამეძინა. საღამოს, ოჯახის წევრებს ჩემი ძებნა დაუწყიათ. დედა იმ ოთახშიც შემოსულა, სადაც ვიწექი, მაგრამ ვერ შევუმჩნევივარ. რატომღაც, ყველას ჰგონებია, რომ თავს მოვიკლავდი. ყველგან მეძებდნენ, სადაც კი შეიძლებოდა. ხმაურმა გამაღვიძა, აივანზე გავედი და დავინახე, რომ ეზო ხალხით იყო სავსე. რომ დამინახეს, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მამას ჩემს გამოჩენას ულოცავდნენ... მე კი, იქ შეკრებილ ხალხს გაკვირვებული ვუყურებდი. ვერ გავიგე — რა ხდებოდა, რატომ

იყვნენ ჩვენს ეზოში?.. ამ შემთხვევამ საკუთარ თავში რწმენა გამიძლიერა — რასაც ღმერთი მოგისჯის, იმას აგატანინებს კიდეც. იმ დღის შემდეგ, სარკეში რომ ჩავიხედე, ჩემს თავს უფრო დავაკვირდი და მივხვდი, რომ იმაზე ნევრიულობა, რასაც აღარაფერი ეშველებოდა, აღარ ღირდა... ბავშვობიდანვე, ძალზე გულჩათხრობილი ვიყავი, „საწყალი გული“ მქონდა. მშობლები ყველანაირად მანებივრებდნენ, მართობდნენ. დედა ჩემ წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა... ცუდ პიროვნებად არ ჩამოყალიბებულვარ, ბოროტება არასოდეს ჩამიდენია. ყველგან სიკეთეს ვთესდი. რატომ უნდა მომეკლა თავი?! ჩემი მშობლები რატომ უნდა გამემწარებინა?! ვის რას ვუშავებ, ასეთი რომ ვარ?!. მართალია, მდიდარი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ცხოვრება ლამაზად გავატარე. ძალიან განვიცდი, რომ მეუღლე ცოცხალი აღარ მყავს. დღეს მისი დაბადების დღეა. სიკვდილის წინ მითხრა: შვილები არ ჩაიცვა, შენგან იმდენი პატივისცემა მახსოვს, იქიდან ყოველთვის დაგლოცავო.

— თქვენს დაავადებაში მემკვიდრეობითი ფაქტორი გამორიცხულია?

— გურჯაანში ერთმა მეზობელმა მითხრა, რომ ჩემს გვარში ყოფილა ჩენნაირი, პატარა კაცი, რომელიც გიორგი სააკაძის მრჩეველი გახლდათ, იგი მტრებს გაუტაციათ და მის შესახებ აღარაფერია ცნობილიო. ჩემს შემთხვევაში, მემკვიდრეობით ფაქტორს გამოვრიცხავ. იმის მიზეზი, თუ რატომ დავრჩი ასეთი, უკვე გითხარი. ზოგჯერ ვფიქრობ — იქნებ ჯობდა, საერთოდ არ დავბადებულიყავი? — მაგრამ რადგან დავიბადე, უფლება არა მაქვს, უმოქმედოდ ვიყო. ჩემს ბილიკს არ ავაბალახებ, არ ავახავსებ. ახლა, ბუკინისტი ვარ, ყოველდღიურად, მცირედით, მაგრამ მაინც ვეხმარები ოჯახს. ქალაქი მომბეზრდა, მინდა, რომ ცხოვრების ბოლო წლები სოფელში გავატარო. რა სჯობს ბუნების წიაღში ყოფნას?!. ბავშვობიდანვე მერჩევნა მარტოობა. ვკითხულობ წიგნებს, ვწერ ლექსებს...

— ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველას ვერავის შევადარებ. ძალიან მიყვარს ილია ჭავჭავაძე. მასავით, მეც ყოველდღე ჩემს თავს ვეკითხები: „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“ ეს ჩემი ცხოვრების კრედოა. ■

შვილთან და შვილიშვილთან ერთად

ტაძრის უფლის ღვთისმშობლის ტაძრის ეპისკოპოსი – „შენ ხარ ვენახი“ ხატი ის ვინ ადგა ის ადგა ირაკლი ციცაძემ

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მრავალრიცხოვან სასწაულმოქმედ ხატებს შორის, ერთ-ერთია ღვთისმშობლის — „შენ ხარ ვენახის“ ქართული ხატი, რომელიც 1995 წელს, მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის კურთხევით დაწერა ქართველმა ხატმწერმა, ირაკლი ციცაძემ. ხატი, წმინდა პეტრეს და პავლეს სახელობის ტაძრის საკურთხეველშია დაბრძანებული.

მორენა მერკვილაძე

როგორ შეიქმნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის — „შენ ხარ ვენახის“ ხატი?

— როგორც დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი წიგნში — „შენ ხარ ვენახი“ მოგვითხრობს, მას ხატის შექმნის იდეა კაპადოკიაში გაუჩნდა, როდესაც მომლოცველთა ჯგუფთან ერთად, იქ არსებული სიწმინდეების მოსალოცად იმყოფებოდა. ეს იყო 1994 წელს.

კაპადოკიაში უამრავი ეკლესია-მონასტერია, რომელთაგან ამჟამად, ბევრში წირვა-ლოცვა არ აღესრულება. ამის გამო, ბევრი ხატი და ფრესკა დაზიანებულია. ერთ-ერთ ასეთ არამოქმედ სამონასტრო კომპლექსში (რომელიც გიორმის ხეობაშია) შემავალ ტოკალის ეკლესიაში, მამა არჩილმა, ქართულ ენაზე აღავლინა ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს პარაკლისი. ეკლესიაში, კანკელის მცირე ნიშში, გამოსახული იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ყრმით ხელში. ხატზე გამოსახულ ღვთისმშობელს, რომელიც საკმაოდ იყო დაზიანებული, საოცრად მეტყველი გამოხედვა ჰქონია, რასაც მამა არჩილის ყურადღება მიუქცევია. მომლოცველთა შორის, წმინდა პეტრეს და პავლეს ტაძრის ხატმწერი, ირაკლი ციცნაძეც იმყოფებოდა, რომელიც მამა არჩილმა თავისთან იხმო და კურთხევა მისცა, რომ მას მეხსიერებაში აღებეჭდა დაზიანებულ ფრესკაზე გამოსახული ღვთისმშობლის მზერა, რათა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ასეთივე ხატი წმინდა პეტრეს და პავლეს ტაძრისთვის შექმნილიყო. კაპადოკიიდან, ტაძრის ფრესკაზე გამოსახული ღვთისმშობლის ხატის ფერადი რეპროდუქციაც წამოიღეს...

„1995 წლის დეკემბერში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე, ქადაგების შემდეგ, მარად ქალწულ მარიამის პატივად დაუჯდომელი (აკათისტოს) ვიგალობე მგალობელთა გუნდთან და მრევლთან ერთად. დასასრულ, მგალობლები ვაკურთხე დემეტრე-დამიანეს მიერ შექმნილი იამბიკო — „შენ ხარ ვენახი“ ეგალობათ. გალობისას, ენით აუწერელი სურვილი დამეუფლა, რაც შეიძლება მალე შექმნილიყო ღვთისმშობლის სრულიად ახალი სახე და ხატი, რომლის ამოსავალიც კაპადოკიაში ნანახი ფრესკა იყო და ამ იამბიკოს სიმბოლოები: „ვენახი“, „მორჩი“ და აგრეთვე, ჰიმნოგრაფიიდან „ტევანი ვენახის“ ანუ გონიერი აზრით მარადქალწულისგან სამების მეორე პირის განკაცების საიდუმლოება“, — ბრძანებს დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის — „შენ ხარ ვენახის“ ხატი წმინდა პეტრეს და პავლეს ტაძრის ფანჯრის უძველეს, ჩამოხსნილ დარაბაზე დაიწერა. ამის შესახებ, ხატმწერმა ირაკლი ციცაძემ, მამა არჩილისგან გამოითხოვა კურთხევა: მრავალი წირვა მოუსმენია და უფრო მადლიანი გამოვაო...

დასრულების შემდეგ, ხატი წმინდა პეტრეს და პავლეს სახელობის ტაძარში დააბრძანეს. ის 1996 წლის 14 იანვარს იკურთხა, ამიტომ — „შენ ხარ ვენახის“ ხატის ხსენების დღედ, 14 იანვარი დაწესდა.

— რა იკითხება „შენ ხარ ვენახის“ ხატის სიმბოლოებში?

— დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის განმარტებით, ხატზე გამოსახულ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ყურძნის მტევანი უჭირავს ნიშნად იმისა, რომ იგია ვენახი, რომელმაც გამოიღო „ტევანი თავწარსხმული“ — ანუ შვა ქრისტე იესო („ვენახი“, „ვაზი“ მაცხოვრის სახედ წარმოგვიჩნდება. თუმცა ვენახი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ მარიამის საღმრთო სახელიცაა: „ვუნახი ოქა შვენიერი ანნაისგან აღმოცენდა და ტევანი სიტკბოებისა აღყუავილნა“, — ბრძანებს წმინდა იოანე დამასკელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ). ხატზე გამოსახულ ყრმა იესო ქრისტეს, მარჯვენა ხელში მწვანე ფოთოლი უჭირავს, რაც მარადისობისა და სამოთხის სიმბოლოა. ფოთლის შვიდი განშტოება, სიმბოლურად სულიწმიდის შვიდ ნიჭსა და შვიდ აპოკალიფსურ ეკლესიას მიანიშნებს. ყურძნის თორმეტი მარცვალი კი, ქრისტეს თორმეტი მოციქულის სიმბოლოა: „მაშასადმე, აკურთხებს რა იესო ქრისტე ტევანსა და ფოთოლს, ამით გამოიხატება მისი განკაცების საიდუმლოება, დალოცვა 12 მოციქულის მოღვაწეობისა და უკანასკნელი დროის შვიდი აპოკალიფსური ეკლესიისა, რომლებიც შეინარჩუნებენ ჭეშმარიტ რწმენას“, — ბრძანებს მამა არჩილი.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის — „შენ ხარ ვენახის“ ხატისგან აღსრულებული სასწაულები

ამ ხატის ძალით, მრავალი სასწაული აღესრულა, რომელთა შესახებაც წიგნიც კი გამოიცა. უპირველესად, მოგითხრობთ იეღოვას მოწმე გოგონას ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის ამბავს, რომელიც ცინიზმით ეკიდებოდა ყოველივეს, რაც მართლმადიდებლობას ეხებოდა. როგორც ეს გოგონა იხსენებს, ერთხელ, მისი მეზობელი ეზოში რაღაცას წვავდა. დაინტერესებულა და უკითხავს — რას წვავო? ეკლესიიდან ღვთისმშობლის ხატი მოვაბრძანე, გარშემო ზედმეტი ქაღალდები შემოვაჭერი და იმას ვწვავო, — უთქვამს მეზობელს. თან აუხსნია, რომ ხატი სასწაულმოქმედი იყო. დახატულ ხატს რა უნდა შეეძლოსო — გაუფიქრებია გოგონას და რომანის კითხვას შესდგომია, მაგრამ კითხვისთვის გული ვერ დაუდვია და ხატის სანახავად მეზობელს შინ სწვევია. პირველად, მისი ყურადღება ხატის ფერებს მიუპყრია. მოულოდნელად, ხატს ფერი უცვლია და მასზე გამოსახულ ღვთისმშობელს თვალები დაუხამხამებია. გოგონას მიუჩნევია, რომ ეს ყველაფერი მოეჩვენა და სიწმინდე მაგიდაზე დაუდვია, მაგრამ შემდეგ, კვლავ ხელში აუღია და იგივე დაუნახავს, თუმცა, ამჯერად, ღვთისმშობელს თავსაბურავი გადასრიალებია და ნაწნავები გამოსჩენია. ამ სასწაულის ხილვას, გოგონასთვის გონება გაუნათებია და ის მართლმადიდებლური წესით მონათლულა.

ყოფილა ასეთი შემთხვევაც: ერთ-ერთ მორწმუნე ქალბატონს, ხატის წინ, დედის ლოცვა წაუკითხავს და შემუსვრილი გულით უთხოვია — ჩიყვისგან დასნეულებული შვილის განკურნება. რამდენიმე ხნის

შემდეგ, ანალიზებმა და ექოსკოპიამ აჩვენა, რომ ბავშვი ჩიყვისგან განიკურნა.

„შენ ხარ ვენახის“ ხატმა, კურთხევის დღესვე აღასრულა სასწაული — წმინდა პეტრეს და პავლეს ტაძრის მრევლის ერთ-ერთ წევრს, ათეისტი მეუღლე ჰყავდა. მას ერთხელ, დაჟინებით უთხოვია ქმრისთვის — ტაძარში გამყევი, ნახე მაინც სად დავდივარო. ის მართლაც, გაჰყოლია. წირვის დასრულების შემდეგ, როდესაც „შენ ხარ ვენახის“ ხატის პარაკლისი გადაიხადეს, მან ხალხის სიმრავლის გამო, გარეთ გამოსვლა ვერ მოახერხა, ამიტომ იძულებული გახდა, მორწმუნეებს მიჰყოლოდა და ხატისთვის თაყვანი ეცა. მას რამდენიმე სნეულება აწუხებდა და ხატთან მიახლებისთანავე იგრძნო, რომ ყოვლადწმინდა დედოფლის შეწევნით, კურნება მიიღო. ამ სასწაულმა, მის გულში იმავე დღეს ჩასახა რწმენა და მალე ჭეშმარიტ მორწმუნედ იქცა. „შენ ხარ ვენახის“ ხატისგან, სხვა მრავალი სასწაულებრივი კურნებაც აღესრულა — მისი მადლითა და ძალით, ადამიანები სიმსივნისა თუ სხვა მძიმე სნეულებისგანაც კი განკურნებულან, რომელთა შესახებაც, მოთხრობილია დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის მიერ გამოცემულ წიგნში — „შენ ხარ ვენახი“.

კურნებათა გარდა, ამ ხატისგან სხვა სასწაულებიც აღესრულება. ხშირია ხატის გაბრწყინების შემთხვევა: „27 მარტს, დაუჯდომლის შაბათს, საღამოს ლოცვის დროს, როდესაც ტაძრის კრეტსაბმელი გადაიწია და აღსავლის კარი გაიღო, საკურთხეველში დაბრძანებული „შენ ხარ ვენახის“ ხატზე, პატარა ზომის ნათელი წერტილი შევნიშნე. კარგად დავაკვირდი და დავინახე, რომ ნათელი წერტილიდან მკრთალი, ნაზი სინათლის სხივი გამოდიოდა და ღვთისმშობლის სახეს ეფინებოდა... მოგვიანებით, როდესაც მამა არჩილი სიწმინდეებს აკმევდა, დავინახე, რომ ხატი ვერცხლისფრად გაბრწყინდა. ვიფიქრე, საკმევლის კმევის გამო ხომ არ მეჩვენება-მეთქი. კარგად დავაკვირდი და გარკვევით დავინახე ბრწყინვალება, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, შემდეგ, თანდათან გაქრა“, — იხსენებს ერთ-ერთი მორწმუნე. ხატის მადლით, მის წინაშე აღვლენილ პარაკლისებზე დასწრებით და გულწრფელი ლოცვით, უშვილო ადამიანებსაც მიჰმადლებიათ შვილიერების სიხარული.

„შენ ხარ ვენახის“ ხატის რამდენიმე ასლი არსებობს, ზოგიერთი მათგანისგან მირონი გადმოედინება. მაგალითად, ფსკოვის პეჩორის მონასტერში დაბრძანებული ხატის ხის ჩარჩოში ჩასმული ფოტოასლიდან, რომელიც მონასტერში მოღვაწე მამა ვასილს (გიგნაძე) მიართვეს, მირონი ისე იღვრებოდა, როგორც ოდნავ მოშვებული ონკანიდან — ამის შესახებ, თავად მამა თეოდორე ბრძანებდა. მოგვიანებით, ფსკოვის პეჩორის მონასტერში, მამა თეოდორეს სულიერი შვილები მოხვდნენ, რომლებსაც მოძღვარმა „შენ ხარ ვენახის“ ხატის ლამინირებული ასლი გაატანა, რომელიც წმინდა პეტრეს და პავლეს ტაძარში დაბრძანებულ ორიგინალზე იყო დასვენებული. მათ ხატი მირონმდინარი ხატების გვერდით დააბრძანეს. ცოტა ხნის შემდეგ, შენიშნეს, რომ მის ქვემოთ დაფენილი ქსოვილი მირონით იყო გაჟღენთილი. საბოლოოდ, ხატიდან 30 ლიტრზე მეტი მირონი გადმოვიდა.

■

ვიცი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილ ხარ და არცა ტფილ.

გამოცხადება იოანესი 3, 15

ფრაგმენტები გენიალური

საუკუნზე მეტი დრო გავიდა, საზოგადოებას კი დღემდე არა აქვს პასუხი კითხვაზე, თუ სად გაუჩინარდა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის, ჟურნალისტისა და შექსპირის უბადლო მთარგმნელის — ივანე მაჩაბლის კვალი. მისი ცხოვრებისა თუ გაუჩინარების გარშემო, არაერთი საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ვერსია არსებობდა, რომელთა მიხედვით, მწერლის გაუჩინარება ბევრმა მის ავადმყოფობას დაუკავშირა, გარკვეულმა ნაწილმა — დუხობორებს, ნაწილმა — სიყვარულს, ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ეს ფაქტი აკაკი წერეთლის სახელსაც კი დაუკავშირეს. თუმცა, რომელიმე ვერსიის რეალური მტკიცებულება, თითქმის არ არსებობს.

...და მაინც, რას წერდნენ წლების მანძილზე მეცნიერები და მკვლევარები ივანე მაჩაბლის შესახებ?

საუკუნის კითხვა

ვარაუდები, ვერსიები და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები ივანე მაჩაბლის გაუჩინარების გამო

ირმა ახალაია

ვერსიები იდუმალებით მოცული გაუჩინარების გარშემო

1898 წლის 26 ივნისს, 44 წლის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი, შინიდან გავიდა და მას შემდგომ, მისი კვალი სამუდამოდ გაუჩინარდა. ამის შესახებ, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: „გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, დაახლოებით 4 საათზე, ივანე მაჩაბელი გამოვიდა თავის სახლიდან და აღარსად სჩანს“. მოწმეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ უკანასკნელად ნახეს მწერალი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერსიებს ჰყვებოდნენ. იმ დღეს მაჩაბელი პირველად საცხობის მუშას შეუნიშნავს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ივანე სახლის აივნიდან უცნობ, ტანდაბალ მამაკაცს ესაუბრებოდა, რომლის წასვლის შემდგომ, თავადაც უმალ გავიდა სახლიდან და ქალაქის მიმართულებით გაეშურაო. იმავე ინფორმაციას ადასტურებდა მაჩაბლის მეზობელი მარიამ ცისკარიშვილიც. დილის ათი საათისათვის ივანე მაჩაბლის კვალს ერთდროულად ოპერის თეატრთან და ვერის ხიდთანაც ასახელებდნენ. როგორც ბუკინისტი სოსიკო მერკვილაძე ჰყვებოდა, მას მაჩაბელი თავშიშველი, ნახევრად ჩაუცმელი და ძალზე აღშფოთებული დილის 5 საათისთვის სადგურისაკენ მიმავალი უნახავს. 12 საათისთვის, ქაშუეთის ტაძრისაკენ მიმავალიც დაულანდავთ, ორ საათზე ცრემლმორეული საკირის ბილიკს ასდევნებია თურმე. უკანასკნელად ავლაბრის ხიდზე ექიმ ალექსანდრე მიმინოვს შეუნიშნავს. ამათგან რომელი ვერსია იყო სინამდვილესთან ახლოს, ამის გარკვევა ძნელია, მაგრამ ფაქტია, მას შემდგომ მაჩაბლის კვალი სამუდამოდ გაუჩინარდა. მოკლეს, თავი მოიკლა, დუხობორებს აედევნა თუ სამშობლოდან გადაიხვეწა? ალ. კალანდაძე წერდა: „მაინც რა უჭირდა მაჩაბელს, რამ აიძულა, საკუთარი საფლავიც კი არ დაეტოვებინა შთამომავლებისათვის?..“ გაუჩინარებამდე ცოტა ხნით ადრე, ტუბერკულოზით დაავადებულ ივანე მაჩაბელს მძიმე ოპერაცია გაუკეთეს და სამი ნეკნი ამოაჭრეს. იქნებ, სწორედ ავადმყოფობა გახდა მიზეზი მისი უკვალოდ გაუჩინარებისა? მაგრამ ამ დროისათვის იგი თითქმის გამოჯანმრთელებული იყო!..

დუხობორების „ინკოგნიტო“ გამცილებელი, არეული კვალი თუ მხოლოდ ვარაუდი?

ერთ-ერთი ვერსია მის სამშობლოდან გადახვეწას და დუხობორების სახელს უკავშირდება. ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც უარს აცხადებდნენ მეფის ჯარში სამსახურზე, რის გამოც მათ იმპერატორისაგან ემიგრირების ოფიციალური ნებართვა მიიღეს, იმ პირობით, რომ ისინი იმპერიის საზღვრებს აღარ დაუბრუნდებოდნენ. დუხობორების გამგზავრების ორგანიზებას ლევ ტოლსტოი ახორციელებდა, რომლის მოსაზრებითაც დუხობორები, უცილებლად უცხო ენების მცოდნე პირს უნდა მიეცილებინა გემით კვიპროსამდე, ოღონდ — ინკოგნიტოდ. შესაძლოა, ერთ-ერთი ასეთი ინკოგნიტო-გამცილებელი უცხო ენების უბადლო მცოდნე მაჩაბელიც აღმოჩენილიყო. 1898 წლის 7 აგვისტოს, 1126 დუხობორით გემი „გურონი“ ბათუმიდან გავიდა. მანამდე, 13 ივლისს, ივანე მაჩაბლის ძმამ წერილი მიიღო, სადაც მინიშნებული იყო, რომ დაკარგულის კვალი საზღვარგარეთ უნდა ეძიათ და არა — საქართველოში. სავარაუდოა, ამ წერილით გეზის არევასაც ჰქონოდა ადგილი, ვინაიდან ხელი არ შეშლოდა დუხობორების გამგზავრებას. თითქოს ვერსიას ამყარებს ის ფაქტიც, რომ გაუჩინარების წინადღეს ივანე მაჩაბელს ბანკიდან კუთვნილი თანხა — 2000 მანეთი გამოუტანია, ამასთანავე, არქივში გემის გამცილებლის ვინაობაც არაა დაფიქსირებული. ემიგრირებული დუხობორები კუნძულ კვიპროსზე ჩასვლისთანავე ციებ-ცხელებით დაავადებულან, რასაც ასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შესწირვია. თუ მაჩაბელი სწორედ მათ ახლდა, ბუნებრივია, ის ამ დაავადებას ვერ გადაიტანდა, ვინაიდან ცოტა ხნით ადრე, იგი ტუბერკულოზით იყო ავად, თუმცა არავითარი დოკუმენტური დასტური ამის შესახებ არ არსებობს, რადგან ომის დროს იმ ქალაქში არსებული ყველა საბუთი განადგურებულია. შესაძლოა, მაჩაბლის უკანასკნელი კვალი კვიპროსში ყოფილიყო. თუმცა ამ ვერსიას, ისევე როგორც სხვა დანარჩენს, დოკუმენტური საბუთი არ ახლავს, ამიტომაც ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება.

ანასტასია ბაგრატიონი

მონასტერში დამკვიდრების სავარაუდო ვერსია

იქნებ მონასტერს შეეხიზნა? ამ კითხვასაც თავისი ვერსია გაუჩნდა. მოსკოვის სასულიერო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი, ვინმე იოანე ბერმონაზონი, რომელიც ავადმყოფობის გამო, აკადემიას ჰაერის გამოსაცვლელად ყირიმში გაუგზავნია, ერთ, მეტად საგულისხმო ინფორმაციას გადასწყდომია. ყირიმის ეპისკოპოსს, დიმიტრის მისთვის უთქვამს, რომ ერთ-ერთ არქიმანდრიტს, სახელად — ვარნავას, პეტრე-ქალაქში ყოფნის დროს მისთვის გაუნდვია, ქართველი თავადი ივანე მაჩაბელი ჩემს მონასტერში იმყოფებაო. ეს ამბავი იოანე ბერმონაზონს წერილობით შეუტყობინებია ქართული გაზეთისათვის, მაგრამ ვინაიდან ვარნავა ეპისკოპოსის მოძიება გაძნელებულა და ამასთანავე, ოჯახსა და კერძო პირსაც არ შეეძლო მასთან დაკავშირება, შორი მანძილისა თუ უსახსრობის გამო, ეს კვალიც დაიკარგა.

ასე რომ, მაჩაბლის მონასტერში დამკვიდრების ერთ-ერთი სავარაუდო ვერსიაც მტკიცებულების გარეშე დარჩა.

მაკო საფაროვა

უმისამართო სიყვარულის ამბავი, მაჩაბლის უკანასკნელი სტუმარი ანუ... რატომ „აკაკი"?

ბუნებრივია, როდესაც ჩნდება ამდენად გასაიდუმლოებული ფაქტი, იქ ყველა სახის ვერსიას მოაიზრებენ. ერთ-ერთი ასეთი ვერსია აკაკის სახელთანაც იყო დაკავშირებული, რომელიც ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ღამეს სწორედ მას სტუმრობდა.

უკანასკნელ საღამოს, როდესაც მაჩაბელი სახლში იმყოფებოდა, მას სტუმრად აკაკი წერეთელი სწვევია, რომელთანაც მასპინძელი გვიანობამდე თამაშობდა თურმე ნარდს, შემდეგ, უვახშმოდ წასულა მოსასვენებლად. მოგვიანებით, პოეტი იხსენებდა: „იმერეთიდან რომ ჩამოვედი და ვნახე მაჩაბელი, ის კარგ გუნებაზე დამიხვდა და მომახარა, ახლა კი იმედია, რომ სრულიად გამოვმრთელდი. ტკივილებს აღარ ვგრძნობ, თავისუფლად დავდივარ და კიდეც ვმუშაობო... დასასვენებლად აბასთუმანში ვაპირებ წასვლას, სახლის დასაქირავებლად გუშინ ბეც კი გავაგზავნეო... გვიან ღამით, ოთხი საათი იყო სწორედ, რომ ძილში ხმაურმა და ცუდმა სიზმარმა გამომაღვიძა. რომ წამოვდექი, გულისძგერა მქონდა ავარდნილი, ჯერ დავაპირე მაჩაბელთან შესვლა, რადგან მალევე გადამიარა, დავრჩი ოთახშივე და ექვსის ნახევრამდე აღარ დამძინებია". დილით, რვა საათზე აკაკი ივანეს ოთახში შესულა და... „ის აღარსად იყო, ქვეშაგები მინგრეულ-მონგრეული დამხვდა... კნეინამ სტოლზე დატოვებული რომ ნახა საათი, ძეწკვი და ოქროს ღილები, მაშინ თითქმის შეიცხადა..."

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, გაცხადდა, რომ წლების მანძილზე (მანამდეც, ვიდრე მაჩაბელი ანასტასიას შეირთავდა), აკაკი უგონოდ იყო შეყვარებული მაჩაბლის მეუღლე — ანასტასია ბაგრატიონზე. პოეტი მთელი ოცი წლის მანძილზე მალავდა ამ სიყვარულს. მეგობრის გაუჩინარებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, აკაკიმ ველარ დამალა გრძნობა და სიყვარულში გამოუტყდა ანასტასიას. „გინდ დამარჩვე, გინდა დამწვი, გინდ ამკეპე ასო-ასო, თუ არ ცხადად, ძილში მაინც წამომცდება „ტასო! ტასო!" საპასუხოდ პოეტმა მწვავე რეაქცია მიიღო. მაჩაბლის მეუღლემ მოსთხოვა წერეთელს, რომ თვით მის სიახლოვესაც კი არსად გამოჩენილიყო. „ერთი გზის მეტი აღარა დამრჩენია და ის გზა საშინელია. ძალიან გააფთრებული ვარ ჩემს თავზე. ყმაწვილი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ბებერი ვარ და რაღა საჩქაროა? ისედაც ველი სიკვდილს..." ალბათ სწორედ ამ სიყვარულის მიზეზით საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მაჩაბლის გაუჩინარება აკაკის სახელს დაუკავშირა, რასაც ტრაგიკულად განიცდიდა პოეტი. იქნებ, პოემა „გამზრდელი" ერთგვარი აღსარებაც იყო ამ სიყვარულის გამო...

მაჩაბლის უიღბლო სიყვარული – მაკო საფაროვა და... დეტალები მწერლის ცხოვრებიდან

ვინ იყო შალვა ქართველიშვილი და რა ბედი ეწია მის მიერ მოპოვებულ საიდუმლო მასალებს?

ჰქონდა თუ არა თავად ივანე მაჩაბელს უიღბლო სიყვარული? პირველი გრძნობა მას თორმეტი წლის ასაკში სწვევია. გიმნაზიის მოსწავლე უგონოდ ეტრფოდა თურმე სილამაზით განთქმულ მოცეკვავე ქალს — დარია ბეგთაბეგიშვილს, რომლის მომხიბვლელობასაც თვით იმპერატორი ალექსანდე მეორეც აღფრთოვანებაში მოუყვანია. ბუნებრივია, მაჩაბლის ეს გრძნობა უპასუხოდ დარჩებოდა. შემდგომში უკვე ჭაბუკი ვანო შეყვარებული იყო თეატრის ახალგაბრწყინებულ ვარსკვლავზე, მაკო საფაროვაზე, რომელთან შეუღლების მცდელობა ორჯერვე კრახით დასრულებულა. მაჩაბლის გაუჩინარების შემდგომ მაკომ დაახლოებით ოთხი ათეული წელი იცოცხლა. დაკარგვის წინადღესაც, მწერალი მაკო საფაროვას შეხვედრია, რომელიც თურმე მის სახლთან ახლოს ცხოვრობდა და დაჰპირებია, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას" აუცილებლად თარგმნიდა და ამ თარგმანს სწორედ მას მიუძღვნიდა. სამწუხაროდ, მეორე დღეს მაჩაბელი უგზოუკვლოდ გაუჩინარდა. რამდენიმე წლის შემდგომ კი, მწერლის მეუღლემ, მაკო საფაროვას, იუბილეზე ის „სამახსოვრო მაგიდა" უძღვნა საჩუქრად (24-კაციანი ინგლისური სერვიზით), რომელზეც მაჩაბელი და საფაროვა შექსპირის თარგმანებს აჯერებდნენ. შესაძლოა, ამ სიყვარულის ამბავი ანასტასიასთვისაც იყო ცნობილი.

შალვა ქართველიშვილი (ნახატი პორტრეტი)

ივანე მაჩაბლის სახელს ლიზა ქართველიშვილსაც უკავშირებენ, რომელსაც, როგორც ირკვევა, მაჩაბლისგან ვაჟიც კი შესძენია. 1890 წელს დედისეული გვარით ყრმა შალვა ქართველიშვილი დაბადებულა, თუმცა სწორედ იმ დღეს, მამამისი ანასტასია ბაგრატიონზე ქორწინდებოდა. ლიზა ქართველიშვილმა საუკეთესო განათლება მისცა ვაჟს. სწორედ შალვა იყო ცნობილი მხატვრის ელენე ახვლედიანის ხატვის მასწავლებელი, რომელიც თავის მხრივ, საოცრად აიდეალებდა მასწავლებელს.

1909 წელს შალვა ქართველიშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხულა. ამ პროფესიის არჩევას, როგორც აღნიშნავენ, წინა პირობად უძღოდა ის ფაქტი, რომ იგი ბავშვობიდანვე დაინტერესებული ყოფილა ივანე მაჩაბლის გაუჩინარებული კვალის ძიებით და ილიასა და ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობების დეტალებში გარკვევით. ცნობილია, რომ მან მრავალ საინტერესო მასალასაც მიაკვლია, თუმცა 1937 წელს ეს მასალები გაუჩინარდა. დააპატიმრეს შალვა ქართველიშვილიც, რომელიც 1938 წელს სასტიკად ნაწამები ციხეში ისე გარდაიცვალა, რომ მისი საფლავიც კი არ არსებობს, ისევე — როგორც მაჩაბლის. რატომ ჩამოიშორეს გზიდან შალვა ქართველიშვილი და რა „საშიშ" ინფორმაციებს ფლობდა იგი, ეს საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა.

მაჩაბლის ერთგული თანამეცხედრე და... უარყოფილი პოეტი

ანასტასია ბაგრატიონი ივანე მაჩაბელმა ნიკო დიასამიძის ოჯახში გაიცნო, რომელზეც მწერალმა მალევე დაიწერა ჯვარი. ტასო არა მარტო მეუღლე, არამედ უახლოესი მეგობარიც ყოფილა თანამეცხედრესი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა იგი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგული დარჩა ამ სიყვარულის. აკაკის წერილებიდანაც ჩანს, რომ ტასომ სასტიკად უარყო მისი გრძნობა. „ოცი წლის განმავლობაში მე შენ მიყვარდი... ისეთის აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორაც შესაძლოა მხოლოდ რჩეულთათვის. შენ იყავ ჩემი ზეჩამაგონებელი. ჩემი აღმგზებელი პოეზიაცა და სიცოცხლეც. როგორც „წმინდა ლოცვაც", ეს წერილიც ჩემი სულის და ხორცის გაყრაა. თურმე ჩემი „არამკითხე" მისწრაფებებით სასაცილო ვყოფილვარ და თანაგრძნობის ნაცვლად გულგრილობა გამომიწვევია თქვენის მხრით? მაპატიეთ დღეიდან მკვდარს და მკვდრადაც მიგულეთ, რომ ჩემმა სახსენებელმაც კი ჩრდილი არ მიაყენოს თქვენს ნათელმოსილ ნეტარებას. მშვიდობით სამარადისოდ. აკაკი. როგორც ჩანს, ანატასია ბაგრატიონ-მაჩაბელმა სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა მეუღლის ხსოვნას და შვილების ღირსებას.

საუკუნის შემდგომ მიჩენილი საფლავი

ივანე მაჩაბლის სახელი თავისი ცხოვრებით და გაუჩინარებით მრავალ იდუმალებას მოიცავს. წარმოდგენილი ვერსიებიდან, რომელია რეალობასთან ახლოს, ამის გარკვევა საუკუნის შემდგომ ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი შესანიშნავი პუბლიცისტი, XX საუკუნის დიდი საზოგადო მოღვაწე და შექსპირის უბადლოდ მთარგმნელის სახელით შემორჩა საზოგადოების ცნობიერებას. ასევე ფაქტია ისიც, რომ გაუჩინარებიდან ასი წლისთავზე მაჩაბლის ქალიშვილის, ელენესაგან რუდუნებით შემონახული მამის სამი ნეკნი, რომელიც ოპერაციის დროს ამოჰკვეთეს, ქართველმა ხალხმა დიდი პატივით მთაწმინდას მიაბარა. იქნებ მაჩაბლის საფლავიც სწორედ ის არის... ■

კამბოჯის პრემიერი ტოტალიზატორების წინააღმდეგ

კამბოჯის პრემიერ-მინისტრმა ჰუნ სენმა, თავისი ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა, რომ მათ თავი შეიკავონ საფეხბურთო მატჩებზე ფსონების დადებისაგან. „თუ ასე გსურთ ფსონების დადება, ეს სიტყვიერად გააკეთეთ და ფულს ნუ დადებთ, — განაცხადა კამბოჯის პრემიერ-მინისტრმა, — საფეხბურთო მატჩებზე ფულის დადების მიზნით, ნუ გაყიდით თქვენს ძროხებს, მოტოციკლეტებს, მანქანებს, სახლებს და მიწას“. ■

რონალდუ ყველაზე სექსუალურია... „ცისფრებისათვის“

არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცთათვის განკუთვნილი

ჟურნალის — „გეი კრანტის“ ჟურნალისტებმა, პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი, კრიშტიანუ რონალდუ, მსოფლიო ჩემპიონატის სექსსიმბოლოდ აღიარეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამოცემის მკითხველებმა, რონალდუ „ყველაზე ლამაზ, მიმზიდველ და სექსუალურ“ ფეხბურთელად მონათლეს. გარდა ამისა, ყველაზე სექსუალური მოთამაშეებისაგან სიმბოლური ნაკრებიც შეადგინეს. მასში მოხვდნენ: მარკუს როზენბერგი, მაიკლ ოუენი, დევიდ ბექჰემი, რობინ ვან დერ პერსი, ფრედერიკ იუნგბერგი, კაკა, ფერნანდო ტორესი, იან კრომკამპი და იკერ კასილასი. „სასტარტო შემადგენლობაში“ ვერ მოხვდა რუდ ვან ნისტელროი — იგი „სათადარიგოთა სკამზე“ დასვეს. ასევე, „სათადარიგოთა სკამზე“ აღმოჩნდნენ ნელსონ ვალდესი, ფრანჩესკო ტოტი და ოსვალდო სანჩესი. ■

პროდი და მერკელი ფინალზეც შეხვდებიან ერთმანეთს

ორიოდე დღის წინ, გერმანიაში, ოფიციალური ვიზიტით ჩასულმა იტალიის პრემიერ-მინისტრმა, რომანო პროდიმ განაცხადა, რომ ფინალურ მატჩში, ბუნდეს-ნაკრებისა და „სკუადრა აძურას“ ხილვა სურს. Reuters იუწყება, რომ ამის შესახებ, მან ბერლინში გამართულ პრესკონფერენციაზე, გერმანიის კანცლერ, ანგელ მერკელისადმი მიმართვისას აღნიშნა. „ვიმედოვნებ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს დაესწრებით, მე გიწვევთ ამ მატჩის სანახავად“, — დასძინა მერკელმა. „ამ შეხვედრაში, ერთმანეთის წინააღმდეგ გერმანია და იტალია ითამაშებენ“, — უპასუხა მას პროდიმ. ■

ფიფა ანცი ქომაგების წინააღმდეგ

ფიფა-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ ქომაგთა წინააღმდეგ, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მსვლელობისას მოედანზე შეიჭრებიან, სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს. „ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ასეთი ინციდენტები აღგვეკვეთა, — ამბობს ფიფა-ს ერთ-ერთი მოხელე, გერდ გრაუსი, — ბრაზილიისა და ხორვატიის შეხვედრის მსვლელობისას, ქომაგმა მოედანზე შეჭრა შეძლო. ამან ძალიან გაგვაკვირვა, რადგან ბერლინის სტადიონი ერთ-ერთი ყველაზე დაცული არენაა და კარგი სპორტსმენი უნდა იყო, რომ მინდორზე გადახტომა შეძლო“ ■

ბრაზილია – მალაიზიელ ასტროლოგთა ფავორიტი

მალაიზიელმა ასტროლოგებმა, მსოფლიო ჩემპიონატზე შექმნილი სიტუაცია, პროგნოზირების ტრადიციული ჩინური მეთოდის მეშვეობით გააანალიზეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფინალში ბრაზილიელები და იტალიელები ითამაშებენ. „მიმდინარე წელს, ვარსკვლავები კეთილგანწყობილნი არიან ბრაზილიელი და იტალიელი ფეხბურთელების მიმართ. გამოთვლების შედეგად, მივედით შემდეგ დასკვნამდე: ჩემპიონატის ფინალში, შეიძლება ითამაშონ შემდეგმა წყვილებმა — გერმანიამ და ბრაზილიამ, გერმანიამ და ინგლისმა, იტალიამ და ინგლისმა და რაც ყველაზე უფრო მოსალოდნელია, იტალიამ და ბრაზილიამ“, — განაცხადა გაზეთ „სთარისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ერთ-ერთმა წამყვანმა, ჩინური წარმოშობის მალაიზიელმა ასტროლოგმა, დენიელ ჩანმა. მისი თქმით, აღნიშნული ვერსიის დამაჯერებელ არგუმენტად ის გარემოებაც მიიჩნევა, რომ ჩინური მთვარის კალენდრის ყოველი ნიშანი, წარსულში, მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ამა თუ იმ ეროვნულ გუნდს. „ოთხ წელიწადში ერთხელ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი, ცხენის, ძაღლის ან ვეფხვის წელს ემთხვევა ხოლმე. საგულისხმოა, რომ აბსოლუტურად ყველა შეჯიბრება, რომელიც ძაღლის წელიწადს გამართულა, იტალიელი, ან ბრაზილიელი ფეხბურთელების გამარჯვებით სრულდებოდა“.

საკვირველია ისიც, რომ ეს პროგნოზი რეალობას შეესაბამება. ძაღლის წელიწადს მიმდინარე ნებისმიერი ჩემპიონატის (1934, 1958, 1970, 1982, 1994) გამარჯვებულები, იტალიის (ორჯერ) ან ბრაზილიის (ოთხჯერ) გუნდები ხდებოდნენ. „დარწმუნებული ვარ იმაში, რომ გამონაკლისი არც ამჟამინდელი ჩემპიონატი იქნება და ვარსკვლავთა განლაგება, ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთს გაუწევს დახმარებას, მაგრამ რომელი მათგანი გაიმარჯვებს, ეს უკვე თავად ფეხბურთელების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული“, — დასძენს მალაიზიელი ასტროლოგი. ■

საფეხბურთო ორომტრიალით, ვატიკანის თავჯაციც დაინტერესდა

რომის პაპი, ბენედიქტ XVI (საერო ცხოვრებაში იოზეფ რატციგნერი), რომელიც წარმოშობით გერმანელია, მსოფლიო ჩემპიონატს ყურადღებით ადევნებს თვალს. ცოტა ხნის წინ, გერმანიის ჩრდილო რეინ-ვესტფალის მინისტრ-პრეზიდენტი, ვატიკანში პონტიფიკატთან მიღებაზე იმყოფებოდა. „ისეთი წარმოდგენა შემექმნა, რომ რომის პაპი დიდი ინტერესით ეცნობა მსოფლიო ჩემპიონატის სიახლეებს ტელევიზიითა და პრესით. პაპს, იმ ფანტასტიკური ატმოსფეროს შესახებ ვუამბე, რომელიც კიოლნში, პორტუგალიისა და ანგოლის გუნდების დაპირისპირების წინ სუფევდა“, — დასძინა გერმანელმა პოლიტიკოსმა (ჟურნალისტებთან საუბრისას), ბენედიქტ მე-16-სთან შეხვედრის შემდეგ. მან, თამაშის წინ შექმნილი ვითარება, კიოლნში, კათოლიკე ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე, რომის პაპის ვიზიტით გამოწვეულ ეიფორიას შეადარა. „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის გამართვამ, გერმანელ ხალხს, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის ძალიან დიდი და მშვიდობიანი შეხვედრების ჩატარება გვასწავლა“, — განაცხადა მინისტრ-პრეზიდენტმა, რომელმაც ხაზი იმასაც გაუსვა, რომ პონტიფიკატთან ცალკეულ მატჩებზე არ უსაუბრია. ■

გერმანიაში ჰოსტიტუციის ბუმია

მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, მეძავებს ძალიან გადატვირთულ რეჟიმში უხდებათ მუშაობა. ბორდელების შესასვლელებთან, ფეხბურთის ქომაგთა დიდი რიგები დგას. თანაც, ხშირად, მათ 2 საათზე მეტხანს უწევთ მოცდა. როგორც ამბობენ, მეძავებს დღეში იმაზე გაცილებით მეტი ადამიანის მომსახურება უხდებათ, ვიდრე ჩვეულებრივ ვითარებაში, კვირის მანძილზე უნდა ემსახურებოდნენ. ერთი სიტყვით, გერმანიაში, ინტიმური მომსახურების ბაზარზე ნამდვილი ბუმია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალდამცავებმა, მკაცრი ზომები მიიღეს აღმოსავლეთ ევროპიდან მეძავთა შემოსვლის აღსაკვეთად. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბერლინში 8 ათასი მეძავია აღრიცხული. მათ, 400 ბორდელში, სამ ათეულ სექსკინოთეატრში, 50 მასაჟის სალონში, აგრეთვე, ექსკლუზიურ კლუბებში, საუნებსა და საცურაო აუზებში, მუდმივი სამუშაო აქვთ. ეროტიკის ყველა ცენტრი, პრაქტიკულად 24-დღიან სამუშაო გრაფიკზეა გადასული, ხოლო თითოეული მეძავის სამუშაო დღე, საშუალოდ 16 საათს აღწევს. „კლიენტთა სიჭარბის გამო, გოგონები მეტისმეტად იქანცებიან, — ამბობს ელიტარული ბორდელის, „ბელ ამის“ მფლობელი ჟოზეფინა კონტე, — მაგრამ ჩვენ კარგად ვართ მომზადებულნი და მომსახურების ხარისხიც მაღალია“. ■

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

ტიფოზების ტრაგედია

1986 წელს, მექსიკა იქცა პირველ ქვეყნად, რომელმაც მეორედ უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს. ოთხი წლის შემდეგ კი, იმავე ამპლუაში იტალია აღმოჩნდა. 1990 წლის მუნდიალზე მოხვედრილ აშშ-ის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, სამხრეთ კორეის, ეგვიპტის, კოსტა-რიკისა და კამერუნის გუნდებს, აუტსაიდერებად მიიჩნევდნენ. ეს არც იყო გასაკვირი, თუმცა, კოსტარიკელებმა და კამერუნელებმა, ლოგიკური პროგნოზების მოყვარულებს იმედი გაუწბილეს და საფეხბურთო სამყაროს სიურპრიზი შესთავაზეს.

კოსტარიკელებმა მხოლოდ ჯგუფური ეტაპის გამარჯვებულ, ბრაზილიის ნაკრებთან წააგეს, სამაგიეროდ, შოტლანდიელები და შვედები დაამარცხეს. ნამდვილი სენსაცია კი, იტალიაში კამერუნის ნაკრებმა მოახდინა. ბუნებრივია, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ აფრიკელები უკვე სასტარტო მატჩში, მოქმედ ჩემპიონ — არგენტინის ნაკრებთან დიდი სხვაობით წააგებდნენ, მაგრამ ასპარეზობა სულ სხვა სცენარით წარიმართა. კამერუნელები აუღელვებლად, აგრესიულად და შთამბეჭდავად თამაშობდნენ. მეორე ტაიმში, მათ გოლი გაიტანეს და საფინალო სასტვენამდე, ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს, მიუხედავად იმისა, რომ ორი ფეხბურთელის გაგდების შემდეგ, თამაში 9-კაციანი შემადგენლობით დაასრულეს. მეორე პაექრობაში, მათ რუმინეთის გუნდი, 37 წლის ვეტერან — როჟე მილას მიერ გატანილი ორი გოლის წყალობით დაამარცხეს (2:1). მერვედფინალში, მილამ, კოლუმბიის ნაკრებს კიდევ 2 გოლი გაუტანა. კამერუნელები, მეოთხედფინალში, გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ, სადაც მათი მეტოქე ინგლისის გუნდი იყო. მე-80 წუთზე, როჟე მილა და კომპანია 2:1 იგებდა, მაგრამ გარი ლინეკერის მიერ გატანილი ორი თერთმეტმეტრიანი დარტყმის შემდეგ, ალბიონელები ნახევარფინალში გავიდნენ. იტალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, კამერუნის ნაკრების გამოსვლა, ფეხბურთის ქომაგებმაც და სპეციალისტებმაც აფრიკელთა დიდ წარმატებად შეაფასეს. პირველად, მუნდიალის ისტორიაში, „შავი კონტინენტის“ წარმომადგენელი გუნდი, მსოფლიოს 8 უძლიერეს ნაკრებს შორის მოხვდა. სხვათა შორის, კამერუნელთა წარმატებით, საბჭოთა გულშემატკივრებმაც გაიხარეს, რადგან აფრიკელთა გუნდს, ვალერი ნეპომნიაშჩი წვრთნიდა. თავად საბჭოელები კი, რომელთაც იტალიის სტადიონებზე აწ გარდაცვლილი ვალერი ლობანოვსკი ხელმძღვანელობდა, რუმინელებთან და არგენტინელებთან ერთნაირი ანგარიშით (0:2) მარცხის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდნენ.

ტურნირზე, მეტისმეტად უსახურად გამოიყურებოდა არგენტინის ნაკრები, თუმცა, მას არაერთხელ გაუმართლა — მარადონას გუნდმა, მერვედფინალში, თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი, ბრაზილიის ნაკრები დაამარცხა, ხოლო ორჯერ, იუგოსლავიელებთან და იტალიელებთან პენალტების სერიაში იმარჯვა. ასე მიაღწია 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ფინალამდე.

ბუნებრივია, იტალიელი ქომაგების ყურადღება, თავიანთი გუნდისადმი იყო მიპყრობილი. მათ კარგად ახსოვდათ ის, რომ 1934 წელს, „სკუადრა აძურამ“, სწორედ სამშობლოში მიაღწია პირველ წარმატებას. ამიტომ, 56 წლის შემდეგაც, საყვარელი ნაკრებისაგან იმავეს მოელოდნენ. მით უმეტეს, რომ ისევე, როგორც რიგით მეორე მუნდიალზე, 1990 წელსაც, იტალიელებმა აშშ-ის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, ურუგვაისა და ირლანდიის გუნდები დაამარცხეს.

გაგრძელება იხ. გვ. 72

26 წლის „ფერარი“ — „ვიკო“, სხვა ანალოგიური ავტომობილებისგან ვიზუალურად თითქოს არაფრით განსხვავდება, მაგრამ მთლიანად „ჟიგულის“ ნაწილებისგან აწყობილი მანქანა, პლასტმასისგან არის დამზადებული. პროფესიით მექანიკოსმა, გიზო ნიკოლაიშვილმა, პლასტმასის ავტომობილი წელიწად-ნახევარში, საკუთარი ხელით შექმნა და მრავალგზის გამოცადა. ახლა ბატონი გიზო მეგობართან ერთად, პლასტმასის „მერსედესს“ ქმნის და კიდევ ბევრჯერ მოუწევს საპატრულო პოლიციის დარწმუნება იმაში, რომ მანქანა თვითნაკეთია და შესაბამის დოკუმენტებს ვერ წარადგენს...

„ვიკო“ – იკინაზე მაგარი პლასტმასის „ქართული“ „ფერარი“

ემა ტუხიაშვილი

— პროფესიით მექანიკოსი გახლავართ. წლების განმავლობაში, საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტში ვმუშაობდი, სადაც მცირე გაბარიტის ელექტროხელსაწყოებს ვქმნიდით. ჩემი სამსახურის გამო, ხშირად მგზავნიდნენ მივლინებით მოსკოვში, საკავშირო თუ საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობის მისაღებად. ერთხელაც, მოსკოვში ყოფნისას, სრულიად შემთხვევით, გამომგონებელთა კლუბში ამოვყავი თავი და იქ ვნახე პირველად თვითნაკეთი მანქანები. ძალიან მოვიხიბლე საუცხოოდ შესრულებული, უცხოური მარკის ავტომობილების ანალოგებით. გადავწყვიტე, მეც შემესწავლა მათი შექმნის ტექნოლოგია და ერთი თვითნაკეთი მანქანა ჩემთვისაც დამემზადებინა. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ საქმეს 1980 წელს — ე.ი. საბჭოთა რეჟიმის დროს მოვკიდე ხელი, როდესაც უცხოური მარკის ავტომობილი საქართველოში პრაქტიკულად, არ დადიოდა. მხოლოდ ფოტოზე მქონდა ნანახი „ფერარის“ მოდელი და 15-თვიანი დაუღალავი შრომის შემდეგ, მისი მიახლოებული ვარიანტი შევქმენი. როდესაც პირველად გამოვედი ჩემი მანქანით ქალაქში, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილი ფურორი მოვახდინე. საკმარისი იყო, სადმე გავჩერებულიყავი, რომ უამრავი ადამიანის გარემოცვაში აღმოვჩნდებოდი. ყველა დიდი ინტერესით და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა უცხოურ ავტომობილს და რაც მთავარია, ვერავინ ხვდებოდა, რომ თვითნაკეთი იყო. გაცილებით უარეს დღეში მაგდებდნენ მაშინდელი ავტოინსპექტორები: ვერაფრით ვარწმუნებდი, რომ მანქანის ძარა მთლიანად პლასტმასისგან იყო დამზადებული და შესაბამისად, ნამდვილი ავტომობილის მსგავსად, საიდენტიფიკაციო ნომერი ვერ ექნებოდა.



ჩემი მანქანა ისეთი პლასტმასისგან არის დამზადებული, რომ უძლიერეს დარტყმასაც კი უძლებს

— როგორც თქვით, იმ პერიოდში, უცხოური წარმოების ავტომობილი საბჭოთა კავშირში დიდი იშვიათობა იყო. ალბათ, თქვენი მანქანის ყიდვის სურვილი ბევრს ჰქონდა...

— მახსოვს, რომ იმ დროს, თბილისში სულ 3 ე.წ. „ინომარკა“ დადიოდა: ერთი ბატონ რობერტ ბარძიმაშვილს ეკუთვნოდა, მეორე — ჩემი მეგობრის, ანზორ ბერელაშვილის საკუთრება იყო; მან ის ავტომობილი, საკმაოდ სოლიდურ ფასად, ცნობილი რუსი ჰოკეისტისგან, ვლადისლავ ტრეტიაკისგან იყიდა. ტრეტიაკისთვის კი ის ავტომობილი იაპონელებს მიურთმევიათ საჩუქრად; მესამე უცხოური ავტომობილი კი, ერთ-ერთ რაიკომის მდივანს ეკუთვნოდა... ამიტომაც იყო, რომ ჩემი ავტომობილი თბილისში მალევე გახდა ძალზე პოპულარული და მისი შეძენის მსურველებმაც არ დააყოვნეს. პირველად, ერთ-ერთი ცნობილი მეღვინის შვილი მევაჭრებოდა, სულ ახალი „ჟიგული-06“ მომიყვანა და მითხრა — იქნებ, ამ მანქანაში გამიცვალოო? მთელი წელიწად-ნახევარი ვიწვალე მის შექმნაზე, მართლა საკუთარი შვილივით მიყვარს ჩემი „ვიკო“ და თუნდაც ახალ „ჟიგულში“ როგორ გავუცვლიდი?!. მეღვინის ვაჟი დანებებას არ აპირებდა და მოგვიანებით, სულ ახალი წარმოების „ვილისი“ მომაყენა კარზე. ამითაც რომ ვერ დამითანხმა, შემდეგ ორივე ავტომობილს მაძლევდა — ოღონდ, შენი „ფერარი“ მომეციო... როდესაც არც ამან გაჭრა, ჩემს თვითნაკეთ ავტომობილში 70 ათასი მანეთი შემომთავაზა, არადა, იმ დროს, სულ ახალი „ვოლგა“ 15 ათასი მანეთი ღირდა!.. ვერც ასეთმა დიდმა თანხამ მაცდუნა და ავტომობილი არაფრით დავთმე. მოგვიანებით, ჩემ შესახებ მოსკოვის გამომგონებელთა კლუბშიც შეიტყვეს და „ვიკოსთან“ ერთად, გამოფენაზეც მიმიწვიეს. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პირველ არხზეც მიმიწვიეს მაშინ, გადაცემაში — „თქვენ ეს შეგიძლიათ გააკეთოთ“ — მონაწილეობისთვის. ასევე შემომთავაზეს, რომ მონაწილეობა მიმეღო საავტომობილო გადარბენაში, რომელიც მაშინდელი სოციალისტური ქვეყნების მასშტაბით იმართებოდა, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ წავედი.

— სახიფათო ხომ არ არის პლასტმასის ავტომობილით ქუჩაში სიარული?

— სწორედ ეს გახლავთ ამ ავტომობილის ყველაზე დიდი ღირსება. ჩემი მანქანა ისეთი პლასტმასისგან არის დამზადებული, რომ უძლიერეს დარტყმასაც კი უძლებს. ვინ იცის, მისი ამ თვისების გამო, რამდენი ნაძლევი მაქვს მოგებული?! მანქანის კაპოტზე ვაფენ სქელ ქსოვილს, რომ საღებავი არ დაზიანდეს და ნებისმიერი ჯან-ღონის პატრონს ვაძლევ უფლებას, ავტომობილს ჩაქუჩი ურტყას. ამ ექსპერიმენტის შემდეგ, თავადაც შეგიძლიათ დარწმუნ-

დეთ, რომ მანქანის კაპოტი არც კი გაიღუნება. რამდენჯერმე ამ მანქანით ავტოავარიაშიც მოვყევი. საბედნიეროდ, ამ შემთხვევებს მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ ყველა ის ავტომობილი, რომელიც დამეჯახა, ფაქტობრივად, გადასაგდები გახდა — მაშინ, როდესაც ჩემს მანქანას მხოლოდ უკანა ხიდი გაეღუნა. სხვათა შორის, თითქმის ყველა სპეციალური შეკვეთით დამზადებული თანამედროვე ავტომობილი — მაგალითად, იგივე „ფერარი“, „ბერტონე“, „ლამბორჯინი“ და სხვა — ამ უნიკალური პლასტმასისგან მზადდება. ჩემი ავტომობილის კიდევ ერთი დიდი ღირსება, სხვა ავტომობილებთან შედარებით, ის გახლავთ, რომ მისი ძარა გაცილებით მსუბუქია. მაგალითად, ჩემი „ვიკო“ 350 კილოგრამით ნაკლებს იწონის, ვიდრე ჩვეულებრივი „ჟიგული“.

მისი მაქსიმალური სიჩქარე 160-170 კმ/სთ გახლავთ

— რამდენად სწრაფია?

— იმის გამო, რომ მოტორიც და სხვა ნაწილებიც მანქანას „ჟიგულის“ ტიპის ავტომობილის აქვს, სიჩქარესაც იმდენს ავითარებს, რამდენსაც საბჭოური წარმოების ეს ავტომობილი, უფრო ზუსტად — მისი მაქსიმალური სიჩქარე 160-170 კმ/სთ გახლავთ. მე და ჩემი მეგობარი ახლა, სხვა მარკის ავტომობილის ანალოგის შექმნაზე ვმუშაობთ. ახალი მანქანა „ვიკოზე“ უფრო სწრაფი იქნება და საათში სულ მცირე, 220-250 კმ/სთ-ს მიაღწევს. ავტომობილი, რომლის შექმნაზეც მე და ანზორ ელოშვილი ვმუშაობთ, იქნება 1937 წლამდე გამოსული „მერსედესის“ მოდელი. ისიც პლასტმასისგან დამზადდება, მაგრამ ძრავა თანამედროვე „მერსედესის“ ექნება. ახლა ჯერჯერობით, მხოლოდ თაბაშირის მოდელი გვაქვს და ვფიქრობ, რომ „მერსედესი“ ორ ფერში — შავში და თეთრში იქნება გადაწყვეტილი.

— ბატონო გიზო, თქვენს თვითნაკეთ „ფერარის“, „ვიკოს“ უწოდებთ ხოლმე. ეს თქვენი გამოგონილი სახელია?

— ვიკა და კოკა — ჩემი შვილიშვილები არიან. მანქანის სახელწოდება მათი სახელების შერწყმით შევადგინე.

— საქართველოს მთაგორიან გზებზე თუ გამოგიცდიათ თქვენი „ვიკო“?

— როდესაც ამ ავტომობილის შექმნაზე ვმუშაობდი, ბევრი ჩემი ახლობელი ამ წამოწყებას სკეპტიკურად უყურებდა. ბევრიც ჩემს ზურგს უკან ქირქილებდა ხოლმე... ერთხელაც, მეგობრებმა გამოცდილი მძღოლი მომიგზავნეს სახელოსნოში: გამოცდილი კაცია, იქნებ, მის სიტყვას დაუჯეროსო... გამოცდილმა მძღოლმაც მეგობრულად გამაფრთხილა: ხომ იცი, რა გზებია საქართველოში, შენი მანქანა პირველსავე გარბენისას დაიშლებაო... რა თქმა უნდა, ყური არავის დავუგდე და როდესაც ავტომობილზე მუშაობა დავასრულე, მეგობრებისთვის მისი დემონსტრირებაც მოვაწყვე. ჯერ ექვსი ბოთლი შამპანური გადავამტვრიე ზედ მანქანას და ყველას დავანახვე, რომ „ვიკოს“ ამის შემდეგ, ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა. ამ ექსპერიმენტის შემდეგ, იქ მყოფ ადამიანებს ვთხოვე, მანქანაზე დამდგარიყვნენ. ავტომობილზე იმდენი ადამიანი მოთავსდა, რომ მხოლოდ მისი ფარებიღა ჩანდა... არც ამ ექსპერიმენტის შემდეგ მოსვლია რამე ჩემს ნაკეთობას. მოგვიანებით კი, პატარა გასეირნება რაჭის ხეობაში მოვაწყვე. თავადაც ამ კუთხიდან ვარ. რაჭაში ერთი მაღალი მთა არის, ხიხას მთას უწოდებენ. იქ მხოლოდ მთიბავები ადიან, რომ ზამთრისთვის თივა მოიმარაგონ. ხიხას მთაზე სატვირთო ავტომობილიც კი ვერ ადის და თივას ხალხი სხვადასხვა ხერხით ეზიდება. მე კი ამ მთაზე ჩემი თვითნაკეთი ავტომობილით ავედი. როდესაც მთიბავებმა დამინახეს, გაოგნდნენ: მოპარული ხომ არ გყავს, თორემ, აქ რა ამოგიყვანდაო?!.

ჩემი „ვიკო“ 350 კილოგრამით ნაკლებს იწონის, ვიდრე ჩვეულებრივი „ჟიგული“

— „გაიშნიკების“ მსგავსად, საპატრულო პოლიციაც ხომ არ გიქმნით პრობლემებს?

— მქონდა ერთი შემთხვევა, როდესაც სახლთან ახლოს გამაჩერა პატრულის თანამშრომელმა და მანქანის საბუთების წარდგენა მთხოვა. რაც არ მქონდა, რა უნდა მეჩვენებინა?.. ამიტომ დავიწყე მისთვის ახსნა, რომ ავტომობილი თვითნაკეთი იყო, პლასტმასისგან მქონდა დამზადებული, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. პატრულის თანამშრომელი მაინც თავისას გაიძახოდა: მოპარული გყავს და ახლა, მისი პატრონი რომ გამოჩნდება, ის დაარწმუნე, რომ ავტომობილი შენ გააკეთეო. ამ აურზაურზე უამრავი ადამიანი შეგროვდა ჩვენ გარშემო. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი ამ ხნის კაცი და ვთხოვე პატრულს, რომ მისი უფროსი გამოეძახებინა და მას დაველაპარაკებოდი. ის კი დაჟინებით გაიძახოდა: მანქანა საჯარიმოზე უნდა გადავიყვანოო. ღმერთმა გაახაროს — იმ დროს, მეორე საპატრულო ჯგუფი გამოჩნდა. ერთ-ერთი თანამშრომელი შედარებით გარკვეული აღმოჩნდა ტექნოლოგიებში და დაარწმუნა თავისი კოლეგა, რომ ავტომობილი მართლაც, თვითნაკეთი იყო.

— არ გიფიქრიათ, რომ თქვენი გამოგონება ბიზნესსაქმიანობისთვის გამოგეყენებინათ?

— პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ საქართველოში მანქანის ინდივიდუალურ მოდელებზე მოთხოვნა არ არის. მქონდა შემოთავაზება თურქეთიდან, რომ იქ წავსულიყავი და მათი სახელით შემექმნა ავტომობილის სხვადასხვა მოდელი, მაგრამ მე იმ ასაკში აღარა ვარ, რომ ჩემი ქვეყნისგან მოშორებით ვიცხოვრო, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მატერიალური დაინტერესება. ძალიან კარგი შემოთავაზება მქონდა ამერიკული კომპანიისგან, რომელიც რამდენიმე მილიონს მაძლევდა იმისათვის, რომ საქართველოში ე.წ. „ჯიბის ჰამერის“ პლასტმასის ანალოგები დამემზადებინა, მაგრამ ინვესტორმა ინფარქტი მიიღო და მოლაპარაკება ჩაიშალა. ასევე იყო შემოთავაზება „ტოლიატის“ ქარხნის მესვეურებისგან, რომ „ნივის“ პლასტმასის ანალოგები შემექმნა. სხვათა შორის, თუ პლასტმასთან ერთად, ავტომობილზე მუშაობისას, ე.წ. კევლარის ქსოვილს გამოვიყენებთ, ტყვიაგაუმტარ საფარს მივიღებთ და შესაბამასად, ამ ავტომობილების გამოყენება სამხედრო დანიშნულებით იქნება შესაძლებელი. სამწუხაროდ, არც ამ მოლაპარაკებებმა გამოიღო შედეგი...

ჯესიკა ალბა დარწმუნებულია, რომ ჭეშმარიტი დიდების მოსაპოვებლად მხოლოდ კინოში ნათამაშები როლები არ კმარა და მუდამ ახერხებს, რომ პუბლიკამ მასზე უსასრულოდ ილაპარაკოს...

როცა უფროსიან მამაკაცები ჯესიკა ალბას?

ჯესიკა ალბამ ჟურნალს — „პლეიბოი“ კინაღამ სასამართლოში უჩივლა, როდესაც მარტის ნომერში ჟურნალის გარეკანზე საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი მსახიობის ფოტოსურათი დაიბეჭდა. ეს კადრი ფარული კამერით როდი იყო გადაღებული. ჟურნალმა სურათი ფილმიდან — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხეში“ ამოიღო, რომელიც მილიონობით მაყურებლმა იხილა ეკრანზე. ასე რომ, ჟურნალისტთა საქციელში კრიმინალური არაფერია, მაგრამ ვიდრე ადვოკატები ამ ერთი შეხედვით მარტივ საკითხს მოაგვარებდნენ, ჯესიკამ გრანდიოზული სკანდალი მოაწყო.

გაზეთების ფურცლებზე მისმა სახემ პირველად მაშინ გაიელვა, როდესაც 14 წლის ჯესიკა ალბას სერიალ „ფლიპერში“ იღებდნენ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ რეჟისორს მეორეხარისხოვანი როლისთვის გრძელთმიანი, სექსუალური გოგონა დასჭირდა. ამ როლს ჯესიკა მართლაც შეეფერებოდა, მაგრამ მისთვის სერიალის მთავარი როლის შეთავაზება თავდაპირველად, არავის უფიქრია. გადაღებების დროს, ნორჩ მსახიობს სენსაციური თავგადასავალი გადახდა თავს: ჯესიკა მოიტაცეს და გამოსასყიდი მოითხოვეს... პოლიცია მძევალს თავგადაკლული ეძებდა. აღელვებული ამერიკელები გამოძიების შედეგებს სულმოუთქმელად ელოდნენ... რამდენიმე დღის შემდეგ, საღ-სალამათი ჯესიკა, სრულიად შემთხვევით, ავტომობილის საბარგულში აღმოაჩინეს, ხოლო გამტაცებლები თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდნენ. ზოგიერთები მაშინვე ვარაუდობდნენ, რომ ჯესიკას თავგადასავალი მისივე შეხთზული იყო და ამ გახმაურებული გატაცების გამჭრიახი ორგანიზატორი თავადვე იყო... ასე იყო თუ ისე, ალბას პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ სერიალის პროდიუსერებმა სცენარის ავტორებს მისი გმირის წინა პლანზე წამოწევა დაავალეს.

იმ დღიდან მოყოლებული, ჯესიკა ალბას პოპულარობა გამუდმებით იზრდებოდა. „რთული ასაკის“ პერიოდში ჯესიმ ტელევარსკვლავის რანგში შეაბიჯა და ამისთვის სკოლის მიტოვება და სწავლის რეპეტიტორებთან გაგრძელება მოუხდა. „ნუთუ, არ ნანობ, რომ უფროს კლასებში არ გისწავლია? ეს ხომ ცხოვრების საუკეთესო ხანაა?“ ამ შეკითხვას ჯესი თავდაჯერებულად პასუხობდა, რომ სანანებელი არაფერი აქვს! კარიერა — ახალგაზრდულ თავყრილობებზე უარის თქმად, ნამდვილად ღირს. მოსაწყენი წვეულებები მილიონობით ჩვეულებრივი ახალგაზრდისათვისაა ხელმისაწვდომი, მას კი ყველაფერზე მეტად შუალედური მდგომარეობა, ყოველდღიურობა და მოწყენილობა სძულს!

1980-იანი წლების დასაწყისში, ამერიკის პატარა ქალაქ პომონაში საშინელი მოწყენილობა სუფევდა. მართლაცდა, რა უნდა მომხდარიყო კალიფორნიის მიყრუებულ ქალაქში, რომლის ერთადერთი ღირსშესანიშნაობა ის იყო, რომ ოდესღაც იქ საკულტო მომღერალი ტომ უეიტსი დაიბადა?! უეიტსმა პომონა ადრევე დატოვა და დიდება და სახელი სხვა ქალაქებში პოვა. ქალაქის კიდევ ერთ ღირსშესანიშნაობად ბაზრობა მიიჩნეოდა, რომელიც ლოს-ანჯელესის ოლქში იმხანად ყველაზე დიდი ბაზრობა იყო.

1981 წელს, პომონაში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ალბების ოჯახს ქალიშვილი შეეძინა. გოგონას სახელად ჯესიკა დაარქვეს.

ალბების ხელმოკლე ოჯახი სამუშაოს ძიებაში მთელ ამერიკას სერავდა, ვიდრე ჯესის მამა სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაბაზაზე მუშად არ მოეწყო. მაგრამ ამით მათი მოხეტიალე ცხოვრება არ დასრულებულა — ოჯახის უფროსი მუდამ შტატიდან შტატში გადაჰყავდათ. კალიფორნიიდან — მისისიპიში, მისისიპიდან — ტეხასში და ა.შ. „როგორც კი ახალ ადგილას ბავშვებთან დაახლოებას მოვახერხებდი და

მაიკლ უეტერლის-თან 2003 წ...

სკოლისკენ გზის გაგნებას ვისწავლიდი — ისევ აბარგება გვიწევდა! ახალ ადამიანებთან შეჩვევას ვერ ვასწრებდი და ამის გამო, თანატოლები მორცხვ არსებად მიმიჩნევდნენ“, — იხსენებს ჯესიკა.

„მორცხვ არსებას“ მსახიობობის სურვილი საკმაოდ ადრე — 5 წლის ასაკში გაუჩნდა. ან კი რომელი ბავშვი არ ოცნებობს მსახიობობაზე. როგორც წესი, ამ ოცნებას ასრულება არ უწერია. მაგრამ პატარა ჯესიკამ გონებაში მოქმედების ზუსტი გეგმა შეიმუშავა. მან მშობლებს მსახიობის ოსტატობის პედაგოგის, 12 წლის ასაკში კი, პირადი აგენტის დაქირავება აიძულა. აგენტი — 12 წლის გოგონასთვის — ძალზე ადრეა, მაგრამ: „ძალზე სწრაფად ვიზრდებოდი და მოუხეშავი მოზარდიდან მიმზიდველ ქალიშვილად თანატოლებზე გაცილებით ადრე ჩამოვყალიბდი. რისთვის მეცადა? როგორც ხედავთ, ჩემმა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო!“



კეშ უორენთან ერთად. ჰავაი, 2006 წლის იანვარი

ᲑᲠᲘᲣᲡ ᲣᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲤᲘᲚᲛᲨᲘ — „ᲪᲝᲓᲕᲐᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“

ჯესიკას კარიერის ნამდვილი აღმასვლა 2000 წელს დაიწყო, როდესაც მას 19 წელი შეუსრულდა. გოგონა სერიალში „მუქი ანგელოზი“ მთავარ როლზე თავად ჯეიმს კემერონმა მიიწვია. ჯესიკას გმირი — გენეტიკურად სრულყოფილი გოგონა პირქუშ, პოსტაპოკალიფსურ მეგაპოლისში 2020 წელში ცხოვრობს, სადაც მთავარი კანონი — თვითგადარჩენაა. სერიალი ეთერში ორი წლის განმავლობაში გადიოდა და საკმაოდ კარგი რეიტინგი და რეცენზიები ჰქონდა. პრესა განსაკუთრებით ჯესიკა ალბას თამაშს იწონებდა. ორი წლის შემდეგ, კომპანიამ — „ფოქსი — XX ს.“ პროექტი დახურა... და მაშინ სერიალის ფანებმა მისი გაგრძელება თავად გადაწყვიტეს. ინტერნეტის ქსელში „მუქი ანგელოზის“ მესამე სეზონი არსებობს. ენთუზიასტებმა 20 სერიისთვის სცენარი დაწერეს და კოლაჟური კადრები დაამონტაჟეს, სადაც გმირები ახალ სიტუაციებში არიან წარმოდგენილები.

ორი წლის განმავლობაში, გადაღებების დროს, ჯესიკა მის პარტნიორს — მაიკლ უეტერლის ხვდებოდა. როგორც ამბობენ, ისინი დანიშნულებიც კი იყვნენ. არავინ იცის, რატომ გაირბინა შავმა კატამ შეყვარებულებს შორის სერიალის დახურვის შემდეგ. „მსახიობს აღარასოდეს შევიყვარებ, მერწმუნეთ, ისინი გიჟები არიან!“ — ამ სიტყვების გარდა ჯესიკა არაფერს ამბობს, მაგრამ ბოროტი ხმები ირწმუნებიან, რომ ეს რომანი ჯესის საკუთარი პერსონისადმი ინტერესის გასაღვივებლად სჭირდებოდა...

საერთოდ კი — ვინ იფიქრებდა, მაგრამ ფაქტია! — მშვენიერი ჯესიკას ცხოვრებაში სასიყვარულო თავგადასავლები ნაკლებად იყო. მართალია, მას თამამი განცხადების გაკეთებაც შეუძლია, მაგალითად, ასეთის: „სექსს ვაღმერთებ! მაგრამ ამჟამად თავს ვიკავებ და ლოგინში ყველას აღარ ვუწვები“, — მაგრამ სინამდვილეში ჯესიკა ალბას თავქარიანობას ვერავინ დასწამებს. ერთ დროს, ალბასა და სკანდალურად ცნობილ მსახიობსა და მუსიკოს მარკ უოლბერგს შორის რომანის არსებობის შესახებ ჭორაობდნენ, მაგრამ ჯესიკამ, მხოლოდ მისთვის ცნობილი მოსაზრების გამო, ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ უოლბერგს საერთოდ არ იცნობს.

უცნობი, არცთუ მდიდარი რეჟისორის ასისტენტის, კეშ უორენისა და ჯესიკას სასიყვარულო ურთიერთობამ წელიწადზე მეტხანს გასტანა. „ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როდესაც მე თავისუფალი არ ვიყავი, მაგრამ კეში დანახვისთანავე მომეწონა. მან პირველსავე საღამოს ბევრი მაცინა: წერილში მომწერა, რომ მოვწონვარ. ხელმოწერის ნაცვლად კი, დოლარის ნიშანი დასვა („კეშ“ ინგლისურ ენაზე ნაღდ ფულს ნიშნავს). მოკლედ რომ ვთქვა, კეში შემიყვარდა“, — იხსენებს ალბა, მაგრამ ცოტა ხნის წინ, ეს რომანიც დასრულდა — მიზეზი ამჯერადაც უცნობია.

ასე რომ, დღეს, ჯესიკა ალბა სრულიად თავისუფალი ქალბატონია. „ახლა მარტო ვარ, არვის ვხვდები, პაემანს არავინ მინიშნავს. ჩემთვის ერთი კარგი ბიჭი არსად გეგულებათ?“ — ხუმრობს მსახიობი, შემდეგ კი, სერიოზულად აგრძელებს ლაპარაკს: „ადრე ვერ ვხვდებოდი, მამაკაცები თავს რატომ მარიდებდნენ. ერთხელ, „მუქ ანგელოზში“ ჩხუბის სცენის გადაღების დროს შევამჩნიე, როგორ მიყურებდნენ. მათ ჩემი ეშინოდათ!“ მართლაც, თავად ის ფაქტი, რომ გოგონამ „ცოდვათა ქალაქის“ მსგავს ფილმში მონაწილეობა გაბედა, მისი ვნებიანი ტემპერამენტის შესახებ მეტყველებს...

„კარგად ვიცოდი, რომ ფილმში — „ცოდვათა ქალაქი“ ძალზე თამამ სცენებში მომიხდებოდა თამაში. შიშისგან ვცახცახებდი, მაგრამ ზუსტად იმ დროს, ტელეეკრანებზე ბეიონსის კლიპს ატრიალებდნენ, სადაც ის თითქმის დედიშობილა გამოდიოდა, მაგრამ ძალზე თავისუფლად მღეროდა. მისმა შემხედვარემ გავიფიქრე: რატომაც არა? რით ვარ მასზე ნაკლები?“

ასე იყო თუ ისე, ჯესიკას მსოფლიო პოპულარობა სწორედ „ცოდვათა ქალაქში“ ნათამაშებმა სტრიპტიზის მოცეკვავე ქალის როლმა მოუტანა. ასეთი ფილმი თავიდანვე წარმატებისთვის იყო „განწირული“. მიკი რურკი, ბრიუს უილისი, ბენისიო დელ ტორო, ელაიჯა ვუდი, რუტგერ ჰაუერი, ბრიტანი მერფი — ფილმის ამგვარი შემადგენლობა თავისთავად შთამბეჭდავია. ამასთან ერთად, ყველაფრის თავიდათავი რობერტ როდრიგესი იყო, ფილმის ერთ-ერთი სცენა კი, თავად კვენტინ ტარანტინომ გადაიღო. ასეთ სურათში მოხვედრას იღბალი სჭირდება! ფრენკ მილერის გრაფიკული რომანების მიხედვით გადაღებული ნამდვილი, ავის მომასწავებელი, ელეგანტური ფილმი-კომიქსი ერთგვარად, რევოლუციურიც კი გამოვიდა. ჯესიკას მიერ განსახიერებული მშვენიერი მსხვერპლის სწორხაზოვანი როლი, ნახატ გმირთა სტანდარტში კარგად ჩაეწერა. სურათს წარმატება ხვდა წილად. კრიტიკოსებმა „ცოდვათა ქალაქი“ საკულტო ფილმად აღიარეს. კინოსურათმა კოლოსალური შემოსავალი მოუტანა მის შემქმნელებს. ჯესიკა ალბას ფოტოსურათებმა ფილმიდან მობილურ ტელეფონებში გადაინაცვლა და როგორც ამბობენ, ეს ფაქტი მსახიობის უდიდესი პოპულარობის უტყუარი ნიშანია. სულ მალე, ჯესიკამ კიდევ ერთ ბლოკბასტერში ითამაშა. ბოევიკში — „ფანტასტიკური ოთხეული“ მსახიობმა უჩინარი ქალის როლი განასახიერა, რომელსაც იოან გრიფიტის გმირთან, მისტერ ფანტასტიკთან აქვს რომანი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯესიკა ალბას კარიერა აღმავლობას განიცდის. ვინ იცის, იქნებ, ეს წარმატება სამსახიობო ტალანტზე მეტად, საკუთარი პერსონის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გამოწვევის განსაკუთრებული უნარის დამსახურებაა?... თავად ჯესიკას ორივე ვერსია აწყობს. ერთადერთი, რასაც იგი კატეგორიულად არ ეთანხმება (ასეთი მოსაზრებაც არსებობს), ის მოსაზრებაა, რომ ჯესი ათასობით კინომაყურებლის კერპად მისმა მშვენიერმა გარეგნობამ აქცია. „დიახ, მე სხეულის მიმზიდველი ფორმები მაქვს, მაგრამ ჩემი სილამაზე არ მიყვარს. გარეგნობის გამო, ზოგიერთები ეჭვობენ, თითქოს სულელი ვიყო, სინამდვილეში კი, საკმაოდ რთული ადამიანი ვარ...“ ■

„ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲡ ᲐᲡᲔ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲠᲐᲒᲝᲛ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ? ᲘᲛᲘᲒᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲔᲨᲘᲜᲘᲐᲗ!“

წყვილი, რომელიც ჯერ არ დაქორწინებულა, უკვე განქორწინებაზე ფიქრობს!

„არამიწიერი“ სიყვარულისა და სრული ნდობის მიუხედავად, მსახიობმა ტომ კრუზმა გადაწყვიტა, რომ კარგი იქნება, თუკი კეიტ ჰოლმსთან განქორწინების შემთხვევაში, საკუთარ მრავალმილიონიან კაპიტალს საიმედოდ დააზღვევს. არადა, წყვილს ცოლქმრული ურთიერთობა ოფიციალურად ჯერ არც კი გაუფორმებია! ამ დღეებში, ტომმა და კეიტმა გააფორმეს წინასაქორწინო კონტრაქტი, რომლის პირობების თანახმად, განქორწინების შემთხვევაში, 27 წლის კეიტი (ახლახან, მან კრუზს ქალიშვილი გაუჩინა), 33 მლნ დოლარსა და კალიფორნიაში მდებარე სახლს მიიღებს. თუმცა, ეს ყველაფერი როდია. კონტრაქტის პირობები მხოლოდ 11 წლის განმავლობაში იმოქმედებს. ამ ვადის გასვლის შემდგომ, განქორწინების შემთხვევაში, კეიტი ჰოლმსს მეუღლის ქონების ნახევარზე ექნება პრეტენზია. ეს ქონება კი, სადღეისოდ 400 მლნ დოლარადაა შეფასებული. ■

კიანუ რიეზი ისევ ოცნემობს

„მატრიცისა“ და სხვა გახმაურებული ბლოკბასტერების ვარსკვლავი კიანუ რივზი თურმე, მეორე ნახევრის პოვნასა და შვილებზე ოცნებობს. პოპულარული მსახიობი თაყვანისმცემლებს მისი პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურებით არასდროს ანებივრებდა. მრავალი წლის მანძილზე, მან პირველად ილაპარაკა იმ ტრაგედიის შესახებ, რომლის დროსაც, მისი მეუღლე დაიღუპა. გულახდილ დიალოგში, კიანუ რივზმა ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის დაუოკებელი სურვილიც გაამხილა.

2000 წელს, მსახიობმა საყვარელი მეუღლე დაკარგა და როგორც თავად ამბობს, მის დაღუპვას დღემდე გლოვობს. მასზე გამუდმებით ფიქრობს. „მწუხარება არ ქრება, ის უბრალოდ, ფორმას იცვლის... მინდა, ცოლ-შვილი მყავდეს, უბრალოდ, ამისთვის დრო მჭირდება“, — ამბობს მსახიობი, რომელსაც პირადი ბედნიერების მოპოვების იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. ■

ჯოან როულინგი მრიცანეთის ცოცხალ მწერალთა შორის, საუკეთესოდ აღიარეს

ჰარი პოტერის შესახებ შექმნილი სერიალის ავტორი, მწერალი ჯოან როულინგი, ბრიტანელებმა ცოცხალ მწერალთა შორის, საუკეთესოდ აღიარეს. ჟურნალის — The Book Magazine ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, შოტლანდიელმა მწერალმა ქალმა უკლებლივ ყველას დიდი უპირატესობით აჯობა და უახლოეს კონკურენტ ტერი პრატჩეტზე სამჯერ მეტი ხმა დააგროვა. მესამე ადგილი იან მაკივანმა დაიკავა, მეოთხე — სალმან რუშდიმ, რომელსაც 1980-იან წლებში, სასიკვდილო განაჩენი თავად აიათოლა ჰომეინიმ გამოუტანა, რის გამოც, ბრიტანეთმა დევნილ მწერალს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. საგულისხმო და მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ გასული წლის, ნობელის პრემიის ლაურეატი (ლიტერატურის დარგში), მწერალი ჰაროლდ პინტერი მხოლოდ მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა. ■

მონაკოს მთავარი და მისი უკანონო შვილები

მონაკოს მთავარმა ალბერტმა კიდევ ერთი ბავშვის მამობა აღიარა. „ჭკვიანი, ლამაზი, გონიერი გოგონა ჟასმინ გრეისი კალიფორნიის ქალაქ პალმ სპრინგსში 1992 წლის მარტში დაიბადა“, — ირწმუნებიან გაზეთ Le Figaro-ს ფრანგი ჟურნალისტები ლენა ლიუტო და ტიბო დრომარი. გასულ კვირას გამოქვეყნებულ წიგნში — „მაღალი მდგომარეობის ფარული მხარე“. მათი მტკიცებით, გოგონა მონაკოს პრინცის და თამარა როტოლოს (1991 წ.) ხანმოკლე სასიყვარულო კავშირის ნაყოფია. ბავშვის დაბადების შემდგომ, დედამ ადგილობრივ სასამართლოს მიმართა და პრინც ალბერტს მამობის აღიარება მოსთხოვა, მაგრამ მოსამართლემ განცხადა, რომ ეს საკითხი მის იურისდიქციაში არ შედის.

ლიუტოსა და დრომარის წიგნში ნათქვამია, რომ ჟასმინ გრეისის და სტიუარდესასთან შეძენილი ალექსანდრეს გარდა, ალბერტს სხვა შვილები არ ჰყავს. პრინცი ალბერტი 2005 წელს, მამის — რენიეს გარდაცვალების შემდგომ, მონაკოს მთავარი გახდა. იმავე წელს მან მამობა აღიარა. ■

პოლ მაკარტნი ცოლს შორდება!

პოლ მაკარტნი ცოლს შორდება! — ამის შესახებ ინტერნეტის ოფიციალურ გვერდზე თავად 63 წლის მომღერალმა განაცხადა: „ჩვენს ცხოვრებაში პაპარაცების ჩარევის ფონზე ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩვენი გზები გაიყარა,

მაგრამ მე და ჰიტერი მუდამ მეგობრებად დავრჩებით“. საგულისხმოა, რომ ამ განცხადებაში მაკარტნი განქორწინების შესახებ არაფერს ამბობს. ჯერჯერობით უცნობია, როდის გაფორმდება ოფიციალურად განქორწინება. მკითხველს შევახსენებთ, რომ პოლ მაკარტნი და ჰიტერ მილზი 2002 წლის ივნისში დაქორწინდნენ. 2003 წლის ოქტომბერში მათ ქალიშვილი ბეატრის მილი შეეძინათ. ■

ელიზაბეტ ტეილორმა სასიკვდილო სენი ტანჯავს?..

ელიზაბეტ ტეილორმა კატეგორიულად უარყო გავრცელებული ჭორები იმის შესახებ, თითქოსდა მან, ალცჰაიმერის დაავადების გამო, მკურნალობის კურსი ჩაიტარა. მსახიობის განცხადების მიზეზი, ამერიკულ ტაბლოიდებში გამოქვეყნებული ინფორმაცია გახდა, რომლის თანახმადაც, მსახიობს სასიკვდილო სენი ტანჯავს და მისი დღეები დათვლილია. ყვითელი პრესის ცნობილი გამოცემა — National Enguirer იუწყება, რომ მსახიობი „ფსიქიკურ დეგრადაციას“ განიცდის. ლარი კინგის ტელეშოუს ამასწინანდელ გამოშვებაში, ტეილორმა ბოროტი ჭორების უარყოფა გადაწყვიტა და როდესაც წამყვანმა სიტუაციის გარკვევა შესთავაზა, უპასუხა: „ღმერთო ჩემო! თავად შემომხედეთ, მიცვალებულს ვგავარ?“ შემდეგ, ყვითელი პრესა საკადრისად შეამკო და განაცხადა, რომ მსგავს გამოცემებში სიბინძურის გარდა, სხვა არაფერი იბეჭდება. „ჩემი ჭეშმარიტი მეგობრები მსგავს სისაძაგლეს არასდროს დამწამებდნენ“. ლარი კინგის შეკითხვას, თუ რატომ სარგებლობს ელიზაბეტი დროდადრო ინვალიდის ეტლით, მსახიობმა დამაჯერებელი პასუხი გასცა: „ამის მიზეზი, ხერხემლის დაავადებაა. ეს ჩემი სუსტი წერტილია. ხერხემლის გამრუდებით დავიბადე, შემდგომ კი, ოსტეოპოროზიც გადავიტანე“. ■

ჯენიფერ ლავ ჰიუიტი Playboy–სთვის არ გაშიშვლდება

ჰოლივუდის ვარსკვლავის — ჯენიფერ ლავ ჰიუიტის თაყვანისმცემელთა საიტებზე გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ჟურნალმა Playboy-მ მსახიობს სპეციალური ფოტოსესიისთვის დიდი თანხა შესთავაზა, მაგრამ ამის შესახებ ჟურნალის რედაქციას ოფიციალური კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

ჟურნალ Playboy-ს მაცდურ წინადადებას, ბრიტანული ტაბლოიდი The Sun ადასტურებს, მაგრამ ამბობენ, თითქოს ჯენიფერმა შეთავაზებაზე უარი თქვა. ერთ-ერთი ვერსიით, მსახიობმა ჟურნალის აგენტებს განუცხადა, რომ მისი მკერდი მხოლოდ მისსავე ტელეშოუს — Ghost Whisperer (ამავე სახელწოდების მრავალსერიიანი ფილმის ტელეშოუ, სადაც მსახიობმა მთავარი როლი ითამაშა) ეკუთვნის, მეორე ვერსიით, მისი უარი ასე ყოლერდა: „ჩემი სხეული მხოლოდ მე მეკუთვნის“.

The Sun-ის კორესპონდენტი, დერეკ რობინსი, ჯენიფერ ლავ ჰიუიტის განცხადების საკუთარ ვარიანტს გვთავაზობს: „ჩემი სხეული სხვათა თვალის დასატკბობად არ გამოიფინება. მჭირდება რაღაც ისეთი, რაც მხოლოდ ჩემი საკუთრება იქნება...“

მსახიობის თაყვანისმცემლები ერთმანეთს იმ უამრავი შეთავაზების შესახებ მოუთხრობენ, რომელსაც კინოვარსკვლავი მის გაშიშვლებაზე მეოცნებე რეჟისორებისა და გამომცემლებისგან იღებს. ჯენიფერის მეგობარი, The Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „ჰიუიტი უსახურმა როლებმა დაღალა, მას მუდამ სიმპათიური გოგონების თამაშს სთავაზობენ. ერთხელ, საუბრისას წამოსცდა, რომ ჟურნალში დაბეჭდილი სექსუალური ფოტოგრაფია იმიჯის შეცვლასა და „საბედისწერო ქალის“ როლის მიღებაში დაეხმარებოდა. ჯენიფერმა იცის, რომ ამგვარი როლების თამაში შეუძლია, მაგრამ ფიქრობს, რომ რეჟისორები და მათი ასისტენტები მის შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებენ“. ■

კრისტინა აგილერა — მერილინ მონროს ახალი ობოლი

უკვე რამდენიმე წელია, პოპის პრინცესა, კრისტინა აგილერა ლეგენდარული მსახიობისა და მომღერლის, მერილინ მონროს სახეს უმოწყალო ექსპლუატაციას უწევს, მაგრამ აქამდე, საქმე აშკარა პლაგიატამდე არ მისულა. ახლა კი... აგილერას უკანასკნელი ფოტოსესია სახელგანთქმული მონროს ფოტოსურათებს ტყუპისცალივით ჰგავს. კრისტინამ მერილინ მონროს პოზები, ტონი, ვარცხნილობა და ფეხსაცმლის ქუსლის ფორმაც კი გადაიღო. იმედია, კრისტინა აგილერა მხოლოდ გარეგნული მსგავსებით დაკმაყოფილდება და მონროს ცხოვრების არაჯანსაღ წესს არ მიჰბაძავს... ■

უტყვი, მაგრამ საოცრად კეთილი და ტალანტი

ექვსი თვის წინ დაკარგული ფარა ნაგაზებმა გადაარჩინეს

თბილისში გამართული ქართული ნაგაზების გამოფენის შემდეგ, უამრავი რესპონდენტი დაგვიკავშირდა. ტელეფონითა და წერილებით მხოლოდ ქართული ნაგაზების შესახებ გვიამბობენ. ამიტომაც ამ საოცარი ძაღლის შესახებ, უამრავი საინტერესო ამბავი შევიტყვეთ. მათგან მცირე ნაწილს გთავაზობთ. ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისთვის, რომ ამ შესანიშნავი არსებებისგან ურთიერთგატანის, სიყვარულის, ვაჟკაცობისა და ერთგულების მაგალითი ავიღოთ.

ეკა ლომიძე

მათ ტყუილად არ ეძახიან მეცხვარეებს

გასული საუკუნის 40-50-იანი წლები უმძიმესი ყოფილა ქართული ნაგაზისთვის. თვითმხილველთა თქმით, რუსები მათ ისე ექცეოდნენ, როგორც თავის დროზე ოსმალები და ყიზილბაშები ქართველ გოგო-ბიჭებს. ძაღლების საუკეთესო ეგზემპლარების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად რუსეთიდან გადმოსხმული კინოლოგთა „დესანტი“ ცნობილი მეცნიერების, ალექსანდრ მაზოვერისა და ალექსანდრ რიაბინინის ხელმძღვანელობით მეცხვარეებს ხვდებოდა, შემდეგ კი სპეციალური ბრიგადა შერჩეულ ნაგაზებს რუსეთის გზას გაუყენებდა ხოლმე.

ერთ დღეს, რიაბინინი კახეთის უდაბნოში, იქ, სადაც ცხვრის ფარის არსებობას არავინ მოელოდა, ძაღლებს წააწყდა. კვალს გაჰყოლია და განცვიფრებულა — ქართული ნაგაზები ხევში ჯურდღლებზე ნადირობდნენ, თანაც ისე, რომ გეგონებოდათ, ძაღლებს მონადირე მართავდა. კინოლოგი სულ გადარეულა, ძაღლებს დაჭერილი ჯურდღელი „ძმურად“

რომ გაუყვიათ და რიაბინინსაც გადაუწყვეტია, მათზე ყველაფერი დაწვრილებით გაეგო. ნახა კიდეც ისეთი რამ, რამაც ქართული ნაგაზისადმი კიდევ უფრო მოწიწებით განაწყო. ძაღლები ტაფობზე გასულან, სადაც ასიოდე სული ცხვარი ახალმონაგებ ბატკანთან ერთად ძოვდა. ფარას სამი ძაღლი დარაჯობდა. ნადირობიდან დაბრუნებულ კიდევ სამს, მომეები შეუცვლია. გათავისუფლებულები სადღაც გაქცეულან. კინოლოგი უკან გაჰყოლია და კვლავ სახტად დარჩენილა — ბომბორებს ისე უნადირიათ, გამოცდილ მონადირესაც რომ შეშურდებოდა. რიაბინინი მიმხვდარა, რომ ძაღლები მეცხვარის გარეშე მწყემსავდნენ ფარას, თავის გამოსაკვებად კი ნადირობდნენ. რიაბინინს მეცხვარეებისთვის ყველაფერი უამბნია. მწყემსებს ტაფობზე გაბნეული ფარა რომ უნახავთ, ყველაფერი გარკვეულა. ექვსი თვის წინ, ზამთრის ქარბუქიან დღეს, ცხვარი გაჰბნევიათ. უამინდობის გამო ძებნაზე ხელი აუღიათ, მაგრამ ძაღლებს არ გაუწირავთ ბედის ანაბარად დარჩენილი ცხვარი. ექვსი ძაღლი დაკარგულა იმ დღეს. სწორედ ის ძაღლები, რომლებმაც რიაბინინი გააოგნეს თავიანთი ერთგულებით, პასუხისმგებლობით, სიმამაცითა და გონიერებით. მეცხვარეებს ვერაფრით აუხსნიათ, როგორ მოახერხეს ძაღლებმა დოლის უდანაკარგოდ „ჩატარება“. ამ ამბავმა დაადასტურა, რომ ამ ძაღლს ტყუილად არ ჰქვია მეცხვარე.

„სოციალისტური შრომის გმირი“ თოფუჩა

ქართული ნაგაზი უბადლო ყოფილა მგელთან ბრძოლაში. ძველი კინოლოგების ჩანაწერების თანახმად, ერთი ნაგაზი ორ მგელს ერევა, მაგრამ თუ კისერზე ე.წ. ჩანგალი უკეთია, სამ-ოთხსაც უმკლავდება. კინოლოგიაში ცნობილი ფაქტია — მხოლოდ ორად ორი ძაღლის ჯიში ერევა მგელს — ქართული და მისი მონათესავე აზიური ნაგაზი. ისტორიას შემოუნახავს ცნობილი ქართული ნაგაზის, სახელად თოფუჩას ამბავი. თოფუჩას ასი მგელი მოუგუდავს, რისთვისაც მისი პატრონისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიუნიჭებიათ. ფაქტობრივად, ეს წოდება ძაღლს მისცეს. იმ დროს მგლის მოკვლა ძნელი ყოფილა, ამიტომაც ერთი მტაცებლის განადგურება 100 მანეთად ფასდებოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, თოფუჩას სახით, როგორი მარჩენალი ჰყავდა ოჯახს. ქართული და აზიური ნაგაზები თურმე დრუნჩით იჭერენ მგელს, ზედა, შედარებით სუსტი ყბის ძვალს კბილით უხვრეტენ, შემდეგ, ყბას მოსტეხენ და ახრჩობენ.



საგანგებოდ გამოყვანილი საბრძოლო ჯიშის ძაღლები კი, ჩხუბის დროს, წესებს არ ცნობენ.

ჯი არ ჩხუბობენ, ჭიდაობენ

ხშირად მსმენია, ძაღლი პატრონს ემსგავსებაო. იქნებ, ამის გამოც არის, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენებურმა ნაგაზმა უნიკალური თვისებები შეიძინა.

მერაბ ჭკუასელი: — არ შეიძლება, ერთხელ მაინც ნახო ქართული და აზიური ნაგაზების ჩხუბი და მათმა სიმამაცემ და ბრძოლის დახვეწილმა ტექნიკამ არ გაგაოგნოს. ამ ძაღლების ჩხუბი ძალიან ჰგავს სპორტულ შეჯიბრებას, თუნდაც — ჭიდაობას. ძაღლები წესების დაცვით ჩხუბობენ. თუ რომელიმე ჩხუბის წესს დაარღვევს, ისჯება. დამარცხებული, დანებების ნიშნად, კბილს კბილზე დაარტყამს. ამაზე თუშეთში იტყვიან: მაამგლიანაო. გამარჯვებული კი, თავდახრილი ტოვებს ბრძოლის ველს, თითქოს უბოდიშებს დამარცხებულს — რა ვქნა, მეც ხომ გამარჯვებისთვის ვიბრძოდიო.

ბევრმა ძაღლის პატრონმა არ იცის ნაგაზების ჩხუბის წესები და როცა გამარჯვებული რაინდი ბრძოლის ველს თავდახრილი ტოვებს, ჰგონიათ, დამარცხებულის კბილის დაკაპუნებამ შეაშინაო და ძაღლს ისევ ბრძოლის ველზე აბრუნებენ, რაც ძალზე დიდი შეცდომაა — დამარცხებული ყველაფერს იღონებს წესების დამრღვევის (ანუ ფაქტობრივად გამარჯვებულის) გასაფუჭებლად. კბილს ისეთ ადგილზე დაარტყამს, რომ შეიძლება მეტოქე სამუდამოდ დაინვალიდოს.

საგანგებოდ გამოყვანილი საბრძოლო ჯიშის ძაღლები კი, ჩხუბის დროს, წესებს არ ცნობენ. მათი ჩხუბი სასტიკ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას ჰგავს.

ტორიმ ჩვილი გაყინვას გადაარჩინა

ქართულ ნაგაზს რუსები ძიძას უწოდებენ და თამამად ანდობენ ბავშვებს. ჩვენებური ნაგაზი უბადლო მზრუნველი ყოფილა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ჩვილთან ერთად სვანეთში წასულა სამუშაოდ. იმ წელს მძიმე ზამთარი დამდგარა. შუშა იმდენად ცოტა ჰქონდათ, დღისით ძლივს ჰყოფნიდათ. „ღამით, ათას რამეში ვიფუთნებოდით, მაგრამ სიცივე მაინც ძვალსა და რბილში ატანდა. მხოლოდ ჩვენს პატარას ვერაფერს აკლებდა ზამთრის სუსხი. ბავშვს დავაწვენდით თუ არა, ჩვენი ნაგაზი ტორი გვერდით მიუწვებოდა და გათენებამდე არ ტოვებდა. ზამთარი ისე გავიდა, ბავშვს სურდოც კი არ დამართვია. საოცრად გონიერი იყო. როდესაც მოკვდა, ადამიანივით დავიტირეთ. 15 წელი იცოცხლა“, — გვწერენ წერილში, რომელშიც სამწუხაროდ, ავტორის ვინაობა დასახელებული არ არის.

აფხაზეთიდან ჭუბერის უღელტეხილზე გადმომავალი ერთი ლტოლვილი ქალი ღამის გასათევად კლდის ნიშში შესულა: „მახსოვს, კბილს კბილზე ვაცემინებდი. ღმერთს ვეხვეწებოდი, მალე დამძინებოდა, რომ მშვიდად წავსულიყავი ამ ქვეყნიდან. ბურანში ვიყავი. უცებ ვიგრძენი, რომ ძარღვებში სისხლი გამითბა. მეგონა, ვკვდებოდი და ამიტომ მქონდა ასეთი განცდა. თვალები გავახილე. უზარმაზარი ნაგაზი ამკვროდა. ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი-მეთქი, ვუთხარი და ჩავეხუტე ძაღლს. გაღვიძებულმა საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. ძაღლი აღარსად ჩანდა, იქვე კი დიდი პური იდო. ამ ამბის შემდეგ, უპატრონო ძაღლშიც კი ჩემს მხსნელს ვხედავ და ვცდილობ, მას ვუპატრონო იმ სიკეთის წილ, რომელიც ოთხფეხა, უტყვი, მაგრამ საოცრად კეთილი და გონიერი არსებისგან მერგო“. — სამწუხაროდ, ამ წერილის ავტორის ვინაობაც უცნობია.

ორმოცდაათი წლის წინ, თუშეთში, კლდეზე გადაჩეხილა მეცხვარე. დამტვრეულ-დალეწილს თითქმის ორი კვირა უცოცხლია. ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ მოშორებია ერთგული ნაგაზი. როდესაც პატრონი გარდაიცვალა, ძაღლმა მხოლოდ მაშინ დატოვა და მეცხვარეების მოსაძებნად წავიდა. 10-15 კილომეტრი გაიარა ფარეხამდე. მერე ერთ-ერთ მეცხვარეს კალთაში პირი ჩაავლო და ანიშნა, გაჰყოლოდა... ძაღლი მიცვალებულს დაკრძალვამდე არ მოშორებია. იმ ხნის განმავლობაშიც არაფერი უჭამია. დაკრძალვის შემდეგ კი, საღამოს, პატრონის საფლავზე დალია სული...

რაღა დაგიმალოთ და ძალიან გამიჭირდა ამ სტატიაზე მუშაობა. ყელში უზარმაზარი გორგალი გამეჩხირა და ერთი სული მქონდა, წერა დამემთავრებინა. არადა, კიდევ ბევრი დამრჩა სათქმელი.

■

Lada Revolution III

ტოლიატის ფირმა — Lada-sport — ჩვეულებრივი ტრასებისთვის განკუთვნილი ორადგილიანი სპორტული სუპერმანქანის წარმოებას აპირებს. ცხადია, რუსეთის ნაციონალური სარბოლო სერიის გამოშვებაზე ლაპარაკი არ არის — უბრალოდ, ტოლიატში, კუპეს ძარის მქონე „სამოქალაქო“ ავტომობილის შექმნის იდეაზე ფიქრობენ.

პროექტის ავტორთა თქმით, მას სამამულო აგრეგატების ბაზაზე ააგებენ, თუმცა, იმ ტექნიკური ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც უკვე ცნობილია, Revolution-ის დასამზადებლად, იმპორტულ კვანძებსა და ნაწილებსაც გამოიყენებენ — მაგალითად, მოჭიდების მექანიზმსა და წინა მუხრუჭებს.

მთავარი ამ მანქანაში, 380 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავაა. Lada Revolution უკანაამძრავიანია, აღჭურვილია 6-საფეხურიანი ე.წ. სეკვენტური გადაცემათა კოლოფით, საჭის კონსტრუქციაში კი, ელექტროჰიდროგამაძლიერებელია გამოყენებული. ■

Peugeot 407 ახალ ვარიანტს გვთავაზობს



ევროპელ ავტომოყვარულთათვის განკუთვნილი ვარიანტების რაოდენობას კიდევ ერთი შეემატა: ამიერიდან, მომხმარებლებს, 407-ე სერიის ბენზინისძრავიან მოდიფიკაციებთან ერთად, დიზელისაგრეგატიანსაც შესთავაზებენ. 2.2HDI-ძრავიანი „პეჟო-407“, როგორც სწრაფი სიარულის მოყვარულ, ასევე მომჭირნე ადამიანებს მოუვათ თვალში: მისი სიმძლავრე 170 ცხ.ძ-ს შეადგენს, ხოლო საწვავის ხარჯი — 100 კმ გარბენზე სულ 6,1 ლ-ს.

ძრავა ფრანგულმა კომპანიამ — PSA PeugeotCitroen — ამერიკული „ფორდის“ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა. მანქანა აღჭურვილია 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით. მისი მაქსიმალური სიჩქარე 225 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კმ/სთ-ს 8,7 წმ-ში ავითარებს. ■

ისტორიის მანძილზე უმძლავრესი „მუსტანგი“

კომპანიამ — Ford Motor Co. — მოდელის — Shelby GT500 — ფასები გამოაცხადა. ავტომოყვარულთა ფართო წრე დიდი ხანია, ელოდა ამ მოდელს. კუპე მწარმოებელმა 43 ათას დოლარად შეაფასა; საინტერესოა, რომ მასში, აშშ-ის ნებისმიერ წერტილში მისი გაგზავნაც შედის. რაც შეეხება კაბრიოლეტს — ის მომხმარებელს 47.800 დოლარი დაუჯდება. ექსპერტთა შეფასებით, დემოკრატიული ფასებით განებივრებულ ამერიკელთათვისაც კი, ახალი „ფორდი“ საკმაოდ იაფი ღირს. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჯერ კიდევ ოფიციალური ცნობის გავრცელებამდე, ამ მოდელის ფანები დილერებს 20 ათასით მეტს სთავაზობდნენ, ოღონდაც, მისი პირველი მფლობელები გამხდარიყვნენ. ბედნიერი მომხმარებლები Shelby GT500-ის საჭეს უკვე ივლისში მიუსხდებიან, ხოლო წლიური ტირაჟი — 8-10 ათასს მიაღწევს.

Shelby GT500 — XX საუკუნის 60-იან წლებში სახელგანთქმული Shelby Mustang-ის „მემკვიდრეა“ და „მუსტანგის“ ისტორიაში უმძლავრესი იქნება. ის V ტიპის, 5,4 ლ მუშა მოცულობისა და 500 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავათია აღჭურვილი. საავტომობილო სპორტის დიდოსტატმა, კეროლ შელბიმ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა GT500-ის შემუშავებაში, ძალზე მარტივად თქვა ამ მანქანის შესახებ: „ის იდეალურია და მასში გასაუმჯობესებელი აღარაფერი დარჩა. მისი შემუშავების დროს, თანამედროვე Shelby Mustang სწორედ ისეთი წარმომედგინა, როგორიც გამოვიდა“.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ამ მანქანას თითქოსდა არ ესაჭიროება რეკლამა, კომპანია ამ საქმისთვის დიდძალი თანხის გაღებას აპირებს. ერთ-ერთი პრომო-აქცია უკვე დაწყებულია: სულ ახლახან, GT500 ტრანსკონტინენტურ გადარბენაში გაამგზავრეს, რომელიც სექტემბერში დასრულდება. ■

ბოდვითობა

შიო გვეტაძე

მათე ჩარგიევი — იგივე საშკა ჩერქეზი საპატიმროდან გაქცევის მცდელობის დროს მძიმედ დაჭრისა და სასწრაფო ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, გამომძიებელ ლევან მინდელს თავისი ცხოვრების ამბავს უყვება.

მისი ყველა უბედურება 1937 წლის 10 იანვარს დაიწყო: თამაზის (ასე ჰქვია ჩერქეზს სინამდვილეში) დაბადების დღეს, ღამით, მის ოჯახში „ჩეკისტები“ მივიდნენ და დედ-მამა წაიყვანეს. მეორე დღეს კი, კვლავ „ესტუმრნენ“, ყველაფერი, რაც ებადათ, ჩამოართვეს და, მცირეწლოვან დასთან ერთად, სხვა ბინაში გადაიყვანეს. სასოწარკვეთილ ბიჭს, რომელიც თავდაპირველად, მშობლების უდანაშაულობაში დარწმუნებული იყო, ამაშიც შეეპარება ეჭვი... სკოლაშიც ბევრი ამხანაგი მას, როგორც „ხალხის მტრის შვილს“, ზურგს შეაქცევს. ერთ დღეს კი, თანაკლასელი გაიოზი, გაზეთს მისცემს და ეტყვის — წაიკითხე, შენთვის საინტერესო წერილს ნახავო...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-24)

...მაშინვე ვიგრძენი, თუ როგორ ჩამწყდა მკერდში რაღაც, თვალთ დამიბნელდა... ბოლოს, მოვახერხე ძალის მოკრება და წერილი ბოლომდე წავიკითხე.

გაზეთი მკითხველებს მოუთხრობდა საშიშ დამნაშავეთა ჯგუფზე, რომელიც მამაჩემის ხელმძღვანელობით, თურმე, ხანგრძლივი დროის მანძილზე, დაუსჯელად აფათურებდა ხელს სახელმწიფოს ჯიბეში და უკვე მოესწრო რამდენიმე ათეული ათასი მანეთის მითვისება. წერილში ლაპარაკი იყო ბოროტმოქმედთა საქმიანობაზე, სახელმწიფო თანხების დატაცების მის მიერ გამოყენებულ მეთოდზე და მთავრდებოდა მოწოდებით, სასტიკად დაესაჯათ დამნაშავენი...

წერილმა გამაოცა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე გაოგნებული. როდესაც გამოვერკვიე, დავინახე — გაიოზი და მას აყოლილი რამდენიმე ბიჭი გარს შემომხვეოდნენ და ბოროტად შემომცქეროდნენ.

ნელა წამოვდექი მერხიდან და, ბიჭების გესლიან ხარხარში, თავდახრილი უკანმოუხედავად წავლასლასდი კარისკენ. კლასიდან გასულმა, ნაბიჯს ავუჩქარე და ბოლოს, გავიქეცი...

ორი დღე სახლიდან არ გავსულვარ, ასე მეგონა, საკმარისი იყო, ხალხში გამოვჩენილიყავი, რომ მაშინვე შემომესეოდნენ ნაცნობები თუ უცნობები და გაიოზის მსგავსად, მასხრად ამიგდებდნენ...

მესამე დღეს, გამომძიებლის სანახავად წავედი. საშვი კანცელარიის გამგემ დაუშვა. მთელი დღე ველოდე, მაგრამ გამომძიებელი არ გამოჩენილა. უკვე სამუშაო საათები მთავრდებოდა, როდესაც დერეფანში ვიღაც შუახნის მამაკაცი გამოვიდა და მკითხა, ვის ველოდი. გამომძიებლის გვარი დავუსახელე.

„რა გინდა მასთან?“ — კუშტად შემეკითხა უცნობი. ვუთხარი ვინ ვიყავი და რა მინდოდა გამომძიებელთან.

უცნობმა ოთახში შემიპატიჟა, რაღაცრაღაცები გამომკითხა და შემდეგ ცივად მომიგო:

„თქვენმა მშობლებმა მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, სამართლიანად იქნნენ დაპატიმრებულნი და სათანადო სასჯელსაც მიიღებენ; სხვა დროს აქ აღარ მოხვიდეთ, საჭირო არ არის. თქვენ თანამედროვე ახალგაზრდა ხართ და უნდა გესმოდეთ, რომ ისეთი მშობლები, რომლებიც ხელს უშლიან ახალი ცხოვრების აშენებას... ზიზღის ღირსი არიან მხოლოდ“.

„კი, მაგრამ გამომძიებელი...“

„არავითარი „მაგრამ“. ამ საქმის გამომძიებელი ახლა მე ვარ, ხოლო ის, ვისთანაც თქვენ დადიოდით, უკვე მოხსნილია და ველარ ნახავთ, გასაგებია?“

„მოხსნილია?! რისთვის?“

„ეგ თქვენი საქმე არ არის! — ცივად მომიგო უცნობმა. შემდეგ საშვზე ხელი მომიწერა და დასძინა: — ახლა წადით, გამოძიება ალბათ, მალე დამთავრდება, მანამდე კი, ჩემთან აღარ მოხვიდეთ. არ მიგიღებთ, არც რაიმე ცნობას მოგცემთ“.

...იმ დღიდან, ჩვენი ცხოვრება მოლოდინის გრძელ, გაუთავებელ ჯაჭვად იქცა. ყველაფერი შეიცვალა — ხალხიც, გარემოც; სკოლაში ყველა ამხანაგი ჩამომშორდა, თუ რომელიმე დამელაპარაკებოდა — მხოლოდ იმისთვის, რომ ზიზღით შეეხსენებინა ჩემი მშობლების დანაშაული... მასწავლებლებსაც ჩემ მიმართ ცივი დამოკიდებულება დაეტყოთ. სწავლას გულს ვეღარ ვუდებდი და ჟურნალში ჩემი გვარის გასწვრივ, ჯერ სამიანები გაჩნდა, შემდეგ კი — ორიანებიც მომრავლდა...

ერთადერთი, ვისაც ჩემი უბედურების დღეებში არ მივუტოვებივარ, ციალა იყო. ხშირად დადიოდა ჩვენს ახალ ბინაში, მამხნევებდა, ეკას ეფერებოდა, ხანდახან, ბინასაც გვილაგებდა და დეიდის ფულით ნაყიდი პროდუქტით კერძს გვიმზადებდა.

ასე გავიდა ორი თვე. ერთ დღეს, ციალა სკოლაში არ მოვიდა. გადავწყვიტე, შინ მიმეკითხა, მაგრამ ვერ გავბედე — ყველასაგან ათვალწუნებულს, შემეშინდა, სახლიდან არ გამოვეგდე მის მშობლებს. ისევ დაცდა ვამჯობინე. მაგრამ ციალა არც მეორე დღეს გამოჩნდა. ახლა კი, ვეღარ მოვითმინე და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, პირდაპირ მასთან წავედი.

კარი საშუალო ასაკს გადაცილებულმა ქალმა გამიღო, რომელსაც ტირილისა თუ უძილობისგან თვალები დასივებოდა. მორიდებით ვიკითხე ციალა. უხმოდ შემიძღვა პატარა ოთახში.

ციალა ტახტზე იწვა. დამინახა თუ არა, ტირილი აუვარდა. ჩემთვის უცნობი ქალიც აქვითინდა. ვერაფერს მივხვდი, სალამიც ვერ მოვახერხე. შუა ოთახში უხერხულად გაჩერებული, ხელში ქუდს ვჭმუჭნიდი და დაბნეული შევცქეროდი ხან ერთს, ხან — მეორეს. ბოლოს, გონს მოვეგე და ტახტს მივუახლოვდი.

„რა მოხდა, ციალა?“ — შევეკითხე.

ციალამ უფრო უმატა ქვითინს, ტირილი ისტერიკად გადაექცა, ხანში შესული ქალი დაფაცურდა, რაღაც წვეთები დაალევინა, შემდეგ, მოეხვია და შეეცადა, დაემშვიდებინა.

საკმაო დრო გავიდა, ვიდრე ციალა ცოტათი მაინც დაწყნარდებოდა. მერე კი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიამბო, რომ ორი დღის წინ, მამამისიც — ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი — დაეპატიმრებინათ.

„ახლა მე შენზე უარეს დღეში ვარ, თამაზ!“ — დაამთავრა ციალამ და კვლავ ტირილი აუვარდა.

მოულოდნელობისგან გავშეშდი.

„დაჯექი, შვილო. თქვენზე ბევრი რამ მიამბო ციალამ“, — ჩამესმა ქალის ხმა. მისკენ უაზროდ გავიხედე.

„ჩემი ბებიაა, თამაზ, სოფლიდან ჩამოვიდა. დედა, მამის ამბის გასარკვევად წავიდა“, — გამაცნო ციალამ ბებია.

უხმოდ ჩამოვჯექი. მინდოდა, რაღაც მეთქვა, ციალა და მისი ბებია მენუგეშებინა, მაგრამ ენა ვერ მოვაბრუნე, სიტყვა ვერ დავძარი. აზრწართმეული, სულ მთლად დაბნეული, უხმოდ შევცქეროდი

ორივეს.

გვიან ღამით დავტოვე ციალას ბინა. ჩემს გულში მბჟუტავი უკანასკნელი სანთელიც ჩაქრა. ახლა თვითონ ციალას სჭირდებოდა გამხნევება და ნუგეშისცემა.

იმ დღეს, დეიდასთან დავრჩი. მთელი ღამე უძილოდ გავატარე, არც დეიდა თამარს ეძინა, მასზე მძიმედ იმოქმედა ციალას მამის დაპატიმრებამ.

დილით, გვიან ავდექი, უხალისოდ წავედი სკოლაში. პირველ გაკვეთილზევე ორიანი მივიღე. გულგრილად მოვისმინე მასწავლებლის საყვედური, რასაც ჩემთვის კარგა ხანია, დაკარგული ჰქონდა მნიშვნელობა...

ციალა მესამე გაკვეთილზე გამოჩნდა, ძალზე მოწყენილი და დანაღვლიანებული. საოცარი ის იყო, რომ უფრო ლამაზი და მიმზიდველი მომეჩვენა. უხმოდ ჩამოვართვი ხელი.

„თამაზ, ამ საღამოს უეჭველად მოდი, აუცილებელი საქმე მაქვს“, — წყნარად მითხრა მან და ნაღვლიანად შემომხედა.

„მოვალ, ციალა“.

რამდენიმე წუთი ვილაპარაკეთ, მაგრამ არც ერთს არ გვიხსენებია მშობლები...

ციალა წავიდა. მეც აღარ დავრჩენილვარ, ბოლო ორი გაკვეთილი მივატოვე და სახლში წავედი.

საღამოს 6 საათზე, ციალასთან ვიყავი. დედა-შვილი ბარგს კრავდა. თავზარი დამეცა — მივხვდი, რომ თბილისს ტოვებდნენ.

ჩემმა გამომეტყველებამ ალბათ, ყველაფერი უთხრა ციალას. მკლავში ხელი მომკიდა, გვერდზე გამიყვანა და მითხრა:

„თამაზ, მე და დედას თბილისში ცხოვრება გაგვიჭირდება. გადავწყვიტეთ, სოფელში წავიდეთ, ბაბუასთან, დედა-ჩემის მამასთან... წინ უნდა გავიხედოთ, ცხოვრებას შევეჭიდოთ და თვითონვე მოვაწყოთ ჩვენი მომავალი. თუ მამა უდანაშაულოა, გამოუშვებენ, თუ არა და, მშობლების ცოდვას ჩვენ არ მოგვკითხავენ. გავა დრო, გავიზრდებით, შრომაში ჩავებმებით, ხალხი ჩვენი შრომით დაგვაფასებს და საზოგადოებაში ჩვენთვისაც აღმოჩნდება ადგილი. შენ ჩემზე ნაკლებ როდი გესმის, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს უფრო მეტი მოეთხოვება. ხომ გესმის თამაზ?“

„მესმის, ციალა, მაგრამ...“

„კარგი, ნუღარ გააგრძელებ. ჩვენ ამ საკითხზე ცოტა უფრო გვიან მოვილაპარაკებთ. აი, ბარგს შევკრავთ, დედა და ბებია სხვაგან მიდიან და რამდენიმე საათი მარტო ვიქნებით, კარგი?“

თანხმობის ნიშნად, თავი დავუქნიე.

ერთი საათის შემდეგ, მცირე ბარგი უკვე შეკრული იყო. ციალას დედა და ბებია წავიდნენ, ჩვენ მარტონი დავრჩით.

ვდუმდით. ტახტზე ჩამომსხდარნი შევცქეროდით ერთმანეთს. ლაპარაკის დაწყება გვიჭირდა. თავდახრილი ციალა სუფრის ფოჩებს წეწავდა, ნავთქურაზე ჩაიდანი შიშინებდა, ეზოდან ბავშვების ჟრიამული ისმოდა, ადრიანი გაზაფხულის ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად ბრჭყვიალებდა ფანჯრის მინებზე.

„ციალა!“ — დავარღვიე სიჩუმე.

„გისმენ, თამაზ!“ — თავაუღებლივ მიპასუხა ციალამ.

„როდის მიდიხართ?“ — შევეკითხე ანგარიშმიუცემლად და თვითონვე შემრცხვა ჩემი კითხვის, იმდენად სულელურად მომეჩვენა იგი.

„ხუთი საათის შემდეგ. მატარებელი თორმეტზე გადის, თამაზ...“

„ამაღამ?“ — თითქმის შევყვირე.

ციალამ თავი ასწია, თბილად შემომხედა და ნაღვლიანი ღიმილით დამიქნია თავი.

„რას ამბობ, ციალა? ამაღამ, ასე მოულოდნელად?!“

„ასეა საჭირო, თამაზ“, — ჩაიჩურჩულა.

„საჭირო? მერე, მე?.. მე რა მეშველება უშენოდ, ნუთუ არ იცი, რომ შენ და ეკაღა ხართ ერთადერთი სანთელი ჩემს დაბნელებულ გულში!“

ციალა ნელა წამოდგა, ბავშვივით გადამისვა თავზე ხელი, შემდეგ გვერდით მომიჯდა და წყნარად მითხრა:

„ვიცი, თამაზ. მეც ძალიან მიჭირს შენთან განშორება, ამდენი ხნის მეგობრობის შეწყვეტა, მაგრამ...“

„მეგობრობის და მეტი არაფრის?..“

ციალამ არ მიპასუხა.

„ციალა! — შევძახე გახელებით, — მე...“ — ვერ ვბედავდი, მეთქვა, ჩემს თავსაც არ ვუმჟღავნებდი, რომ გაგიჟებით...

მან ხელი ამაფარა ტუჩებზე, სიტყვა შემაწყვეტინა. შემდეგ, ალერსიანი ხმით მითხრა:

„ნუ, თამაზ, არ არის საჭირო. მე ყველაფერი ვიცი, დიდი ხანია, მივხვდი... გახსოვს, 10 იანვარი?.. ვინ იფიქრებდა, რომ ასე შემობრუნდებოდა ჩვენი ცხოვრება?! რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, თამაზ!..“

„ციალა, მაშ, ყველაფერი დამთავრდა?“ — შევძახე სიმწრით.

„არა, თამაზ, არ დამთავებულა! პირიქით, ყველაფერი წინ არის, მაგრამ ჯერ ბავშვები ვართ და ცხოვრებაში ბევრი სიძნელის გადალახვა მოგვიწევს. ვარდისფერი ხანა დამთავდა. ახლა უნდა შევებრძოლოთ ცხოვრებას და საკუთარი ძალით მოვიპოვოთ ბედნიერება“.

„ჩვენ მას ვიპოვით, ციალა, თუ შენ... შენ ჩემთან იქნები და არ მიმატოვებ!“

ციალა ცოტა ხანს დუმდა, მერე ნაზად გამიღიმა.

„თამაზ, მე შენ დღეს იმიტომ დაგიბარე, რომ ბევრ რამეზე მოგელაპარაკო. ადრეც ვფიქრობდი, მაგრამ მეშინოდა, ცუდად არ გაგეგო, არ გაჯავრებულიყავი. დღეს კი... დღეს, ჩვენი ერთნაირი მდგომარეობა მაძლევს ამის უფლებას... მისმენ თამაზ?“

„გისმენ, ციალა!“

„მე არ მომეწონა შენი ქცევა. უკვე ვაუკაცი ხარ, ბევრი რამ მოგეთხოვება. ჩვენ არც ერთი არ ვაგებთ პასუხს მშობლების მოქმედებაზე, თუ ისინი დამნაშავენი არიან. მაგრამ შეიძლება, ეს შეცდომაც იყოს და ყველაფერი კარგად დამთავდეს. შენ კი, რას აკეთებ, თამაზ?.. აი, უკვე ორი თვეა, აღარ სწავლობ, ფრიადოსანი — ოროსანთა რიგებში აღმოჩნდი. მოეშვი, ცხოვრებასთან ბრძოლაზე ხელი აიღე, თვითდინებას მიჰყევი, თითქოს შენთვის ყველაფერი სულერთი იყოს. განა ეს კარგია?!“

„რა ვქნა, ციალა, განა, მე მინდა?! მაგრამ ვეღარ გავუძელი. ყველაფერი ეს ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა და გამტეხა!“

„არა, თამაზ, აქ გაძლება არაფერ შუაშია. ნებისყოფაა საჭირო, სიძნელეს დაძლევა უნდა. ქედის მოხრა, ბრძოლაზე ხელის აღება — ლაჩრობაა. განა, შენ ლაჩარი ხარ?!“

„ციალა, მე ეს სილაჩრით არ მომსვლია. შენ გარდა, ყველამ ზურგი შემაქცია, ამხანაგები ზიზღით მიცქერენ, მასწავლებლებიც... ვის რა დავუშავე?!“

„ისინი მართლები არიან, აქ საკვირველი არაფერია — ეს უნდა გესმოდეს, თამაზ!“

„მესმის, ციალა. შენ თითქოს მართალი ხარ, მაგრამ ეს ისე ძნელია, ისე მწარე, რომ...“

„ჰო, ძნელია, ვიცი. შენ

გგონია, მე არ მიყვარს მამა?“

„თამაზ! მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს... — ციალას ხმა აუთრთოლდა, შემდეგ, მოწოლილი ცრემლები ჩაყლაპა და განაგრძო: — მაგრამ თუ... უნდა შევურიგდეთ მწარე სინამდვილეს...“

ორივენი გავჩუმდით. ოთახში სინათლე გაიცრიცა, ჩრდილები დაგრძელდა, შეუმჩნევლად წამოგვპარვოდა ღამე. მე ციალას ხელი მეჭირა, ნაზად ვეალერსებოდი და იმ წუთში, მხოლოდ იმას ვნატრობდი, სადმე შორს, ადამიანისათვის მიუწვდომელ ადგილას გავფრენილიყავით, სადაც არავის არ ეცოდინებოდა ჩვენი მშობლების ამბავი.

„თამაზ!“ — დაარღვია სიჩუმე ციალამ.

„გისმენ, ციალა!“

„რაღაც უნდა გთხოვო, თამაზ, და შემპირდი, რომ უსათუოდ შემისრულებ“.

„თქვი, ციალა!“

„შენ უნდა ისწავლო, თამაზ, უნდა ისწავლო! კიდევ ორი თვე და გამოცდები დაიწყება. უნდა შეძლო ატესტატის აღება. საშუალოდამთავრებულს კი, აღარაფერი გაგიჭირდება. შეიძლება იმუშაო და ისწავლო კიდეც. დრო მალე გავა, 4-5 წელიწადში, უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებ, დამოუკიდებელი კაცი გახდები. ყველაფერი კარგად იქნება. მპირდები, თამაზ?“

„გპირდები, ციალა! ვისწავლი, ყველაფერს დავძლევ, ყველაფერს მოვერევი, თუ შენ...“

„კარგი, თამაზ, ვიცი. ნუ იტყვი, არ არის საჭირო...“

„ბოლომდე მომისმინე ციალა“.

„არ არის საჭირო, თამაზ. მე ვიცი, რაც უნდა მითხრა. ისწავლე, თამაზ, და... მელოდე!“ — უკანასკნელი სიტყვა ციალამ წყნარად, ჩურჩულით წარმოთქვა და თავი მხარზე დამადო.

მეტი არაფერი გვითქვამს. ეს იყო ჩვენი სიყვარულის გამოცხადებაც, ფიციც და იმწუთას მწამდა — ჩვენი განშორება არავითარ ძალას აღარ შეეძლო...

სადგურზე ერთად წავედით. ციალა ძალზე მოწყენილი იყო, მაგრამ ცდილობდა, ჩემთვის არ შეემჩნევინებინა. ბაქანზე ვიღაც ბიჭუნა ადრეულ იებს ყიდდა. ციალამ ფული გაუწოდა, ნაღვლიანად გაიღიმა.

„მიყვარს იები“, — მითხრა და კონა ქინძისთავით მკერდზე დამიმაგრა.

„ეს როგორ?! — გავიღიმე ნაძალადევად, — ნაცვლად იმისა, რომ მე მომერთმია თაიგული, პირიქით, იებს შენ მთავაზობ?“

„ჩემგან სახსოვრად გქონდეს, თამაზ“, — ჩაიჩურჩულა ციალამ.

მატარებლის გასვლამდე, ბაქანზე ვიდექით, განვლილ ბედნიერ დღეებს ვიხსენებდით. ვლაპარაკობდით ყველაფერზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოგვცდენია ჩვენს იმჟამინდელ მდგომარეობაზე, არ გვინდოდა, განშორების უკანასკნელი წუთები მოგვწამვლოდა.

...მატარებელი დაიძრა. ციალა ვაგონის კარში იდგა და ხელს მიქნევდა. ნელ-ნელა გავყევი მიმავალ მატარებელს, შემდეგ, სირბილზე გადავედი და დიდხანს, ვიდრე უკანასკნელმა ვაგონმა არ ჩამიქროლა, მივდევდი ჩემს პირველ და უკანასკნელ სიყვარულს...

მარტო დავრჩი. მატარებელი თვალს მიეფარა, ბაქანი დაცარიელდა, მე კი ვიდექი... ვიდექი... შემდეგ, მკერდიდან იების კონა მოვიხსენი, ხელში დავიჭირე, ქინძისთავი სათუთად შევინახე ჯიბეში და დამძიმებული გულით წამოვედი სადგურიდან.

ის ღამე თეთრად გავათენე. ბევრი ვიფიქრე. ბოლოს გადავწყვიტე, ყურადღება აღარ მიმექცია სკოლაში ჩემდამი ამხანაგების დამოკიდებულებისთვის და მესწავლა: მე ხომ ციალას, ჩემს ციალას დავპირდი!

გავიდა კიდევ ორი თვე. ციალა ყოველ კვირას მიგზავნიდა წერილს. სკოლაში ნიშნები გამოვასწორე, ნელ-ნელა შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას.

მშობლების საქმე ჯერ ისევ გამოძიებაში იყო, იმედი მომეცა. ეკა ხშირად კითხულობდა მშობლებს, მაგრამ ვარწმუნებდი — მივლინებაში არიან და ჯერ ვერ ჩამოვლენ-მეთქი.

20 მაისს, პირველი გამოცდა გვქონდა. ჩავაბარე, სახლში გახარებული მივედი. იმ დროს, დეიდასთან ვცხოვრობდით. დეიდა შინ არ დამხვდა. ეკა ტახტზე იწვა, თვალები დაეხუჭა და მძიმედ სუნთქავდა.

„ეკა, რა მოგივიდა?“ — შევძახე და საწოლთან მივვარდი.

არ მიპასუხა.

„ეკა, შემომხედე, ეკა!“ — მივმართე მუდარით და ხელი შევახე.

ბავშვს ლოყებზე ალმური ასდიოდა. ელდა მეცა, საწოლთან დავიჩოქე.

„ეკა, შემომხედე, გენაცვალე! მე ვარ, შენი ძამიკო“, — მივეფერე, ცეცხლივით ანთებული ლოყები დავუკოცნე.

ეკამ ძლივს გაახილა თვალები, უაზროდ შემომხედა, შემდეგ ისევ დახუჭა.

„მიშველეთ!“ — ვიყვირე გიჟივით.

ოთახში მოხუცი მეზობელი ქალი შემოვარდა.

„მიშველეთ, დეიდა, ეკა ძალიან ცუდად არის!“ — შევევედრე მას.

„რა მოუვიდა? — შეშფოთდა კეთილი მეზობელი. სულ ორი საათიც არ იქნება, რაც აქ თამაშობდა. — მოხუცი საწოლთან მივიდა, ეკას შუბლზე ხელი დაადო. — ჩქარა, ექიმი!“

კისრისტეხით გავვარდი ოთახიდან. იქვე ახლოს ექიმი მეგულებოდა. დავრეკე. კარი გამიღეს თუ არა, უკითხავად შევვარდი ოთახში.

„მიშველეთ, ექიმი!“ — მივმართე შეშინებულ ქალს.

ნახევარი საათის შემდეგ, ექიმი ეკას საწოლთან იდგა და ბავშვს გულდასმით სინჯავდა.

მე, მეზობლის მოხუცი ქალი და დეიდა, რომლისთვისაც ტელეფონით შეეტყობინებინათ ეკას ავადმყოფობა, შეშფოთებული შევცქეროდით ექიმს.

ექიმი დიდხანს სინჯავდა ავადმყოფს, შემდეგ წამოდგა.

„საშიშია რამე?“ — შეეკითხა შეშინებული დეიდა.

ექიმი ერთხანს დუმდა, შემდეგ მძიმედ წარმოთქვა:

„მდგომარეობა სერიოზულია: მარჯვენა ფილტვის ანთება აქვს“.

მეხივით დამეცა ექიმის ნათქვამი: ფილტვების ანთება! ერთი წუთით ოთახი დატრიალდა, შემდეგ, თითქოს ვიღაცამ მძიმე ურო დამკრა თავში, თვითონვე გავიგე ჩემი იატაკზე დაცემის ხმა და გონი დავკარგე...

როდესაც თვალები გავახილე, პირველად, მტირალი დეიდაჩემი დავინახე, ქაფურის მწვავე სუნი ვიგრძენი.

„როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო, ასე წახდენა?! — მკაცრად მითხრა ექიმმა. — ავადმყოფს საშიში არაფერი სჭირს, თქვენ კი... ეგ რა მამაკაცის საქციელია?!“

შემრცხვა. „მართლაც, იმის მაგიერ, რომ ეკას მივხედო, განაზებული ქალივით გული მიმდის...“ — შევრისხე ჩემი თავი და ტახტიდან ადგომა დავაპირე.

„იწექით! — მიბრძანა ექიმმა. — ჯერ არ შეიძლება თქვენთვის ადგომა, ისევ ცუდად გახდებით“.

„მე არაფერი მიჭირს, ექიმო! — წარმოვთქვი ნაძალადევი სიმშვიდით და ტახტიდან წამოვდექი. — მეც არ ვიცი, როგორ მომივიდა...“

ექიმმა კუშტად შემომხედა, მაგიდასთან დაჯდა, რამდენიმე წამალი გამოწერა.

„სასწრაფოდ დაამზადებინეთ, საღამოსთვის ისევ შემოვივლი“, — ჩაილაპარაკა მან და ოთახიდან გავიდა.

აფთიაქში დეიდა წავიდა, მე ჯერ ისევ მიბრუოდა თავი და სახლში დავრჩი. ექიმის რჩევისამებრ, ეკას ხშირ-ხშირად ვუცვლიდი ცივ ტილოს.

დეიდა გამწარებული დაბრუნდა. ორი წამლის მეტი ვერ ეშოვა. მას ჩემთვის მანამდე უცნობი ქალი შემოჰყვა. მოგვიანებით გავიგე, რომ ისიც დეიდის მეზობელი ყოფილა, ექთანი.

საღამომდე ეკას საწოლს არ მოვშორებივარ. ყოველ ნახევარ საათში

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ავადმყოფს ტემპერატურას ვუსინჯავდით, თერმომეტრი 41 გრადუსს უჩვენებდა. ექიმი საღამოს 9 საათზე ისევ მოვიდა. დიდხანს სინჯავდა ავადმყოფს.

„აუცილებელია სტრეპტოციდი, თორემ, ბავშვი დაგვეწვება“, — გვითხრა მან.

სტრეპტოციდი! მე ვიცოდი — არსებობდა ეს ახალი, ტემპერატურის დამწევი, უებარი საშუალება, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ მისი შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო.

„მიშველეთ, რამე, ექიმო, — აქვითინდა დეიდა. — სამუდამოდ ყმად დაგიდგებით, ყველაფერს გავყიდი, ოღონდ ბავშვი გადამირჩინეთ“.

ქვასაც კი შესძრავდა დეიდაჩემის საცოდაობა. ამ რამდენიმე საათმა სრულიად გატეხა.

ექიმი გულწფრელად შეწუხდა.

„ქალბატონო, მე თქვენი არაფერი მინდა. ისედაც საკმაოდ ვიქნები დაჯილდოებული, თუ ჩემი ცდა შედეგს გამოიღებს და ბავშვს გადავარჩენ, ოღონდ, ახლა ამაზე როდია ლაპარაკი. მე რომ ეს პრეპარატი მქონდეს, თქვენი თხოვნა არ დამჭირდებოდა, ისედაც მოვიტანდი. სამწუხაროდ, არა მაქვს. ხვალ შეიძლება ვიშოვო რამდენიმე აბი, მაგრამ ხვალამდე ბევრი დროა, მთელი ღამე კი, ბავშვის ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია!“

გაოგნებული ვიდექი, მესმოდა — რამდენიმე აბზე იყო დამოკიდებული ეკას სიცოცხლე, მაგრამ სად მეშოვა სტრეპტოციდი?

უეცრად გამახსენდა ჩემი მეზობელი ახალი ბინიდან, ჩემზე ორი წლით უფროსი არტაშა, რომელიც თბილისის ყველა სპეკულანტს იცნობდა და სათანადო გასამრჯელოს სანაცვლოდ, თითქმის ყველაფერს შოულობდა.

სასწრაფოდ წამოვდექი.

„მე ვიშოვი სტრეპტოციდს, აუცილებლად ვიშოვი!“ — ვთქვი მტკიცედ და კარისაკენ წავედი.

„სად მიხვალთ, ყმაწვილო?“ — მომაძახა ექიმმა.

„მე ვიშოვი, ექიმო, სტრეპტოციდს, გადამყიდველებს გამოვართმევ, — მივუგე ექიმს თამამად. — ოღონდ მითხარით, რამდენი იქნება საკმარისი?“

დეიდა დაფაცურდა, ფული მოძებნა, ორი ასმანეთიანი კუპიურა მომაჩეჩა ხელში. გული შემეკუმშა, მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ჯიბეში ერთი მანეთის მეტი აღარ მქონდა.

ექიმმა თბილად შემომხედა.

„ერთი წუთით მოითმინეთ, — მითხრა მან და მკლავში ხელი მომკიდა. — ესეც გამომართვით, — ექიმმა ჯიბიდან ფული ამოიღო და შემდეგ დაუმატა: — ორი კოლოფი იყიდეთ, თუ მართლაც მოახერხოთ შოვნა“.

„ფული საჭირო არ არის, პატივცემულო ექიმო, მე თვითონაც მაქვს“, — ვთქვი და ყურებამდე გავწითლდი.

ექიმი გაჯავრდა:

„ლაპარაკის დრო არ არის. ფულს საჩუქრად როდი გაძლევთ, შემდეგ დამიბრუნეთ, ახლა კი, აიღეთ და გასწით!“

„გმადლობთ, ექიმო, მაგრამ თქვენს ფულს ვერ ავიღებ, არ არის საჭირო, მე თვითონ მაქვს, მეყოფა“.

ექიმს ახლა ნამდვილად გული მოუვიდა:

„მე თქვენხელა შვილი მყავს, არ გეკადრებათ ასეთი ჯიუტობა! ფული წაიღეთ! თუ არ დაგჭირდებათ, დამიბრუნებთ“, — მითხრა მან და ათმანეთიანები ჯიბეში ჩამიტენა.

დეიდა ხმას არ იღებდა, დარდისა და სირცხვილისაგან გამშრალი, უხმოდ იდგა ეკას საწოლთან. მე ვიცოდი, რომ მან მთელი თავისი დანაზოგი მომცა და ერთი მანეთიც არ დაუტოვებია.

აღარ მიკამათია. უსიტყვოდ გავვარდი ოთახიდან. იმის შეგნებამ, რომ სრულიად უცნობმა ადამიანმა, რომლისგანაც ისედაც დავალებული ვიყავით, წამლების საყიდლად ფული მომცა, საშინლად შემილახა თავმოყვარეობა. მეორე მხრივ, უღრმესი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით განვიმსჭვალე ექიმისადმი, რომელმაც ასეთი უანგარობა და კეთილშობილება გამოიჩინა გაჭირვებაში მყოფ ადამიანთა მიმართ, თუმცა ეს ადამიანები ახლოს არც იცნობდნენ მას და არც სამაგიერო სიკეთის გადახდა შეეძლოთ, ახლო მომავალში მაინც.

რა კარგი იქნებოდა ცხოვრება, რომ...

უეცრად მშობლები გამახსენდა. „იციან ახლა, რა დღეშია ეკა?.. ნეტავ, თუ გრძნობენ რაიმეს?..“ — გამიელვა თავში და ფეხს ავუჩქარე. ქუჩაში ვერავის ვხედავდი, თითქმის მივრბოდი.

არტაშა სახლში დამხვდა. ვიღაც სტუმრები ჰყავდა, სვამდნენ. ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა: ის რატომღაც ცდილობდა, მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა ჩემთან, მაგრამ მე არ ვაძლევდი ამის საბაბს. ჩემდა უნებურად, პირველი შეხვედრისთანავე, ანტიპათიურად განვეწყვე მის მიმართ...

„მოდი, თამაზ, მოდი! მადლობა ღმერთს, ჩვენთან ფეხი „შემოგიცდა“, — შემეგება არტაშა, შემდეგ, თანასუფრელებს მიმართა: — გაიცანით, პროფესორის შვილია. ახლა მილიციასთან ცოტა „იაღლიშად“ არის, მაგრამ არაფერია“.

არ მესიამოვნა არტაშას ლაზღანდარობა, მაგრამ თავი შევიკავე — მე ხომ მასთან ეკას სიცოცხლის გადასარჩენად ვიყავი მისული და რაც არ უნდა ეთქვა, ყველაფერს ავიტანდი.

„ერთი ჭიქა დაგვილიე, თამაზ-ჯან!“

არტაშამ ღვინით სავსე ჩაის ჭიქა მომაწოდა.

„არა, არტაშ, ღვინო კი არა, ცეცხლი მიკიდია, უნდა მიშველო რამე“.

„ვაჰ, რა გაგჭირვებია ასეთი!“ — გაუკვირდა მას და სკამიდან წამოდგა.

„გეტყვი. შენ იქით გზა არა მაქვს“, — მივუგე. შემდეგ მის მეგობრებთან ბოდიში მოვიხადე, არტაშა გვერდზე გავიყვანე და ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი.

„ვაა! მე რომელი „აპტეკარი“ მნახე?“ — გაიცინა მან.

„შენ ყველას იცნობ, არტაშ, უნდა მიშველო!“

„გიშველი, მაგრამ ეგ ოხერი, ძალიან ძვირად ყიდიან, მე კი ახლა ფული არა მაქვს“.

„ფული მე მაქვს, შენ ოღონდ წამალი იშოვე“.

„შენ აქ დამიცადე, მე მალე მოვალ. — არტაშამ ქუდი დაიხურა: — ბიჭებო, — მიუბრუნდა მეგობრებს, — თქვენ პურის ჭამა გააგრძელეთ, არ აიშალოთ, ამ საათში აქა ვარ, თამაზიც გაართეთ, ჩვენი ახალი მეზობელია, ჯიგრიანი ბიჭია!“ — გააცნო ჩემი თავი მათ და ოთახიდან გასვლა დააპირა.

„მეც შენთან მოვდივარ, არტაშ!“ — მივაძახე, კარში გასულს და უკან დავედევნე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კლუბი, რომელშიც კახი კალაძე სიმღერის მოსასმენად მიეიდა

ყოველი კვირის პარასკევს, კლუბ „სითი ქლაბში“ მერაბ სეფაშვილისა და დათო გომართელის კონცერტი იმართება. იმის მიუხედავად, რომ ერთიცა და მეორეც, ფეხბურთის თავდადებული ფანები არიან, ტრადიციისთვის არ უღალატიათ და მათი კონცერტი „სითი ქლაბში“ მაინც შედგა: ტოტალურმა ფეხბურთმა ვერ გადააფიქრებინათ. მერე რა, თუ ფეხბურთის მატჩი გააცდინეს?!

თაკო დოლაბერიძე, *კლუბის ხელმძღვანელი:*

— ვის არ უყვარს ფეხბურთი?! მათ შორის, მეც გულშემატკივარი ვარ, მაგრამ რატომღაც არ მივიჩნიეთ,

საჭიროდ, ჩვენი კლუბი ფეხბურთის ფანებისთვის დაგვეთმო, ჩვენ ჩვეულ რეჟიმში ვმუშაობთ, ვმართავთ კონცერტებს და, პირიქით — ფეხბურთელები და გულშემატკივრები მოდიან აქ მუსიკის მოსასმენად...

მართლაც, იმ საღამოს, კლუბში კახი კალაძე და მისი ფეხბურთელი მეგობრები აღმოვაჩინეთ. მოსული იყო აგრეთვე „მის საქართველო 2005“ — სალომე ხელაშვილიც. ჰოდა, დილის 4 საათამდე, დიდი გუგუნი იყო „სითი ქლაბში“...

■

პატარა ნიკოლოზ საკაშვილი მოდელებით მოიხიბლა

სალონმა „თეილომ“, დიზაინერ თეა ლომიძის ხელმძღვანელობით, დეფილე მოაწყო. კოლექციის — „გაზაფხული-ზაფხული 2006-2007“ — ჩვენება „ქორთიარდ მარიოტში“ შედგა. ღონისძიება დათქმულ დროს არ დაწყებულა, რადგან ორგანიზატორები დეფილეზე საქართველოს პირველ ლედის ელოდნენ. სანდრა რულოვსი პატარა ნიკოლოზთან ერთად, ყვავილების თაიგულით ხელში, მაინც მოვიდა. დარბაზში მოხვედრილმა პატარა ნიკოლოზმა ინტერესით შეავლო თვალი იქაურობას: როგორც ჩანს, ფერების სიმრავლემ მოსჭრა თვალი და გულდაგულ ათვალიერებდა სხვადასხვა სამოსსა და მოდელ გოგონებს...

პირველი ლედი თეა ლომიძის მიერ გამართულ ჩვენებას ყოველთვის ესწრება. ის კი არა, სწორედ მან მიიყვანა სტუმრად ამ დიზაინერის სალონში თავისი აზერბაიჯანელი „კოლეგა“ — მეჰრიბანი, პრეზიდენტ ილჰამ ალიევის თბილისში ვიზიტის დროს...

იმ დღეს, „თეილომ“ 60 კოსტიუმზე მეტი წარმოადგინა. ეს ნამუშევრები სალონში თვე-ნახევრის განმავლობაში იქმნებოდა. წარმოდგენილი იყო: სპორტული, კლასიკური და შერეული სტილის სამოსი. პოდიუმზე ტანსაცმელს სამოდელო სააგენტო „ნატალის“ მოდელები წარმოადგენდნენ. მონაწილეობდა ირინა ონაშვილიც. ერთი ფეხმძიმე მოდელიც ვიხილეთ — მან ამ მდგომარეობაში მყოფი ქალისთვის შესაფერისი სამოსი წარმოადგინა, თანაც, ისე მოხდენილად, თითქოს უნდოდა ეთქვა — მერე რა, რომ რვა თვის ფეხმძიმე ვარო?!.



მოდელად მოგვევლინა ტელეჟურნალისტი ნატო ნიჟარაძე, რომელიც ამავე დროს, ჩვენების წამყვანიც იყო და მოკლედ მიმოიხილა კიდეც „თეილოს“ ნამუშევრები. ფეხსაცმლით მოდელები დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა უზრუნველყო. ტანსაცმლისთვის გამოყენებული იყო ქსოვილები: ატლასი, „ჟორსე“, გიპიური... ვიხილეთ აგრეთვე ჩანთებისა და ქუდების კოლექციაც, რომელიც სამოსთან გემოვნებით იყო შეხამებული.

■

თამუნა ამონაშვილი და მისი ქმარი მოსკოვში გადაეიდნენ

მომღერალმა თამუნა ამონაშვილმა და მისმა მეუღლემ, რეჟისორმა რეზიკო არჩვაძემ კარიერის გაგრძელება მოსკოვში გადაწყვიტეს და გასულ კვირას დატოვეს კიდეც თბილისი. მანამდე, კი სავაჭრო ცენტრ GTC-ში თამუნას ახალი კლიპისა და ალბომის პრეზენტაცია მოაწყვეს, რომელიც ერთგვარად, ქართველ მაყურებელთან გამოსამშვიდობებელი რიტუალი იყო. ღონისძიებას ასეც დაარქვეს — „გამოსამშვიდობებელი საღამო“. ახალი კლიპი ტრადიციისამებრ, რეზიკო არჩვაძემ გადაიღო — ის ხომ თამუნას ყველა კლიპის ავტორია. ეს ბოლო ნამუშევარი გადაღებულია სიმღერაზე — „მერე რა“ და ამაშიც თითქოს გარკვეული ქვეტექსტია ჩადებული: მერე რა, რომ ცოტა ხნით, სამუშაოდ, ჩვენი ქვეყნიდან მივდივართო?!.

რეზიკო არჩვაძე:

— მოსკოვში ჩვენ-ჩვენი პროფესიით დავიწყებთ საქმიანობას — მე კლიპებს გადავიღებ, თამუნა — იმღერებს. ამასთან, მე და ნატო დუმბაძეს იქ საპროდიუსერო ცენტრის გახსნაც გვინდა, ოღონდ, ნატო თბილისიდან შემომიერთდება და აქედან იქნება საქმეში ჩართული.

■

რუბრიკა მოამზადა ლალი ფაციამ

მსახიობობის მოლოდინი, მსუბუქი თვითირონია და „ჭვ-ჭვლიები"

ახალგაზრდა მსახიობი კახა მიქიაშვილი, პოპულარული „თავისუფალ თეატრში" დადგმული სპექტაკლით — „ძმები" გახდა. ის საკმაოდ სიმპათიურია და ამიტომ გოგონების ყურადღებას ადვილად იპყრობს. მასზე ბევრს ჭორაობენ — ხან ვის შეყვარებულობას აბრალებენ და ხან — ვისას. მისი თაყვანისმცემლების გულის გასახარად ვიტყვი, რომ ამჟამად, კახას გული თავისუფალია. თუ როგორი სტილის გოგოებს აქვთ მისი დაპყრობის შანსი, ამაზე თავად კახა გვესაუბრება.

ნათია ქივიძე

— ყოველთვის მქონდა იმის სურვილი, რომ მსახიობი გამოვსულიყავი და 1998 წელს, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. შალვა გაწერელიას ჯგუფში მოვხვდი. პირველ კურსზე ვიყავი, როცა ბატონმა შალვამ სპექტაკლი — „თოვლის დედოფალი" დადგა, სადაც ეშმაკის ასისტენტის და ყაჩაღის როლი მომცა. ალბათ, ყველაზე ცუდად მაშინ ვითამაშე, მაგრამ რომ მკითხონ — რომელია შენი ყველაზე საყვარელი როლიო, ამათ დავასახელებ, რადგან მსახიობობის „კაიფი" სწორედ მაშინ დავიჭირე... ბატონ შალვასთან 4 წელი ვსწავლობდი, პარალელურად, მარჯანიშვილის თეატრში, რაღაც ეპიზოდურ როლს ვთამაშობდი. მოგვიანებით კი, ჯერ „რუსთაველის სარდაფში" ვითამაშე რამდენიმე როლი, მერე — „ვაკის სარდაფში", ამას „თავისუფალი თეატრიც" დაემატა და...

— ე.ი. შენ ერთი კონკრეტული თეატრის მსახიობი არ ხარ, არა?

— მართალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, როცა მეკითხებიან — რომელი თეატრის მსახიობი ხარო? ვპასუხობ: „თავისუფალი თეატრის"-მეთქი, რადგან იქ, ყველაზე უკეთ ვგრძნობ თავს.

— როგორც ვიცი, „თავისუფალი თეატრის" სპექტაკლი — „ძმები", თურქეთში გქონდათ წაღებული...

— მართალია. სულ რამდენიმე დღეა, რაც ჩამოვედი. მეოთხე წელია, რაც თურქეთში, შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ფესტივალზე, სხვადასხვა სპექტაკლით ჩავდივართ. ეს ფესტივალი ტრაპიზონში ტარდება ხოლმე. წელს, „ძმები" წავიღეთ, რომელმაც ძალიან დიდი წარმატებით ჩაიარა — ხალხს, რომელსაც ჩვენი ენა არ ესმოდა, ყველაფერზე ადეკვატური რეაქცია ჰქონდა, როცა საჭირო იყო, ტიროდნენ, იცინოდნენ და ა.შ. ქალაქში გვცნობდნენ და გვესალმებოდნენ. სხვათა შორის, ნიკო გომელაურმა, მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის პრიზი აიღო.

— ნიკო გომელაურისგან განსხვავებით, როგორც ვიცი, შენ ჯერ არანაირი პრიზი არ მიგიღია.

— ნამდვილად არანაირი ოფიციალური პრიზი არ მიმიღია, მაგრამ ამაზე გული არ მწყდება, რადგან ჩემთვის, უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ მიმიღებს მაყურებელი. როცა ამდენი მსახიობისგან რეჟისორი გამოგარჩევს, რაღაც როლს მოგცემს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შენში რაღაც განსაკუთრებული დაინახა და ესეც სასიხარულოა.

— ყველაზე პოპულარული რომელმა როლმა გაგხადა?

— მგონი, „ძმებმა", რომლის რეჟისორი ბატონი ავთო ვარსიმაშვილია და ამ სპექტაკლში კარგი როლი მაქვს. თან, ამ ბოლო დროს, „ჯინსების თაობაშიც" ერთერთ როლზე დამამტკიცეს და შეიძლება ითქვას, რომ უფრო პოპულარული გავხდი.

— ოდესმე, როლიდან გამოსვლა თუ გაგჭირვებია?

— მადლობა ღმერთს, ასეთი რამ არასდროს დამმართვია. წარმოიდგინე — რა საშინელება იქნებდა, როცა სცენაზე ოტელო ხარ და როლიდან ვერ გამოდიხარ?.. ვფიქრობ, რომ ეს მარაზმია და თუ ასეთი რამ გჭირს, ე.ი. ავადმყოფი ხარ. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ცხოვრებაში, ჩემი გმირის რეპლიკა ან რაღაც ფრაზა გამომიყენებია...

— ცხოვრებაშიც თუ გიწევს თამაში?

— მაქსიმალურად ვცდილობ, რომ არ ვითამაშო და მგონი, ეს გამომდის კიდეც. ცხოვრებაშიც რომ ვთამაშობდე, მაშინ მსახიობობას მუღამი არ ექნებოდა. მთელი „კაიფი" იმაშია, რომ კახა ხარ და ერთ საათში, ვიღაც სხვა ადამიანი უნდა გახდე. სხვათა შორის, ცხოვრებაში, სხვა პროფესიის ადამიანები უფრო ხშირად თამაშობენ, ვიდრე — მსახიობები.

— რომელია შენი საოცნებო როლი?

— არ ვიცი. ასეთი როლი ჯერჯერობით არ მაქვს. არც ის ვიცი, როგორი როლი მინდა — დრამატული, სახასიათო, კომედიური ჟანრის თუ... მინდა, რომ საკუთარი თავი ყველაფერში მოვსინჯო. ჯერ, მაქსიმუმ, 16 როლი მაქვს ნათამაშები.

— გარდა მსახიობობისა, შენ სხვადასხვა ღონისძიების წამყვანადაც გვევლინები ხოლმე.

— მსგავსი მიწვევები ალბათ იმის გამო მაქვს, რომ მსახიობი, თანაც, კომუნიკაბელურიც გახლავართ. ვიდრე მსახიობი გავხდებოდი, მანამდე არავის არსად მივუწვევივარ. რაც სცენაზე ვდგავარ, მას შემდეგ კი, ხშირად ვარ სხვადასხვა საღამოს წამყვანი...

— მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდი, ქალების შენდამი დამოკიდებულება შეიცვალა?

— არა მგონია. თუ ვიღაცა ქუჩაში მიცნობს, გამაჩერებს და მკითხავს — შენ კახა მიქიაშვილი ხომ არა ხარო? ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ჩემზე, როგორც კაცზე, ისე გიჟდება. შეიძლება, ვიღაცას მართლაც მას შემდეგ მოვწონვარ, რაც მსახიობი გავხდი, მაგრამ რომ გითხრა, კაზანოვა ვარ-მეთქი — მოგატყუებ.

— შენ თვითონ როგორი ქალები მოგწონს?

— ისე, როგორც სხვა საქმეში, ქალებშიც საკმაოდ „კაპრიზნი" ვარ, თუმცა, მათი სტერეოტიპი არ მაქვს ჩამოყალიბებული. პირველ რიგში, ყურადღებას გარეგნობას ვაქცევ — რა სჯობია ლამაზ ქალს?.. მაგრამ შეიძლება, გარკვეული ურთიერთობის შემდეგ, ისეთი ქალიც მომეწონოს, რომლის დანახვისას არც დაეცემი და არც გაგიჟდები, მაგრამ მას ისეთი შარმი ჰქონდეს, რომ თავგზა აგებნეს. ბევრი ლამაზი, მაგრამ „ქვა-ქალი" მინახავს, რომლის ყურებას, ქანდაკების ყურება სჯობს.

— ქალებთან მიმართებაში აქტიური ხარ?

— მიუხედავად იმისა, რომ რაჭველი ვარ, საერთოდ, ყველაფერში აქტიური ადამიანი გახლავართ, ხომ ხედავ — რამდენს ვლაპარაკობ. სხვათა შორის, ჩემს რაჭველობას არავინ ივჯერებს, ყველას გურული ან რაღაც მაგდაგვარი ვგონივარ.

— თუ ქალმა შენკენ პირველი ნაბიჯი გადმოდგა, ასეთი ქალი მოგეწონება?

— როცა სასურველი ქალი პირველი გადმოდგამს შენკენ ნაბიჯს, მაგას რა სჯობია? საშინელება ის არის, როცა ქალს ზედ აკვდები და მას რეაქცია არა აქვს.

— ქალის გამო, რაიმე არაორდინარული თუ გაგიკეთებია?

— ხშირად მოვქცეულვარ ასე, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამით რაღაც პლუსები დამეწერა — ნახეთ, რა მაგარი ტიპი ვარ-მეთქი და მერე, ეს ამბავი, რომელიმე ჟურნალისტისთვის მომეყოლა; უბრალოდ, ერთფეროვნება არ მიყვარს, ყველაფერი არაჩვეულებრივი და არაორდინარული მომწონს.

— ოდესმე შეყვარებული თუ ყოფილხარ?

— ადრე მიყვარდა ერთი გოგონა, თუმცა, ახლა ჩემს თავს ვკითხები — მართლა მიყვარდა-მეთქი?.. ამჟამად, ჩემი გული თავისუფალია — მსუბუქ ფლირტს თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ადამიანი მიყვარს და მას აუცილებლად ცოლად მოვიყვან. საერთოდ, ადვილად არავინ მიყვარდება. ძალიან ბევრ გოგონასთან, მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებს და მეტი არაფერი. ■

გივი ნოდია – ალოგიკური გოლების დიდოსტატი

რიონისპირას დაბადებულ-გაზრდილი ფორვარდი საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ისტორიაში პირველი აღმოჩნდა, რომელმაც 22 წლის ასაკში, საკუთარ ანგარიშზე 55 ბურთის ჩაწერა შეძლო. ამასთანავე, იგი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახლდათ, ვისაც ამ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში დებიუტმა 17 წლის ასაკში მოუწია. კარიერის განმავლობაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა „დინამოსთან“ ერთად, ოთხჯერ მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, ხოლო ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე იასპარეზა. ქუთაისის „ტორპედოს“, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივში“ გატარებული სეზონების შემდეგ, მან 100 გოლზე მეტი გაიტანა და გრიგორი ფედოტოვის სახელობის ბომბარდირთა „ასიანთა კლუბში“ მოხვდა. გარდა ამისა, გამოკითხვის შედეგად, ის რამდენჯერმე დაასახელეს საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის. სამწუხაროდ, დღეს ბატონ გივიზე ლაპარაკი წარსულში გვიხდება...

ლაშა თაბაგარი

გივი ნოდიამ ვარჯიში 8 წლის ასაკში, ქუთაისში, ცნობილ მწვრთნელთან, კარლო ხურციძესთან დაიწყო. საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში „ტორპედოს“ თითოეული მატჩის დაწყებამდე, გივი და მისი თანატოლები სტადიონზე მისული მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის თვალწინ ერთმანეთს ეთამაშებოდნენ, რაც ბავშვებს დამატებით სტიმულს აძლევდა. ოფიციალური შეხვედრის დაწყებისთანავე კი, მოედნის გარშემო განლაგდებოდნენ და ფეხბურთელებს ხაზს იქით გადასულ ბურთს აწოდებდნენ.

ქუთაისური კლუბი უმაღლეს ლიგაში რომ გადავიდა, საფეხბურთო სკოლის ბავშვებს შორის, დიდი კონკურენცია იყო გაჩაღებული, მატჩის ან ვარჯიშის დროს, სარბენ ბილიკებზე მოსახვედრად...

ხურციძემ გივი ნოდია თავიდანვე, ცენტრალურ თავდამსხმელად განაწესა და არც მოტყუებულა: ჭაბუკთა ერთ-ერთ საკავშირო ტურნირზე მისმა შეგირდმა 8 თამაშში 14 გოლი გაიტანა. მიუხედავად ფეხბურთში მიღწეული პირველი წარმატებებისა, გივი სკოლაშიც კარგად სწავლობდა და მეათე კლასის მოსწავლე, ქუთაისის „ტორპედოში“ რომ არ მიეწვიათ, შესაძლოა, სასწავლებელი ოქროს მედალზე დაემთავრებინა...

ეს, 1965 წელს მოხდა და პირველი თამაში ნოდიამ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან შეტევის ცენტრში ირჯებოდა, დებიუტმა თავდასხმის მარცხენა ფლანგზე მოუწია. როგორც თავად იხსენებდა, მწვრთნელმა ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ გივი გუნდში ყველაზე ტანმორჩილი გახლდათ. ქუთაისელები „დინამოსთან“ 0:2 დამარცხდნენ, მაგრამ 17 წლის ფორვარდმა საკმაოდ კარგად ითამაშა. იმავე წელს, რიონისპირელი ბიჭი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო „ტორპედოში“ ჩატარებული კიდევ ერთი სეზონის შემდეგ, თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს.

აღნიშნულ პერიოდში, თბილისურ კლუბში 1964 წლის საჩემპიონო შემადგენლობიდან ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა. ნოდია ამბობდა, რომ ამ დროს, მათ თამაშის ადრინდელი მოტივაცია აღარ ჰქონდათ, ხოლო მეტოქეები „დინამოელთა“ წინააღმდეგ გაორმაგებული ენერგიით იბრძოდნენ. სწორედ ამ გარემოებას მიიჩნევდა ყოფილი ცენტრფორვარდი იმის მიზეზად, რომ „დინამოში“ მისი მოღვაწეობის პერიოდში გუნდი მესამე საპრიზო ადგილს ვერა და ვერ ასცდა. ბატონ გივის ყოველთვის მიაჩნდა, რომ საბჭოთა ფეხბურთი ისეთი ძლიერი არასოდეს ყოფილა, როგორიც გასული საუკუნის 60-იან წლებში, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ ბევრი ფეხბურთელი ძალზე უხეშადაც თამაშობდა. 70-იანი წლების დასაწყისში, მოსკოვის „დინამოს“ მცველთა წყვილს — ნიკულინს და ნოვიკოვს უხეშობის გამო, შესაბამისად „ცელი“ და „ავტოგენი“ რომ შეარქვეს, ამაზე ნოდიას ხშირად ეღიმებოდა და ამბობდა, რომ ამ ფეხბურთელების იმათთან შედარებაც კი არ შეიძლებოდა, ვის წინააღმდეგაც, თავის დროზე, მას უნევდა თამაში. განსაკუთრებით, დონეცკის „შახტიორის“ მცველს, სალკოვს და მინსკის „დინამოელებს“ — სავოსტიკოვს, რემინსა და ზარემბოს გამოჰყოფდა, რომლებიც მეტოქეს „თავით უხტებოდნენ“ ფეხებში. ბატონი გივი ხშირად აღნიშნავდა, რომ უკვირდა კიდეც — ასეთი თამაშების შემდეგ, მოედნიდან ცოცხალი როგორ გამოდიოდა... სხვათა შორის, ქართველმა თავდამსხმელმა ერთ მატჩში 4 გოლი სწორედ მინსკელთა კარში გაიტანა...

„დინამოს“ ახალწვეულმა თამაში თავიდანვე შედეგიანად დაიწყო. ბევრი ვერაფრით ხსნიდა იმას, თუ რის ხარჯზე აღწევდა ფორვარდი წარმატებას, რადგან მისი ფიზიკური მონაცემები სულაც არ გახლდათ შთამბეჭდავი და წესით, ძალისმიერ ორთაბრძოლაში მცველთა დაჯაბნა უნდა გასჭირვებოდა. ჟურნალისტები წერდნენ, რომ ის დიდი სისწრაფით გამოირჩეოდა და გაზეთში ნოდიას ფოტოც დაბეჭდეს, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მოთამაშე“. არადა, თავად ნოდია აღიარებდა, რომ მართალია, სასტარტო სისწრაფე ურიგო არ ჰქონდა, მაგრამ 30 მეტრს მხოლოდ 4,1 ან 4,2 წამში ფარავდა, რაც ფეხბურთელისთვის არცთუ ისე კარგი შედეგია.

თავად ნოდია არ ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ საგოლე ალღო, თანდაყოლილი თვისებაა და მისი განვითარება შეუძლებელია. ამის მაგალითად, საკუთარი გამოცდილება მოჰყავდა და ირწმუნებოდა, რომ რაც უფრო მეტს ვარჯიშობდა, მით უფრო ხშირად გაჰქონდა გოლი. ზოგჯერ ამჩნევდა, რომ ამას ანგარიშმიუცემლად აკეთებდა, რადგან წინასწარ მოფიქრებული არ ჰქონდა, თუ შექმნილ სიტუაციაში როგორ უნდა ემოქმედა. ის იხსენებდა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში ფსიქოლოგიის ლექციებზე ზიგმუნდ ფროიდის ნაშრომების შესწავლისას მიხვდა, თუ როგორ გამოსდიოდა ყოველივე. მისი თქმით, ფეხბურთზე მუდმივი ფიქრი გონებაში ჰქონდა გამჯდარი, რაც აიძულებდა, ამა თუ იმ ვითარების შესაფერისი გადაწყვეტილება მიეღო. ნოდია ყოველთვის ცდილობდა, წინასწარ გამოეცნო, თუ რას მოიმოქმედებდა მოწინააღმდეგე და ხშირად, მასზე უფრო სწრაფად ახერხებდა იმის მოფიქრებას, თუ როგორ მოეხვნა კარისკენ უმოკლესი გზა. ამიტომაც, მის მიერ გატანილ ბურთებს ხშირად, ალოგიკურად მიიჩნევდნენ, რადგან მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელად, იქ აღმოჩნდებოდა, სადაც არავინ ელოდა.

1970 წელს, „დინამოს“ თავდამსხმელმა ერთ სეზონში 17 გოლი გაიტანა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თავად, იმ გოლებიდან ორს გამოარჩევდა, რადგან მისი თქმით, ბოლო მომენტამდე არ იცოდა, ბურთი ბადეში გაეხვეოდა თუ არა. ორივე შემთხვევაში, მეტოქის მეკარე ნოდიამ თავური დარტყმით დაამწუხრა და ნიშანდობლივია, რომ, როგორც ორჯონიკიძის „სპარტაკთან“, ასევე დონეცკის „შახტიორთან“ მატჩის დროს, ასისტენტობას უმცროსი ძმა, ლევანი უწევდა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ნოდიამ პირველად, 1967 წელს, ჰოლანდიელთა წინააღმდეგ

ითამაშა, ის შეხვედრა გუნდმა (1:3) მარცხით დაასრულა...

ნაკრების შემადგენლობაში ნოდიამ 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზა და მოედანზე გამოსვლამ მხოლოდ მასპინძლებთან დაპირისპირებისას მოუწია. 1972 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი, რომელშიც საბჭოთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა, მან ნახევარფინალში, შეცვლაზე, უნგრეთთან იასპარეზა. საერთო ჯამში „დინამოელმა“ საბჭოთა გუნდის ღირსება 21 შეხვედრაში დაიცვა და ხუთჯერ გამოიჩინა თავი.

1972 წელს, შედგა „დინამოელთა“ დებიუტი ევროთასების სარბიელზე. ისინი ჰოლანდიურ „ტვენტეს“ დაუპირისპირდნენ. პირველი შეხვედრა თბილისელებმა შინ ჩაატარეს და 3:2 გიმარჯვეს. მასპინძელთაგან ორი გოლი დავით ყიფიანმა, ხოლო ერთი — საუცხოოდ მოასპარეზე გივი ნოდიამ გაიტანა. მატჩის შემდეგ, მთავარმა არბიტრმა განაცხადა, რომ გივის შემყურეს, სურდა, სასტვენი ჯიბეში ჩაედო და ქართველისთვის ტაში დაეკრა, თან დასძინა — სამწუხაროდ, ამის საშუალება სტატუსმა არ მომცაო...

საბჭოთა პერიოდში, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებზე ხშირად ამბობდნენ — ისინი ფუფუნებაში ცხოვრობენო. მაგრამ ბატონი გივი იხსენებდა, რომ ერთ-ერთ კრებაზე, რომელზეც რესპუბლიკის სპორტკომიტეტის წარმომადგენლები ფეხბურთელთა თხოვნის მოსასმენად მივიდნენ, მათ არა პრემიალური თანხის გაზრდა, არამედ საწვრთნელ ბაზაზე კვების პრობლემის გადაწყვეტა ითხოვეს.

„დინამოში“ გუნდის უფროს მწვრთნელად ნოდარ ახალკაცმა რომ დაიწყო მუშაობა, პიროლები შედარებით გამოსწორდა. მან პარტიული ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ ფეხბურთელებზე მეტი ზრუნვა იყო საჭირო. „დინამოელებს“ კვირაში ერთხელ, სპეცმაღაზიაში, რომლითაც კომპარტიის მაღალჩინოსნები სარგებლობდნენ, ხორცის შეძენის უფლება დართეს...

ნოდიამ „დინამო“ 1975 წელს დატოვა, როდესაც გუნდს მიხეილ იაკუშინი წვრთნიდა. მართალია, მთავარ მწვრთნელს მისი გაშვება არ უფიქრია და ეს არც სხვებს უნდოდათ, მაგრამ ცენტრფორვარდი მაინც წავიდა, რასაც რამდენიმე მიზეზით ხსნიდა. პირველ რიგში, მასზე იმან იმოქმედა, რომ მურთაზ ხურცილავას „დინამოდან“ წასვლა აიძულეს. ამის გარდა, გუნდში სამწვრთნელო შტაბი შეიქმნა, რომელშიც კაპიტანი და რამდენიმე ავტორიტეტული მოთამაშე შეიყვანეს. ნოდია 27 წლის გახლდათ და ყველაზე გამოცდილად არ მიიჩნეოდა, მაგრამ ავტორიტეტით არავის ჩამოუვარდებოდა, რადგან ძალზე ხშირად ხდებოდა კლუბის საუკეთესო ბომბარდირი და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც გამოდიოდა. ფეხბურთელი მიხვდა, რომ კულულუარებში არაჯანსაღი რაღაცები ხდებოდა და ამიტომ, უფროსობას წასვლის თაობაზე განცხადება დაუდო მაგიდაზე. „დინამოს“ ხელმძღვანელობა ნოდიას დატოვებას შეეცადა და სამუდამო დისკვალიფიკაციითაც კი დაემუქრა: რადგან გუნდის ყველა წევრი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი იყო, არ უნდოდათ, რომ ის სამსახურიდან გათავისუფლებინათ... ნოდიაზე არაფერმა გაჭრა. ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ვიდრე შსს-ს ოფიციალურად არ დატოვებდა, გუნდთან ერთად ივარჯიშებდა და წლის ბოლომდე, სხვაგან სათამაშოდ არ გადავიდოდა.

ფეხბურთისთვის თავის დანებებისგან ნოდიამ თავი იმიტომ შეიკავა, რომ 100 გოლის გატანა და გრიგორი ფედოტოვის სახელობის ბომბარდირთა კლუბში მოხვედრა სურდა. ჰოდა, 1975 წელს, მოსკოვის „ლოკომოტივს“ მიაშურა, სადაც ორი სეზონი დაყო. ყოფილი „დინამოელი“ ახალ გარემოს მალევე შეეჩვია და ძველი მეგობრები მასთან სტუმრად რომ ჩადიოდნენ, ეხუმრებოდნენ — ქართველი კი არა, მოსკოველი ხარო. მაშინ, „ლოკომოტივში“ ვალერი გაზაევი ირიცხებოდა, რომელიც საფეხბურთო კარიერას იწყებდა და ნიჭიერ ფეხბურთელს, საკმაოდ ფიცხი ხასიათი ჰქონდა. ნოდიამ მასზე ერთგვარი შეფობის აღება გადაწყვიტა და როგორც შემდეგ გაზაევმა ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, უფროსი კოლეგის რჩევები მას მართლაც ძალიან დეხმარა. „გივი ნოდიას „ლოკომოტივში“ მოსვლა გუნდისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ და ჩემთვის,

მით უმეტეს. მისი თამაში, ტექნიკა, საგოლე სიტუაციის განუმეორებელი გრძნობა, შექმნილი მომენტის გამოყენების უნარი ადრეც აღმაფრთოვანებდა. სწორედ ამ მშვენიერი ფორვარდის გვერდით აღმოვჩნდი და არა მარტო გუნდში, არამედ — ერთ ოთახში — როგორც ბაზაზე, ასევე გასვლითი თამაშებისას, სასტუმროებში. გივი თხემიდან ტერფამდე პროფესიონალი და განსაცვიფრებელი ადამიანი იყო. ის არასოდეს ცდილობდა, ჭკუა დაერიგებინა ან ეთქვა — ჩემსავით მოიქეცი... კითხვებს მუდმივად ვუსვამდი. ნოდიას არასოდეს ეჭირა თავი სხვებზე მაღლა და საოცრად ტაქტიანი გახლდათ. რასაც იგი ფეხბურთში აკეთებდა, ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რომ უბრალოდ, შეუძლებელი იყო, მისთვის არ მიგებაძა... დღემდე მადლიერი ვარ ამ ადამიანის, რომელმაც ფეხბურთში პროფესიონალიზმი მასწავლა“, — იხსენებს გაზაევი.

„ლოკომოტივის“ რიგებში მეასე გოლის გატანისა და ოცნების ასრულების შემდეგ, ნოდიამ 30 წლის ასაკში ფეხბურთის თამაშს თავი დანება. მოსკოველთა იმჟამინდელი მწვრთნელი აღნიშნავდა, რომ გული სწყდებოდა, რადგან ქართველთან მუშაობამ საკმაოდ გვიან მოუწია. „ლოკომოტიველთა“ თავკაცის აზრით, ნოდიასთან ერთად გუნდი გაცილებით კარგ შედეგებს მიაღწევდა.

კარიერის დასრულების შემდეგ, ბატონმა გივიმ მწვრთნელობა გადაწყვიტა და ჯერ „დინამოში“, ნოდარ ახალკაცის ასისტენტად მუშაობდა, მოგვიანებით კი — მეორე მწვრთნელად. როცა გარკვეული გამოცდილება მიიღო, მშობლიურ ქუთაისს მიაშურა და „ტორპედოს“ პირველიდან უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში დეხმარა. იმ დროს, ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ თამაშების „ყიდვა-გაყიდვა“ სამხრეთული გუნდებიდან წამოვიდა და მათ შორის, ხშირად ახსენებდნენ „ტორპედოს“... 1985 წელს, პირველი წრის დასრულების შემდეგ, ქუთაისელებს სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი ეკავათ, ხოლო ჩემპიონატი მე-11 ადგილზე დასრულეს. ამბობდნენ, ნოდიას შეგირდებმა ასეთ შედეგს მატჩების „ჩაწყობის“ შედეგად მიაღწიეს. ამასთან დაკავშირებით, ბატონი გივი იხსენებდა, რომ ერთ-ერთი თამაშის დასრულების შემდეგ, მეტოქეთა მწვრთნელმა გასახდელში საკუთარ ფეხბურთელებს შეასწრო და მათი ნივთების გასინჯვა დაიწყო, ვინაიდან ფულს ეძებდა, მაგრამ ვერაფერი იპოვაო.

ქართული ფეხბურთის „დამოუკიდებელ რელსებზე“ გადასვლის შემდეგ, გივი ნოდია საქართველოს ნაკრების პირველი მთავარი მწვრთნელი გახდა. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა 1990 წელს, ისტორიაში პირველი საერთაშორისო მატჩი ლიტვასთან, მართალია — არაოფიციალური — სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩაატარა. შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა. 1993 წელს, „დინამოდან“ რევაზ ძოძუაშვილის წასვლის შემდეგ, ნოდია გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, თბილისელებმა მისი ხელმძღვანელობით, ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდს“ ორი მატჩის ჯამში სძლიეს. ეს დაპირისპირება ისტორიაში იმით შევიდა, რომ „დინამო“ პირველი ქართული კლუბი აღმოჩნდა, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ევროსარბიელზე იასპარეზა. ჩვენდა სამწუხაროდ, თბილისელები მსაჯის მოსყიდვაში დაადანაშაულეს და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

სხვათა შორის, მანამდე ერთი წლით ადრე, ნოდიამ რუსთავის „გორდა“ ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გაიყვანა და გუნდს ევროთასებზე უნდა ეთამაშა. მაგრამ უეფამ ქართულ კლუბებს საერთაშორისო არენაზე გამოსვლის უფლება არ დართო, ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობის გამო. არადა, რუსთაველთა თავკაცი შვეიცარიაში კენჭისყრაზეც კი იყო ჩასული.

ბატონმა გივიმ თბილისი 1995 წელს დატოვა და სანქტ-პეტერბურგს მიაშურა, სადაც პირველ ლიგაში მყოფ ადგილობრივ „ლოკომოტივს“ 5 წელი წვრთნიდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, სათავეში თბილისის „ლოკომოტივს“ ჩაუდგა. ამ კლუბში ნახევარწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ნოდია კვლავ „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, გუნდში ხორვატი ივო შუშაკის მისვლისას კი, ტექნიკური დირექტორის ფუნქციას ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს, თბილისურ კლუბში საკადრო ცვლილებების დროს, ნოდია არ დალოდებია, როდის გაათავისუფლებდნენ და თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება თავად დაწერა. „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი 2005 წლის 7 აპრილს გულის შეტევით გარდაიცვალა.

■

გვანცა და სოსო

აქვს თუ არა მომავალი „ჟეობარულ" კოტიკოსა და თამუნას სიყვარულს?..

დასაწყისი იხ. გვ. 9

— პრინციპში, ყველაფერი ნორმალურად არის. მისი ბარში შესვლიდან, ჯერ ძალიან ცოტა დრო გავიდა და ალბათ, მალე, კოტე მთელ თავის დადებით თვისებებს გამოამჟღავნებს.

— ვიდრე ამას გამოამჟღავნებს, შენ გვითხარი — როგორია ის?

— კოტე არის ოპტიმისტი, ენერგიული, ცდილობს, რომ ყველაფერს დადებითად შეხედოს. ამასთანავე, საოცრად ეკლესიურია. მას დადებითი აურა აქვს და ამას, „ჯეობარის" მონაწილეებიც აღნიშნავენ. შესაძლოა, თვითონ ზოგჯერ ძალიან ცუდ ხასიათზე იყოს, მაგრამ ამას, თავზე არავის მოახვევს, პირიქით, ცდილობს, რომ სხვები კარგ ხასიათზე დააყენოს, ყოველთვის მხიარულია...

— შენი აზრით, კოტეს და თამუნას შორის ბარში წარმოქმნილი სიყვარული, მათ რეიტინგზე დადებითად მოქმედებს თუ უარყოფითად?

— ეს ხომ რეალური შოუა, ეს სიყვარული კი, მათი რეალური გრძნობებია. თამუნა გამოცდაზე იყო წასული და იქ უთხრეს: თქვენმა მოფერებამ ხალხი გააღიზიანა და ცოტა თავი შეიკავეთო. ამ დროს, უბრალო მოფერების გარდა, მათ შორის არაფერი ყოფილა. ამის შემდეგ, მათი ურთიერთობა ცოტა არ იყოს, რაღაც ჩარჩოებში მოექცა. არ უნდათ, რომ ვინმე გააღიზიანონ.

— კოტესა და თამუნას ოჯახმა, აქამდე თუ იცოდა მათი სიყვარულის შესახებ?

— თამუნას მშობლები საზღვარგარეთ ჰყავს და ამიტომ ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. კოტეს მშობლებმა კი, ეს იცოდნენ, თუმცა, თამუნას ჯერ არ იცნობენ.

— თამუნა სარძლოდ მოსწონთ?

— საქმე ჯერ აქამდე არ მისულა. ზუსტად ვიცი, რომ ჯერჯერობით, დაქორწინებაზე თვითონაც არ ფიქრობენ და ეს აბსოლუტურად ნორმალურია... კოტეს ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

— გინდა თქვა, რომ შესაძლოა, ისინი დაშორდნენ?

— არც ეგ არის გამორიცხული.

— სოსო, თუ უახლოეს მომავალში კოტე და თამუნა დაქორწინდებიან, შენ მათი მეჯვარე იქნები?

— ეს კოტეს გადასაწყვეტია, თუმცა, ბევრჯერ უთქვამს, რომ მე მისი მეჯვარე უნდა ვიყო.

— როგორც მეჯვარე, თამუნას როგორ შეაფასებ?

— დედამთილის თვალით ვერ შევხედავ, მას, როგორც მეგობარს, ისე ვუყურებ და ვფიქრობ, რომ კარგი ადამიანია.

— ვიდრე კოტე ბარში შევიდოდა, გაფრცელდა აზრი, რომ მას ცოლი მოჰყავდა...

— მართალია. ეს იმის ბრალია, რომ კოტეს სერიალში — „თბილისური ამბები" იღებდნენ და ერთ-ერთ სერიაში, მას ცოლი უნდა მოეყვანა. თვითონ, ამ თემაზე ხშირად ღადაობდა — იცით, ცოლი მომყავსო. ვინც კოტეს კარგად იცნობს, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ხუმრობდა, მაგრამ სხვებმა, ამას ყური რომ მოჰკრეს, მაშინვე ჭორი ააგორეს. კოტე ბარში მივიდა და თამუნა გააფრთხილა — ასეთი ჭორი ამიგორესო. თამუნამ უთხრა: ეს ამბავი რომც გამეგო, მაინც არ დავიჯერებდი, რადგან ბოლომდე გენდობიო. კოტეს ბარში შესვლის გამო, სერიალის გადაღება ცოტა ხნით გადაიდო. როცა ის პროექტიდან გამოვა, გადაღებები ანტალიაში გაგრძელდება.

— შენი აზრით, რამდენად რეალურია, რომ კოტემ მოიგოს?

— მართალია, ის პროექტში ცოტა გვიან შევიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით ორ კვირაში შეძლებს, მაყურებლის სიმპათია დაიმსახუროს. კოტე, 13 წლიდან საკუთარ თავს თვითონ ინახავს, შოუბიზნესის სფეროსაც კარგად ერგება... მოგებას ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ ამ ყველაფერს, მაყურებელი გადაწყვეტს.

— როგორ ფიქრობ, კოტეს პოპულარობაზე ხომ არ მოქმედებს ის ფაქტი, რომ სოსო თოლორაიას ძმაა?

— ცოტათი, მაგრამ მაინც მოქმედებს და მას ეს აღიზიანებს.

გვანცა გიორგოგიანი:

— მე და თამუნამ, ერთმანეთი დაახლოებით 2 წლის წინ, საერთო მეგობრის მეშვეობით, ერთ-ერთ კლუბში გავიცანით და ისე დავახლოვდით, რომ შინ აღარ მიშვებდა, სულ ერთად ვიყავით, მგონი, ერთდროულად ვსუნთქავდით კიდეც.

— ალბათ, იცოდი, საბუთები „ჯეობარში" რომ შეჰქონდა. რატომ გადაწყვიტა პროექტში მონაწილეობა?

— რა თქმა უნდა, ვიცოდი. ამბობდა — ანკეტას კი შევავსებ, მაგრამ ალბათ, არ დამირეკავენო. როცა დაუძახეს, ძალიან გაუკვირდა. ტურებში ისე გავიდა, გაოგნებული იყო. მან იცოდა, რომ ამ პროექტში თამაშს კოტეც აპირებდა... შესვლისას ვურჩიე — ისეთივე იყავი, როგორიც ცხოვრებაში ხარ, არ ითამაშო-მეთქი.

— ეი. თამუნა ეკრანზე ზუსტად ისეთია, როგორიც ცხოვრებაშია?

— ნამდვილად ასეა. მეტსაც გეტყვით, პროექტში მეჩვენება, რომ უფრო გახსნილია, ვიდრე ცხოვრებაში, რაღაც კომპლექსები მოეხსნა.

— ალბათ, მასთან ბარში ხშირად მიდიხარ?..

— რა თქმა უნდა. ფაქტობრივად, იქ მეძინა, მაგრამ ეს ბოლო კვირა, თავს შეუძლოდ ვგრძნობდი და ვეღარ წავედი. 9 დღეში, სასწავლებლად საზღვარგარეთ მივდივარ. დარწმუნებული ვარ, იმ დროისთვის, თამუნა გამოსული არ იქნება, მაგრამ არა უშავს — იქ მივალ და დავემშვიდობები. იქნებ, ჩემს გასაცილებლადაც გამოუშვან, ვინ იცის?..

— თამუნასა და კოტეს სიყვარულის ამბავი, მათი გაცნობის დღიდან იცი?

— მე და თამუნამ, კოტიკო ბარში გავიცანით. მათ თავიდანვე მოეწონათ ერთმანეთი და ურთიერთობაც ააწყვეს.

— შენ თუ მოგწონს თამუნას არჩევანი?

— კოტე ძალიან მიყვარს. არაჩვეულებრივი ადამიანია, მხიარული და კარგი ტიპია. ამიტომ, მე და კოტე თავიდანვე დავმეგობრდით. როცა ერთად ვართ, ბევრს მაცინებს ხოლმე — ცოცხალი ანეკდოტია.

— შენი აზრით, რამდენად სწორად იქცევიან თამუნა და კოტე, როცა ერთმანეთს, კამერების წინ ეალერსებიან?

— ეს აბსოლუტურად ნორმალურია, თუმცა, ძალიან კარგად მესმის, რომ ქართველი ხალხი, ამ ყველაფერს ვერ მიიღებს და ამიტომ, ალბათ, თავი უნდა შეიკავონ.

— ალბათ, ისიც იცი — რას გეგმავენ მომავლისთვის კოტე და თამუნა?

— სიმართლე რომ გითხრათ, მათ სამომავლო გეგმები ჯერ არ დაუსახავთ. მხოლოდ ის ვიცი, რომ თამუნა „ჯეობარიდან" გამოსვლის შემდეგ, გერმანიაში, თავის ძმასთან სასწავლებლად აპირებს წასვლას.

— კოტემ ეს ამბავი იცის, თუ მისთვის ესეც სიურპრიზია?

— არ ვიცი, ალბათ იცის.

— შენი საუბრიდან გამომდინარე, ისინი დაოჯახებას არ გეგმავენ.

— არა. ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

— შენი აზრით, პროექტის გამარჯვებული, თამუნა იქნება?

— თამუნა მოგების რეალური კანდიდატია... როგორც წესი, ყველა შოუს ბიჭები იგებენ ხოლმე და იქნებ, ხალხმა ახლა მაინც მოაგებინოს გოგოს... ■

1 მუსლიმანური მარხვა
2 სახელმწიფო ჩრდ. ამერიკაში
3 ზრდა-დასრულებელი ქათამი
4 ჟან ივ კუსტოს გამოგონება
5 ოსური ცეკვა
6 თეატრალური კოლექტივი
7 კამეჩის ნამიერი
8 ფეხბურთელის ამბლუა
9 ქართველი მსახიობი ქალი
10 არაბული ზღაპრის გმირი
11 პარადი
12 კოვბოის ქამანდი
13 ბედი, იღბალი
14 ჭეა-სუსტობის უმაღლესი ხარისხი
15 ნიანგის სახეობა
16 ბერძენი ძეიგავე
17 პოლონელი ას-ტრონომი
18 შეხვედრა უმაღლეს დონეზე
19 ნესტი, სისველე
20 ზღვაოსანთა კუნძულები
21 საშინაოდ, მსუბუქად ჩაცმული
22 ინდოეთის ფულის ერთეული
23 პირის ღრუს ნაწილი
24 ემილ ზოლას რომანი
25 ბურთისებრი ბაქტერია
26 ჯარისკაცი თურქეთში
27 ბროწეულის წვენი
28 ლაბორატორიული-ჭურჭელი
29 ქალთა ცეკვა
30 ღამის ფრინველი
31 ამერიკის შტატი
32 მუსიკალური ძიძინარ-ება
33 სირაქლემის სახეობა
34 ჭამის სურვილი
35 ვრამატიკული კავშირი
36 საქართველოს მწარე
37 ბანკის მსხვილი აქციონერი
38 საფრენი აპარატი
39 ირმის ნაშიერი
40 ამერიკელთა მეტსახელი
41 არქიტექტურული დეკორატიული სტილი
42 ეკლესიიდან განდევნა
43 მომღერალი ... მაშალაძე
44 უგონო მდგომარეობა
45 ლაშქარი
46 დიდი საყვირი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ბატერფლაი; 2. ბოტულიზმი; 3. ტომატი; 4. ფრეგატი; 5. ასკერი; 6. ბაბუა; 7. პრეფერანსი; 8. ლოტი; 9. ბოთე; 10. აბოლიცია; 11. ტრიო; 12. ფირუზი; 13. ცისტერნა; 14. დიანა; 15. კრედო; 16. მსაჯი; 17. ვოლანი; 18. ბოქლომი; 19. პელე; 20. არაბიკა; 21. ესპანეთი; 22. ინკოგნიტო; 23. სეფა; 24. წერო; 25. ტალავერი; 26. რესურსი; 27. აისი; 28. ვერონეზე; 29. ასპინძა; 30. ანოა; 31. აბი; 32. შიიტი; 33. ალი; 34. კობრა; 35. ინდი; 36. შრე; 37. აფთარი; 38. კიჩო; 39. ტოგა; 40. ფრაუ; 41. აპაჩი; 42. პეონი; 43. ნეი; 44. სურდო; 45. სიო.

სურათებზე: ტიმოშენკო; იუშჩენკო.

kviris astrologiuri prognozi

(22 – 28 ivnisi)

ვერძი 21.03-20.04

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, რადგან სხვადასხვა მიზეზით, დიდი ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ, რაც ფიზიკურად დაგასუსტებთ. აუცილებელია, დროულად მიიღოთ პროფილაქტიკური ზომები და დასვენება მოახერხოთ. კარგი იქნება, თუ შაბათ-კვირას, საყვარელ ადამიანთან ერთად, სადმე გაემგზავრებით.

კურო 21.04-20.05

თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი თანდათან გაიზრდება და უფრო ოპტიმისტურად შეხედავთ საკუთარ მომავალს. შეეცადეთ, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყოთ მოქმედება, რაც თქვენი პარტნიორების შესახებ საკმარის ინფორმაციას შეაგროვებთ. ეს კვირა საუკეთესოა მიზნების მისაღწევად. ასე რომ, დრო უქმად არ დაკარგოთ, გაბედულად იმოქმედეთ.

ტყუბი 21.05-21.06

მეტისმეტად გაღიზიანებული და არაობიექტური იქნებით, რის გამოც, გარშემო მყოფებთან საერთო ენის პოვნა გაგიჭირდებათ. ისინი კი, ეგოიზმსა და სიხისტეში დაგადანაშაულებენ. დაიოკეთ ნერვები, ნუ აჰყვებით ემოციებს და ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ წარიმართება.

კიბო 22.06-22.07

გასული კვირის უსიამოვნებები დავიწყებას მიეცემა, რაც იმის საშუალებას მოგცემთ, რომ საოჯახო საქმეებსა და ახლობელ ადამიანებს მეტი დრო დაუთმოთ. ყოველივე ეს, უარყოფითი ენერგიისგან გაგათავისუფლებთ და სულიერი წონასწორობის აღდგენაში შეგიწყობთ ხელს. კვირის განმავლობაში, მოსალოდნელია ისეთი ადამიანის გამოჩენა, რომელიც თქვენი ცხოვრებიდან დიდი ხნის წინ წავიდა. ის პატიებას გთხოვთ და თქვენც, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ველარ იმოქმედებთ.

ლომი 23.07-23.08

შესაძლებელია, დეპრესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, რაც ყველა თქვენს უარყოფით თვისებას გამოააშკარავებს. თუმცა, თქვენი აპათია ხანმოკლე იქნება. ცხოვრების ჩვეული რიტმი მალე აღდგება და აქტიურად მოჰკიდებთ ხელს გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენას. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს განმარტოებით გაატარებთ და სამომავლო გეგმებს შეიმუშავებთ.

ქალწული 24.08-23.09

ამ დღეებში შექმნილი არასტაბილური ვითარება უარყოფითად აისახება თქვენს კარიერაზე. კრიზისიდან გამოსავლის პოვნას მხოლოდ საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ. შეეცადეთ, საქმიანი პარტნიორების ინტერესები გაითვალისწინოთ და მათი მითითებების შესაბამისად იმოქმედოთ.

სასწორი 24.09-23.10

კვირის დასაწყისში, თქვენს გონიერებას გრძნობები დაჯაბნის. ობიექტურობის შენარჩუნება და სწორი არჩევანის გაკეთება გმართებთ. ყოველივე ამის შედეგად, შეიძლება, თქვენს კარიერასა და კეთილდღეობას საფრთხე დაემუქროს. თუმცა, კვირის ბოლოს, სიტუაცია თქვენდა სასიკეთოდ შეიცვლება.

მორიელი 24.10-22.11

სანამ რაიმეს გადაწყვეტთ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ, თორემ, შეიძლება, თქვენი თავშეუკავებლობა სანანებელი გაგიხდეთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ და ამით, საკუთარ კეთილდღეობას შეუწყობთ ხელს.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ამ კვირაში, მნიშვნელოვანი საქმეების დაგეგმვა არ ღირს. ოჯახში მშვიდობის დასამყარებლად, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი საყრდენი, ისევ და ისევ თქვენი მეგობრები იქნებიან. შეეცადეთ, შაბათ-კვირა მათთან ერთად გაატაროთ.

თხის რქა 22.12-20.01

უძილო ღამეები გელით, რომლებიც შესაძლებელია, ქრონიკული დაავადებების გამწვავების მიზეზად იქცეს. ყოველივე ეს თქვენს საქმიანობასა და გარშემო მყოფთა მიმართ დამოკიდებულებაზე უარყოფითად აისახება. ამის გამო, საყვარელი ადამიანის შენიშვნას დაიმახსოვრებთ და შესაძლებელია, მასთან ურთიერთობა დაგეძაბოთ კიდეც.

ვერნყული 21.01-19.02

ამ დღეებში, რაც არ უნდა წამოიწყოთ, ყველაფერში ხელი მოგეცარებათ. გაჭიანურებული ფორმალობები მორალურად დაგთრგუნავთ. თქვენი ეგოისტური საქციელისა და ადრე დაშვებული შეცდომების გამო, კონფლიქტური სიტუაციები მეგობრებთანაც გექნებათ, რაც შესაძლოა, საბოლოო განხეთქილების მიზეზი გახდეს. მაგრამ ყველაფერი თქვენდა სასიკეთოდ დასრულდება — თუ, რა თქმა უნდა, თავს ხელში აიყვანთ და უსიამოვნებებს იუმორით შეხვდებით.

თევზები 20.02-20.03

ახლობლებისა და ნათესავების მიერ თქვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკა, მეტისმეტად მტკივნეული აღმოჩნდება, თუმცა, თუ საპასუხო შენიშვნებისგან თავის შეკავებას შეძლებთ, ეს უსიამოვნო პერიოდი, შეიძლება, მშვიდად გადაიტანოთ. თქვენს საქციელს კი, ყველანი დადებითად შეაფასებენ.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ სექსისადმი?

ეს ტესტი საშუალებას მოგცემთ, შეაფასოთ საკუთარი დამოკიდებულება სექსისადმი. თუკი ზუსტი „დიაგნოზის“ შეტყობა გსურთ, უნდა შეეცადოთ, რომ შეკითხვებს მაქსიმალურად გულწრფელად უპასუხოთ.

I. **დიახ — 5, არა — 4.**

1. გჯერათ იდეალური მამაკაცის (ქალის) არსებობის?

2. სიყვარულში ერთგულება გახასიათებთ?

3. მიგაჩნიათ თუ არა, რომ გოგონამ გათხოვებამდე, ქალწულობა უნდა შეინარჩუნოს?

4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ასევე უნდა მოიქცეს მამაკაციც?

II. დიახ — 3, არა — 1.

1. ცხოვრებაში ერთმა მამაკაცმა (ქალმა) მაინც თუ დაგიტოვათ ნათელი მოგონება?

2. ხომ არ გჩვევიათ იმ ადამიანთა ღირსებების გაზვიადება, ვინც გიყვართ?

3. ხომ არ ეჭვიანობთ თქვენი რჩეულის წარსულის გამო?

4. ოდესმე საყვარელი ადამიანისთვის შეურაცხყოფა ხომ არ მიგიყენებიათ?

III. დიახ — 4, არა — 0.

1. შეგიძლიათ თუ არა, გიყვარდეთ ისეთი მამაკაცი (ქალი), რომლის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ ზედმიწევნით კარგად ხართ ინფორმირებული?

2. შეგიძლიათ თუ არა მამაკაცის (ქალის) თანდასწრებით უხამსი ანეკდოტის მოყოლა?

3. საკუთარ სასიყვარულო გამარჯვებებზე სხვების თანდასწრებით ლაპარაკი სიამოვნებას ხომ არ განიჭებთ?

IV.

1. შეგიძლიათ თუ არა, ლამაზ მამაკაცს (ქალს) აპატიოთ:

ა) უგუნური საქციელი — 2;

ბ) სისასტიკე — 3;

გ) გრძნობათა ცვალებადობა — 4.

2. როგორ მამაკაცზე (ქალზე) ოცნებობთ?

ა) მახვილგონიერ, ინტელექტუალურ

მამაკაცზე (ქალზე) — 3;

ბ) მხიარულ, სადა, უპრეტენზიო მამაკაცზე (ქალზე) — 4;

გ) თავშეკავებულ, კარგ მეურნე მამაკაცზე (ქალზე) — 2;

3. რა ემოციას გამოიწვევს თქვენში ისეთი ადამიანის მიერ სიყვარულის ახსნა, რომლისადმიც გრძნობა არ გაგაჩნიათ:

ა) წყენას — 3;

ბ) შფოთვას — 3;

გ) პატივმოყვარეობის სიხარულს — 4.

4. თქვენთვის როგორი ღალატი უფრო თავზარდამცემია:

ა) ფიზიკური — 2;

ბ) სულიერი — 4.

5. მიგაჩნიათ, რომ ქმრის (ცოლის) და საყვარლის ერთდროულად ყოლა...

ა) ...ღირსეული საქციელია — 4;

ბ) ...ამორალური საქციელია — 0;

გ) ...მხოლოდ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებშია გამართლებული — 2.

V. დიახ — 3, არა — 0.

1. გიყვართ თუ არა ქარიანი ამინდი?

2. სიამოვნებას განიჭებთ თუ არა ფიზიკური შრომა, სპორტი?

3. სურვილი ხომ არ გაგჩენიათ, რომ ნარკოტიკის ზემოქმედება საკუთარ თავზე გამოგეცადათ?

4. გხიბლავთ თუ არა ეგზოტიკური მამაკაცები (ქალები)?

5. ძალიან მალე ხომ არ გბეზრდებათ ერთსა და იმავე მამაკაცთან (ქალთან) ურთიერთობა?

VI. დიახ — 0; არა — 3.

1. შეგიძლიათ თუ არა, რომ ანგარების გამო, საყვარელ მამაკაცთან (ქალთან) ურთიერთობა გაწყვიტოთ?

2. ჰომოსექსუალიზმი თქვენში ზიზღის გრძნობას ხომ არ აღძრავს?



ტესტის შედეგები

0-10 ქულა: ფარისეველი ხართ.

10-15 ქულა: ძლიერ განვითარებული გაქვთ რაციონალური საწყისი; მეტისმეტად მომთხოვნი ხართ მამაკაცებისადმი (ქალებისადმი) და საოცრად ეჭვიანიც ბრძანდებით.

16-20 ქულა: სულიერადაც და ფიზიკურადაც უცოდველი ბრძანდებით; როგორც ჩანს, გვერდით არ გყვანან ისეთი მეგობრები, რომლებიც ამ სფეროში გაგათვითცნობიერებდნენ.

21-30 ქულა: თქვენ ან უკვე საკმაოდ ხანდაზმული ადამიანი ბრძანდებით, ან ავად ხართ. არც ის არის გამორიცხული, რომ ცდილობდეთ, ისეთად არ მოაჩვენოთ თავი გარშემო მყოფებს, როგორიც სინამდვილეში ხართ.

31-35 ქულა: მტკიცე მორალის მქონე ადამიანი ხართ. თქვენი იდეალი — მტკიცე და მეგობრული ოჯახია, რომელსაც საფუძვლად დიდი სიყვარული უდევს.

36-40 ქულა: იმდენად კეთილგონიერი ადამიანი ბრძანდებით, თქვენთვის უგუნური საქციელის ჩადენა წარმოუდგენელია. ოჯახისთვის ხართ გაჩენილი და სიყვარულში სიმტკიცესა და ერთგულებას ელტვით. საკუთარი რჩეულისადმი საკმაოდ მომთხოვნი ბრძანდებით.

41-50 ქულა: თანამედროვე შეხედულების ადამიანი ბრძანდებით და არ გიყვართ ვინმეს განსჯა; თუმცაღა, თავად საკმაოდ თავშეკავებულ სქესობრივ ცხოვრებას ეწევით.

51-55 ქულა: დიდძალი დაუხარჯავი ენერგიის პატრონი ბრძანდებით. ახალგაზრდა ხართ და ელტვით იმას, რომ ცხოვრებისგან რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოთ. თქვენთვის სექსი ორგანული მოთხოვნილებაა.

56-60 ქულა: საერთოდ, მსუბუქი გატაცებები გჩვევიათ, მაგრამ არც ღრმა გრძნობაა თქვენთვის უცხო. უპასუხო სიყვარული, შესაძლოა, თქვენი ცხოვრების ტრაგედიადაც კი იქცეს.

61-65 ქულა: უჩვეულო მამაკაცზე (ქალზე) ოცნებობთ, მაგრამ არასოდეს ამბობთ უარს შემთხვევით შეხვედრაზე. თქვენი პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ხართ, მაგრამ ამაში, საკუთარი თავის გარდა, ვერავის დაადანაშაულებთ, რადგან ღირსეული თანამგზავრის არჩევის შესაძლებლობა ნამდვილად გაქვთ.

66-70 ქულა: წარსულში გქონდათ დიდი სიყვარული, რომელიც კრახით დასრულდა. საოცრად იმედგაცრუებული ხართ და აწეწილი ცხოვრების წესი გაქვთ. უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცებს (ქალებს) მოსწონხართ და უყვარხართ კიდეც.

71-80 ქულა: თქვენ გგონიათ, რომ უკვე ყველაფერი შეიცანით და საკუთარ თავზეც გამოსცადეთ. ის იმედგაცრუება, რომელიც საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობამ მოგიტანათ, რატომღაც თქვენი სიამაყის საგნად ქცეულა; მაგრამ საკუთარ თავსაც კი არ უმჟღავნებთ იმას, რომ ყოველი ახალი ნაცნობობა, თქვენი ბედნიერი მომავლის იმედის ნაპერწკალს აღვივებს.

81 და უფრო მეტი ქულა: გარყვნილი ცინიკოსი ბრძანდებით. მართალია, ზედმეტად მშფოთვარე ცხოვრებამ დაგღალათ და სავარაუდოა, რომ ან მიგატოვეს, ან გაყრის ზღვარზე იმყოფებით, მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ შეგწევთ იმის უნარი, რომ ახალ-ახალ გატაცებებზე უარი არ თქვათ.

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

დასაწყისი იხ. გვ. 51

მასპინძელთა ფინალისკენ სვლა არგენტინელებმა შეაჩერეს. რა თქმა უნდა, ნახევარფინალურ შეხვედრაში, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ „სკუადრა აძურა“ არგენტინის გუნდს დაჯაბნიდა. მართლაც, ანგარიში სალვატორე სკილაჩიმ გახსნა და მოვლენებიც ისეთი სცენარით ვითარდებოდა, როგორითაც იტალიელებს გაახარებდა. თუმცა, მოედანზე მარადონა იმყოფებოდა და შესაბამისად, ყველაფერი მოსალოდნელი იყო. მისი გამოზომილი პასის შემდეგ, ანგარიში გათანაბრდა. დამატებით დროში, მასპინძლებმა კვლავ მოიპოვეს უპირატესობა — ამჯერად, რიცხობრივი (სამხრეთამერიკელთაგან ხიუსტი გააძევეს), მაგრამ ამისი გამოყენება ვერ მოახერხეს. ამიტომ, თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია დაინიშნა, ფორტუნამ კი, იტალიელებს ზურგი აქცია.

ფინალში, არგენტინელთა მეტოქე, ისევ გერმანიის ნაკრები იყო. ფრანც ბეკენბაუერის გუნდს დიდი უპირატესობა ჰქონდა, არაერთხელ, გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბუნდეს-ნაკრებმა, დაწინაურება მხოლოდ საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე, პენალტით შეძლო.

ამგვარად, გერმანიის ნაკრები ბრაზილიელთა და იტალიელთა შემდეგ, მესამე გუნდად იქცა, რომელმაც სამჯერ შეძლო მსოფლიო თასის დაუფლება.

ფინალური ტურნირი 8 ივნისიდან 8 ივლისამდე მიმდინარეობდა. ჩემპიონატში 24 გუნდი მონაწილეობდა, რომელიც ექვს ქვეჯგუფად იყო დაყოფილი. ჯგუფურ ეტაპზე, მატჩები წრიული სისტემით მიმდინარეობდა, რის შემდეგაც, საუკეთესოები, მერვედფინალიდან ოლიმპიური სისტემით აგრძელებენ ასპარეზობას.

გაიმართა 52 მატჩი. სულ დაესწრო 2 517 348 მაყურებელი (საშუალოდ, 48 411 კაცი თითო შეხვედრას).

გავიდა 115 გოლი (საშუალოდ, 2,21 თითო მატჩში).

საუკეთესო ბომბარდირად სალვატორე სკილაჩი დაასახელეს (6 გოლი, იტალია).

არგენტინის ნაკრები, ფიფა-ს თასის მფლობელის სტატუსით მეორედ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნით მატჩში და მეორედ წააგო. პირველად, ეს 1982 წელს მოხდა, როდესაც თეთრცისფერმაისურიანები ბელგიელებთან დამარცხდნენ.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, მუნდიალის ისტორიაში ყველაზე დაბალი შედეგიანობით აღინიშნა. საშუალოდ, გუნდებს მატჩში 2,21 გოლი გაჰქონდათ.

არაბთა გაერთიანებული საამიროების გუნდი, ჟურნალისტებისთვის თავის ტკივილად იქცა. საქმე ის გახლდათ, რომ არაბთა ნაკრებში, მუშარაქის გვარის მატარებელი ექვსი ფეხბურთელი თამაშობდა.

პირველად, მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, საბჭოთა კავშირის ტელევიზიამ, ტურნირის ყველა მატჩი პირდაპირ ეთერში აჩვენა.

პირველად, აფრიკის კონტინენტის წარმომადგენელი გუნდი მეოთხედფინალამდე მივიდა. ეს იყო კამერუნის ნაკრები, რომელსაც რუსი მწვრთნელი, ვალერი ნეპომნიაშჩი ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, ასეთი მიღწევა, „შავი კონტინენტის“ არც ერთი ქვეყნის გუნდს აღარ ჰქონია.

პირველად, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, ისიც თერთმეტმეტრიანი დარტყმით.

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიამვილმა

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	9	4	8	1	7	5	6	2
2	1	5	6	3	9	7	4	8
6	8	7	4	5	2	3	9	1
1	6	2	3	9	5	8	7	4
4	3	8	2	7	6	1	5	9
7	5	9	1	4	8	2	3	6
5	4	1	9	8	3	6	2	7
9	7	6	5	2	1	4	8	3
8	2	3	7	6	4	9	1	5

9	2	8	4	6	5	3	1	7
5	7	1	3	8	9	6	2	4
4	6	3	7	1	2	8	9	5
7	1	4	2	5	3	9	6	8
8	9	5	6	7	1	2	4	3
6	3	2	8	9	4	7	5	1
2	5	6	1	3	7	4	8	9
3	8	9	5	4	6	1	7	2
1	4	7	9	2	8	5	3	6

* მარტივი

	9	2	5					1
		4	8			9		7
		1	3	6				5
	5		1	3	6		8	
1	2						9	6
	3		2	9	7		5	
7				8	2	5		
9		5			3	2		
2					5	6	4	

** საშუალო

		3		7	5		4	
		1			2	5	8	
5		2			8		6	
2	3	4		6				5
7			5		3			8
8				1		4	3	9
	2		9			7		4
	5	6	7			8		
	4		3	8		2		

ფოტოკუიიოზები



პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

b 178/22

ლიმალელე — გურამიშვილი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი